

9(05)  
6-323

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗ. ССР

Т Р У Д Ы

ГОС. ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКОГО МУЗЕЯ  
ЕВРЕЕВ ГРУЗИИ

Том III



PEOPLE'S COMMISSARIAT FOR EDUCATION OF THE GEORGIAN  
SSR.

P-31386

TRANSACTIONS

of the

HISTORICAL-ETHNOGRAPHICAL STATE MUSEUM  
OF THE GEORGIAN JEWS

Vol. III



Изд-во Гос. Историко-Этнографического Музея Евреев Грузии  
Published by the Historical-Ethnographical Museum of the Georgian Jews.

ТБИЛИСИ

1945

TBILISI

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. შ. ამირანაშვილი, პროფ. შ. ჩხეტია, პროფ. ლ. მელისე-  
ბეგი, ა. კრიხელი, ა. ვაბისონია, ი. პაპისიმედოვი,  
დ. შაფთაშვილი.

Редакционная коллегия:

Проф. Ш. Амيرانашвили, проф. Ш. Чхетия, проф. Л. Мелик-  
сетбек, А. Крихели, А. Габисония, И. Паписимедов,  
Д. Шаптовили.

The Editorial Staff:

Prof. Sh. Amiranashvili, Prof. Sh. Chketia, Prof. L. Melik-  
setbek, A. Krikheli, A. Gabisonia, I. Papismidov,  
D. Shaptozhvili.

რედაქტორი პ. კრიხელი  
Редактор А. Крихели

1. ი. პაპისიმედოვი—საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის, ნაწ. II. . . . . 9
2. ი. ჩორნი — მოგზაურობა იმიერ და ამიერ-კავკასიაში, 1860—1870 წ.წ. ნათარგმნი ძველ ებრაულიდან არონ კრიხელის მიერ . . . . . 89
3. ა. კრიხელი—ისტორიული მიმოხილვა კავკასიაში სხვა ქალაქელ (რუსეთის და ევროპიელ) ებრაელთა დასახლების შესახებ, ნაწ. I . . . . . 135
4. ექ. ი. ქურჩიშვილი—ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა ხალხური მკურნალობა . . . . . 175
5. პროფ. მელიქსეთ-ბეგი—Armeno-Hebraica . . . . . 217
6. ა. კრიხელი—ქართველ ებრაელებზე ფეოდალური ურთიერების ხანაში . . . . . 265
7. ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) . . . . . 291

## ОГЛАВЛЕНИЕ

	Стр.
1. И. Пацисимедов—К—истории торговли грузинских евреев, часть II . . . . .	9
2. И. Черный—Путешествие по Кавказу и Закавказью 1860—1870 г. Перевод с древне-еврейского А. Крихели . . . . .	89
3. А. Крихели—Исторический обзор пребывания иногородних (Русских и Европейских) евреев на Кавказе, часть I . . . . .	135
4. Д-р И. Курчишвили—Народная медицина среди ахалцхских евреев . . . . .	175
5. Проф. Меликсет-бек—Armeno-Hebraica . . . . .	217
6. А. Крихели—Грузинские евреи в эпоху феодализма . . . . .	265
7. Исторические документы о евреях Грузии (под редакцией акад. Н. Бердзенишвили) . . . . .	291

## CONTENTS

	Page
1. J. Papismed'ov—For the Trade-History of the Georgian Jews, part II . . . . .	9
2. J. Chorny—A Voyage in the Caucasus and Trans-caucasian Regions in 1860—1870, translated from Hebrew by A. Krikheli . . . . .	89
3. A. Kricheli—A. Historical Survey of the outlandish (Russian and European) Jewish Settlements in the Caucasus part I . . . . .	135
4. Dr. J. Kurchishvili—Folk-medicine of the Akhaltzikean Jews . . . . .	175
5. Prof. L. Melikset-Bek.— Armeno-Hebraica . . . . .	217
6. A. Krikheli—Georgian Jews during the feudal period . . . . .	265
7. Historical documents concerning the Georgian Jews (Edited under the direction of Prof. N. Berdzenishvili) . . . . .	291

ი. პავსინძემოვი

საქართველოს მზრამელთა აღმზრდელთა  
ისტორიისათვის <sup>1)</sup>

I

საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და ამ ვაჭრობაში ებრაელთა მონაწილეობის საკითხის განხილვამდე, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც თვალს გადავაყვლით მე-XIX-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მომხდარ იმ დიდ სოციალ-ეკონომიურ ძვრებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს კაპიტალისტური მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს საქართველოში სავაჭრო კაპიტალი უკვე მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა; ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი აღარ კმაყოფილდებოდა მარტო სავაჭრო ბრუნვით და საკმაო ტენდენციას იჩენდა საწარმოო წამოწყებებში ჩაბმისადმი.

60-იანი წლების დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფეხს იდგამს სამრეწველო კაპიტალი, მაგრამ ბატონყმობის პირობებში მას არ შეეძლო განვითარება თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რის გამოც კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებით დაინტერესებული ახალბედა სოციალური ელემენტები მთავრობისაგან მოითხოვდნენ ახალი-საზოგადოებრივი პირობების შექმნას, თავიანთი უფლებებისა და ეკონომიური პრეროგატივების გაფართოებას. 60-იანი წლებიდან, რუგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც „ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის. მეფის მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და შემამულეთა წინააღმდეგ გლახობა

<sup>1)</sup> ამ გამოკვლევის პირველი ნაწილი იხილეთ საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „შრომებში“ ტ. I, 1940 წ.



„ბუნტებით“ შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონ-ყმობა გაუქმებინა<sup>1)</sup> რუსეთში და 1864—1871 წ.წ. საქართველოშიც<sup>2)</sup>. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება, — რასაც ჯერ კიდევ ხელს უშლიდა ბატონყმობის ნაშაები, — სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მაგრამ მიუხედავად ამისა „...რუსეთი ძალიან ჩამორჩებოდა თავისი ეკონომიური განვითარებით სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს“<sup>3)</sup> და ძირითადად ეკონომიურად ჩამორჩენილ, აგრარულ, წვრილბუჩქუაზიულ ქვეყანას წარმოადგენდა<sup>4)</sup>.

კოლონიური ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის არტახებში მომწყვდეული საქართველოს ეკონომიკა და მეურნეობა თავისი განვითარების ტენდენციებით ამ დროისათვის არსებობდა რუსეთის ეკონომიკისა და მეურნეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა<sup>5)</sup>. მაგრამ რუსეთთან შედარებით ამიერ-კავკასია და, კერძოდ, საქართველო ეკონომიკურად უფრო ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ყოველ შემთხვევაში, საგლეხო რეფორმის ჩატარების შემდეგ ეკონომიურად და კულტურულად რუსეთთან კავშირში მყოფ საქართველოს ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი, რომელიც „თავისი სოციალ-ეკონომიურა ნიშნებით არსებითად განსხვავდებოდა წინამორბედ პერიოდისაგან. ფეოდალური კარჩაკეტილობის ნაცვლად ქვეყანა კაპიტალისტური განვითარების გზას იაადგა. შერთალირი, როგორც წინა პერიოდში, ისე საგლეხო რეფორმის შემდეგაც მთავრობა წინააღმდეგი იყო ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა, მაგრამ იგი იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია ერთის მხრივ, წარმოების ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებსაც რუსეთის სტრატეგიული და კოლონიურ დაპყრობითი პოლიტიკის აუზრუნველყოფისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ (მაგალითად, გზატკეცილები, რკინიგზები და სხვა), ხოლო მეორე მხრივ, „წბრძობების ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებიც იძლეოდნენ ნედლ მასალას რუსეთის მრეწველობისათვის ან კიდევ საჭირო იყო საზღვარგარეთ გასატანად ხელსაყრელ სააღებ-მიცემო

1) საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, სახელგამი, 1939 წ., გვ. 5.

2) საქართველოში ბატონყმობის გაუქმება მოხდა სხვადასხვა დროს: აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის გუბერნიაში 1864 წ., ქუთაისის გუბერნიაში 1865 წ., სამეგრელოში 1867 წ., აფხაზეთში 1870 წ., სვანეთში 1871 წ.

3) საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, 1939 წ., გვ. 8.

4) ibid, გვ. 9.

5) ჩვეტა: შ. „ტფილისის ისტორიკოსათვის“, 1938 წ., გვ. 136.

ბალანსისათვის<sup>1)</sup>). ასეთ დარგებს წარმოადგენდა განსაკუთრებით სამაომადნო მრეწველობა, აგრეთვე წარმოების ზოგიერთი სხვა დარგბ, რომელთა განვითარება საქმით ტემპებით სდებოდა.

70-იანი წლებიდან საქართველოში მრეწველობისა და მუშათა რიცხვის საქმით ზრდის თვალსაჩინო სურათს გვაძლევენ ქვემო მოყვანილი (არა სრული) ოფიციალური ცნობები. ამ ცნობების მიხედვით 1873--1898 წ.წ. ითვლებოდა:

## ა) თბილისის გუბერნიაში

წლები	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი <sup>2)</sup>	წარმოების გამომუშავების რაოდენობა მანეთებში	მუშების რიცხვი	შენიშვნა
1873	465	3.209.807	2.320	
1881	710	4.129.333	4.072	
1891	2.170	4.710.960	12.579	
1898	3.899	9.696.000	11.190	სამთომადნო წარმოების გარდა

## ბ) ქუთაისის გუბერნიაში

1881	299	273.000	—
1891	409	734.771	4097
1893	1.297	28.078.089	7130 <sup>3)</sup>

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში 25 წ. მანძილზე (1873 — 1898 წ.წ.) ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი გაზრდილა რვაჯერ და უფრო მეტად, წარმოების გამომუშავების რაოდენობა — სამჯერ და უფრო მეტად, მუშათა რიცხვი კი დაახლოებით — ხუთჯერ. ქუთაისის გუბერნიაში 12 წ. მანძილზე (1881 — 1893 წ.წ.) ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი გაზრდილა ოთხჯერ და უფრო მეტად, წარმოების გამომუშავების რაოდენობა — ასჯერ და უფრო მეტად, ხოლო მუშათა რიცხვი — ორჯერ).

70-იან წლებიდან მრეწველობის გაფართოებას და კაპიტალიზმის განვითარებას, სხვათა შორის, ხელს უწყობს ამიერ-კავკასიაში რკინიგზების გაყვანა<sup>4)</sup>, რის გამოც საგრძნობლად ფართოვდება

<sup>1)</sup> მახარაძე ფ., „1900 წ. აქოვკასიაში“, გვ. 39.

<sup>2)</sup> ფაბრიკა-ქარხნებში ნაგულსხმევია პატარა წარმოებებიც მცირერიცხოვანი მუშა-ხელით.

<sup>3)</sup> \*Кавказский календарь 1875, 83, 93, 96, 99 г.г.

<sup>4)</sup> ამიერ-კავკასიაში რკინიგზების მშენებლობა დაიწყო 1865 წლიდან.

აგრეთვე საგარეო და საშინაო ვაჭრობა და სოფელი ქალაქს უკავ-  
წირდება უფრო მჭიდროდ. ამავე პერიოდიდან კაპიტალისტური  
ელემენტი იჭრება სოფლადაც, იწყება გლეხობის ცალკე ფენებად  
დაყოფა, გადატაკებული გლეხობის ქალაქად გადასვლა სამუშაოს  
საძებნელად. ამრიგად, XIX ს. დასასრულისათვის საქართველოში  
უკვე ძალიანდება მსხვილი ბურჟუაზია და სამრეწველო პროლეტა-  
რიატი თავიანთი დამახასიათებელი ნიშნებით.

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში წინა სოციალ-  
ეკონომიურ ფორმაციასთან შედარებით უფროდ მნიშვნელოვანი ისტო-  
რიული როლი შეასრულა იმით, რომ, როგორც ამხანაგი სტალინი  
აღნიშნავს, ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბების  
საქმეს. „საქართველო, როგორც ერთი, გაჩნდა მხოლოდ XIX ს.  
მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დაცემამ და ქვეყნის ეკო-  
ნომიური ცხოვრების ზრდამ, გზების გაფართოებამ და კაპიტალიზ-  
მის წარმოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლ-  
ქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩა-  
კეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელად“<sup>1</sup>). მეორეს მხრივ, კა-  
პიტალიზმის განვითარებას მოჰყვა „ქვეყნის უმდიდრეს საუნჯეთა  
მტაცებლური ექსპლოატაცია“<sup>2</sup>), ბანკებისა და მსხვილი კომერ-  
ციული დაწესებულებების წარმოშობა და ზრდა, კავშირგაბმულობისა  
და საგზაო მშენებლობის გაფართოება, შინამრეწველურ-ხელოს-  
ნურ წარმოების დაცემა, ქვეყნის სიმდიდრის ერთი მუჟა კაპიტა-  
ლისტების ხელში გადასვლა. მშრომელი მასების უფრო მეტად გა-  
ღატაკება და გაჭირვება, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მოწი-  
ნააღმდეგე კლასებად ჩამოყალიბება; პროლეტარული იდეოლოგიის  
შექმნა-განვითარება; მუშათა რევოლუციური მოძრაობანი და სხვა.  
მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის მზარდი განვითარების მიუხე-  
დავად საქართველოში მაინც არ მოსპობილა ფეოდალურ-ბატონ-  
ყმური ნაშთები და ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სა-  
ქართველო ძირითადად აგრარულ, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყ-  
ნად დარჩა.

\* \* \*

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სამრეწველო კაპიტალის გან-  
ვითარებამ ისედაც ვაძლიერებული ვაჭრობა კიდევ უფრო გააცხო-

<sup>1</sup>) სტალინი ი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი; ბარტამომცემლობა, 1934 წ., გვ. 9.

<sup>2</sup>) ბერია, ი. „Большевики Закавказья в борьбе за социализм“  
журнал „Социалистическое хозяйство Закавказья“, 1934 г., № 6—7, ст. 1•

ველ. ამასთან, მსხვილ მოვაჭრეთა კლასს ეკონომიურ სიძლიერესთან ერთად ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში უფლებრივი შეუზღუდველობაც მიენიჭა და მოქმედების სრული თავისუფლება და ფართო ასპარეზი გაეხსნა. ამავე დროს ამიერ-კავკასიაში რკინიგზების გაყვანამ<sup>1)</sup>, საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებამ, 1864 წლიდან ევროპასა და აზიას შორის ამიერ-კავკასიაზე გავლით უბაჟო სატრანზიტო ვაჭრობის დაწესებამ<sup>2)</sup> და სხვა ფაქტორებმა საგრძნობლად ხელი შეუწყეს საგარეო ვაჭრობის ვაცხოველებას.

ბაქრადისა და ბერძენოვის ვაჭრობის განვითარებით 60-იან წლებში ადგილობრივ და უცხოელ ვაჭრებს ევროპული საქონელი შემოაქვნიდა: საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ბელგიიდან... ევროპული საქონელი შემოდის შავდ ზღვით — ახლა უკვე ყულევის მაგიერ, — ფოთში, ფოთიდან მდინარე რიონით — ორპირში, ხოლო აქედან დროისა და ამინდის მიხედვით ცხენებით, ურმებით და ფურგუნებით გადაჰქონდათ თბილისში. მაგრამ ამ გზით, რომლის სიგრძე 347 ვერსს შეადგენდა, საქონლის გადატანას დიდი ხარჯები სჭირდებოდა. ამრიგად, ფოთიდან თბილისამდე საქონლის გადატანა უფრო მეტი ჯდება, ვიდრე პარიზიდან ან ლონდონიდან, ფოთამდე. მაგალითად, ერთი ფუთი საქონლის გადატანა ფოთიდან თბილისამდე 85 კაპიკიდან 2 მანეთამდე ჯდება<sup>3)</sup>.

რუსული საქონელი შემოაქვნიდათ უმთავრესად ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობიდან, რომლის 2/10 იგზავნებოდა სმელეთით და 8/10 მდინარე ვოლგით-ასტრახანში. აქედან კასპიის ზღვაზე ნავებით გადაჰქონდათ სერებრიაკოვსკის ნავთსადგურში და ბაქოში, ხოლო სერებრიაკოვსკის ნავთსადგურიდან აქლემების საშუალებით გადაჰქონდათ კავკაში, კავკავიდან კი ხელს ყრელი ამინდის დროს საქართველოს. სანებრო გზით მოჰქონდათ თბილისში აქლემების, ჩალანდრებისა და ურმების საშუალებით. რაც შეეხება აზიურ საქონელს ეს უკანასკნელი შემოდის სპარსეთიდან და თურქეთიდან<sup>4)</sup>.

<sup>1)</sup> 1872 წ. იხსნება ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზი, 1875 წ. რიონ-ქუთაისის, 1880 წ. — ბაქო-სურახანის, 1883 წ. — თბილისი-ბაქოს, სასტრედი-ბათუმის და ქუთაისი-ტყუბულის, 1891 წ. — ხაჭოტი-ბორჯომის, 1895 წ. — შორაპანი-ქიათურის, 1899 წ. — თბილისი-ყაზისის, 1900 წ. — ქიათურა-დაბკვეთის, 1902 წ. — ბორჯომ-ბალი-ბაკურიანის და აღქანდრობოლი-ერევნის, 1904 წ. — დარკვეთი-სანაგეთის (ჩ. ვალენციუ, 1914 წ., სტრ. 196).

<sup>2)</sup> Сборник сведений о Кавказе, т. VI, стр. 309. ეს უფასო ტრანზიტო აღიკვეთა რუსეთის ფაბრიკანტების მოთხოვნით 1883 წ. სწორედ იმ დროს, როცა თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზი გაიხსნა. ამის შესახებ იხ. Материалы по вопросу о З. кавказском транзите, 1885 г.

<sup>3)</sup> Д. Вакрадзе, Бердзенов, Тифлис в историческом и этнографическом отношении, 1870 г., стр. 34.

<sup>4)</sup> იბიძ, გვ. 135.

ყველა ამის შემდეგ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპასთან და განსაკუთრებით რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებისათვის ამიერ-კავკასიაში რკინიგზების გაყვანას.

საგლეხო რეფორმის შემდეგ, როგორც საზღვარგარეთთან სავაჭრო ვაჭრობის ზრდისა, ისე რუსეთთან ვაჭრობის გაცხოველების შესახებ წარმოდგენას გვაძლევენ ქვემო მოყვანილი ცნობები.

ა/კავკასიაში საზღვარგარეთიდან შემოტანილი და აქედან გატანილი საქონელი 1000 მანეთებში (მრგვალ ციფრებში).

წლები	შემოტანილი საქონელი		ს უ ლ	გატანილი	საერთო ბრუნვა
	ევროპული და კოლონიური	აზიური			
1865	3.790	3.558	7.348	5.845	13.193
1870	7.599	3.877	11.476	3.929	15.399
1871	4.851	3.562	8.413	4.912	13.225 4)

როგორც ვხედავთ, 1865 წელთან შედარებით 1870—1871 წ.წ. ევროპული საქონლის შემოტანა მატულობს, აზიურსა კი დაახლოებით ერთიდაიგივეა. თუ საზღვარგარეთიდან 1870 წელს შემოტანილ საქონლის ღირებულებას შევადარებთ 1871 წელს შემოტანილ საქონლის ღირებულებას, დავინახავთ, რომ ამ ერთი წლის მანძილზე საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის ოდენობა საგრძნობლად შემცირებულა. მაგალითად, 1870 წ. საერთო შემოტანა დაახლოებით 11½ მილ. უდრის, ხოლო 1871 წ. იგი დაახლოებით 8,4 მილ. მანეთით განისაზღვრება. მაგრამ ეს გარემოება ამიერ-კავკასიის სავაჭრო ვაჭრობის დაცემას არ ნიშნავს, რადგან ამ პერიოდში საზღვარგარეთიდან შემოსატან საქონელს ნაწილობრივ რუსეთიდან შემოტანილი საქონელი სცვლიდა. ასე, მაგალითად, 1872 წ. რუსეთიდან შემოტანილთ 5.334 ათასი მანეთის საქონელი, გაუტანიათ 2,9 მილ. მანეთის; 1876 წ. შემოტანიათ 11.923 ათასი მან., გაუტანიათ 2.872 ათასი მანეთისა<sup>2)</sup> (ციფრები დამრგვალებულია), ხოლო 1877 წ. მარტო 6 თვის განმავლობაში რუსეთიდან შემოტანიათ 11.139.234 მან. საქონელი<sup>3)</sup>. ამრიგად, 70-იან

1) К. Календарь, 1865, 1872, 1874 г.г.

2) მაზრაძე, ფ. თხუხულებათა კრებული, ტ. 8, გვ. 9.

3) ზუნდაძე, ს. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, გვ. 54.

წლებში რუსეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ 80-იან წლებიდან რუსეთიდან შემოტანილ და რუსეთში გატანილ საქონლის გარდა, საზღვაგაგარეთიდან საქონლის შემოტანა ისევ მატულობს, ხოლო გატანა — ბაქოს<sup>1)</sup> ნავთისა და ჭიჭიურის მარგანეცის ექსპლოატაციის ხარჯზე — კოლოსალურად იზრდება. ასე მაგალითად, 1886 წ. საზღვაგარეთიდან შემოუტანიათ 11.452 ათ. მან. საქონელი, გაუტანიათ 27.812 ათ. მანეთისა (ციფრები დამრგვალებულია), ხოლო 7 წლის შემდეგ, 1893 წ., შემოუტანიათ 16.477 ათ. მან., გაუტანიათ 39.358 ათ. მან. <sup>2)</sup>

შემოაღნიშნული ცნობების გარდა, როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობისა და ამასთან მრეწველობის ზრდა-განვითარების მიჩვენებელია აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება და მათი წლიური ბრუნვა. 90-იანი წლების დასაწყისში მარტო თბილისში არსებობდა: 1) სახელმწიფო ბანკის განყოფილება (დაარსდა 1866 წ.), რომლის წლიური ბრუნვა უდრიდა 130 მილ. მანეთს, 2) კომერციული ბანკი 457.082.775 მან. ბრუნვით, 3) სათავადაზნაურო ბანკი (გაიხსნა 1871 წ.) — 11.421 ათ. მან. ბრუნვით, 4) 2 საბანკო უანტორა 14 მილ. მან. ბრუნვით, 5) 3 გასესხებელი სალარო 200 ათ. მან. ბრუნვით და 2 სახაზასუჭო ბაურო 25 ათასი მან. ბრუნვით. ყველა ამ საკრედიტო დაწესებულებათა წლიური ბრუნვის ჯამი უდრიდა 612.738.755 მან. ოფიციალური ცნობებით მარტო თბილისში საქონლის ბრუნვა 1890 წელს შეადგენდა 37.566.795 მან. <sup>3)</sup> ამრიგად, XIX ს. მიწურულს ამიერ-კავკასიისა და საქართველოში, საკლებო რეფორმის წინა პერიოდთან შედარებით, ვაჭრობა-მრეწველობა საგრძნობლად გაიზარდა, რაშიც (მრეწველობის გამოკლებით) საქ. ებრაელები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ბატონყმების გაუქმების შემდგომი პერიოდისათვის საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში ებრაელთა მონაწილეობის შესახებ ჯერ-ჯერობით მცირე საარქივო დოკუმენტალური მასალა მოგვეპოება. არქივებში გამოვლინებული ზოგიერთი დოკუმენტებიდან და ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული ცნობებიდან ირ-

<sup>1)</sup> მახარაძე, ფ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 10.

<sup>2)</sup> К. Каландарь, 1893 г., стр. 17

კვევა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც ებრაელთა ძირითადი მასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესებულა, არამედ უარესდებოდა. მართალია, ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ ებრაელთა უმრავლესობას, როგორც უმთავრესად ალემ-მიცემის მიმდევარ ხალხს, ღარიბ ქართველ გლეხობასთან შედარებით (რომელსაც ძირითადად მიწის დამუშავებისა და სამუშაოდ ქალაქად გასვლის გარდა, სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის ხელის მოკიდების პირობები უფრო შეზღუდული ჰქონდა) მეტი „თავისუფლება“, მეტი „დამოუკიდებლობა“ მიეცა, მაგრამ მათი ამ საქმიანობის სათანადოდ გაშლას ხელს უშლიდა ის, რომ იბრაელთა ერთი ნაწილი ქართველ გლეხობასთან ერთად, დოოეცათ ვალდებულ გლეხად დარჩა, და მეორე მხრივ, თვით გლეხობის, როგორც ძირითადი მომხმარებლის, სცილდეთი უნარიც დაბალი იყო.

ებრაელთა მეორე, უფრო მცირე ნაწილი, შეძლებული ვაჭრების სახით, საგრძნობლად დაწინაურდა ეკონომიურად, თუმცა სხვა ეროვნებათა შეძლებულ ვაჭარ-მრეწველებთან შედარებით მათი უფლებრივი მდგომარეობა ნაწილობრივ შეზღუდული იყო.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბატონყმობის გადაეარდნამდე ზოგი შეძლებული ყმა-ებრაელი ვაჭარი იმ დროის შესაბამისად მნიშვნელოვან თანხას იხდიდა იმისათვის, რომ ბატონისაგან თავი დაეხსნა<sup>1)</sup>. ამასთან თითო-ორიღა შეძლებულმა და მოხერხებულმა ყმა-ებრაელმა ვაჭარმა მსხვილ ალემ-მიცემისა და მევახშეობის საშუალებით მნიშვნელოვანი კაპიტალი შეიძინა და დროთა განმავლობაში არა თუ ზოგიერთი გლეხის, არამედ ყოფილი ბატონების ქონების ნაწილიც ხელში ჩაიგდო.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობის მხრივ უცხოეთის ბაზრებთან დამოკიდებულებაში მყოფ შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს ბატონყმობის გაუქმებამდეც გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთისა და ირანის მსხვილ-სავაჭრო ცენტრებთან, როგორც იყო კონსტანტინოპოლი, ყარსი, არზრუმი, ტრაპიზონი, თავრიზი და სხვა. სოლო ამიერ-კავკასიაში რკინიგზების გაყვანის შემდეგ, განსაკუთრებით XIX ს. მიწურულს, ვაჭართა გარკვეული პროცენტი თანდათანობით წყვეტდა კავშირს უცხოეთის ბაზრებთან და რუსეთის სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებთან ამყარებდა და აძლიერებდა მას.

1) პაპისინედოვი, ი., სპ. ებრ. ისტ. ეთნოგრ. მუხუშმის „შრომები“, ტ. I, გვ. 21.

უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობაში მყოფი ებრაელების შესახებ ჩვენ ხელთ არსებული არასრული ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, რომ 1866 წ. საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა აუღია 62 ეთიოპელ ვაჭარს, სოლო მომდევნო 1867 წელს—44 კაცს; აქ მოხსენებულნი არიან ქუთაისის, ფოთის, კულაშის, სუჯუნის, ლაილაშის, საჩხერის, ცხინვალის, ახალციხის, ბრეთის და სხვა ებრაელები. საყურადღებოა, რომ 1866 წ. გამგზავრებულ 62 კაციდან 56 დასავლეთ საქართველოს მცხოვრები ყოფილა და 6 კაცი აღმოსავლეთ საქართველასი. 1867 წ. გამგზავრებულ 44 კაციდან 41 ყოფილა დასავლეთ საქართველადან და მხოლოდ 3 კაცი აღმოსავლეთ საქართველოდან. როგორც ირკვევა, 1866 წ. და 1867 წ. საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველ ვაჭართა შორის ყველაზე მეტნი ქუთაისელი ებრაელები ყოფილან. მაგალითად, 1866 წელს 62 კაციდან 20 კაცს ანუ საზღვარგარეთ წამსვლელ ვაჭართა მთელი შემადგენლობის დაახლოებით 30%<sup>1)</sup> ქუთაისელები შეადგენდნენ, 70% კი დანარჩენნი. მომდევნო 1867 წ. 44 კაცზე 14 კაცი ანუ 30% კვლავ ქუთაისელებზე შოდის<sup>2)</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდშიც საქართველოს სხვადასხვა დაბა-სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრებ ებრაელთა შორის მსხვილ ვაჭრობაში პირველი ადგილი კვლავ ქუთაისელ ებრაელებს ეჭირათ.

აღსანიშნავია, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საზღვარგარეთთან სავაჭრო ურთიერთობას ამყარებს თითო-ორთა ებრაელი იმ ადგილებიდან (ცხინვალი, ბრეთი, საჩხერე, ლაილაში, საჩინო, ტყაიხრი, ფოთი და სხვა), საიდანაც ძველად საგარეო მსხვილ ვაჭრობაში მონაწილე ებრაელები თითქმის არ ჩანდნენ. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთთან კომერციული ურთიერთობის მქონე ვაჭრების შემცირებას იქ, სადაც მათი რიცხვი საქმიანყო (მაგ., ახალციხე და სხვ.<sup>3)</sup>).

ზემოდასახელებული წყაროს მიხედვით ახალციხიდან საზღვარგარეთ გამგზავრებულ ვაჭართა შორის 1836 წ. ექვსთვიანი ნებართვა აუღია სულ 2 კაცს—აივანაშვილებს, 1852 წ. წამსვლიანი ნებართვა აუღია, 1 კაცს—ისრაელაშვილს<sup>4)</sup>; 1867 წ. საზღვარგარეთ სავაჭროდ გამგზავრებულა 3 კაცი (ქორთაშვილები და აბრამაშვილები 6 თვის ვადით<sup>5)</sup>).

<sup>1)</sup> ЦИА, ф. 12, дело 31, л. л. 1—68.

<sup>2)</sup> ibid, გვ. 13—21, 63, 68.

<sup>3)</sup> ibid, გვ. 13—21.

<sup>4)</sup> ЦИА, фонд 176, дело 440, л. л. 6, 7, 25.



70-იან წლებში ახალციხელი ებრაელების ყოფა-ცხოვრებისა და ვაჭრობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1876 წელს სომხურ-ურსულ „მშაკში“ მოთავსებული ე. გეგამიანის სტატია, რომელიც 1913 წ. სომხურ გაზეთს გადაუბეჭდავს. ამ წერილში მოყვანილი ცნობების მიხედვით 1876 წ. ქ. ახალციხეში ითვლებოდა სულ 2599 კომლი, 13111 მცხოვრებით, მათ შორის 379 კომლს ან 1986 სულს ებრაელები შეადგენდნენ. იმავე ავტორის გადმოცემით ახალციხელთა უმრავლესობა და, განსაკუთრებით ებრაელები, უმთავრესად ვაჭრობას მისდევდნენ. მათ საქონელს მოჰქონდათ თურქეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან და სხვა ადგილებიდან. მოსკოვიდან მოჰქონდათ მანუფაქტურული ნაწარმი: ჩითი, შაუდი და სხვა; ირანიდან—ხალიჩები და აბრეშუმის ქსოვილები; ყარაბაგიდან—მატყლი და სხვა საქონელი; თბილისიდან—ღვინო, მატყლი და სხვა პროდუქტები. ახალციხელ ვაჭრებს და მათ შორის ებრაელ ვაჭრებსაც, ძველთაგანვე მულმივი კავშირი ჰქონიათ მახლობელ ქალაქებთან და სოფლებთან, სადაც სისტემატიურად გზავნიდნენ და ასაღებდნენ თავიანთ საქონელს.

80-იანი წლების დასაწყისში სხვა ქვეყნებთან ახალციხის სავაჭრო ურთიერთობისა და ამ ვაჭრობაში ებრაელების მონაწილეობის შესახებ, 1881 წ. ი. გოპადე წერდა: „Торговля как внешняя, так и внутренняя находится преимущественно в руках армян и евреев. Ахалцихские купцы ведут торговые дела с Эрзурумом, Константинополем, Венной, Марселию, Одессой, Москвой, Тифлисом, Кутаисом, Александрополем и другими городами Закавказья. Предметы внутренней торговли Ахалциха составляют съестные припасы и разные изделия местных ремесленников, предметами же внешней отпускнуой торговли служат серебряные, золотошвейные, кожаные и шелковые изделия, фрукты, сыр, масло, скот на убой, мука, сырье кожи и лес, а привозной—мануфактурные товары, как-то: сукна, шелковые и бумажные материи и холст; колониальные: чай, сахар, кофе; вина: европейские, кахетинские, имеретинские, спирт и водка, также курительный табак, сырой шелк, галантерейные вещи; посуда: медная, чугуная, хрустальная, и фаянсовая, и, наконец, железо и медь в деле“<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> Гопадзе И. Сбор. мат. для опис. местн. и племен Кавказа, т. I, стр. 80.

80-იანი წლების მიწურულს ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი, ივანოვი, ეხება რა როგორც წარსულში, ისე შემოსენებულ პერიოდში ახალციხის ეკონომიურ ყოფას და მის სავაჭრო მნიშვნელობას, გვაუწყებს: „Не так еще давно город Ахалцих лежал на пути караванной торговли; здесь же проходила так называемая большая транзитная дорога в Персию, а близость границы делала его значительным торговым пунктом двух соседних государств—России и Турции; благодаря тому же соседству, он был местом обширной и бойкой контрабандной торговли... Но, вследствие проведения Поти-Тифлисской железной дороги и вследствие отдаления от границы с последней Русско-Турецкой войны, торговля Ахалциха упала; по официальным данным за 1886 г. привоз товаров в этом году равнялся 200 т. р.; вывоз 55 т. р.“<sup>1)</sup>.

„Ахалцихские торговцы привозят товар из Тифлиса, Одессы, Варшавы, Москвы, Ростова-на-Дону, а также из Н. Новгорода. Непосредственные сношения с иностранными торговыми домами вообще весьма редки и ограничиваются Константинополем, Эрзурумом, Тавризом, Венной и Марселем, да и это переживание прежнего торгового положения города.“

Предметом привозной торговли служат мануфактурные, колониальные и гастрономические товары, а также посуда, готовые платья и обувь, а предметом вывозной в незначительном количестве, служат серебряные, золотощвейные, кожаные и шелковые изделия; в более же значительном количестве— фрукты, сырье кожи, железные изделия, туземная обувь, лес, табак, продукты огородничества (картофель, капуста), молочного хозяйства и скот (на убой)<sup>2)</sup>.

ამავე ავტორის ვადმოცემით, ახალციხეში 1873 წ. მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 13265 სულს (გეგამიანის ცნობების მიხედვით 1876 წ. 13111 სულს), ხოლო 1886 წ. 12.500, ე. ი. 13 წ. განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულა 765 ერთეულით. გეგამიანის ცნობების მიხედვით 1876 წ. ახალციხეში ებრაელთა რიცხვი უდრიდა 379 კომლს ან 1986 სულს, ხოლო ივანოვის ცნობე-

<sup>1)</sup> Иванов, Сбор. мат. для описан. местн. и племен Кавказа, т. VII стр. 195.

<sup>2)</sup> ibid, ვვ. 204—5, 8.

ბით 10 წ. შემდეგ, 1886 წ., ახალციხეში ცხოვრობდა 340 კომლი ებრაელი ან 1655 სული. გარდა ამისა, დროებითი მცხოვრები ყოფილა 636 სული.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ 10 წ. განმავლობაში ებრაელთა რიცხვი შემცირებულა 311 ერთეულით ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ ახალციხის სავაჭრო მნიშვნელობის თანდათანობითი დაცემასთან ერთად მცირდებოდა აგრეთვე იქ მცხოვრებ ებრაელთა რიცხვიც.

ივანოვი საინტერესო ცნობებს იძლევა სავაჭრო დაწესებულებებისა და მათში ჩაბმულ ვაჭართა ნაციონალური შემადგენლობის შესახებაც. ამ ცნობების მიხედვით 1888 წლისათვის ახალციხეში ითვლებოდა სულ 272 სხვადასხვა სახის საქონლის სავაჭრო დუქანი და საწყობი, 328 ვაჭრით, რომელთაგან 255 იყო სომეხი, 60 ქართველი და 12—ებრაელი. ამ უკანასკნელთაგან 10 კაცს ჰქონია ფართლის დუქანი, ხოლო 2-ს საწვრილმანო დუქანი<sup>1)</sup>.

სხვადასხვა ცნობებიდან ჩანს, რომ 70-იანი წლებიდან, უმთავრესად კი, ფოთი—თბილისისა და ამიერკავკასიის რკინიგზების გაყვანის შემდეგ, ახალციხე თანდათანობით ჰკარგავს თავის პირვანდელ სავაჭრო მნიშვნელობას, ხოლო 80-იან წლებში ახალციხელი ვაჭრების კომერციული კავშირი უცხო ქვეყნებთან (თურქეთთან და ირანთან) კლებულობს. სამაგიეროდ ახალციხელი ვაჭრები უკავშირდებიან რუსეთის სავაჭრო ცენტრებს (მოსკოვი, ოდესა, ვარშავი, ნ. ნოვოროდი, როსტოვი და სხვა). ამავე პერიოდში ხდება ის, რომ ახალციხის მოსახლეობის საერთო რიცხვის კლების პირობებში ებრაელთა რიცხვი სხვებზე უკრო კლებულობს და თუ მათ XIX საუკ. პირველ ნახევარში ახალციხის საერთო ვაჭრობაში პირველი ადგილი ეკუთვნის, XIX საუკ. მეორე ნახევრისათვის ამ საქმიანობაში მათი როლი გაცილებით მცირდება.

XIX ს. 90-იან წლებში და XX ს. დასაწყისს, ახალციხეში მსხვილ ვაჭართა რიცხვის შემცირებისა და ამ შემცირებაში შეძლებული ებრაელი ვაჭრების ხვედრითი წონის შესახებ ნათელ სურათს იძლევა ახალციხის რაიონულ არქივში აღმოჩენილი შემდეგი ცხრილი. იხ. 21 გვერდზე.

ამრიგად, 1895 წ. ახალციხეში მე-2 გილდის ვაჭარი იყო 43, მონდენო წლებში მათი რიცხვი თანდათანობით კლებულობს და 1903 წლიდან დაწყებული ოთხზე ჩამოდის. მართალია, ეს ცნობები მეტწილად საშინაო ვაჭრობას შეეხება, მაგრამ აქედანაც ნათელი

<sup>1)</sup> Ibid, გვ. 200—1.

## მე-2 გილდის ვაჭრები ახალციხეში

წლები	მოვაჭრეთა რაოდენობა	ებრაელნი
1895	43	3
1896	40	2
1897	38	3
1898	33	1
1899	21	—
1900	12	—
1901	13	—
1902	11	—
1903	4	—
1904	4	—
1905	4	—
1906 <sup>1)</sup>	4	—

ზღვდა ის, რომ შეძლებულ, მე-2 გილდის, ვაჭრების შემცირებასთან ერთად, საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო ახალციხის საგარეო ვაჭრობაც. მეორე ათეულის დასაწყისში მარტო ოფიციალურად გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით თბილისელ, მანუფაქტურული და საგალანტერიო საქონლის მალაზიების შქონე, ცნობილ ვაჭართა შორის 23 ებრაელის გვარია მოხსენებული. ამ რიცხვიდან 17 ახალციხიდან არის გადმოსული, დანარჩენი კი სხვა ადგილებიდან. ქ. ბაქოში მანუფაქტურისა და საგალანტერიო საქონლის მალაზია ჰქონია 4 ახალციხელ ებრაელს<sup>2)</sup>. ახალციხელი ებრაელების სხვა ქალაქებში გადასვლას ადასტურებენ აგრეთვე

<sup>1)</sup> Ахалцихский райархив, книга № 1, в кунцах. возобновивших купеческие документы на 1895—1907 г.г.

<sup>2)</sup> შემოდინებული ცნობა, რომლის თანახმად 1895 წ. მე-2 გილდის ებრაელი ვაჭრები სულ 2 უნდა ყოფილიყო, სავსებით ზუსტი არ არის, რადგან ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი სხვა დოკუმენტების თანახმად ამ წელს ახალციხელი ებრაელი ვაჭრებისათვის მიუციათ არა სამი მე-2-ე გილდის სავაჭრო საბუთი, არამედ შვიდი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საბუთებიდან 4 გაცემულია ფოთი ვაჭრის, ოსებ აბაჯანოვის სახელზე; ორმელსაც 4 მალაზია ჰქონია. სადაც მისი შვილები და ნოქრები ვაჭრობდნენ; 2 საბუთი გაცემულია დავით ხასშიშვილის და 1—ისხვა ნანაზიაშვილის სახელზე. ამრიგად, რაოდენობით მე-2-ე გილდის ებრაელი ვაჭარი მართლაც სამი ყოფილა, ხოლო ამ სამ კაცს 7 საბუთი ჰქონია აღწერილი (იხ. Ц.Н.А., фонд. 99, дело 5420, л. л. 13—54).

<sup>3)</sup> Вось Кавказ, 1916 г., стл. II, ст. 533, 39, 550—54.

ახალციხის სარაიონო არქივში არსებული საბუთები. მაგ., ახალციხიდან ალექსანდროპოლში გადასული ებრაელი დ. ბატონჯანაშვილი, 1904 წ. თხოვნას უგზავნის ახალციხის ქალაქის სტაროსტას, რათა მას შეუტყვალონ და ალექსანდროპოლის ბოქაულის მისამართით გადაუგზავნონ პასპორტი, რომელიც მას სჭირდება ქ. ვარშავაში გასამგზავრებლად<sup>1)</sup>. მსგავსი თხოვნები აქვთ გაგზავნილი ახალციხიდან ლენქორანს, ჩარქუის, ასხაბადს, თბილისსა და სხვა ქალაქებში გადასულ ებრაელებს, რომლებიც ითხოვენ პასპორტების შეცვლას, რადგან ახალ საცხოვრებელ ადგილებზე პასპორტების მიღების უფლება მათ არა ჰქონდათ, და მხოლოდ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე შეეძლოთ ვადაგასული პასპორტების შეცვლა<sup>2)</sup>.

ამრიგად, XIX ს. 70-იანი წლებიდან ახალციხის შეძლებულ ებრაელთა მთავარი ნაწილი თანდათანობით სწვევებს სავაჭრო კავშირს უცხოეთის ქალაქებთან და ალემ-ზაცემას იწყებს უმთავრესად რუსეთის სავაჭრო ცენტრებთან ახალციხეში მსხვილი ვაჭრობის თანდათანობით დაცემის გამო. გარდა ამისა, ეს შეძლებული ვაჭრები და მათ შორის საშუალო შეძლების მქონე ვაჭრების მცირე ნაწილიც საცხოვრებლად გადადიან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სავაჭრო სამრეწველო ქალაქებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს XIX ს. პირველ ნახევარში სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთთან, განსაკუთრებით სტამბოლთან, საიდანაც უმთავრესად მანუფაქტურული ნაწარმი შემოჰქონდათ, მხოლოდ იქიდან გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი და ბეწვეული.

70-80-იან წლებში ეს სააღმზრდელო ურთიერთობა კვლავ გაცხოველებულად გამოიყურება, ხოლო მიმდევრო პერიოდში იგი თანდათანობით მცირდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოფიციალური ცნობების მიხედვით 1866 წ. ქუთაისის ებრაელებიდან საზღვარგარეთ (სტამბოლს, კრაბიზონს და სხვა ქალაქებში) სავაჭროდ წასვლის ნებართვა აუღია 20 კაცს (იყოფიან შვილებს, ელიგულაშვილებს, ენუქაშვილებს, ციციაშვილებს, შამელაშვილებს, უვითაშვილებს, თავდომიშვილებს და სხვა). ამათგან, 11 კაცს აუღია 6-თვიანი პასპორტი, 9 კაცს 3-თვიანი; ხოლო მომდევნო, 1867 წელს საზღვარგარედ გამგზავრებულია სულ 13 კაცი, მათ რიცხვში ექვსი თვის ვადით 6 და სამი, თვის ვადით

<sup>1)</sup> ახალციხ. სარაიონო არქივი.

<sup>2)</sup> Ibid.

7 კაცი<sup>1)</sup>. აღებულ პერიოდში როგორც ქუთაისელი, ისე სხვა ადგილების ებრაელი ვაჭრები თუმცა საკმაოდ ვაცნობილნი ყოფილან რუსეთის მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან, მაგრამ ვაჭართა ერთი ნაწილი მაინც არ სწყვეტდა კავშირს საზღვარგარეთთან და იქიდან ისეთი საქონელი შემოჰქონდა, რომელიც კონკურენციას უწევდა რუსეთის საქონელს. გარდა ამისა, ვაჭართა ერთ ნაწილს საზღვარგარეთიდან ქრთამების საშუალებით ძალიან მოხერხებულად ღიდძალი საქონელი შემოჰქონდა კონტრაბანდით. კონტრაბანდული ვაჭრობის შესახებ საარქივო მასალების გარდა, იმდროინდელ პერიოდიკაშიაც გვხვდება საკმაოდ ბევრი ცნობები. 1885 წ. გაზეთი „დროება“ წერდა: „მკითხველებს ეცოდინებათ ქუთაისელ მოვაჭრე ძმთა ხანანაშვილების საქმე. ამათ ბრალდებოდათ კონტრაბანდით გამოტანილი საქონლის გაყიდვა. ხანანაშვილებმა ქუთაისის ოლქის სასამართლოში იმართლეს თავი, რომ პლომბებისა და შტემპელების უქონლობა ფოთის დამოქნის ბრალიაო, რადგანაც იქ ვერ უკეთებენ საქონელს კარგ შტემპელებსო. მაგრამ მაისის შეიღს თბილისის სასამართლო პალატამ გაამტყუნა ხანანაშვილები და გადაუწყვიტა მათ ჯარიმის გადახდევინება... მხოლოდ ჩვეულებრივი ჯარიმისა, თუმცა ხაზინის წარმომადგენელი ბოზულობდა, რომ გადაეწყვიტათ მათთვის სხუთულად ბაჟის მიცემა“<sup>2)</sup>.

ავაკეასიაში რკინიგზების გაყვანის შემდეგ, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, ქუთაისელ შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირი ზაუბამთ რუსეთის ისეთ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებთან, როგორიცაა მოსკოვი, ნ. ნიჟნე-ნოვოროდი, ოდესა, ხარკოვა, როსტოვა, ვარშავა, ლოძა, კალიში და სხვა. აქ ისინი ეცნობოდნენ და უახლოვდებოდნენ ადგილობრივ ვაჭრებს და ფაბრიკანტებს, რომლებთანაც, დროთა განმავლობაში, იმსახურებდნენ ნღობას და ჩარხავდნენ კრედიტის საქმეს. საქონლის ნაღდ ანგარიშზე შესყიდვის გარდა, ლოგი ნღობით აღჭურვილი ვაჭარი კრედიტით ყიდულობდა მსხვილი ფაბრიკანტებისაგან დიდი რაოდენობის საქონელს და ანგარიშს დაბრუნებულ ვადაზე ანაღდებდა, ამასთან იგი თავდებად უღვებოდა ჯერ კიდევ ნღობა დაუმსახურებელ სხვა ვაჭრებსაც.

ხეიმოსხენებულ ქალაქებიდან ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს შემოჰქონდათ უმთავრესად ფართალი, სავალანტერიო საქონელი, ფქვილი და სხვადასხვა წვრილმანი.

<sup>1)</sup> ИНА, ф. 12, подл. 31, л. 1-68.

<sup>2)</sup> „დროება“, 1885 წ., № 99.

საზღვარგარეთ და განსაკუთრებით რუსეთში მოსიარულე მოვაჭრეთა ერთი ნაწილი ვაჭრობას აწარმოებდა შოღლიდან ვასული და არასეზონური საქონლით. ეს ვაჭრები რუსეთის დიდ ქალაქებში სპეციალურად გამართულ დიდ ბაზრობებზე ძალიან დაბალ ფასებში ყიდულობდნენ შოღლიდან ვასულ, არასეზონურ და დაწუნებულ საქონელს, რომლის დიდი ნაწილი მათ საქართველოში შემოჰქონდათ და დიდი მოგებით ჰყიდიდნენ. ხოლო ამავე საქონელს, ვაჭართა მეორე უფრო მცირე ნაწილი, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ასაღებდა.

ქუთაისელი შეძლებული ვაჭრები საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილ საქონელს უმთავრესად ადგილობრივ ჰყიდიდნენ საშუალო და წვრილ ვაჭრებზე, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე კრედიტით. ამასთან, თვით ქუთაისელი საშუალო და წვრილი ვაჭრების გარდა, ქუთაისის გუბერნიის შედუქნეთა და წვრილ ვაჭართა უმრავლესობა და მათ შორის, ნაწილობრივ, თბილისის გუბერნიის, ვაჭართა მცირე რიცხვიც, ქუთაისელი შეძლებული ვაჭრებისაგან ყიდულობდა საქონელს.

ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს საქართველოდან და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ გაჰქონდათ უმთავრესად დაუმუშავებელი აბრეშუმი, ღორის ჯაგარი, ქალის თმა, ბეწვეული: მელიის, კვერნის, წავის, ხალთის, კატის და სხვა, ხოლო რუსეთთან გაძლიერებული სავაჭრო ურთიერთობის შემდეგ ვაჭართა დიდ ნაწილს შემოადინებული საქონელი უმთავრესად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ. ბეწვეულით ბითუმად ვაჭრობაში, ყოფილი ვაჭრების გადმოცემით, მთელ საქართველოში მთავარი ადგილი ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს ეჭირათ, რომელთაგან XIX ს. დასასრულს 7—10 კაცი მხოლოდ ბეწვეულით ვაჭრობას მისდევდა. ბეწვეულის სეზონის დროს ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგზავნიდნენ სპეციალურ აგენტებს, რომელთა საშუალებით აგროვებდნენ დიდი რაოდენობის ჯაგარს, ქალის თმას, მელიის, კვერნის ბეწვეულს და სხვა. გარდა ამისა, ისინი ხანგამოშვებით თითონაც დადიოდნენ სხვადასხვა დაბა ქალაქებში, სადაც წვრილი და, განსაკუთრებით, შეძლებული ვაჭრების მიერ დაგროვილ ბეწვეულს ბითუმად ყიდულობდნენ.

ადგილობრივი აგენტების გარდა, მათ საზღვარგარეთ და რუსეთშიც ჰყავდათ აგენტები, რომელთა საშუალებით ისინი დროგამოშვებით ტყობილობდნენ ადგილებზე ბეწვეულის არსებულ ფასს,

და ამის მიხედვით ყიდულობდნენ საქონელს საქართველოში. ბეწვეულით მოვაჭრეთა შორის ადგილი ჰქონდა გამწვავებულ კონკურენციას და ურთიერთ მოტყუილებას, რის შეიხებითაც შეძლებული და მოხერხებული ვაჭარი დიდ შოგებას იძენდა, ხოლო უფრო-გამოუცდელი და საშუალო ვაჭარი კოტრდებოდა. მაგ., მსხვილი ვაჭარი თავისი აგენტების საშუალებით საქირო მომენტში გაავრცელებდა ცრუ ხმებს იმის შესახებ, თითქოს საზღვარგარეთ ან რუსეთში ბეწვეულის ფასმა დიდად დაიწიაო. ამის დასადასტურებლად იგი შესყიდული საქონლის ერთ ნაწილს მართლაც დაბალ ფასებში ჰყიდა და სხვა ვაჭრებს შორის ერთგვარ პანიკას იწვევდა. შემდგომში წვრილი და საშუალო ვაჭარი (ზოგჯერ მსხვილი ვაჭარიც) ცდილობდა საქონელი ჩქარა გაეყიდა. ამ მდგომარეობით სარგებლობდა მოხერხებული ვაჭარი და თავისი აგენტების საშუალებით დაბალ ფასად ყიდულობდა დიდი რაოდენობის ბეწვეულს და სხვა საქონელს.

შესყიდულ ბეწვეულს, განსაკუთრებით, ჯაგარს, ადგილობრივ ახარისხებდნენ სპეციალურ სახელოსნოებში, რის შემდეგ დიდი პარტიებით გაზენიდნენ საზღვარგარეთ და რუსეთში. ღორის ჯაგარის დიდი ნაწილი იგზავნებოდა პოლონეთში (ვარშავაში, ლოძში, ბელასტოკში) და კარგ ფასში იყიდებოდა. ამ საქმის მცოდნე ყოფილი ვაჭრების გადმოცემით ქუთაისელი ებრაელი ვაჭრები წელიწადში აგზავნიდნენ დაახლოებით 2—3000 ფუთამდე ჯაგარსა და 5—10.000-მდე მელას, კვერნას, წყვსა და სხვა ბეწვეულს.

ზოგი ვაჭარი წინასწარ შეთანხმებულ ფასებში საზღვარგარეთ უგზავნიდა ბეწვეულს თავის ნაცნობ ვაჭარს და ფულს ბანკის საშუალებით ღებულობდა. მაგალითად, ლაილაში მცხოვრებ ყოფილი ვაჭრის ი. მ-ლის გადმოცემით, იგი XIX ს. 90-ან წლებში ნ. ნოვგოროდში ყოფნისას გაცნო ლასაცაგულ ვაჭრებს, რომლებსაც წინასწარ შეთანხმდა გარკვეულ ფასებში ბეწვეულის ლაიპციგში ჩაბარების შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით იგი ცაგერისა და ქუთაისის ფოსტის საშუალებით რამდენიმე წელს უგზავნიდა მათ წელიწადში დაახლოებით 80—120 ფუთამდე ჯაგარს, 10—12 ფუთამდე ქალის თმას, 200—300-მდე მელას, კვერნას, კატას და სხვა, რომელთა ღირებულებას ქუთაისის კომერციული ბანკის საშუალებით ღებულობდა<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ბანკების საშუალებით გავლენიანი და მოხერხებული ვაჭრები დიდ ოპერაციებს აწარმოებდნენ და საკმაო მოგებასაც ღებულობდნენ. ამის შესახებ „ივერია“ კორესპონდენტი წერდა: „ქალაქში მყოფი ვაჭრები, რომელთაც ბან-



ჩვენ მიერ სიტყვიერად შეგროვილი ცნობებისა და აგრეთვე დოკუმენტალური მასალების თანახმად ქუთაისელი ებრაელი ვაჭრები დიდი პარტიებით აწარმოებდნენ ვაჭრობას კვერცხით, რაც უმთავრესად ოსეთის სხვადასხვა ქალაქებში და ნაიხლობრიც საზღვარგარეთ ვაჭრონდათ. ისინი თითქმის ყოველწლიურად აგზავნიდნენ დაახლოებით 50—60 ვაგონ კვერცხს (ვაგონში თავსდებოდა 144000 კვერცხი). გარდა ამისა, ზოგი მათგანი სპეციალურად ვაჭრობდა ბუმბულით (ბურღლით), აბრეშუმის პარკით, ძველი კალოშებით, ძველი ხალიჩებით, ხილით, ვაშლის ჩირით და სხვა საქონლით. ეს ვაჭრები ქუთაისიდან ყოველწლიურად აგზავნიდნენ დაახლოებით 15—20 ვაგონ ბუმბულს, 3—4 ვაგონ ძველ კალოშებს, 2—3000 ცალამდე ძველ ხალიჩას და დიდი რაოდენობით ხილს.

სუჯუნელი ებრაელების მიერ კვერცხითა და ბუმბულით ვაჭრობის შესახებ გახეთი „ივერიის“ კორესპონდენტი წერდა: „...სუჯუნაში ებრაელებს აქეთ ორი თუ სამი საწყობი კვერცხებისა და ბუმბულისა. ეს საწყობები წელიწადში სამუალო რიცხვით, საზღვარგარეთ ჰგზავნის სამ მილიონ ნახევრამდე კვერცხს და ათას ფუთამ-

კეში აქეთ ნღობა, სოფელთა, წვრილ ვაჭართა და მრეწველთაგან ყიდულობენ სხვადასხვა საქონელს, როგორც არის კაკლის ხე, კაკლის ხის კუნძი... სიმინდის ბარემშიც პარკი და სხვადასხვა. ეს საქონელი ნაწილ-ნაწილ ნაქვე ქალაქში ანკეს უფრავებზე და ღირებულებით დაგვირად, ბანკი აძლევს მათ მანეთში 75 კაპ., ასე რომ 1000 მან. საქონელში ბანკი აძლევს 750 მან., ზოლო 250 მან. თითონ იტოვებს ბანკი საქონლის გაყიდვამდე. ამნაირად, ბანკიც უზრუნველყოფილია და ვაჭარსაც ფული ხელში აქვს, რათა კიდევ იყიდოს საქონელი, კიდევ ამავე ბანკში დააგროვოს და ასე განაგრძოს საქმე სანამ საქონელი იშოვება სასყიდლად.

ამნაირის ღონისძიებით ვაჭარი უყრის საქონელს თავს ერთს ადგილას ორი სამი თვის განმავლობაში. ამ წინში ვაჭარს მიწერ-მოწერა აქვს საზღვარგარეთელ მესაქტნელ ფირმებთან საქონლის მახინდის შესახებ და ყოველ კვირა ცნობები მოსდის, თუ საზღვარგარეთის ბაზარზე რა მაზანდა არსებობს. როცა ვაჭარს მაზანდა მოუწონება, ამდინ მიდის ბანკში და ცნობას აძლევს, აა, ამა და ამა ქარხანა-ფირმის უნდა მივცე საქონელი ამ ფასად; ბანკი თავის მხრივ ცნობას აძლევს იმ ქარხანა-ფირმას და მოძებნა მრეგება; ქარხანა-ფირმა ბანკს უგზავნის ფულს, ჩანკიც, მიიღებს თუ არა ფულს, საქონელს ჰგზავნის საზღვარგარეთ ქარხანა-ფირმის სახელზე და ანგარიშს უსწრებს ვაჭარს, თავის მიღებულ სესხს სარკებლით იღებს, ზოლო ვაჭარს რაც ვრგება, უკანვე უბრუნებს... ამნაირის აღებ-მინცემობით ბანკიც დიდ სარგებლობას იპოვებს და ის ვაჭარიც, რომელი-საც ასე ქაზარავებდა აქვს მოწყობილი საქმე ბანკთან“.

შემდეგ ავტორი ასაბულებს მაგალითს, რომ წელს ოსურგეთელმა ვაჭრებმა ქუთაისში ჩამოიყარეს 800 ფუთი ხმელი პარკი და ფუთი 46 მან., მიჰყიდეს ერთ ვაჭარს, როგორცაც ასეთი წესით, ბანკის საშუალებით, სამი თვის განმავლობაში ფუთზე 20 მან. ანუ 16000 მან. მოკვამილო (ხეიჩიასე, „ივერია“, 1904 წ., № 297).

დე ბუმბუკს. ებრაელების სიტყვით, თუ ფულიანი კაცი გაუჩნდათ ახლო, შეიძლება ყოველ წლივით გაჰყიდონ ოქტომბრიდან მარტამდე ორ-ორი ვაგონი კვერცხი—კვირაში, ან სულ 48 ვაგონი, და აპრილიდან სექტემბრამდე—ექვსი ვაგონი კვირაში, ან სულ 54 ვაგონი. თითო ვაგონში ჩადის ასი ყუთი და თითო ყუთში 1440 კვერცხია, 54 ვაგონში იქნება სულ 8 მილიონამდე, ე. ი. სულ მცირე ფასო რომა ვთქვათ, გაიყიდება 78 ათასი მანეთის კვერცხი<sup>1)</sup>.

სუჯუნელების გარდა, ბანძის, კულაშის, საჩხერის და ვანის ებრაელები, მათი გადმოცემით, XX ს. დასაწყისიდან წელიწადში დაახლოებით 100—120 ვაგონ კვერცხს აგზავნიდნენ სხვადასხვა ქალაქებში.

რუსეთში და საზღვარგარეთ კვერცხის დიდი ნაწილი ბათუმის პორტიდან იგზავნებოდა. კვერცხის საექსპორტო მნიშვნელობისა და მისი ბათუმიდან გაგზავნის შესახებ ნ. წერეთელი თავის ნარკვევში საინტერესო ცნობებს იძლევა: „Начало экспорта яиц из Батуми положено с 1897 года. Первый занялся экспортом этого товара Петербургский купец Василий Иванович Гильвак. Вывозятся яйца из Батумского порта за границу и в Империю, в среднем, до 60 вагонов ежегодно, т. е. до 8.640.000 штук... В империю товар направляется в Одессу, Керчь, Севастополь, Ялту и Петербург, где в зимний сезон увеличивается спрос на свежий товар. За границу, главным образом, направляется в Гамбург, меньше в Марсель и Лондон. На империю приблизительно падает третья часть общего вывоза. На Марсель товар идет морем на пароходах... В другие заграничные пункты товар направляется сначала на Одессу на пароходах русского и Российского Общества... а потом рельсовым путем к месту назначения. Скупщики (евреи, грузины и армяне) скупают яйца у крестьян и привозят их в Батуми по железной дороге (в ящиках—уваковка соломой) для продажи экспортерам. Еврей-скупщики яиц привозят товар, главным образом, из селений Кутайского уезда, гурийцы—из Озургетского уезда, а армяне из разных мест Тифлисской и Эриванской губерний... Скупщики покупают яйца у крестьян на наличные деньги и на обмен товарами.

Экспортеры производят при покупке в Бату сортировку яиц. Лучший товар оставляют для экспорта, как могущий выдержать дальнейшую перевозку, а худший возвращают сквощикам, которые продают его в Бату потребителям. Упаковка яиц производится в так называемый экспортный ящик, сколоченный из еловых досок; покупается либо на месте, либо выписывается из Австрии. Ящик делится деревянной перегородкой пополам, что необходимо для прочности и удобства перевозки на пароходах и по железной дороге. Яйца обкладываются в ящике для предупреждения колотни древесными стружками (из елового, преимущественно леса), выписываемыми из Австрии и Уфы<sup>1)</sup>.

სუჯუნის, ბანძის, კულამისა და საჩხერის ებრაელების მიერ XIX ს. 90-იანი წლებიდან, თითქმის ყოველწლიურად, სხვადასხვა ადგილებზე იგზავნებოდა: ნახმარი ბამბა დაახლოებით 10—12 ვაგონი, ძველი კალოშები 6—8 ვაგონი, ხმარებიდან გამოსული სპილენძი 5—6 ვაგონი<sup>2)</sup>, ბუმბული 3—4 ათას ფუთამდე, აბრეშუმის პარკი 4—5 ათას ფუთამდე, აბრეშუმის ძაფი (შულო) 2000 ფუთამდე<sup>3)</sup>, ლობიო 3—4 ვაგონი, თხილი 4—5 ვაგონი (იგზავნებოდა უფრო ოფესაში), ხურმა 2—3 ვაგონი, ნახმარი ხალიჩები—(„ანტიკა, შირაზხანი, ხორასანი, შირვანი, გულამი: „პოდნო-ციანი“ და „უბოდნოცო“, ჩარგული, ყარაბახი, თალიში, თარჯუმა და სხვა)—500 ცალამდე (მიჰქონდათ აქედან უმთავრესად ბაქოში<sup>4)</sup>).

1) Церетели, Н. В. „Очерк торг-промышл. развития“ („Батум и его окрестности“, 1906 г., стр. 405—6).

2) სპილენძითა და ძველი კალოშებით სპეციალურად დიდი მოვაჭრენი უფრო კულამელი ებრაელები ყოფილან.

3) აბრეშუმის პარკისა და ძაფის დიდ რაოდენობას აგზავნიდნენ უმთავრესად ბანძელი და კულამელი ებრაელები. აბრეშუმის გამოსაშრობად ბანძაში 3—4 ებრაელს 4—5 ყაზარმა ჰქონიათ, სადაც სეზონის სდროს თითო ყაზარმაში 15—20 კაცი მუშაობდა. მუშების დიდი ნაწილი ებრაელები ყოფილან, რომლებიც ღალიან მცირე ხელფასს ღებულობდნენ და საექსპორტოდ აშოობდნენ მქონებულ ებრაელების პარკს. სამი ფუთი ნედლი პარკიდან გამოშრობის შემდეგ დაახლოებით ერთი ფუთი ხმელი პარკი დგებოდა.

4) ეს ცნობები გადმოცემულია ყოფილი ვაჭრების მიერ და სინამდვილეს უნდა შეიცავდნენ.

ამ ვაჭართა შორის რამდენიმე კაცი ვაჭრობდა აგრეთვე „იმერული შალით“<sup>1)</sup>, რომლის დიდნი ნაწილი, საქართველოში იყიდებოდა, ნოლო ნაწილი რუსეთშიაც გაჰქონდათ და დიდი შოგებით ასაღებდნენ. მაგრამ XX საუკ. დასაწყისიდან იმერულ შალს კონკურენციას უწევდა რუსეთის ფაბრიკებში დამზადებული იმერული შალის მსგავსი მატერია, რომელიც შედარებით იათ ფასებში იყიდებოდა. ამის შესახებ „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი წერდა: „როგორც გამოკითხვიდან აღმოჩნდა, ჩვენს დედაკაცებს ამ ხელობაში (შალების ქსოვაში) მეტოქეები აღმოუჩნდნენ,—ეს მოსკოველი მექარხნეებია, რომლებიც ამზადებენ ამნაირივე შალებს და, რასაკვირველია, უფრო იაფადაც ჰყიდიან. ამის შესახებ ცნობილმა შალეებით მოვაპრე ურიამ გვითხრა: „ხალხს კი არ ესმის, რომელი შალი სჯობიაო, სიიაფეს ეძებსო, „ფაბრიკის“ შალი თითქმის ორჯელ უფრო იაფიაო“. თვით ურიებიც სარგებლობდნენ გარემოებით და შალების ფასს ძალიან სცემდნენ, აკლებდნენ. ნაცნობ მომას ეყიდა აუარებელი შალი (ათიათასი მანეთის ვიყიდეო, გვითხრა, მგონი, არც სტყუოდა), და, სხვათა შორის, გვაჩვენა ერთი შესანიშნავი ნახელავი შალი, რომელშიც 6 მან. მიეცა: „15 მან. მანც გავყიდიო“. ამის სიმართლეში ყველა ადვილად დარწმუნდება, ვისაც კი გაუგლია ქუთაისში შალით სავაჭრო ურიების მაღაზიაში: იქვე რომ 10—15 მანეთად შალი იყიდება, ის მეტ ნაწილად მეგრული ქალებისაგან 3—4 მანეთად შეძენილი შალეებია. ამ პირობებში ჩაყენებულმა მეგრელმა როდი იკნება გასაკვირველი, რომ შალის ქსოვას თავი დაანებოს...“<sup>2)</sup>.

რუსეთის ფაბრიკებში დამზადებული შალის კონკურენციის მიუხედავად, დას. საქართველოში დამზადებულ შალს და მასთან ერთად აბრეშუმის სხვადასხვა დარაიებს კარგი გასაყიდი ჰქონდა და ამ საქმეში დახელოვნებული ვაჭრები საკმაო ფულს იკებდნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქუთაისელი ებრაელი ვაჭრების, განსაკუთრებით საშუალო ვაჭრების, ერთი ნაწილი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი ერთ ქალაქში ყიდულობდნენ რუსეთის საფაბრიკო ნაწარმს (დარაიას და სხვა საქონელს), აძლევდნენ მათ კავკასიური საქონლის სახეს (მაგ. ფაბრიკაში დამზადებულ ორგანის შალს

<sup>1)</sup> შალს ამზადებდნენ უმთავრესად მეგრელები, მაგრამ იგი იმერული შალის სახელწოდებით იგივე ცნობილი.

<sup>2)</sup> ჰაბუთ-ბეი, „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2031.

შუაზე სკრიდნენ) და საქართველოში კუსტარულად დამზადებული საქონლის მარკით ასაღებდნენ მეორე ქალაქში, ზოგჯერ იმავე ქალაქშიც. ასეთი ხერხით ისინი ატყუებდნენ არა მარტო უცოდინარ მომხმარებელს, არამედ, ზოგჯერ, გამოცდილ ვაჭარსაც. ყოფილა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ორი შეამზანაგებული ვაჭრიდან ერთს უყილია ფაბრიკაში დამზადებული კავკასიური საქონლის მსგავსი. შალეები და 3—4 დღის შემდეგ მის ამზანაგს იგივე საქონელი მოგებით მიუყიდნია იმისათვის, ვისგანაც ის პირველად შეიძინეს.

XIX საუკ. მეორე ნახევარში ქუთაისის ებრაელთა შორის საგარეო ვაჭრობაში ძლიერ დაწინაურდა რაზოდენივე კაცი, რომლებმაც დიდი კაპიტალი შეიძინეს და თითქმის მთელი შინაური ვაჭრობა ხელში ჩაიგდეს, ამათგან ზოგიერთი დიდ სამრეწველო წამოწყებებში და საბანკო საქმეებშიც ჩაება. ზოგი მათგანი XIX საუკ. მიწურულს ბანკების ხმოსნად ირიცხებოდა, ხოლო XX ს. დასაწყისში ნსხვილი ბანკების დაარსებაშიც იღებდა მონაწილეობას. მაგ., 1914 წ. თბილისში არსდება კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, რომლის დამფუძნებელ 20 კაცში ორი ქუთაისელი ებრაელი იყო: 1) შ. ბ. იაკობიშვილი და 2) რ. ლ. რეინაშვილი<sup>1</sup>). ამ დროისათვის ქუთაისის ებრაელთაგან 63 იყვნენ ისეთი ცნობილი ვაჭრები, რომელთა გვარები და მისამართები პრესაში ქვეყნდებოდა, მათ შორის მანუფაქტურით მოვაჭრენი იყვნენ—47, საგალანტერიო საქონლით—8, ფქვილით—6, ოქრო-ვერცხლით—1, ტანსაცმლით—1<sup>2</sup>).

ამ პერიოდში ქუთაისელ ვაჭარ ებრაელთა დიდი კომერციული თაოსნობისა და მათ მიერ მნიშვნელოვანი „სავაჭრო კაპიტალის“ დაგროვების შესახებ ვახეთი „მზაქა“ წერდა: „Все́м известно, что вся торговля в городе Кутаиси сосредоточена издавна, главным образом, в руках местных евреев, следовательно, отсюда является вполне понятным, что и капиталы, составляющие богатство нашего города концентрируются именно среди этих самих же евреев. Имея вообще прирожденную склонность к коммерческим предприятиям и торговле, здешние евреи особенно быстро сумели развернуть и развить свои торговые дела настолько, что многие из них в течение самого непродолжи-

<sup>1</sup> ვახ. „იმერეთი“, 1914 წ., № 26.

<sup>2</sup> „Весь Кавказ“, 1916 г., стр. 476—485.

тельного времени нажили огромнейшие суммы денег и на виду местного населения сделались обладателями миллионного состояния и владельцами крупных коммерческих предприятий и торговых начинаний. Те огромные выгоды, которые они сумели извлечь из своих вложенных в торговые дела капиталов настолько обогатили и обеспечили этих искусных дельцов-коммерсантов, что они стали приобретать и обзаводиться необходимым имуществом, выстроили себе в Кутаисе огромные дома, украсив их архитектурой самого последнего вида современной строительной техники, создали самые лучшие, богатые торговые фирмы, комфортабельно обставленные магазины, ловко конкурирующие в торговле с другими более или менее видными торговыми учреждениями в Кутаисе... Конечно, нет ни малейшего сомнения в том, что такой успех евреев в торговых начинаниях, вызывает их непрестанное обогащение и обладание крупнейшими городскими капиталами, и возбуждает зависть среди остальных слоев общества города Кутаиси, более или менее заинтересованных в успешности результатов своих торговых начинаний. Нет сомнения в том, что отстающие сравнительно с евреями коммерсантами другие местные торговцы должны были уступить свои права и преимущества этим, созданным для коммерции людям и затаить в глубине своей души ту тайную и непримиримую злобу, которая, разрастаясь все более и более, должна была привести их к стихийному чувству национального антагонизма и шовинизма, кровно озлобляющему их против евреев. Чтобы одолеть достойным для них образом евреев, занявшим преимущественное положение в торговых делах города, эти вышеуказанные люди задались целью обуздать и пресечь евреев и первым долгом тех из них, которые сумели за последнее время, благодаря торговле, нажить здесь миллионное состояние. Эти люди задались твердой целью и намерением вырвать из рук евреев те крупнейшие торговые обороты и капиталы, которые они, благодаря своим способностям, ловкостям, а подчас и ухищрениям, захватили в свои руки и стали хозяевами положения<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> Газета „Мшак“, 1913 г., № 27.

თუ მსედველობაში არ მივიღებთ ავტორის ზოგიერთ არასწორ შენიშვნებს იმის შესახებ, რომ თითქოს ებრაელები კომერციული საქმიანობისათვის არიან გაჩენილნი და სხვა, წერილში მოყვანილი ცნობები, რასაკვირველია, სიმართლეს შეიცავენ, რასაც ჩვენ მიერ მოყვანილი სხვა მასალებიც ადასტურებენ.

როგორც ზემომოყვანილი საარქივო მასალებიდან ჩანს, ამ პერიოდში ქუთაისელი ებრაელების შემდეგ საგარეო ვაჭრობაში მომდევნო ადგილი სამეგრელოში მცხოვრებ ებრაელებს ეჭირათ. ამით მოპყვებიან შორაპნის მაზრაში, რაჭა-ლეჩხუმში და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელები. ასე მაგალითად, 1866 წ. საზღვარგარეთ სავაჭროდ გასამგზავრებლად გაცემულ 62 ნებართვაში, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, 20 ქუთაისში მცხოვრები ებრაელი მოხსენებული, 14 კაცი ქ. ფოთში მოვაჭრენი, რომელთაგან 2 კაცი ფოთის მკვიდრი ყოფილა, ხოლო 12 კაცი ქუთაისიდან, შორაპნის მაზრიდან და ლაილაშიდან ყოფილან გადასულები. ამით მოსდევს სამეგრელოს დაბა-სოფლებში (სუჯუნა, კულაში, ბანძა და სხვა) მცხოვრები 17 კაცი, შორაპნის მაზრაში მცხოვრები უმთავრესად საჩხერელები) 5 კაცი, ცხინვალში მცხოვრები 3 კაცი და სხვა. დაახლოებით ასეთივე შეფარდება ჩანს აგრეთვე, მომდევნო 1867 წ. გაცემულ საბუთებშიაც. ასე, მაგალითად, ამ წელს გაცემულ 44 საბუთში 14 ქუთაისელი ებრაელია მოხსენიებული, 6 კულაშელი, 5 ლაილაშელი, 3 საჩხერელი, 3 ბანძელი, 2 სუჯუნელი, 2 საჩინოელი და სხვა.

უცხოეთის და რუსეთის სავაჭრო ცენტრებთან დაკავშირებულ ებრაელებს სტატოვლოში შემოჰქონდათ ადგილობრივი მოთხოვნილების შესაბამისი საქონელი (ფართოფეული და სავალანტერიო საქონელი, ნაწილობრივ სხვადასხვა წვრილმანი, რკინეული, ფქვილი და სხვა), რომელსაც ისინი ადგილობრივ საშუალო და წვრილ ვაჭრებზე ჰყიდდნენ.

ანშო-მცხოვრები ებრაელების შესახებ 1869 წ. გაზეთი „დროება“ წერდა: „აქაური ებრაელები დადიან სავაჭროდ სტამბოლში, მოსკოვში, ნიჟნაში, და სხვა სავაჭრო ქალაქებში, ასე რომ დაახლოებით რომ ვსთქვათ, ებრაელებს ექნებათ აქ მარტო ფართოფეულითა 200.000 მანეთის ვაჭრობა... ებრაელებს ჰყავთ პრიკაშიკებათ სოფლელები რაქისა და სვანეთის მოსაზღვრე სოფლებიდან: ღებელები, ჭიორელები და გლოველები და მათის შუამდგომლობით მთების მთელი აქეთი მაზრები ხელში ჰყავთ. სომხებს კი უფრო ნა-

კლები ვაჭრობა აქვთ ონში; იმათ ჯქვთ სამღებროები და სხვა რა-  
მოდენიმე ჰატარა ღუქნები...<sup>1)</sup>

ყოფილი ვაჭრების გადმოცემით ონის ებრაელებიდან 70-იან  
წლებამდე და ნაწილობრივ ამის შემდეგაც (80-იან წლებში) სტამ-  
ბოლში დადიოდა 3—4 შეძლებული ვაჭარი, ხოლო 80-იან წლები-  
დან მათ საქონელი მოჰქონდათ უმთავრესად რუსეთიდან ნაწილობ-  
რივ ქუთაისიდან და თბილისიდან. რუსეთში გამგზავრეთისას პირ-  
ველ ხანებში ონიდან ცხენებით გადადიოდნენ ალგირამდე. ალგი-  
რიდან ეტლებით (линейки) დარკონში\*ან ელხოთში, ხოლო აქე-  
დან მიდიოდნენ ნ. ნოვგოროდს, როსტოვს, ეკატერინედარს და  
სხვა ქალაქებში. აღნიშნული ქალაქებიდან თითო მგზავრობაზე  
(მგზავრობდნენ წელიწადში 3—4-ჯერ) თითოეულ ვაჭარს მოჰქონ-  
და დახლოებით 20—30 „ცალი“ (кипы) ფართალი, საგალანტე-  
რო საქონელი და სხვადასხვა წვრილმანი. ელხოთიდან და დარკო-  
ნიდან საქონელს ესიდებოდნენ უფრო ერთცხენიანი ურმით, რომ-  
ლებიც ონამდე მოსვლას 3—4 დღეს უნდებოდნენ. ურემზე აწ-  
ყობდნენ 20—25 ფუთამდე ტვირთს და ფული ტვირთის გადაზიდ-  
ვაში იხდიდნენ 50—70 კაპიკს. 90-იანი წლებიდან კი ონის შე-  
ძლებულ ებრაელ ვაჭრებს რუსეთიდან საქონელი მოჰქონდათ რკი-  
ნიგზით ქუთაისამდე და აქედან ონში გადაჰქონდათ ურმებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც დას.  
საქართველოში მცხოვრები ებრაელები, ასე თუ ისე აქტიურ მონა-  
წილეობას იღებდნენ სავაჭრო ვაჭრობაში, აღმ. საქართველოში  
მცხოვრები ებრაელებიდან XIX საუკ. მეორე ნახევარში იშვია-  
თად თუ რომელიმე შეძლებული ვაჭარი (ასალკიხეს, თბილისსა  
და ნაწილობრივ ცხენვალში მცხოვრებთა გამოკლებით) სა-  
ქონლის შესასყიდად წავიდოდა საზღვარგარეთ. აღმ. საქართველოს  
ებრაელებიდან რამოდენიმე კაცს სიარული დაუწყია უმთავრესად  
XIX საუკ. დასასრულიდან. ესენიც უფრო ისეთი ვაჭრები ყო-  
ფილან, რომლებიც სპეციალურად ხილითა და ბოსტნეულით ვაჭ-  
რობდნენ. ხილითა და ბოსტნეულით ბიჭუმად მოვაჭრენი ყოფილა  
ცხენვალელი და ცხენვალიდან კ. გორში საცხოვრებლად გადასული  
3—4 ვაჭარი. ზოგი მათგანი სომეხ ვაჭრებთან იყვნენ შეამხანაგე-  
ბულნი და დიდ ბრუნვას აკეთებდნენ. ხილისა და ბოსტნეულის სე-  
ზონის დროს მათ სოფლებში ჰყავდათ სპეციალური პირები, რომელ-

<sup>1)</sup> „დროება“, 1869 წ., № 48.



თა საშუალებით ყიდულობდნენ ვაშლს, მსხალს, კომშს, ჩირს, კომბოსტოს, ქარხალს, ნიორს და სხვა. ეს ვაჭრები ხშირად თითონ დადიოდნენ სოფლებში: კარალეთში, ფლაეში, ფლავისმანში, მეჯერისხევში და სხვაგან, სადაც ხილის ბაღების ჭიფელ მოსავალს, ნაყოფის მოკრეფამდე, ნარდად ყიდულობდნენ. ხილის გარდა ისინი რეზაში, ტეძერში, ნიქოსში და ქართლის სხვა სოფლებში ფუთობდნენ და ნარდად ყიდულობდნენ დიდი რაოდენობით ქაჩხალს, ნიორს, კომბოსტოს. შესყიდულ საქონელს ისინი ჯერ თავს უყრიდნენ სოფლად დაქირავებულ სახლებში და შემდეგ ურბების საშუალებით გადაქონდათ ტხინვალში, ქარელში, გორში, სადაც საქონელს შესანახად დაქირავებული ჰქონდათ სპეციალური საწყობები. საწყობებში ხილს (ვაშლსა და მსხალს) მუშების საშუალებით ახარისხებდნენ და ალაგებდნენ სპეციალურ ყუთებში, შემდეგ გზავნიდნენ როსტოვში, პეტერბურგში. ადესაში და სხვა ქალაქებში. რუსეთში იგზავნებოდა უფრო შერჩეული და კარგი ხარისხის ვაშლი: ბროცკი, ანტონოვკა, შადრანი, წითელი და თეთრი კალგერი, ნაწილობრივ — აბილაური, კინაპი, სირმა. კიტრა, თურნაშაული და სხვა. დიდი რაოდენობის ვაშლის ჩირი და კომში იგზავნებოდა უმთავრესად ოდესაში; კომბოსტო, ქარხალი, ნიორი და სხვა — ბაქოში და ნაწილობრივ სხვა ქალაქებში.

ერთი გორელი ებრაელი, სომხის კომპანიონი, მისი სიტყვით, ყოველ სეზონზე, საშუალოდ სხვადასხვა ქალაქში აგზავნიდა დაახლოებით 15—20 ვაგონ ხილს, 20—25 ვაგონ კომბოსტოს, 10—15 ვაგონ ქარხალს, 5—6 ვაგონ ნიორს.

ასეთი საქონლით ბითუმად მოვაჭრენი, საქიროების დროს საქონლის გასასყიდად თითონ მიდიოდნენ ადგილებზე; ან აგზავნიდნენ თავიანთ კომისიონერებს, რომლებსაც დაუწესებდნენ გასასყიდ ფასს.

ასეთი იყო, მთავარ ხაზებში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და XX ს. დასაწყისში ებრაელი ვაჭრების მონაწილეობა სავაჭრო ვაჭრობაში, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა და მნიშვნელოვან კაპიტალს იძენდა საქ. ებრაელთა მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი შექმლებული ვაჭრების სახით.

განხილული მასალები შესაძლებლობას გვაძლევენ გავაკეთოთ მოკლე დასკვნა:

1) ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქ. ებრაელები XX ს. დასაწყისამდე რაიმე მსხვილ სამრეწველო წამოწყებებში თითქმის

არ ჩანან, ხოლო სავარეო და მსხვილ აღებმაცემაში, ისინი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

2) სავარეო და მსხვილ საბითუმო ვაჭრობაში საქ. ებრაელებიდან მოწინავე ადგილი უკავიათ დას. საქართველოს ებრაელებს, განსაკუთრებით ქუთაისის ებრაელების ერთ ნაწილს, რომელიც სავარეო-საბითუმო ვაჭრობისა და მეფახშეობის საშუალებით ეუფლება დიდ კაპიტალს და საშინაო ვაჭრობის სადავეებსაც ხელში იგდებს.

3) ახალციხის ვაჭრობის დაცემასთან ერთად შეძლებული ვაჭრების დიდი ნაწილი გადადის სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ თბილისში და XX ს. დასაწყისიდან აფართოვებს თავის სააღებ-მაცემო საქმიანობას. აღმ. საქართველოს დაბა-სოფლებში მცხოვრებ ებრაელთა შეძლებული ფენა სავარეო-საბითუმო ვაჭრობასა და დიდ კომერციულ წამოწყებებში შეღარებით უკან აღანზე იყო მოქცეული.

## II

საგლეხო რეფორმის შემდეგ მრეწველობისა და სავარეო ვაჭრობის განვითარების ნიადაგზე გაიზარდა საშინაო აღებ-მაცემაც. ამიერ-კავკასიაში რკინიგზების გაყვანამ და მისი ქაელის თანდათანობითი გაფართოებამ, უცხოეთისა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური ცენტრები დაუახლოვა ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ცენტრებს, ხოლო ამ ქვეყნებს შორის ეკონომიური კავშირის გაძლიერებასთან ერთად გაძლიერდა აგრეთვე მათი კულტურული კავშირიც. ქვეყნის შიგნით გზებისა და მიმოსვლის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სოფლის დაახლოებას ქალაქებთან და მნიშვნელოვანი ბიძვი მისცა საშინაო ვაჭრობის განვითარებას.

საშინაო ვაჭრობის განვითარების დასახასიათებლად საჭირო სრული სტატისტიკური ცნობები ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ არსებობს ზოგიერთი ცნობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს საშინაო ვაჭრობის განვითარებაზე, თუმცა ისინი შეეხებიან აგრეთვე სავარეო ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდასაც.

ოფიციალური ცნობების მიხედვით, 1875 წ. ვაჭრობა-მრეწველობის საწარმოებლად ჭაზინის მიერ თბილისის გუბერნიაში გაუციათ 8425 სავაჭრო-სამრეწველო დოკუმენტი. აქედან მარტო თბილისზე მოდიოდა 6583 დოკუმენტი<sup>1)</sup>. 9 წლის შემდეგ, 1884 წ. გაუ-

1) К. Каневлаев, 1877 г. стр. 4.

ციათ 15.476 დოკუმენტი, რომელთა ღირებულება უდრიდა 231.290 მან. 1), აქედან მართო თბილისზე მოდიოდა 8324 დოკუმენტი 2). 1890 წ. გაუციათ 11.168 დოკუმენტი 281.952 მან. ღირებულები-სა 3), ხოლო 1897 წ. გაცემულია 13.958 დოკუმენტი, 317.725 მან. ღირებულები 4). ამ ცნობებიდან ჩანს, რომ 1875 წლიდან სავაჭრო-სამრეწველო დოკუმენტების გაცემა იზრდებოდა ღირებულების მხრივ და რიცხობრივადაც, გამოჩაქისს შეადგენს 1890 წ., რო-დესაც სავაჭრო-სამრეწველო დოკუმენტების გაცემა 1884 წელთან შედარებით მხოლოდ რიცხობრივად შემცირებულა.

რაც შეეხება თბილისის გუბერნიაში არსებულ სავაჭრო დაწე-სებულებათა საქონლის ბრუნვას; მოვაჭრეთა რაოდენობას, საჯარო ბაზრობებზე საქონლის ბრუნვას და სხვა, ამის შესახებ XX ს. დასაწყისამდე ერთობ ღარიბი და არასრული ცნობები მოგვეპოვება. მო-ქმედ სავაჭრო დაწესებულებათა შესახებ ცოტად თუ ბევრად ზუს-ტი ცნობები გვაქვს 1900 წლისათვის, რომლის მიხედვით თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა:

ადგილების დასახელება	სავაჭრო და- წესებულ- თა რაოდენობა	ბრუნვა 1000 მ.	ვაჭრობაში ჩაბმულია რაოდენობა	ზღადა გა- სწილი მანაზ.	ვაჭრობაში ჩაბმულია რაოდენობა
თბილისი	2282	45317	6872	271	469
თბილისის მაზრა	507	853	515	—	—
ახალციხის მაზრა	286	1831	395	11	11
გორის მაზრა	518	1656	768	55	79
ახალქალაქის მაზ.	192	908	351	32	36
ბორჯალოს	268	893	324	—	—
სიღნაღის	367	1928	614	—	—
დუშეთის	162	561	257	52	51
თელავის	244	841	393	—	—
თიანეთის	270	635	314	42	42 6)
	4923	54893	10895	466	694

1) Ibid 1888 წ., გვ. 186.

2) ივერია, 1886 წ., № 17.

3) К. Виландарь. 1893 г., отл. III, стр. 15—16.

4) Обзор Тифлисск. губ. 1897—98 г. г., стр. 12—13.

5) Сборн. ст. свед. по Зап. Краю, 1902 г., ч. I, стр. 241—252.

საგარეო და აგრეთვე საშინაო აღებ-მაცემობის ზრდის მაჩვენებელია, სხვათა შორის. ამხ. მახარაძის მიერ თავის ნაშრომში მოყვანილი ამიერ-კავკასიის რკინიგზებზე მგზავრთა მოძრაობისა და საქონლის გადატან-გადმოტანის ცნობები, რომლებიც შემდეგ სურათს გვიხატავენ:

წლები	მგზავრების რიცხვი	საქონლის გადატან-გადმოტანა ფუთობით
1874	367.798	9.835.759
1880	633.983	28.659.241
1885	842.349	76.490.902
1890	1.134.473	118.516.704
1896	2.179.459	152.162.303

ამაინაირად, ამიერ-კავკასიის რკინიგზას 1896 წ. თითქმის ექვსჯერ მეტი მგზავრი გადაუყვანია, ვიდრე 1874 წ. რაც შეეხება საქონლის გადაზიდვის მატებას (1896 წ., ის 15-ჯერ უფრო მეტია 1874 წლისაზე. სხვა სიტყვებით: ოცდაორი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე მგზავრების რიცხვმა იმატა 492,57%, იმავე დროს საქონლი გადატანამ კი 1,446,87% იმატა<sup>1)</sup>).

ზემოაღნიშნული ცნობები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდებოდა აგრეთვე საშინაო ვაჭრობა, რომელშიაც, როგორც შემდეგ დაინახავთ, საქართველოს ებრაელები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ.

ქუთაისის გუბერნიაში მრეწველობისა და საშინაო ვაჭრობის ზრდის არასრულ სურათს გვაძლევს შემდეგი ცნობები.

ვაჭრობა-მრეწველობის საწარმოებლად ქუთაისის გუბერნიაში გაუციათ:

წლები	დოკუმენტები	მათი ღირებულება
1887	8.254	153.330 მან.
1897	10.754	196.448 "
1901 (უფასო ბილეთების გარდა)	11.823	236.111 " 2).

1) მახარაძე, ფ. თხუთხუთბათა კრებული, ტ. VII, გვ. 15.

2) Опись Кутаисской губ. 1888 г., ст. 22—23; 1898 г., стр. 32—33; 1902 г., стр. 37—38.

ამავე გუბერნიაში 1884 წ. საჯარო შესაკრებ ბაზრობებზე საქონლის ბრუნვა უდრიდა 170 ათ. მან., 1893 წელს 258.784 მ. 1). 1897 წ. კი მოქმედებდა 20 ბაზარი, სადაც საქონლის ბრუნვა აღწევდა 200—300 ათ. მანეთამდე 2).

როგორც ვიცით, XIX ს. მეორე ნახევარში, საქართველოს ებრაელებს საგარეო ვაჭრობაში რიცხობრივად ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ. მაგრამ საშინაო ადგილ-მიცემებაში ისინი საქართველოს სხვა მოსახლეობასთან შედარებით რიცხობრივად თითქმის პირველ ადგილზე იყვნენ. მრავალი ცნობების მიხედვით დას. საქართველოს სხვადასხვა დაბა სოფლებში ხშირად გამართულ დიდ და პატარა ბაზრობებზე ფართლით, გალანტერიითა და წვრილმანით მოვაჭრეთა დიდ ნაწილს ებრაელები შეადგენდნენ. „ვაკე-იმერეთში,—გვაუწყებს „დროება“, — ხონის პარასკეობა“ განთქმულია. არც ერთ სამაზრო ქალაქში (ქუთაისიც კი ჩამორჩება) არ ხდება ისეთი „ბაზრობა, როგორც დაბა ხონში. პარასკეობით გარშემო მდებარე სოფლობა სულ ერთიანად აქ იყრის თავს. აქვე ჩამოდიან ამ დღეს მოვაჭრე ურიები ქუთაისიდან, კულაშიდან, სუჯუნიდან და სხვა მხრიდან“ 3), რომლებიც, როგორც ვიცით, ბაზრობაზე მიტანილი საქონლით ვაჭრობის გარდა, ყიდულობდნენ აბრეშუმის ძაფსა და პარკს, შალებს, ბეწვეულს და სხვა.

ებრაელ ვაჭრებს ვხვდებით აგრეთვე სამეგრელოში. ლეჩხუმში და სხვა ადგილებზე მოწყობილ ბაზრობებზე იხილავთ. ამ დაბაში—წერდა იგივე „დროება“— ცოდნით ექვს აგვისტოდან ოცი დღის განმავლობაში სასოფლო ვაჭრობა იარსებებდა. როგორც ბევრს ადგილას ჩვენში, აქაც ებრაელები გაჩენილან, აქაც ამათ ხელშია უმეტესად ყოველგვარი ვაჭრული წარმოება“ 4).

ლეჩხუმის მაზრაში არსებული ბაზრობისა და საერთოდ ვაჭრობის შესახებ მოიხუევი თავის გამოკვლევაში წერდა: „ლაილაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლეჩხუმის მაზრის სავაჭრო ცენტრი და მთავარი არტერიაა... ამ მიდამოების მთელი მოსახლეობა სარგებლობს ლაილაშის საქონლით, პროდუქტებით და ასალებს იქვე საკუთარ ნაწარმოებს. აქ ცხოვრობენ ვაჭრობის ყველა მოთავეები, განსაკუთრებით ებრაელები და სომხები. ყოველ კვირაობით და ხუთშაბათობით ლაილაშში მრავალრიცხოვანი ბაზარი იმართება. აქ

1) К. Календа, 1887 г., стр. 214, 1896 г., стр. 243.

2) Обзор Кур. губ. 1898 г., стр. 32.

3) „დროება“, 1885 წ., № 61.

4) „დროება“, 1885 წ., № 183.

მოღის ხალხი 20—30 ვერსის სიშორიდან, ადგილობრივი ვაჭრები წმინდად იცავენ მათს დევიზს: «თუ არ მოატყუილებ, ვერც გაპყიდი». ადგილობრივი ნაწარმის გაყიდვის შემდეგ იწყება ყოველგვარი სახის საგალანტერიო და საბაჟლო საქონლის შესყიდვა და სხვა. აქ თითოეული ვაჭარი ცდილობს მოატყუოს მკიდველი. ზომის შესახებ დადებითად არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ რაც შეეხება წონაში მოტყუებას—ეს ფაქტია». შემდეგ მოიხსენიებს მოპყავს შედარებითი ცნობები ზოგიერთი საქონლის ღირებულების შესახებ და ამბობს: «ლამფა, რომელიც ქუთაისში ღირს 3 მანეთად აქ 6—7 მანეთად იყიდება, ვაჭრები, განსაკუთრებით კი წვრილმან საქონლით, წელიწადში 5—10 ათას მანეთამდე ბრუნვას აკეთებენ»<sup>1)</sup>.

აღმ. საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საშინაო ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ დოქტორი ა. ფ. ა. თანისი მოგზაურობის შემდეგ, 1877 წელს წერდა: «ცხინვალი მნიშვნელოვანი დაბაა, სადაც მეტ ნაწილად სომხები და ებრაელები, მოსახლეობენ... აქ მოვაჭრე ებრაელები და სომხები ყიდულობენ ყველა ნაწარმს თავიანთ მიერვე დაწესებულ ფასებში და ჰყიდიან მოგებით ცხინვალის ბაზარშივე, ან მიჰქვთ ისინი სხვაგანაც, სეოზის მცხოვრებთა უმრავლესობა დაეალიანებულია ცხინვალის ვაჭრების მიერ, რომლებიდანაც ყიდულობენ ყველა საჭირო საქონელს; ყველაზე მომგებიანი ვაჭრობა რკინეულითა და ლითონის ნაწარმითაა, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა...»<sup>2)</sup>.

ჩვენა რა გოჯის მაზრაში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურ ყოფას ს. მაჩაბელი საინტერესო ცნობებს გვაწვდის სურამში მცხოვრებ მოვაჭრე სომხებისა და ებრაელების შესახებ. ის წერს: «ვაჭრობას მისდევენ ხოლო ებრაელები და სომხები, რომლებიც დაბა სურამში ცხოვრობენ, ამასთანავე პირველნი (ე. ი. ებრაელები) უკლებლივ ჩამბულნი არიან ამ საქმეში, ხოლო მეორეთა შემადგენლობიდან, მოსახლეობის მეტი ნაწილი, დაახლოებით 1/3 ვაჭრობს სურამშივე, ხოლო ებრაელებს განსაკუთრებით ფართოეული დააქვთ ცხენუანი თბილისის გუბერნიის სოფლებში. რამდენად განვითარებულია დაბა სურამში ვაჭრობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ იქიდანაც, რომ სახელმწიფო გლეხთა რიცხვიდან მეორე გილდის სავაჭრო მოწოდებები აქვთ 22 კომლს, რომლებიდანაც 18 კომლს შეადგენენ

<sup>1)</sup> Монеев, И. Уголок Печхума, (Сб. матер. для ист. исслед. и плем. Кавказа, вып. 27, 1900 г., стр. 142—4).

<sup>2)</sup> Д-р П. Ф. Ф., «Путешеств. в Южн. Осию, Рачу, Больш. Кабарду и Дигору» (Сб. матер. для ист. Кавказа, т. II, 1872 г., стр. 151).

სომხები, 4 ებრაელები. დანარჩენ მოვაჭრე მცხოვრებლებს კი აქვთ საწვრილმანია ვაჭრობის წარმოების მოწმობები“<sup>1</sup>.

სურამის გარდა, აღმ. საქ. სხვა დაბა-სოფლებში წვრილმანით მოვაჭრენი ებრაელები იყვნენ, რომლებსაც დას. საქ. მცხოვრებ ებრაელებისგან განსხვავებით მეტწილად სოფლებში უბედობლიათ ვაჭრობის წარმოება იმის გამო, რომ აღმ. საქართველოში ბაზრობები უფრო ნაკლებად იყო, ვიდრე დას. საქართველოში.

უფრ. „კვალის“ კორესპონდენტი სოფ. ქარელიდან წერდა: „წინაჲ ფართლით ვაჭრობა წვრილ მოვაჭრე ებრაელთა ხელში იყო. ესენი სოფელ-სოფლად, კარი-კარ სიარულთა ასაღებდენ ფართლელთობას. დღეს კი სოფლად მოსიარულე მეფართლე ებრაელს იშვიათად შეხვდებით. ფართლით მოვაჭრე ებრაელთაა ჯმრავლესობა გაკატრდა და შის ნაცვლად კნაფობამ ჯყო-ჯვრობით ორი მსხვნილი მეფართლე წამოაყენა, რომელთაჲ ააზნეს საფართლე მალახები და გაჰაღეს მათნი არშინს ტრიალი. მუშტარიც—ღვთის მოწყალებით—ბლომათ ჰყავებ, მაგრამ მათი გამამდიდრებელი წყარო მარტო ფართლით ვაჭრობა არაა. აქვე აქვთ მათ საწვრიმლო დუქნები და ფულსაც ბლომათ ავალებენ მცხოვრებლებზე მამისისხლის სარგებლით. შემდეგ ავტორი ეხება მიციტნებისა და სხვადასხვა სააღებნიცემო წამოწყებათა წარდად აღებების საქმიანობას და ასკვნის: „ერთი სიტყვით ქაჩელია ფეხი აიდგა, აღებ-მიცემობა ძლიერდება, უმცირესობას სიმსუქნე დაეცყო, უმრავლესობას კი—სიღარიბე და ეკონომიური დაცემა“<sup>2</sup>.

მოვაჭრე ებრაელთა ცალკე ეკონომიური კატეგორიების, მათი ურთიერთ დამოკიდებულებებისა და ქონებრივად დაცემა—გაძლიერების შესახებ ჩვენ ცალკე თავში გვექნება საუბარი, აქ კი ზემოაღნიშნული ცნობების დანახმად საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მოვაჭრე ებრაელთა დიდი ნაწილა საშინაო, წვრილ ვაჭრობაში იყო ჩაბმული, რომელსაც არ გააჩნდა რა თავის საცხოვრებელ ადგილზე პატარა დუქნის ან ფარდულის გახსნისა და იქ აღებ-მიცემის საწარმოებად საჭირო სახსრები, იძულებული იყო შეძლებული ვაჭრის მიერ კრედიტით აღებული საქონელი ეტარებინა სოფლად და როგორც ფულზე, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაეცვალა.

<sup>1</sup> Мичаебев, С. В. Экон. быт государственных Горийск. уезда, Тиф. губернии“ [Матер. для науч. экон. быта государственн Зап. края, т. VI, ч. I, стр. 239].

<sup>2</sup> ქართული, „კვალი“, 1895 წ., № 24, გვ. 405.

ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი დაკვირვებული ავტორიც კი თავის ნაწარმოებში გამოსთქვამდა არასწორ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს მთელი ებრაელობა ეწეოდა მოსახლეობის ექსპლოატაციას და თავის ხელში იკლავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ისარლოვის მიერ საქ. ებრაელების შესახებ დაწერილი საინტერესო ნარკვევის ერთი ადგილი, სადაც იგი ამბობს: „Вся почти местная торговля и промышленность, в местах расположения евреев, находится в их руках, и они, пользуясь большим к себе доверием сельского населения, эксплуатируют его, забирая в свои руки почти всю сельскую производительность: шелк, хлопчатую бумагу, шерсть и другие продукты“<sup>1)</sup>.

ისარლოვმა ან არ იცოდა ან ანგარაჰს არ უწედა იმ გარემოებას, რომ საბოლოო ჯამში, მოკაჭრე ებრაელთა საკმაო ნაწილი, მშრომელ გლეხობასთან ერთად, როგორც შეძლებული ებრაელების, ისე არა ებრაელი ვაჭრის „მოჯამაგირე“ და ყვლეფის ობიექტი იყო.

XX ს. დასაწყისში ებრაელთა მიერ ვაჭრობა-მრეწველობაში დაკავებული ადგილის შესახებ ისარლოვის საწინააღმდეგო და ნაწილობრივ სწორ მოსაზრებას, გამოსთქვამდა ხიზანაშვილი Plebs-ის ფსევდონიმით ცნობილი, იგი ამბობდა: „...ჩვენებურმა ებრაელებმა სამრეწველო და სავაჭრო სფეროში და საზოგადოდ უკონომიურს ასპარეზზედ ფერც ნიჭი გამოიჩინა და ვერც გამჭირანობა. საქართველოში ისრაელმა მრეწველობას თითქმის ზურგი შეაქცია და მარტო ვაჭრობას მიჰმართა. მაგრამ ებრაელის ვაჭრობაც ფრთაშეკეცილია, წვრილმანია, ძველის წესისა და რიგის მიმდევარია და წარმატებას მოკლებულა. არავითარი საკომერციო განათლება ქართველ ებრაელს არ მოეპოება. ამის ვაჭრობა აღლს არ სცილდება... თუ ნაშდვილად გნებავთ, ჩვენებურს ებრაელს ვაჭარი აღბ-მიმცემი არც კი ეთქმის, იგი უფრო წვრილფეხა ჩარჩია. ამ ჩამორჩენას კიდევ კინ სჩივის, —საქმე ისაა, რომ ბევრს შემთხვევაში ებრაელი სომეხ ვაჭრის ყმა შეიქმნა, იმას ბრძანებას ემასხურება, იმის საქონელს ასაღებს“<sup>2)</sup>.

ისარლოვის გარდა, ებრაელი ვაჭრების საქმიანობისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ხიზანაშვილის ზოგიერთი შენი-

1) Исарлов, Л. С. „Плебиа о Грузии: Евреи в Грузии и Имеретии, стр. 33.

2) Plebs, „ჩვენებური ებრაელობა“ (შენიშვნები), ივერია, 1902 წ., № 141.



შენებიც, რა თქმა უნდა, არ გვადღევენ საკითხის სწორ განმარტებას, რადგან წინა თავებში ჩვენ უკვე ნაწილობრივ ვავეცანით ზოგიერთ შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს, რომლებსაც კომერციული თაოსნობაც ახასიათებდათ და დაღ სავაჭრო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ, და მათი აღებ-მიცემა არც იმე წერილმანი და წარმატებას მოკლებული იყო, როგორც ეს ხიზანაშვილის ეგონა. ხიზანაშვილის ეს შენიშვნები სწორია — მოვაჭრე ებრაელთა ძირითადი მასის მიმართ. თუ მის სხვა შენიშვნებსაც განვიხილავთ, რასაკვირველია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ განსაკუთრებით მსხვილ ვაჭრობა-მრეწველობაში ებრაელებთან შედარებით სომხები უფრო დაწინაურებულები იყვნენ, ხოლო აქაც საჭიროა შევნიშნოთ, რომ, მართალია, ზოგი ებრაელი წერალბ-ვაჭარი, შეძლებულ-სომხები ვაჭრის (ხიზანაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ) „ყმა“ იყო და მის საქონელს ასაღებდა, მაგრამ ზოგჯერ სომეხი ვაჭარიც შეძლებული ებრაელი ვაჭრის საქონლის გამსაღებელი და მისი ბრძანების შეასრულებელი იყო. რაც შეეხება მსხვილ სამრეწველო წამოწყებაში ებრაელთა ჩაუბმელობას, სხვა ისტორიული მოვლენების გარდა, ეს უფრო ცარიზმის ანტისემიტური პოლიტიკასა და ნაწილობრივ თვით საქ. ებრაელთა ეკონომიური ჩამორჩენილობის შედეგი უნდა ყოფილიყო.

\* \* \*

საკვირვებელია ცნობალია, რომ ცარიზმი თავისი პოლიტიკით ყოველთვის ცდილობდა მეფის რუსეთში, ანუ „ხალხთა საყრდობილში“, მცხოვრებ მცირე ეროვნებათა შორის ჩამოეგდნა შეუღლი და მტრობა, გაეხალხებინა ანტისემიტობი, მოეწყო ებრაელთა დარბევები და უმეყოფილო ხალხთა მასების ყურადღება აქედ მიემართა.

მთავრობის მთელი რიგი კანონმდებლობანი მთელი სისუსტით მიმართული იყო არა მარტო რუსეთის ებრაელების, არამედ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ებრაელთა წინააღმდეგაც, სხვა ადამიანური უფლებების ჩამოთმევის გარდა, ეს კანონმდებლობანი უზღუდავენ ებრაელთა ძირითად მასას მრეწველობასა და მიწადმოქმედებაში ჩაბმას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლებებს. ისტორიულ და სოციალ-პოლიტიკურ ხიზანაშვილის სხვა შენიშვნების გარდა, ნაწილობრივ ამიტაც იყო გამოწყვეული ის, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული და ეკონომიურად ნიადაგ გამოცილილ საქ. ებრაელთა ძირითადი მასის მიმართ.

თადი მასა „ჰაერის ხალხს“ წარმოადგენდა და უმთავრესად წვრილ ვაჭრობას მისდევდა.

ებრაელთა უფლებრივი ინდომარეობის განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს, საჭიროა მხოლოდ ორიოდ ცნობა მოვიყვანოთ საქ. ებრაელთა უფლებრივი შეზღუდვის, საერთოდ ებრაელთა ცალკე სოციალურ ფენებსა და მოვაჭრეთა შორის უფლებრივი განსხვავებათა შესახებ.

ქუთაისში, სადაც საქ. ებრაელთა ბურჟუაზიის საკმაოდ ნაწილი ცხოვრობდა, ებრაელები 70-იან წლებიდან საქალაქო მმართველობაში ხმისწვდომის არჩევნის უფლებით სარგებლობდნენ<sup>1)</sup>, მაგრამ შემდეგში მათ ამის უფლებაც წაართვეს<sup>2)</sup>. თბილისის გუბერნიის თავის მოხსენებაშიაც აღნიშნავდა, რომ ქუთაისის გუბერნიის ებრაელებს, ქალაქის იკითხმართველობაში წარმომადგენლობის შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრმა (მისი პასუხი მთავარმმართველისადმი 1894 წ. 8 მაისის თარიღით, № 40451, უარი უთხრა, იმ უფლებებზედაც კი, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ შიდა გუბერნიის (ე. ი. საბინადრო ფარგლებში) მცხოვრებ ებრაელებს<sup>3)</sup>).

მაგრამ თუ ერთის მხრივ, ებრაელთა ძირითადი მასა არსებითად ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული, მეორეს მხრივ, ებრაელთა ზედა ფენას — ბურჟუაზიას, მსხვილ ვაჭრებს, უმაღლეს სასწავლებელ და მთავარებულებს<sup>4)</sup>, რაბინებს და სხვებს, მეფის კანონმდებლობა გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა. ასე მაგ., როდესაც წვრილ ვაჭარს ან სოციალურად დაბალ ფენაში მოქცეულ ებრაელს დიდ ქალაქებში ჩასვლის უფლება კი აკრძალული ჰქონდა, კომერციის ან მანუფაქტურ-მრჩეველის სახელწოდება მინიჭებული ებრაელები ოჯახის წევრებათურთ სარგებლობდნენ საყოველთაო ცხოვრების უფლებით მთელს იმპერიაში<sup>5)</sup>).

კანონის მიხედვით, მოვაჭრეთათვის ყველაზე უფრო შეღავათიანი მდგომარეობა, პირველი და მეორე გილდის ვაჭრებს უფლებდა ჰქონდა ჩასულიყენენ ვაჭრობა მრეწველობის საწარმოებლად რუ-

1) Еврейская Энциклопедия, т. IX, стр. 74—75.

2) დიდ თანამდებობაზე, მაგ., ქალაქის თავად და სხვა, ებრაელის არჩევა არ შეიძლებოდა, გარკვეული პროცენტის არჩევა შეიძლებოდა მხოლოდ ხმისწვდომად.

3) საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ა/კ. მთავარმმართველის სამოქალაქო კანცელარია, გვ. 43.

საქ. ებრაელებიდან XIX ს. უმაღლეს დამთავრებულები არ ყოფილან.

4) Сб. Законов, т. XIV, изд. 1903 г. го Прод. 1916 г., стр. 12.

სეთის შიდა გუბერნიების ყველა ქალაქებში რამდენჯერაც სურდათ, იმ პირობით, რომ წლის განმავლობაში პირველი გილდის მქონე ვაჭრების იქ დარჩენა არ აღემატებოდა ოთხს, ხოლო მეორე გილდისას მხოლოდ ორს (1).

რაც შეეხება სატახტო ქალაქებს, პირველი გილდის ვაჭრებს ნება ეძლეოდათ ჩასულიყვნენ იქ საქონლის სასყიდლად წელიწადში ორჯერ ექვსი თვის ვადით, ხოლო მეორე გილდის ვაჭრებს წელიწადში ერთხელ ორი თვით.

როდესაც ამ კანონმდებლობას ვეცნობით, თავისთავად დგება საკითხი, თუ როგორ ახერხებდნენ მიმოსვლას და ვაჭრობას რუსეთის შიდა გუბერნიების ქალაქებსა და ნაწილობრივ სატახტო ქალაქებში, ცოტად თუ ბევრად შეძლებული, ისეთი ებრაელი ვაჭრები, რომლებსაც არც პირველი და არც მეორე გილდის პატენტები არ გააჩნდათ?

საქმე ის არის, რომ საქ. ებრაელებიდან ზოგი მოხერხებული ვაჭარი ქრთამის საშუალებით პასპორტში ან სხვაჭრო საბუღალტრო ქრისტიანად იწერებოდა, ზოგს ქართული გვარი და სახელი უწყობდა ხელს, ხოლო უბრეს შემთხვევაში, ზოგი პოლიციას აძლევდა ქრთამს და მისთვის აკრძალულ ქალაქებში მაღლულად მოგზაურობდა. ამ „პასპორტების“ აღმოსაფხვრელად ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობისა და მარნუფაქტურის პალატას 1888 წ. სპეციალური ცირკულარი დაუგზავნია ყველა სახელმწიფო პალატათვის, სადაც ნათქვამია: „Из дела Министерства Финансов усматривается, что иногда евреи вносятся в выдаваемые им торговые свидетельства христианскими именами, на том основании, что в метрических их свидетельствах они названы, кроме еврейских, также христианскими именами. Принимая во внимание, что на основании ст. 954, т. IX. Св. Зак. изд. 1876 г., каждый еврей должен навсегда сохранять известную наследственную или же на основании законов принятую фамилию или прозвание без перемены, с приобретением к оному имени данного по вере или при рождении, и что означение евреев в выдаваемых им торговых документах одними христианскими именами может вести к недоразумениям при применении к таким лицам установленных законом в отношении торговых прав евреев ограничений, предлагаю Казен-

1) Фриде, И. Е. „Законы о правосожительстве евреев“, стр. 46.

ным Палатам, согласно с отзывом Министерства внутренних Дел сделать распоряжение, чтобы все учреждения, заведующие выдачею торговых документов, не вносили евреев в торговые и промысловые свидетельства и билеты христианскими именами, за исключением тех случаев, когда еврейское имя, указанное в метрическом свидетельстве, является тождественным с христианским<sup>1)</sup>.

აქ მოყვანილი მცირე ცნობებიდანაც ჩანს, რომ ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკიდან გამომდინარე კანონმდებლობათა მთელი სუსხი ნამდვილად მიმართული იყო მხოლოდ მშრომელი და ლაბორიერ ებრაელების წინააღმდეგ, რადგან შეძლებული ფუნქციონირების კანონმდებლობაში გათვალისწინებული შეღავათების მინიჭების გარდა, მოქნილი და შეძლებული ებრაელი ვაჭარი თვით ამ კანონებისა და ცირკულარების შემდგენებისა და სხვა მოხელეებისათვის ქრთამის მიცემით ადვილად აჭახრავებდა საქმეს.

მთავრობის მიერ წვრილ მოვაჭრეთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიების მავალითაა წარმოადგენს 1872 წ. ქუთაისში პარასკეობით ბაზრობის გაუქმება და შაბათზე გადატანა. მთავრობის მოსახლებით ქუთაისში პარასკეობით ბაზრობის აღკვეთას უნდა შეემცირობინა პროლეტების ფასი იმდენად, რამდენადაც ებრაელებს რელიგიის მიხედვით შაბათ დღეს ვაჭრობა არ შეეძლოთ და ამით მოსახლეობას საშუალება ექნებოდა პროლეტები იაფ ფასებში შეეძინა. მაგრამ ამ ზომას, რაშიაც ცოტად თუ ბევრად ქრისტიანი ვაჭრებიც უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, პროლეტებისა და სხვა საქონლის გაიაფების მხრივ, როგორც ამას პოლიცემისტური სწავლა ქუთაისის გუბერნატორს, არავითარი დადებითი შედეგი არ გამოუღია<sup>2)</sup>. მთავრობის მიერ ებრაელი ვაჭრების წინააღმდეგ მიმართული ეს ზომები გამოწვეული იყო იმითაც, რომ თითქმის ებრაელები მოსახლეობიდან იათად ყიდულობდნენ საქონელს და უკმდეგ ძვირად ყიდდნენ მას. მაგრამ საქონლის იათად ყიდვა და ძვირად გაყიდვა მარტო ებრაელ ვაჭრებს როდი ახასიათებდათ, ეს იყო, — როგორც ამას მარქსი გვასწავლის, — საერთოდ ვაჭრობის კანონი. „იათად ყიდვა, ძვირად გაყიდვისათვის — აი ვაჭრობის კანონი“<sup>3)</sup>.

1) ЦИА ф. 101, дело 389, стр. 13.

2) ქუთაისის სარაიონო საარქ. სამმ. ფონდი № 72, საქმე № 71.

3) მარქსი, კ. კაპიტალი, ტ. III, გვ. 125.

რაც შეეხება ებრაელი ვაჭრების მიერ სხვა ეროვნების ვაჭრებთან შედარებით საქონლის ძვირად გაყიდვას, ამის შესახებ ჩვენ უფრო საწინააღმდეგო ცნობები მოგვეპოვება.

1885 წ. „დროების“ კორესპონდენტი, ეხებოდა რა თავის წერილში სურამში მოვაჭრეთა შორის შუღლისა და უნდობლობის საკითხს, ასებათა შორის წერდა: „...ჩვენ კარვად ვიცით, რომ ყველა ჩვენში მოვაჭრე სხვადასხვა ხალხზე: ფრანცუზზე, ნემენცზე და სომეხზე, ურიებმა პირიანი ვაჭრობა იციან, ე. ი. ყველაზე ნაკლებ ფასათა ჰყიდიან საქონელსა. ისრაილის გვარში ჯერ კიდევ ბევრი კეთილი თვისება და პატიოსანი ხასიათი დარჩენილა, რომელიც სხვებს დაუკარგავთ და ძნელად მოიპოვებენ“<sup>1)</sup>.

1888 წ. „ივერია“ კორესპონდენტი თავის შენიშვნებში აღწერს სურამელი ვაჭრების საქმიანობას და ასკვნის: „...სურამი დღეს ურიებისა და სომეხების ხელშია. ურიები უფრო იოლიანი ვაჭრები არიან, ვინც სომეხები“<sup>2)</sup>. ხოლო ბერგი თავის ვრცელ სტატიაში კახეთში მოვაჭრე მორღეხას მიერ საქონლის გაყიდვის შესახებ წერდა: „არშინი ჩითი, რომელიც თბილისის ქარვასლაში 15 კაპ. იყიდება—მასთან ღირს 16 კაპ., ძაფი—8 კაპ., თბილისში ღირს წყვილი 15 კაპ... თუ რამდენად განსხვავდება მორღეხაის მოგების პროცენტი სხვა ეროვნების მოვაჭრეთა მოგების პროცენტისაგან, ამას დასამტკიცებლად შეიძლება ასეთი თვალსაჩინო ფაქტის მითხარა საუკეთესო ფაბრიკის 5 ფურცელი საწერი ქაღალდი მორღეხასთან ღირს 5 კაპ., კონკურენტები კი ამავე ფასად აძლევენ 2—3 ფურცელს უზარალო შესახვევ ქაღალდს...“<sup>3)</sup>. როგორც ეხედავთ, ებრაელი ვაჭრები შედარებით დაკლებულ ფასში ჰყიდდნენ საქონელს, ვიდრე სხვა ვაჭრები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი უფრო გულკეთილნი იყვნენ, ვიდრე სხვა ვაჭრები, არა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქონლის იაფად გამყიდველ ვაჭარს, სხვა ვაჭართან შედარებით, შეეძლო მეტი ბრუნვის გაცეობა და საბოლოო ჯამში ისეთივე მოგების მადება, როგორც სხვას უნდა მიეღო. მაგ., თუ 15 კაპ. ნაყიდ ჩითს ებრაელი ყიდდა 16 კაპ. და სხვა რომელიმე ვაჭარი—17-ად, ვიდრე ეს უკანასკნელი დროის გარკვეულ მონაკვეთში საქონელს

<sup>1)</sup> „დროება“ 1885 წ., № 194.

<sup>2)</sup> „ივერია“, 1888 წ., № 200.

<sup>3)</sup> Б е р г. „Кавказ“, 1895 г., № 250.

ერთხელ გაყიდა, პირველს შეეძლო ორჯერ გაეყიდა ის და, ამრიგად, საბოლოო ჯამში ასეთივე შოგება მიეღო.

ებრაელთა უფლებებისა და მათ მანერ განაღებულ კონკურენტის ნიადაგზე მომდევნო პერიოდშიც არ შეწყვეტილა ებრაელი წვრილი ვაჭრების ბაზრობებიდან და სოფლებიდან გამოდევნა. „როცა სხვებზე ბაზრობის გასაჩაღებლად ურიებს ეპატიებოდნენ, — წერდა „ივერიის“ კორესპონდენტი, — დუქნებსა და კარებს უდგამდნენ, ზონმა ანუ ხონელმა მეფერთლე ვაჭრებმა ისარგებლეს ქუთაისში ამასწინად მომხდარ ურიების დევნით და ხონში ფართლის გამყიდველი ურიები აღარ გატარეს. ეს ურიები შეესიზნენ ზეით დასახელებულ ბაზრებს (დრდი ჯისაიში, სამტრედია, სოფ. მაღლაკი, მათხოჯა) და ბაზრობის დღის შემდეგ მოდუქულნა არიან სოფლებში და კარის კაზზე დააქეთ ფართადი. არიან ურიები, რომლებიც დღესაც დადიან ხონში, მაგამ ესენი — კი არ ჰყიდიან, თითონ ყიდულობენ ხონის ბაზრის უმჯავრეს სააღებ-მიცემო საქონელს — შალებს“, ე. ი. ხონელი ვაჭრები უშვებენ მხოლოდ ისეთ ვაჭრებს, რომლებიც კონკურენტის არ უშეგდნენ.

საქ. ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის განხილვისას დავინახეთ, რომ საქართველოში ცარიზმის გაბატონების შემდეგ ებრაელები, ქრისტიანულ მოსახლეობასთან შედარებით, უფლებრივად ძალიან შეზღუდულნი იყვნენ. მაგრამ თვით ებრაელთა ცალკე სოციალურ ფენებსა და მოვაკეთება მიმართ ეს უფლებრივი შეზღუდვანი თანაბრად არ ვრცელდებოდა და, მაშასადამე, მათ შორის ღრმა უფლებრივი განსხვავება არსებობდა. ებრაელთა მეტნაკლები უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო მათ შორის არსებული სოციალური და ქონებრივი განსხვავება, რაც უფრო მეტი სიცხადითა ჩანს XI ს. 70-იანი წლებიდან.

70-იანი წლების დასაწყისისათვის ახალციხელი ებრაელების ქონებრივი დიფერენციაციის დაახლოებით სურათს გვაძლევს ჩვენს მიერ ახალციხის რაიონულ არქივში აღმოჩენილი ებრაელთა კომლობრივი სია<sup>1)</sup>; სადაც მოცემულია ებრაელთა კვარტალში არსებული დეღის გაწმენდისათვის შეწერილი გადასახადის რაოდენობა თითოეულ კომლზე 1872 წლისათვის. აღნიშნული სიის მიხედვით ამ დროს ახალციხეში ითვლებოდა 206 კომლი ებრაელი<sup>2)</sup>; მათ

1) ახალციხის სარაიონო სარქივო სამს., საქ. № 2.

2) სიაში გამოტოვებული უნდა იყოს 10—12 კომლი, რომლებიც შეუძლებლობის გამო გადასახადებიდან განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ.

შორის გრდასახადი განაწილებულია შემდეგნაირად: 206 კომლიდან 103 კომლი იხდის 10—40 კაპიკამდე ჩათვლით, 87 კომლი—50 კაპ. 90 კაპიკამდე ჩათვლით, 16 კომლი—1—2 მან. 40 კაპიკამდე ჩათვლით. თუ პირობითად 10—40 კაპ. გადამხდელებს მცირე შეძლების მქონეთა რიცხვში ჩათვლით, 50—90 კაპ. გადამხდელებს—საშუალო შეძლების მქონეთა რიცხვში და 1 მ.—2 მ. 40 კაპ. გადამხდელებს—შეძლებულთა რიცხვში, მაშინ გამოდის, რომ ახალციხის ებრაელთა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს შეადგენდა სულ დაახ. 16 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 8<sup>1</sup>/<sub>6</sub>, საშუალო შეძლების მქონეთა ნაწილს—87 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 42<sup>1</sup>/<sub>6</sub>, ხოლო მცირე შეძლების მქონეთა ნაწილს—103 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 50<sup>0</sup>/<sub>6</sub> )).

ერთი ებრაელმა ოჯახში შემთხვევით აღმოჩენილი მსგავსი გადასახადების სია (თუმცა სიაში არაა ნაჩვენები, თუ რა გადასახადებს ეკუთვნის იგი) მოგვცოვება ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთა შესახებაც. საბუთი ქართულ ენაზეა დაწერილი, დათარიღებული არ არის, მაგრამ მასში შეტანილი სახელებისა და გვარების მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს 1875—80-იან წლებს საბუთის მიხედვით ამ პერიოდში ცხინვალში უცხოვრია 246 კომლ ებრაელს<sup>2)</sup>. ამ რიცხვიდან 51 კომლზე გაწერილი ყოფილა 20—40 კაპიკრ გადასახადი, 44 კომლზე 50—70 კაპიკი, 27 კომლზე 80 კაპ. 1 მანეთამდე ჩათვლით, ხოლო 124 კომლი სრულიად განთავისუფლებული ყოფილა გადასახადისაგან. თუ აქვე პირობით გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უღარიბეს ებრაელთა რიცხვში მოვაქცევთ, 20—40 კაპ. გადამხდელებს მცირე შეძლების მქონეთა რიცხვში, 50—70 კაპ. გადამხდელებს საშუალო შეძლებულთა რიცხვში და 80 კაპ. 1 მან. გადამხდელებს შეძლებულთა რიცხვში, მაშინ გამოდის, რომ ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთაგან შეძლებულ ნაწილს შეადგენდა დაახლოებით 27 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 11<sup>0</sup>/<sub>6</sub>, საშუალო შეძლებულებს—44 კომლი, ანუ 18<sup>0</sup>/<sub>6</sub>, მცირე შეძლების მქონეებს—51

1) აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მთავრობა მოსახლეობაზე ამგვარი გადასახადების გაწერას ანდობდა უფრო გავლენიან და შეძლებულ პირებს, რომლებიც ხშირად თავიანთი შეხედულებებით ღარიბ კაცს საშუალო შეძლების მქონეთა თანაბრებდნენ და საშუალოს—შეძლებულებთან.

2) როგორც ჩანს, ეს სია სრული არ უნდა იყოს, რადგან გადამხდელთა გვარისა, სახელისა და მამის სახელის აღნიშვნის ბოლოებში მოწერილია: „ძმითა“, „ამებითა“, „მისწულებითა“, „ქერივითა“ (ასეთი მინაწერები სულ 24-ია). თუ მხედველობაში მივიღებთ ამ მინაწერებს და მიუმატებთ მათ სიაში მოხვეწულ რიცხვს; მაშინ ამ პერიოდში ცხინვალში ცხოვრობდა 270 კომლი ებრაელი.

კომლი, ანუ 21% და ლარიბებს—124 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 50%<sup>1)</sup>).

ამ საბუთების განხილვიდან ჩანს, რომ ახალციხესა და ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთა დიდი უმრავლესობა, დაახლოებით 60%, ლარიბი და მცირე შეძლების მქონენი ყოფილან, უფრო მცირე ნაწილი, ანუ დაახლოებით 30%—საშუალო შეძლების მქონენი, ხოლო დაახლოებით 10%—შეძლებულნი.

თუ როგორა იყო, როგორც ამ დროისათვის, ისე სხვა პერიოდებისათვის, ზემოაღნიშნულს გარდა. სხვა ადგილებზე მცხოვრებ ებრაელთა ქონებრივი დიფერენციაცია, მათი სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა და როგორ მიმდინარეობდა მათი რიცხოვრივი ზრდა და სხვა, ამის შესახებ, სამწუხაროდ, საკირო ცნობები ჩვენ არ გვაგვაჩინია. მაგრამ ამ საკითხებზე ჩვენ მიერ საქ. ებრაელთა თითქმის ყველა საცხოვრებელ ადგილებში მოხლცებისაგან შეგროვილია საკმარისი მასალა. ეს მასალები ნაწილობრივ ემთხვევა ებრაელთა შესახებ არსებულ სტატისტიკურ ცნობებს<sup>2)</sup> და მათი ურთიერთ შედარება ცოტად თუ ბევრად შესაძლებლობას გვაძლევს დაახლოებითი სურათი მაინც აღვვადგინოთ საქ. ებრაელთა რიცხოვრივი ზრდის, სოციალურ-პროფესიონალური შემადგენლობისა და ქონებრივი დიფერენციაციის შესახებ.

ამ ცნობების მიხედვით 1870—72 წლებში საქართველოში ცხოვრობდა დაახლოებით 2020 კომლი ქართ. ებრაელი. თუ ამ დროისთვის თათიკულ კომლში საშუალოდ 6 სულს ჩავთვლით, მაშინ მათი სულადობა შეადგენდა 13120. ამ 2020 კომლიდან დაახლოებით 1630 ანუ მთელი მოსახლეობის 80,7% ევაკრბას მისდევდა, ხოლო 390 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 19,3% იყვნენ დღიური მუშები, მოკამაგირეები, კულტის მსახურნი, სოფლის მეურნენი, ხელოსნები, ნოქრები, შრომის უნარმოკლებულნი, მათხოვრები და სხვა<sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> საბუთი დაკუთვლია საქ. ებრ. მუზეუმში.

<sup>2)</sup> ებრაელთა შესახებ არსებულ სტატისტიკურ ცნობებში არაა ცალკე ნაჩვენები საქ. ებრაელები, გვრობელი ებრაელები, მთიელი ანუ დაღესტნის ებრაელები და სხვა, რაც ამჟამად საქ. ებრაელთა ზუსტ რიცხვობრივ განსაზღვრას.

<sup>3)</sup> ამ პერიოდში ზოგიერთ დაბა-სოფლებში, მაგ., აწყურში და ზურთოვასში მცხოვრებ ებრაელთა დიდი უმრავლესობა ხელოსნობა-შინამრეწველობაში იყო ჩაბმული. როგორც საქ. ცენტრ. ისტორ. არქივში აღმოჩენილი საბუთებიდან ირ. კველა, № 46 წ. აწყურში მცხოვრებ 27 კომლი ებრაელებიდან ოთქმის ყველა შინამრეწველობაში ყოფილი ჩაბმული (ისინი მისდევდნენ უმრავლესად მედაბაღეობასა და მეწუღეობას). იმის გამო, რომ ისინი იბევრებიდნენ მიწადომოქმედ, მამულის მქონე გლეხობის თანაბრად, მათ შთავრობისაგან მოუთხოვიათ გადასახადების შემცირება, ან ახალციხეში გადასახლება (იხ. საქ. ცენტრ. ისტორ. არქივი, ფონდი № 30, ს.ბ. № 14080, ფურცელი 3—6).



1900-იან წლების დასაწყისში საქ. ებრ. მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 3580 კომლს. თუ ამ დროისათვის თითოეულ კომლში საშუალოდ 5 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ მათი რაოდენობა აღწევდა 17900 სულს. ამ 3580 კომლიდან დაახლოებით 2830 კომლი ანუ 79,1% ვაქრობას მისდევდა. ხოლო დანარჩენი 750 კომლი ანუ 20,9% სხვა სოციალურ და პროფესიონალურ კატეგორიაში იყო მოქცეული<sup>1)</sup>.

რევოლუციამდელ პერიოდისათვის (1913—14 წლები) საქ. ებრაელთა მოსახლეობა დაახლოებით 4200 კომლს, ანუ 21000-მდე სულს აღწევდა. აქედან დაახლოებით 3214 კომლი, ანუ 77,2% ვაქრობას მისდევდა და 960 კომლი, ანუ 22,8% სხვა საქმიანობას.

როგორც ვხედავთ, ბატონყმობის ვიდეარდნის შემდეგ საქ. ებრაელთა მოსახლეობა იზრდებოდა. ამასთანავე დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა მათი სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობაც. თუ 1870-იანი წლების დასაწყისში ებრაელთა მოსახლეობის დაახლოებით 80,7% ვაქრობას მისდევდა და 19,3% სხვა საქმიანობას, 43 წლის განმავლობაში ადემ-მიციებაში ჩაბმული იყო დაახლოებით 77,2% და სხვა საქმიანობაში—22,8%.

როგორც ვხედავთ, დროთა განმავლობაში საშუალო ვაქრების ხარჯზე იზრდებოდა წვრილი და, ნაწილობრივ, მსხვილი ვაქრები. დაახლოებით 43 წ. განმავლობაში მსხვილი ვაქრების რიცხვის პროცენტული ზრდა აღწევს 0,5%, ხოლო წვრილი ვაქრებისა—2,6%.

ამრიგად, დროთა განმავლობაში, ებრაელთა მოსახლეობის საერთო ზრდასთან შეფარდებით, მოვაქრეთა რიცხვი თანდათანობით მკირდებოდა, რაც, სხვათა შორის, იმითაც უნდა ახსნას, რომ წვრილ ვაქრობაში ჩაბმულ ებრაელთა უმრავლესობა ამ საქმიანობით ვერ აკმაყოფილებდა თავის ეკონომიურ მოთხოვნილებას და ამის გამო, ერთი ნაწილი იძულებულნი იყვნენ სამუშაო გამოეძებნათ. მგვილის თაღ, XIX ს. მიწურულს და შემდეგშიაც ცხინვალში მცხოვრები ებრაელი წვრილი ვაქრების ერთი ნაწილი იძულებული ყოფილა თავისი შვილი რამე ხელობის შესასწავლად შეგიროდად მიებარებინათ. მართლაც, ამ პერიოდში რამდენიმე წვრილი ვაქრის შვილს შეუესწავლია ხელობა, უმთავრესად მეწუღეობა და ხან ხელობას მისდევდა და ხან ვაქრობას, იმის მიხედვით, თუ როდის რომელი იყო უფრო ხელსაყრელი.

<sup>1)</sup> ამ რიცხვში-არ შედის რუსი, ირანელი, მთიელი და სხვა ებრაელები.

ზემოაღნიშნული ცნობები უფრო საინტერესო სურათს გვაძლევს თვით მოვაჭრე ებრაელთა ეკონომიური დიფერენციაციისა და მათი ქონებრივი მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით აღებ-მაცემაში ჩაბმულ ებრაელთა მთელი მასა მათი ეკონომიური ნიშნების მიხედვით პირობითად შეიძლება დავეყოთ სამ ძირითად ფენად: 1) მსხვილი ვაჭრები, 2) საშუალო შეძლების ვაჭრები, და 3) წვრილი ვაჭრები. პირველ ფენაში შეიძლება მოვაქციოთ ისეთი ვაჭრები, რომლებსაც ჰქონდათ დაახლოებით 3000 მანეთზე მეტი საკუთარი საბრუნავი თანხა, პირველი ან მეორე გილდის პატენტი, საქონელს იქენდნენ უმთავრესად საზღვარგარეთ, ან რუსეთში, აწარმოებდნენ ბითუმად ვაჭრობას და მეცხვრობას და თავიანთი საქონლის გამსაღებლად ჰყავდით რამდენიმე „მესოფლე-პრიკაშიჩიკი“<sup>1)</sup>.

მეორე, საშუალო ვაჭართა ფენაში შეიძლება მოვაქციოთ ისეთი ვაჭრები, რომლებსაც ჰქონდათ 100—300 მანეთამდე საკუთარი საბრუნავი თანხა, მეორე გილდის მესამე თანრიგის პატენტი, ან წვრილმანით ვაჭრობის მოწმობა, საქონელს იქენდნენ ადგილობრივ საქართველოს ფარგლებში და უმთავრესად ცალობით ვაჭრობას აწარმოებდნენ.

მესამე ფენაში უნდა მოექცნენ ისეთი ვაჭრები, რომლებიც არულისად მოკლებულნი იყვნენ საკუთარ თანხას, ან ჰქონდათ 10—100 მან. საკუთარი საბრუნავი საშუალება, აღებული ჰქონდათ საქონლის დამტარებლის, წვრილად მოვაჭრის მოწმობები, ან სრულიად არ ჰქონდათ მოწმობები და კრედიტით აღებული საქონლით აწარმოებდნენ სოფლად ვაჭრობას.

ამრიგად, მოვაჭრე ებრაელობა ეკონომიური ნიშნების მიხედვით იყოფოდა სამ ძირითად ფენად, რომელთა ცალკეული ელემენტები დროთა განმავლობაში ერთი ფენიდან მეორეში გადადიოდნენ, ხოლო საბოლოო ჯამში საშუალო ვაჭრების ხარჯზე იზრდებოდა წვრილ მოვაჭრეთა ფენა, რომელიც მთელ მოვაჭრეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდა.

მოვაჭრე ებრაელთა სამი ძირითადი ფენა ურთიერთშორის სავაჭრო დამოკიდებულებისა და „წოდების“ მხრივ უმთავრესად ორ ჯგუფად იყოფოდა, პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ეგრედწოდებული „ხაზინები“, ანუ ის შეძლებული ვაჭრები, რომლებიც გარკვეული ვადით კრედიტით აძლევდნენ საქონელს წვრილ ვაჭრებს; მეორე

<sup>1)</sup> თუ რას ნიშნავს „მესოფლე-პრიკაშიჩიკი“ ამის შესახებ კვებით გვეყენება საუბარი.

ჯგუფს ეკუთვნოდნენ საკუთარ საბრუნავ თანხას მოკლებულნი (უმრავლესობა) და მცირე თანხის მქონე (უმცირესობა) წერილი ვაჭრები, ეგრედწოდებული „პრიკაშნიკები“, ანუ „მესოფლეები“, რომლებიც თავიანთი „ხაზინებისაგან“ კრედიტით იღებდნენ საქონელს და მისდებდნენ უმთავრესად სოფლად ვაჭრობას.

ამ ორი მთავარი ჯგუფის გარდა, როგორც ვიცით, არსებობდა კიდევ საშუალო შეძლების მოვაჭრეთა ფენა, რომლის ერთი მცირე ნაწილი „ხაზინების“ როლში გამოდიოდა, მეორე ნაწილი — „მესოფლე-პრიკაშნიკების“ როლში, ხოლო მესამე (დიდი ნაწილი) თავისი საკუთარი თანხით აწარმოებდა ცალკობით ვაჭრობას.

„მესოფლე-პრიკაშნიკები“, უმთავრესად აღმ. საქართველოში, სამი სახისანი იყვნენ:

1. ეგრედწოდებული „დღიური პრიკაშნიკები“, რომლებიც ნისიად იღებდნენ საქონელს 1—2 დღის ვადით.

2. „კვირეული“, — რომლებიც საქონელს იღებდნენ ნისიად ერთი კვირის ვადით.

3. „ვადიანი“, — რომლებიც საქონელს იღებდნენ ნისიად 1—6 თვის ვადით.

„დღიური“ „მესოფლე-პრიკაშნიკები“ იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მახლობელ სოფლებში მოსიარულე ვაჭრები, „კვირეული“ — დაშორებულ სოფლებში, ხოლო „ვადიანი“ უფრო შორეულ სოფლებში მოსიარულენი, მაგ. ცხინვალიდან კახეთში, საჩხერეიდან — ხევსურეთში და სხვა.

თითოეულ „ხაზინის“ „პრიკაშნიკების“ გარკვეული რაოდენობა ჰყავდა (5, 10, 20 და ა. შ.), რომლებთანაც ურთიერთ დაშორებულ სოფლებსა და ადგილებს შორის გარკვეული პირობები ჰქონდა შემუშავებული. ბითუმად მოვაჭრე „ხაზინი“ თავის „პრიკაშნიკებზე“ და სხვაზე დაც საქონელს ჰყიდდა ორი წესით: 1. „მოწყვეტით“ ანუ ჩვეულებრივად შეიძველსა და გამყიდველს შორის საქონლის ფასის მორიგება-შეთანხმებით (მაგ., მყიდველი არშინ ჩითს ყიდულობს 12 კაპ., 13-ად და ა. შ.), 2. „ამანათობით“ ანუ გამყიდველის მიერ საქონლის ნაყიდობის ფასზე-მოგების გარკვეული პროცენტების დარიცხვით, მაგ., „ათი-თერთმეტით“, რაც გულისხმობს 10 მანეთად ნაყიდი საქონლის 11 მან. გაყიდვას, ანუ 10% მოგების დარიცხვას, „ათი-თორმეტით“ — 20% მოგების დარიცხვას, „ათი-ცამეტით“ — 30% მოგების დარიცხვას და ა. შ. „ათი-თერთმეტის“ მოგებით საქონელი უფრო დღიურ „მესოფლე პრიკაშნიკებზე“ იყიდებოდა, „ათი-თორმეტის“ — „კვირეულზე“, ხოლო „ათი-ცამეტის“ და ზევით — „ვადიანზე“.

„ამანათობილ“ საქონლის შესყიდვის დროს „მესოფლე-პრიკაშნიკს“ შეეძლო მოეთხოვა თავისი „ხაზეინებისაგან“ საქონლის ნასყიდობის ანგარიში (счет), მაგრამ „პრიკაშნიკების“ უმრავლესობა ამ შირიგ თავის „ხაზეინს“ ენდობოდა, ეს გარემოება კი საშუალებას აძლევდა „ხაზეინს“, რომ სინამდვილეში 10 კაპ. ნაყიდი საქონელი 11 კაპ. მეცა „პრიკაშნიკისათვის“ და სხვა.

მეტი მოგებით დაინტერესებულ წმძღებულ ვაჭარს კარგად ესმოდა, რომ საქონლის რაც უფრო მეტი გამსაღებელი ეყოლებოდა, მათ უფრო გაიზრდებოდა მისი კაპიტალის ბრუნვა და აქედან, ცხადია, მოგებაც. ამიტომ შეძლებული ვაჭარი ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება მეტი „პრიკაშნიკი“ ჰყოლოდა და საამისო პირობებიც შექმნილი იყო: ეკონომიურად ჩამოარჩენილისა და რაიმე სხვა სამეურნეო საქმიანობასა და პროფესიას მოკლებული ღარიბ ებრაელთა მასა იძულებული იყო შეძლებული ვაჭრების საქონლის გამსაღებელი, ანუ „პრიკაშნიკი“ გამხდარიყო. ამ გარემოებით სარგებლობდა „ხაზეინი“ და გარეგნულად თითქოს ხელს უმართავდა თავის „მომძე“ ღარიბ ებრაელობას, ხოლო სინამდვილეში მათი საშუალებით დიდ მოგებას იძენდა.

აზლად აკვანილ „მესოფლე-პრიკაშნიკს“ „ხაზეინი“ პირველად 20—30 მანეთის საქონელს აძლევდა ნისიად, ხოლო „პრიკაშნიკის“ მიერ საქმის ნადობის მოხვეჭის შემდეგ ამ უკანასკნელს გარკვეული თანასუქის საფუძველზე შეეძლო 100—200 მან. და მეტის საქონელი აეღო ნისიად.

ზოგ შემთხვევაში „ხაზეინი“ რომელიმე სანდო „პრიკაშნიკს“ საქონლის ნისიად გაცემის გარდა, საქონლის სოფლად გატანის მიზნით, თავისი ფულით უყიდდა ცხენს, ცხენის მთელ მორთულობას, ხურჯინს, რომლის ღირებულება „მესოფლის“ ვალს შეადგენდა.

„მესოფლე-პრიკაშნიკი“ აიღებდა რა „ხაზეინისაგან“ გარკვეული რაოდენობის, მაგ., 100 მან. საქონელს, ვალდებული იყო საქონლის ერთი ნაწილის რეალიზაციის შემდეგ მთელი ნაეჭრი თავისი ხაზეინისათვის მიეტანა<sup>2)</sup>, რის შემდეგ შეეძლო სამაგიერო საქონლის წაღება, ხოლო მის მიერ პირველად აღებული, ამ შემთხვევაში 100 მან. ღირებულების, საქონელი მის მუდმივ ვალს შეადგენდა.

„ფლიურ“ და „კვირულ“ მესოფლე-პრიკაშნიკს თავისი „ხაზეინის“ გარეშე არც კრედიტით და არც ხალდ ანგარიშზე სხვა

<sup>2)</sup> ეს ვალდებულებანი ეხებოდა „ფლიურ“ და „კვირულ“, პრიკაშნიკებს.

რომელიმე ვაჭრისაგან საქონლის შეძენის უფლება არ ჰქონდა<sup>1)</sup>, წინააღმდეგ შემთხვევაში „ხაზენი“ მას თავის საქონელს ჩამოართმევდა, ხოლო ვალის მოლიანად გადახდის შემდეგ მას შეეძლო თავის „ხაზენთან“ სააღებ-მიცემო ურთიერთობა შეეწყვიტა. ასეთ შემთხვევაში, საკუთარი თანხის უქონლობის გამო იგი იძულებული იყო სხვა „ხაზენი“ გამოეძებნა.

„მესოფლე-პრიკაშიკის“ უპირადა ნისიად აღებული საქონლის რვალიზაცია, რადგან ნაღდ ანგარიშზე საქონლის მყიდველ ვაჭართან შედარებით იგი ზედმეტ ფასებში ყიდულობდა საქონელს და, ცალკე შემთხვევების გარდა, იძულებული იყო მცირე მოგებით დაკმაყოფილებულიყო. ვალის დროზე გადახდის აუცილებლობისა და ბაზარზე გამეფებული კონკურენციის გამო, მას საშუალება არ ჰქონდა ისეთი მოგებით გაეყიდა საქონელი, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც გარკვეული საკუთარი თანხა დაეჭირა ხელში და „ხაზენის“ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულიყო. მართალია, თითო ოროლა მოხერხებულ „პრიკაშიკს“, რაიმე შემთხვევის წვდომით, შეეძლო როგორმე თავი დაედგინა მსხვილი ვაჭრის ვალისაგან, მაგრამ წერილ ვაჭართა დიდი უმრავლესობა „ხაზენების“ მუდმივ ვალში იმყოფებოდა.

ცხოვრების ნორმალურ პირობებში წერილი ვაჭრების უმრავლესობა დიდი წვალებითა და შრომით ახერხებდა ცოლშვილის რჩენას, ხოლო ზოგიერთი უბედური შემთხვევები: გაძარცვა, ავადმყოფობა, ოჯახის წევრის სიკვდილი თუ სხვა, მას აუტანელ პირობებში აყენებდა. ასეთ პირობებში მოქცეულ „პრიკაშიკს“ ვალის დროზე გადახდა არ შეეძლო, რის გამოც არა იშვიათი ყოფილა შემთხვევები, როდესაც კანონის ძალით „ხაზენის“ თავისი „პრიკაშიკის“ უკანასკნელი წიგითი კი აუწერია და ჩამოურთმევია<sup>2)</sup>.

შედლებული ვაჭრების უმრავლესობას „მესოფლე-პრიკაშიკების“ გარდა დაქირავებული ჰყავდათ ნოქრები და მოჯამაგირეები, რომლებიც მძიმე ექსპლოატაციის განიცდიდნენ. ნოქრები ჩვეულებრივად დაქირავებული პირები იყვნენ და „ხაზენებთან“ შეთანხმებით ლეზულობდნენ თვეში 10—20 მან. ხელფასს. მათი უმრავლესობა შრომის დაცვის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული იყო და

1) „ვადიან“ „პრიკაშიკს“ შეეძლო სხვა ვაჭრისაგანაც შეესყიდა საქონელი, მხოლოდ ვალი დროზე უნდა გადაეხადა.

2) საქონლის ჩამორთმევის შემთხვევა ჩვენ XIX ს. პირველ ნახევარშიც შეგვხვდა, როდესაც ქანაშვილს თავისი კრედიტორები სტაცებენ საქონელს (იხ. საქ. ებრ. ისტ. ეთნ. მუზეუმის „შრომები“, ტ. I, გვ. 44.)

განუსაზღვრელ დროს მუშაობდა. ნოქრების ძირითადი სამუშაო, საქონლის მიღება და გაგზავნა, „ხაზინის“ მიერ გავალებული თანხების შესაგროვებლად სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ „პრიკაშიკებთან“ მისვლა, კლიენტების მიზიდვა და დუქანში ვაჭრობა იყო. ნოქრის ხელფასის სიდიდე და „ხაზინთან“ მისი მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად მოხერხებული და უნარბირი იყო იგი მეტი მუშტრის მიზიდვაში, საქონლის დიდი მოგებით გაყიდვაში და საერთოდ „ხაზინის“ სასარგებლოდ საქმის მოგვარებაში.

რაც შეეხება „მოჯამაგირებს“, ესენი იყვნენ უმთავრესად წერილი-ვაჭრების მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც გარკვეულ წლებს მანძილზე მძიმე შრომას ეწეოდნენ.

ღარიბი ებრაელი რომელიმე შეძლებულ ვაჭარს უფრო იმ პირობით აბარებდა თავის შვილს მოჯამაგირედ, რომ მას 2—3 წლის განმავლობაში „ხაზინის“ სახლში ემუშავა და ამავე დროს დუქანში, შავი სამუშაოს შესრულებასთან ერთად, ვაჭრობაც შეესწავლა და ბოლოს ამავე დაქირავებლის დუქანში ნოქრის თანამდებობა მიეღო. მაგრამ იშვიათი ყოფილა ისეთი მოჯამაგირე, რომელიც ნოქრობას ეღირობოდა, რადგან მას ისეთ აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, რომ იძულებული ხდებოდა თავის „ხაზინს“ გაქცეოდა. მოჯამაგირეთა უმრავლესობა წინასწარი გარიგების მახდევით თავის შრომაში, „ხაზინის“ სუფრის ნარჩენებით თავის გამოკვების გარდა, არაფეთარ ხელფასს არ იღებდა, ხოლო მათი მცირე ნაწილი წლიურად იღებდა 5—10 მან.

მოჯამაგირე თითქმის მთელ დღეს შეუსვენებლად მუშაობდა. მისი მთავარი სამუშაო იყო: სახლისა და დუქნის დასუფთავება, იატაკისა და ჭურჭლის რეცხვა, წყლის ნიდვა, შემის დაჭრა, ქვებების დახეხვა, ფხნსაცმელების წმენდა, ბაზრიდან საწოვავის მოტანა, დუქანში სადილის წაღება და სხვა. ასეთი მძიმე შრომის შედეგად მოჯამაგირეთა ერთი ნაწილი გაუბროდა თავიანთ „ხაზინებს“, მაგრამ ზოგი გაჯირებული მშობელი აიძულებდა თავის შვილს უკან დაბრუნებულიყო, დროებით გაეძლო როგორმე ასეთი პირობებისათვის, რათა შეძლებული ვაჭრის ხელში აღზრდისა და მასი საქმიანობის გაცნობის შემდეგ, შესაძლებელია, ბოლოს „კაცი გა-მოსულიყო“.

შეძლებული-ვაჭრების გარდა, მოჯამაგირის შრომით სარგებლობდა აგრეთვე საშუალო ვაჭრების ერთი ნაწილიც. სოფლად მონიარულე ზოგიერთი საშუალო შეძლების ვაჭარს დაქირავებული

ჰყავდა ებრაელი მოჯამაგირე, რომელსაც იყენებდა საჭონლის დასატარებლად და საერთოდ ვაჭრობის დროს.

მოჯამაგირეებად დგებოდნენ ღარიბი ებრაელები, რომლებსაც არ გააჩნდათ ხელობა და არც გარკვეული ნდობა ჰქონდათ შეძლებულ ვაჭრებთან, რათა მათი „პრიკაშიკები“ გამხდარიყვნენ. ამავე დროს მოჯამაგირეთა მეტი ნაწილი, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში, მცირეწლოვანთ ბავშვებზე იყვნენ. ისევე როგორც „მესოფლე პრიკაშიკები“, მოჯამაგირეებიც იყვნენ „ღლიური“, „კვირეული“ და „თვიური“, რომლებიც წინასწარ უთანხმდებოდნენ დამქირავებლებს მათი მუშაობის დროისა და პირობების შესახებ. „ღლიური“ მოჯამაგირე თავის შრომის ასანაზღაურებლად ღებულობდა ხელუფასს დღეში 20—30 კაპიკს, „კვირეული“ კვირაში—1 მ. 20 კაპ.—1 მან. 80 კაპ.—დღე, „თვიური“—თვეში 5—7 მანეთს. ხელფასის ზიკემის გარდა, დამქირავებელს ევალებოდა მოჯამაგირის გამოკვება მუშაობის დროს.

ვაჭარ-დამქირავებელს მოჯამაგირე დაჰყვებოდა სოფლად, ზურგი ატარებდა მის საქონელს, ან წინ უძღვოდა საქონლით დატვირთულ ცხენს, თავის ადევნებდა, რომ ვაჭრობის დროს საქონელი არ დაეარგულიყო და სხვა. მასვე ევალებოდა ცხენის მოვლა, ცხენიდან ბოხების ჩამოხსნა-აკიდება, საკვების შოვნა.

საშუალო ვაჭარი მოჯამაგირის დაქირავებით, ერთის მხრივ, იმსუბუქებდა თავის შრომას და, მეორეს მხრივ, მისი საშუალებით სოფლად მატკონდა საქონლის მეტი ასორტიმენტი, რომლის რეალიზაციით მოჯამაგირეზე გაწეულ ხარჯებს, ცხადია, ერთიორად ანაზღაურებდა.

საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ახალციხელი ებრაელების მოჯამაგირედ წასვლა. ახალციხეში მცხოვრებ ღარიბ ებრაელთა ერთი ნაწილი დღიური სამუშაოებით (წყლის ზიდვა, შეშის მოტანა და სხვა) ირჩენდა თავს; ნაწილი მოჯამაგირედ მიდიოდა სტამბოლს და სხვა ქალაქებში. შორეულ ქვეყნებში მოჯამაგირედ და ფულის საზოგადოებად წასულს „ყურბათს“ უწოდებდნენ. „ყურბათად“ წასული დიდი ხნით სტოვებდა თავის ოჯახს, უძღვებოდა რომელიმე ვაჭარს მოჯამაგირედ, შესაძლებლობის ფარგლებში იქიდან უგზავნიდა ცოლშვილს საარსებო წყაროს და ხშირად, 3—4 წ. განმავლობაში „ყურბათა“ ყოფნის შემდეგ, ხელცარიელი ბრუნდებოდა სახლში.

„ყურბათად“ წასვლა ისეთი თვალსწინის მოვლენას წარმოადგენდა ახალციხის ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაში, რომ ამის შესახებ შემონახულია საინტერესო ხალხური ლექსი, რომელსაც „ყურბათად“

წასულის მოლოდინში უბატრონოდ დარჩენილი ქალები მღეროდნენ<sup>1)</sup>).

ამრიგად საქ. ებრაელთა ღარიბი მასიდან ერთი დიდი ნაწილი წვრილ ვაჭრობას მისდევდა და შეძლებულა ვაჭრის ყვლეფის ობიექტს წარმოადგენდა, ხოლო მეორე, მცირე ნაწილი, განიცდიდა რა შეძლებული და ნაწილობრივ საშუალო ვაჭრის მხრივ დიდ ექსპლოატაციას, იძულებული იყო დღიური მუშაობით და მოკვამაგირეობით ერჩინა თავი.

\*  
\*  
\*

ზემოაღნიშნული მასალებიდან ჩანს, რომ საშინაო აღებ-მიცემაში ჩაბმულ ებრაელთა დიდი უმრავლესობა სოფლად ვაჭრობას მისდევდა. ებრაელების გარდა, სხვადასხვა სოფლებში, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ვაჭრებიც იყვნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ძირითადად ერთ ადგილზე, ღუქნებსა და მალაზეებში აწარმოებდნენ აღებ-მიცემას. ებრაელები კი, პირიქით, თავიანთ საქონელს კარაკარ ატარებდნენ. საშინაო აღებ-მიცემაში ჩაბმულ სხვა ვაჭრებისაგან განსხვავებით სწორედ ამ მოვლენაში მდგომარეობს საქ. ებრაელთა ძირითადი მასის აღებ-მიცემის სპეციფიკურობა.

XIX ს. დასასრულს სოფლად მოსიარულე ებრაელეის შორის გვეხვდებიან სხვადასხვა საქონლით მოვაჭრენი: 1) მეფართლები ანუ ფართლით მოვაჭრენი, 2) „მელენგრეები“ (საგალანტერიო საქონლით მოვაჭრენი), 3) მეწვრილმანეები, 4) ჭურჭლით მოვაჭრენი, 5) წულეებითა და ქალამნის შოლტებით მოვაჭრენი, 6) ნავთით და მარილით მოვაჭრენი, 7) აბგის წამლებით მოვაჭრენი და სხვა.

მეფართლეთა ერთი ნაწილი საქონელს ზურავით ატარებდა; მეორე ნაწილი — ცხენის საშუალებით; წვრილმანით, ნავთით, მარილით და აბგის წამლებით მოვაჭრეთა უმრავლესობა საქონელს ატარებდა ზურავით, ერთი ნაწილი კი სახედრის საშუალებით; „მელენგრეები“ და ჭურჭლით მოვაჭრენი საქონელს ატარებდნენ ზურავით.

1) ამოდო, ქარო-ნიაგო,  
სტამბოლის მინდორზე,  
საგონებელი მანდა მყანა,  
სული და გული ჭკვიანო.  
გულზე ვარამი მაცეცხა,  
თვალისა და ცრემლი მცვივაო.  
შენ გენაცვალე, უშენოდ  
მე ველარ შემოძლიაო.

რისთვის დამშორდი, გენაცვა.  
სიცოცხლე გამიმწარეო,  
კაცო, გაცოფა ყურბათ!  
მოდო, შენ გენაცვალეო.  
მაკარე ტახჯვა-ლიდინი,  
გნაო და გამანარეო.



მეფართლეთა ინვენტარს შეადგენდა ფართლის ჩასაწყობი ბოხჩა, ანუ ფუთა, და არშინი; ცხენით ფართლის დამტარებლებს კი ჰქონდათ დიდი ხურჯინი, რომლის ორივე თვალში შეკრული ბოხჩები ლაგდებოდა.

საგალანტერიო საქონლით მოვაჭრის ინვენტარი იყო სპეციალურად დამზადებული ხის ყუთი, რასაც „სალენგრე იაშიკს“ უწოდებდნენ, და არშინი. „მელენგრეები“ საქონლის ჩასაწყობად ხმარობდნენ მუყაოდან დამზადებულ ბრტყელ ყუთებს, რომლებიც „სალენგრე იაშიკში“ ერთმანეთზე ლაგდებოდა. „სალენგრე იაშიკს“ ჰკრავდნენ ბოხჩაში ან ორივე გვერდზე უკეთებდნენ თასმებს, რითაც შეიძლებოდა მისი ზურგზე მოკიდება.

აბგის წამლებით მოვაჭრებს ჰქონდათ ხის ოთხკუთხედი ბრტყელი ყუთები, რომლებიც ერთმანეთზე ლაგდებოდა. თითოეულ ყუთს რამდენიმე განყოფილება ჰქონდა, სადაც აწყობდნენ სხვადასხვა წამალს, ხოლო წამლების ერთ ნაწილს უბრალო ჭვრებში ახვევდნენ.

მეწვრილმანეთა და ჩამოთვლილ სხვა მოვაჭრეთა ინვენტარს შეადგენდა ჩვეულებრივი კალათა, რაშიაც ეწყო საქონელი, ტომარა (სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩასაწყობად), ხელოსის სასწორი ანუ „ყანთარი“, გირები, მსანავთე ქურქელი და სხვა.

სოფლად მოვაჭრეთა უმრავლესობა მეფართლეები და მეწვრილმანეები იყვნენ.

XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისისათვის მეფართლეთა „შეშულს“ ანუ ასორტიმენტს შეადგენდა უმთავრესად რუსეთის მანუფაქტურული ნაწარმი<sup>1)</sup>: სხვადასხვა სახის, ფერისა და ხარისხის დაბასმული ჩითეულობა, რაც ცნობილი იყო ვაჭართა წრეში და ნაწილობრივ მომხმარებლებშიც უფრო მათი ფაბრიკანტების გვარებით (მაგ. მუსლინის, გარელინის, დერბენოვის, ვიტოვის, დანილოვსკის, კონშინის, შერბაკოვის, პროხოროვის, მარავეის და სხვა ჩითები). ამ ჩითეულობას გლეხობის დარიბი ფენა ხმარობდა უმთავრესად საკაბეებად, სახალათეებად, საპერანგეებად, საბნის პირებად და სხვა. ბამბეულის ნაწარმიდან გლეხობისათვის პირველი მოთხოვნის სავანი იყო ამერიკა-იარღალი, ანუ ნარმა, რასაც საცვლებად და ქვეშსაგებლების შიდა პირებად ხმარობდნენ.

გარდა ამისა, ფართლეულიდან გლეხებისათვის მთავარი მოთხოვნის სავანი ყოფილა „ლურჯი“ (ლილისურად შეღებილი

1) სოფლად მოსიარულე ვაჭრებს ასორტიმენტი შერჩეული ჰქონდათ იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს რა სახის საქაოვლზე იყო მოთხოვნა.

ნარმა), რაც განსაკუთრებით აღმა საქართველოში იხმარებოდა—სა-  
შარველებად, სახალათეებად და, ნაწილობრივ, საცვლებადაც, ოსო-  
გორც „საქუქყო“, ანუ ქუქყის ამტანი<sup>1)</sup>. გლეხობის საშუალო ფენა  
უფრო სადღესასწაულო საშარველ-სახალათეებად ხმარობდა შავ მალა-  
სკინს, ან ლურჯ დემიკოტონს (სატინის მსგავსი სქელი მატერია), რაც  
„ლურჯთან“ შედარებით უფრო მეტს ფასობდა და პეწიანიც ყო-  
ფილა. ხოლო გლეხობის შეძლებული ფენა, ნაწილობრივ საშუალო  
ფენაც, უქმე<sup>2)</sup> დღეებში სახმარებლად ყიდულობდა ყალამანდურას,  
რაც მალასკანსა და დემიკოტონთან შედარებით უფრო პეწიანი, ძვირ-  
ფასი და ძალიან გამძლე ყოფილა.

მეფართლებს დაჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა სახისა და  
ღირსების ბამბაზეა, ლამა, ვერონა, ფლანელი და სხვა.

ფართლით მოვაჭრის ასორტიმენტში შედიოდა აგრეთვე ბამ-  
ბისა და სელის სხვადასხვა ქსოვილი: გარუზი, ანდრიატინი ან  
ანდრიატიკი, რუბრიკი, კისეია, ტოლდინოვი, ქუმასი, კანფასი, „კრუ-  
ჩონკა“, ყალამქარი, ყადაგვარი, სარფინკა, ოქსფორტი, ლეიბის პი-  
რი ანუ ტიკი, ხოლსტინკა, სწვადასხვა ხარისხის ტილო და მიტ-  
კალი; სხვადასხვა სახის, ფერისა და ხარისხის სატინის ჩითი: ეა-  
კარტი, შერემეზი, სატინა და სხვა<sup>2)</sup>.

გარდა ამისა, ფართლით მოვაჭრეთა ერთ ნაწილს განსაკუთრებით  
ქალაქებში და ნაწილობრივ სოფლადაც მიჰქონდათ თავიდანაწარმო-  
ბის, ბურჯუაზიულ, წვირლ ბურჯუაზიულ და ნაწილობრივ გლეხთა  
შეძლებული ფენების მოთხოვნისა და გემოვნების შესაფერისი  
საქონელი: მატყლის, მატყლნარევი ბამბის, აბრეშუმის, ბამბისა და  
სელის ნაზი და ძვირფასი ქსოვილები—„ალმაკა“, „ბეკი“, „შატლან-  
კა“, „პანამა“, სხვადასხვა ფერის, სახისა და ღირსების შალეულობა,  
მაუდი, ატლასები, ფარჩა, ბენგალინი, ტაფთა, ჩესუჩა, პოლდუშე-  
რი, ნანსუკი, ბატისტა, მადეპალამი, პიკე, ზეფირი და სხვა.

მეღენგრეების ასორტიმენტს შეადგენდა: დაბასმული და სადა-  
ლქეჭი (ბლონდი), სხვადასხვა სახისა და ხარისხის ბალადინი და  
თავშლები, ჩინტი, კოპი, თავსაკრავი, შუბლის ქინძისთავი, უბრალო  
ქინძისთავები, გულისპირი, მოსაველები და ჩაქარგული არშიები, სუ-  
ტაშა, გულის ქინძისთავები, ყელის მძივები, ყაითანი, დუგმა, კნობ-  
კა, სხვმდასხვა სახის ღილები, მამაკაცის და ქალის ჩულქები, ღენ-

1) ღარიბი გლეხობისათვის „ლურჯის“ ზალათ-შარვალი ერთსადიამეგ  
დროს საცვლების მაგიერობასაც ასრულებდა და ზედა ტანსაცმელსაც.

2) თავისი ღირსებით პიროველი ადგილი ეკავა ცრნდელის სატინსა,  
რასაც უფრო სახალათეებად ხმარობდა უმოაგრესად გლეხობის შალადი და სა-  
შუალო ფენა და ქალაქის მოსახლეობა.

ტები, სავარცხლები, საყურეები, ნემსები, ქარვა, კოჭისძაფი, გორგლის ძაფი და სხვა.

მეწერილმანის ასორტიენტს შეადგენდა: ლილა, ძალა, შაბი, სარეცხის და ხელის საპონი, ასანთი, ნემსები, კოჭისძაფი, ნართისძაფი, სარკე, მაკრატლები, დანები, კლატეები, სავარცხლები, სათითე, მძივები, პორტმანი, ფითილი, „რაჟოკი“, ლამფის შუშა, საღებავები, წინდის ჩხირები, ანუ „ყაიზნახი“, ფანქრები, უბრალო საყურეები და ქინძისთავები, ღიღები, ბურნუთი, ფერუმარილი, კევი და სხვა.

ფრიად საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილა აბგის წამლებით მოვაჭრის ასორტიმენტი.

აბგის წამლებით მოვაჭრენი ერთსადამივე დროს სოფლის ექიმბაშებიც ყოფილან და ექიმბაშების მომმარაგებლებიც. მათ ჰქონათ სხვადასხვა ავადმყოფობის „საწინააღმდეგო“ წამლები. აბგის წამლებით მოვაჭრეთა გაღმაცემით გულის „ზაფრის“ (მანკის) წამალი ყოფილა: ჯავზი, ფოფალი, დანა-მასტაკი, დარის-პიპილი, ქვეყნიგული, ზაფრანა, ყვითელი და თეთრი კოჭი, ილი, დარიჩინი, მიხაკი; გულის ტკივილის: მკშია, თათლიბი; მუცლის ტკივილისა და „გულქიდეზის“: საბრი, პიტნის წვეთები; ყელის ტკივილის: ყვავის ჭირი, სანდლები; ციებ-ცხელების: გვარჯილა, შაბი, თაბაშირა, ქისდფერი; გულის ჯულაბის (გულზე ხაშმ მიკრულის): ბუბრევანი; ქარების „საწინააღმდეგო“: იორდასალამი, აღილა, ქანდუხათაია; თიაქრის: კოლინჯი, ფსილ აქლემის ხეჭუჭა, კუს კვერცი, თახვის ყვერი; მუცლის გასაწმენდი: აბუსალათინი, სინამაქის ფოთოლი, „ანგლისკი სოლი“; შანკირის: საფიონი, ქაბაბი, სალტალინა; შარდის დაკავების: რაკის თვალი, ნუშის გულა; საყმაწვილო: არდაშხანა, კრებული, წითელი ლალი, ლურჯი ლალიბურთი, ვარდისფერი ლალიბურთი, „პარაშოკები“; ყურის ტკივილის: ქაფური, ქალბანა; ხველების: კილამურა, შაქრიყინული; კუჭის წყლულის, ნაწლავებისა და სისხლზე გასვლის „საწინააღმდეგო“: მარტურქა; კბილის ტკივილის; ძიმწარე; შემინებულ-მოფეთებულის: ენშაკის პილწი; ნათვალევის: ხოჭალახი; თვალის ტკივილის: მუნდასაკი; კუჭის ტკივილის: ღვინის წამალი, ქაქალინდი; ბუასილის: ქინაქინა-ქერქი; დამწვრის: ზეთუნის ზეთი, კართოფლის ფქვილი; სიცხის დასაკლები: რევანი; სახსრების ტკივილის: დევის სისხლი; ცხენის ზურგის ტკივილის: ჯანგარი, დამწვარი კალოში; თავის წინის და დედათა რიგის დროს სისხლის შესაწყვეტი: ლადანა; უნასისა (გველის) და ძროხის დასიებული ჯიქნის „საწინააღმდეგო“: გოვირდი, ყველაფრის წამალი, თიხმარუხი. გარდა ჩამოთვლილისა აბგის წამლებით მოვაჭრეებს დაჰქონდათ: ოფლის ჩაი, რამაშქა, გუნდა, ღახოსტაკი; საღებავები, ფერუმარილი და სხვა.

სოფლად მოსიარულე ეაქრებიდან ძალიან მცირე ნაწილს, უფრო საშუალო შეძლების მქონე ეაქრებს, ცხენის საშუალებით დაჰქონდათ საქონელი, უმრავლესობა კი ამ საშუალებას მოკლებული ყოფილა. „მესოფლეთა“ ძირითადი მასა თავის საქონელს ზურგით, ბოხჩის ანუ „სალეგრე ყუთის“ საშუალებით ატარებდა, რომლის სიმაძიმე დაახლოებით 2—4 ფუთაზე აღწევდა და ასეთი ტვირთით იგი დღეში დაახლოებით 15—20 კილომეტრს გადიოდა. ამრიგად, საქონლის ზურგით დამტარებელი „მესოფლე“ დიდ ფიზიკურ ენერგიას ხარჯავდა. ზურგით საქონლის დამტარებელი ბოხჩას ჩვეულებრივად მარჯვენა მხარეზე ეკიდებდა, ხოლო მარჯვენა მხრის დაღლოლობისას მას ბოხჩა მარცხენა მხარეზე გადაჰქონდა. მაგრამ ზოგი მესოფლე ტვირთის სიმძიმის ერთ მხარეზე შესამსუბუქებლად შემდეგ ხერხს მიმართავდა: იგი მარჯვენა მხარეზე მოკიდებულ ბოხჩას მარცხენა მხრიდან არშინს გაუყრიდა და მას მარცხენა ხელით ძირს სწევდა ისე, რომ ამ ხერხით ტვირთის სიძიმე მთელ ზურგზე გადაჰქონდა.

„მესოფლე“ ებრაელთა ერთი ნაწილი თავისი საცხოვრებელი ბინიდან სხვადასხვა სოფლებში სავაჭროდ მიდიოდა 2—3, ზოგჯერ დღით (კვირიდან პარასკევამდე), პარასკევობით იგი შინ ბრუნდებოდა, თავის კრედიტორს ანგარიშს უსწორებდა, მისგან ახალ საქონელს ღებულობდა, შაბათს თავის ოჯახში რჩებოდა და კვირა დღიდან კვლავ შორეულ სოფლებში თავის ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებოდა. მესოფლეთა მეორე ნაწილი 2—3 და 6 თვითაც მიდიოდა სავაჭროდ და ხოლოდ საკულტო დღესასწაულების ან უბედურთა შემთხვევის დროს ბრუნდებოდა თავის ოჯახში. ასეთ შორეულ სოფლებში მოვაჭრეებს დაქირავებული ჰქონდათ ცალკე ბინები, ხოლო მახლობელ სოფლებში მოვაჭრეთა უმრავლესობა უმთავრესად ნაცნობი გლეხის სახლში ათევდა ღამეს.

1) თუ როგორი იყო სოფლად მოვაჭრე ებრაელების სააღმშენებლო ცემო არე ან რა მიმართულებით და რომელ სოფლებში უხდებოდათ მათ სიარული, ამის შესახებ ჩვენ საწინამდებარე მოვიყვანთ, ზოგიერთ პუნქტებში მოსახლე ებრაელთა სააღმშენებლო მიცემო მარშრუტებს და სოფლებს.

XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში ონელი ებრაელების მახლობელი სავაჭრო სოფლები ყოფილა: ონის აღმოს. ჩრდილოეთით—ღარი, გომი, უწერა, გლოლა, კიორა, ღებნი; ჩრდილოეთით—ქველვეი, საკაო, ხიდიშლები; დასავლეთით—1) კვაცხუეთი, სადმელი, ხვანკარა, ჭყვიში; 2) ამბროლაური, საკეცია. საკეციიდან მიდიოდნენ ორი მიმართულებით: ა) ხნაკვა, ხონჭიორი, შავრა,

ბ) ბუგეული, პატარა ონი, აბანოეთი, ზაჯი, ღვარდიანა<sup>3</sup>) ქვემო ჭალა, ნიგეზნარა, ქრისტესი. ქრისტესიდან მიდიოდნენ ორი მიმართულებით: ა) შარდომეთი, ქვემო ბარხ, სამთისი, ბ) ქვაშხიეთი, შქმერი, ხარითვალი; რას. სამხრეთით—1) ველთეთრი, სეთი, ზაარეთი, სევა, ფარახეთი, მუხლი; 2) ითა, ხოტევი, კაჩაეთი, აგარა, უყეში. აქედან—ხარის თვალის გზით,—ტყიბული, საწირე, ცხიხა და სხვა. რას: ჩრდილოეთით—სორი, ჯვარისა. ჯვარისიდან ორი მიმართულებით: ა) საცხოვეთი, ლისეთი, ურაგი, ბ) წესი, ახალი სოფელი, კრიხი, შხივანა; აქედან გადადიოდნენ ყოფილ საწულუკიძეში. აღმოსავლეთით ოსეთისაკენ—პიპილეთი, ორი, ჩასავალი, ლესორა, ნაკრება; ნაკრებიდან ორი მიმართულებით: ა) ბოჯი, კობიანთა, ბ) არაშენდა, ერწო, წონა და სხვა. მაგრამ მარტო ამით როდი ისაზღვრებოდა მათი მიმოსვლის გეზი და სავაჭრო სოფლები. ისინი დადიოდნენ უფრო შორს, მთიან ოსეთში, ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში და სხვა. ასე, მაგალიდად, ჩრდ. აღმოსავლეთით, ოსეთისაკენ მათი მიმოსვლის გეზი და სავაჭრო სოფლები იყო: უწერა, გლოლა; გლოლიდან,—მამისონის უღელტეხილით,—ქალაქი, ქდელე (ზგილი), ლისრი, ზარზაგი; ზარზაგიდან სამ. აღმოსავლეთით—ნარი, კესათყაუ, აბიათყაუ, ზახა, ჩრდ. აღმოსავლეთით—უზალი, ცესი, მიზური, უნალი, ჯიმი; უზალიდან ჩრდ. დასავლეთით—სადონი, ზგილი; აქედან—ყიბონის მთით,—დუმთა, კაბუნთა, ფასნალი, ფარასკატი, მაცუტა, ნარი, დონიფარსი, ლეზგოები, (ზემოდასახელებულ დილორის სოფლებში გადადიოდნენ აგრეთვე სოფ. იორიდან კამაკინის უღელტეხილით, უნალიდან მიდიოდნენ ჩრდილოეთით, საჩერქეზოსაკენ,—ბირაზგანს, სალუგორდანს, ალაგორს, ყარაღაჩს, მაგომეტანკოეს (მაგომეთყავი); აქედან: ა) ყარაჯაეფს, ლესკენს, ბ) თეკაეფს (თეკათყავი), ანზოროვას (ანზორთყავი), არგუდანს, ალექსანდროვსკაიას, ყაბარდო-ბალყარეთში მიდიოდნენ სოფ. დებიდან ვაცის წვერისა და მარივეცკის გადასასვლებით (ფოსის და მაჩხაფარის გადასასვლელი) ხულშას, ჩეგენს, ბასაქნას და მათ მიდამოებში შემავალ სოფლებში.

ლაილაშის ებრაელები, სავაჭროდ დადიოდნენ რაჭა-ლეჩხუმის თითქმის იმავე სოფლებში, რომლებშიაც ონის ებრაელები დადიოდნენ. მაგრამ ზემოდასახელებული სოფლების გარდა მათი სავაჭრო ადგილები ყოფილა: ლაილაშიდან სამხ. აღმოსავლეთით—ზოგში, ორხვა, ვისეროთი, წყნორი; წყნორიდან—ბაბოთი, ჩემფი, რიონი, ზარათი; ზარათიდან უკან ბრუნდებოდნენ ჟონეთს, მექვენას, ტეიშს, ლაილაშს; რას. სამხრეთით—1) ცაგერი, ლუხვანო, მახაში, ზუგო, 2) უსახელო,

ალვი, ობიტარა, კინჩხა, საწისქვილო, გორდი, მათხოჯი, ხონი, წყალტუბო და სხვა.

საინტერესოა ლაილაშის სოფლად მოვაჭრე ებრაელების სავაჭრო კავშირი სვანეთთან. სვანეთში ისინი მიდიოდნენ ორი მიმართულებით: 1) ცაგერის გზით სოფ. ყვიღრემს, წიფლაკას; აქედან გადადიოდნენ ლენტეხის, ჩოლურის, ლაშხეთის, უშგულის, კალის მიდამოებში და სოფლებში; 2) ლაილაშიდან მიდიოდნენ სოფ. ლატკას; აქედან—წითურის გადასასვლელით,—ლაშხეთს, სოლო ლაშხეთიდან: ცხენის წყალზე ჩოლურის მიდამოებში. ჩოლურიდან,—ზაფხულობით, ამინდის მიხედვით, ლატყარის გადასასვლელით და ზამთრობით მუშურის გადასასვლელით—უშგულის, მესტიის, ლენკერის, ბეოს, ეწერის მიდამოებში და ლახამულას სოფლებში.

საჩხერის ებრაელების მახლობელ სავაჭრო სოფლებს შეადგენდა, საჩხერიდან სამ. აღმოსავლეთით—კალაუთა, მეჯვეი, მახათაური, დურგვი; სამ. დასავლეთით—დარაკეთი, ქორეთი, ქორცილა, ფორისა, წასრი, ჯალაურთა, უსახელო, მანდავეთი, ვერტკვილა; აქედან ორი მიმართულებით: 1) ამაშუკეთი, დორეშა, სარგვში, ხარაგაული, 2) ხუნევი. ხევის-ჯვარი, წაქვა; წაქვიდან პრუნდებოდნენ უკან ჩრდილოეთით: ნადაბურს, ლიჩს, ჩალიგინს, ჩონთოს, კორბაულს, მახათაურს, სპეთს, ჭალას ჩიხას; სამხრეთით—მარელისი, ვახანი, დეისი, ჩილიო, ნებოძირი, გოლათუბანი და სხვა; დასავლეთით—ჭიათურა, კაცხი; აქედან: 1) ქეციხე, მუხურა, 2) ვაქევი, რგანი, წირქვალი და სხვა.

საჩხერის ებრაელები დადიოდნენ აგრეთვე რაქა-ლეჩხუმის სოფლებშიაც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოვაჭრე ებრაელთა ერთი ნაწილის მიმოსვლის გზები მიიმართებოდა ხევსურეთამდეც. ასე, მაგ., ისინი ჩადიოდნენ სავაჭროდ ფასანაურში; აქედან კი დადიოდნენ სხვადასხვა სოფლებში როგორცაა: ბახანი, დიხჩო, ლუთხუში, წინა მხარი; აქედან სხვადასხვა მიმართულებით: 1) მაქართა, ქიმეში, საჩალის-ქალა, აბუანაურთ კარი... 2) კიტოხი, ჩიხართე, ანთოხი, ბოსელე, დუმაცხო და სხვა.

ახალციხის ებრაელთა სავაჭრო სოფლებში ყოფილა: ახალციხიდან ჩრდილო-დასავლეთით—წყუთი, ქიქინეთი, აბასთუმანი, ვარხანი, ბოლაჯაური, ადრგენი, გუგუნაური, ცოროთუბანი; სამხრეთით—სხეილისი, პამაქი, წყალთბილა, ბადლა, ქილვანი, დიგური, წურწყაბი; ჯუმათელი; აღმ. სამხრეთით: 1) ჭიქარქი, მინარქვ, მინაძე, ოშრა, ასპინძა, თამილა; 2) ქალა, ღრელი, მუსხი, ქობარეთი, ძველი,

დადეში; ქუცა, ტოლოში, ხერთვისი, ჩუნჩხა, ქილდა; აქედან გადადიოდნენ ახალქალაქს. ახალქალაქიდან მიდიოდნენ: 1) აღმ. სამხრეთით—ბაგრას, ჭიბანს, ეშტიას, ხოჯაბეგს, სათხას, ზოგდანოვკას, ხანჩალს, გორელოვკას, ეფრემოვკას, სალამოს; 2) სამხრეთით—ვაჩიანს, ყურიდადამს, სულდას, კარწახს; კარწახიდან ბრუნდებოდნენ უკან და გაივლიდნენ—ხავეთს, აზმანს, ქარცაფს, გოგაშენს, ნაქალაქევს, ხერთვისს; 3) ჩრდილო სამხრეთით—ქორხს, ზაგს, კოთელიას, ალასტანს, აზაგრელს, ბალახთას, კომანს, მაჯადიას და სხვა.

ისინი სავაჭროდ დადიოდნენ აგრეთვე აჭარის სოფლებში და არტაანის მხარეს „თურქმენებში“, სადაც მათ მიჰქონდათ უმთავრესად სხვადასხვა სახის მძივები, ლენტები, სხვადასხვა წვრილმანი და აგრეთვე ნიორი, რასაც, — მათი გადმოცემით — წონა ერბოზე ცვლიდნენ.

XX ს. დასაწყისიდან ახალციხელი მესოფლე ებრაელების ერთი ნაწილი სავაჭროდ მიდიოდა კასპის მხარეს თურქმენისტანს და უზბეკისტანს. ამ ადგილებში მოვაჭრე ებრაელები საქონელს იძენდნენ ბაქოში, სამარყანდში, აშხაბადში და სხვა მახლობელ ქალაქებში. ეს ვაჭრები ადგილებზე რჩებოდნენ 3 — 6 თვეს და ზოგჯერ მთელი წლობითაც, მათ საქონელი დაჰქონდათ უმთავრესად რკინიგზის სადგურებზე და ამ სადგურების მუშა-მოსამსახურეებს აძლევდნენ ნისიად, ჯამაგირის აღებამდე. მათ თითქმის ყველა სადგურზე ჰქონდათ ბინა, სადაც 1 — 2 დღე რჩებოდნენ. მათი სავაჭრო ადგილები ყოფილა: კრასნოვოდსკი, ყიზილი, მუხარდენი, ყიზილ-არვადი, ბეზმეინი, გეიგბეტი, აშხაბადი, ტეჯენი, დუშაკი, კახკა, მერვი, ბაირამ-ალი, ჩარჯუი, მერვი და სხვა. რკინიგზის სადგურებს გარდა, ისინი სავაჭროდ დადიოდნენ აგრეთვე სხვადასხვა სოფლებში ავღანისტანის საზღვრებამდე.

ახალციხელი ებრაელები კარი-კარ ვაჭრობას აწარმოებდნენ აგრეთვე ზოგიერთ ქალაქებში, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში. ზოგი მათგანი ვაჭრობდა მხოლოდ მოხელეებში და უმთავრესად სამხედრო მოსამსახურეებში, რომლებსაც საქონელს ნისიად აძლევდნენ ჯამაგირის მიღებამდე. სამხედრო მოსამსახურეები ხელფასს თვის 20 რიცხვში ღებულობდნენ, რის გამოც ისეთ ვაჭრებს, რომლებიც მათ საქონელს ნისიად აძლევდნენ „ღვადცატნიკებს“ უწოდებდნენ.

XIX ს. 60-იან წლებში ცხინვალელი ებრაელების სავაჭრო ბუნქტები ყოფილა უმთავრესად გორის მაზრაში შენავალი სოფლები. 70 ანი წლებიდან ისინი სავაჭროდ გადადიან აგრეთვე დუშეთის

მაზრუშიაც. 80-ანი წლებიდან ცხინვალის ებრაელების საგარეო ნაწილი ვაჭრობს კახეთშიაც, სადაც რკინიგზის გაყვანამდე გომბორის მითი გადადიოდნენ, ხოლო XX ს. დასაწყისში ისინი სავაჭროდ დადიან აგრეთვე ფშავ-ხევსურეთშიაც, სადაც მიჰქონდათ როგორც სხვადასხვა სახის ფართლეული, ისე წვრილმინი, რასაც უმთავრესად ყველზე და ერობზე სცვლიდნენ.

დასახელებული ადგილების გარდა, სხვა დაბა-სოფლებში მცხოვრებ ებრაელთა უმრავლესობა სხვადასხვა მახლობელ თუ შორეულ სოფლებში აწარმოებდა ვაჭრობას. საინტერესოა, რომ თითქმის თითოეულ ვაჭარს მიჩნეული ჰქონდა გარკვეული სოფლები და უმთავრესად იქ ვაჭრობდა. ამის შესახებ 1902 წ. ივერიის თანამშრომელი წერდა: „საყურადღებოა, თუ სადამდე დაწვრილმანდა და დახურდა ვაჭარის (სოფლად ასე ეძახიან ებრაელს) სავაჭრო მოღვაწეობა. ქართლში, მაგალითებრ, თითოეულ ურბის რამდენიმე სოფელი აქვს დაჩემებული, თავისი პატარა ადგილი აქვს შემოფარგლული, ამ ადგილს სამრეველოს უწოდებს და მხოლოდ აქ ვაჭრობს. სხვა ებრაელს ადათის და ჩვეულების ძალით, აღკრძალული აქვს იმ სამრეველოში ვაჭრობა. ყველას საკუთარი სამრეველო მოეძებნება და ამ პაწია სამრეველოში, ამ „საბჭღურში“ თვითოეული ებრაელი იწყებს კიდევცა და ათავეს კაივის სავაჭრო მოღვაწეობას“<sup>1)</sup>. ამ მოვლენას აღასტურებს აგრეთვე ჩვენ მიერ ყოფილ ვაჭრებში შეკრებილი ცნობები, რომელთა მიხედვით საჩხერის ებრაელებიდან უფრო ჩხარის რაიონში ვაჭრობდნენ: მეგრელიშვილები, თეთრუაშვილები, მოძღვრიშვილები; კიათურის რაიონში—ჯორიკაშვილები, დათუაშვილები; ლაილაშის ებრაელებიდან სენათის მხარეს ვაჭრობდნენ: არონიშვილები, ქუჭულაშვილები, მეგრელიშვილები; რაჭის მხარეს—სეფიაშვილები, მოძღვრიშვილები; ცხინვალის ებრაელებიდან ხევსურეთისაკენ ვაჭრობდნენ: ელიშაყაშვილები, ჯინჯინაშვილები. ონის ებრაელებიდან ყაბარღო-ბალყარეთისაკენ ვაჭრობდნენ: ჩაჩაშვილები და სხვა. ამ მოვლენაში შესაძლოა მკვლევარმა გეაროვნული წყობილების გადმონათვებიც დაინახოს, მაგრამ ნამდვილად იგი გამოწვეული იყო მოვაჭრეთა შორის კონკურენციის შემცირებით და მეორეს მხრივ იშითაც, რომ ცალკე სოფლებში თითოეული ვაჭარი კარგად იცნობდა ამ სოფლის მოსახლეობას, შეჩვეული ჰყავდა თავისი კლიენტურა, რომელთანაც დროთა განმავლობაში აწარმოებდა ვაჭრობას, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე ნისიად.

<sup>1)</sup> „ივერია“, 1902 წ. № 141.



თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან შორეულ სოფლებში მოვაჭრე ებრაელთა მდგომარეობა დიდ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, რადგან, ჯერ ერთი, მიმოსვლა და ორ ადგილზე ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დიდ ხარჯებს იწვევდა და ამგორეც, 3— თვით ცოლშვილს მოწყვეტილი ვაჭრის პირობები შიში და აუტანელი ზღებოდა. ამ ნიადაგზე, შორეულ სოფლებში მოვაჭრე ებრაელთა ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში თავისი ცოლშვილით გადადიოდა სხვადასხვა სოფლებში დროებით საცხოვრებლად და ბოლოს ამ სოფლის მოსახლედ რჩებოდა. მაგ., ცხინვალის ებრაელთა ერთი ნაწილი XIX ს. 80—90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით XX ს. დასაწყისიდან საცხოვრებლად გადადის მუხრანს, კახეთის სხვადასხვა სოფლებში, ქალაქ გორს, სოფელ ხოვლეს, მეტეხს, სასირეთს, კავთისხევს, ახალქალაქს და სხვაგან. ამ ადგილებზე გადასული ებრაელები, ზოგიერთი სოფლების გამოკლებით, დღესაც იქ მოსახლეობენ.

როგორც განხილული მასალიდან დავინახეთ ბატონყმობის გადავარდნამდე სოფლად მოვაჭრე ებრაელთა სააღებ-მიცემო მოქმედების არე უმთავრესად მათი საცხოვრებელი ადგილებიდან მეტ-ნაკლებად ახლო მდებარე სოფლებით ისაზღვრებოდა და ძალიან იშვიათად თუ თითო-ორიჯერ ვაჭარი შორეულ სოფლებში დადიოდა. 70-იანი წლებიდან ებრაელთა საშინაო ვაჭრობის ფარგალი ფართოვდება და ისინი თავიანთი საცხოვრებელი პუნქტებიდან სავაჭროდ შორეულ სოფლებში გადიან. XIX ს. მიწურულს და განსაკუთრებით XX ს. დასაწყისიდან კი, ისინი უფრო შორს მიიწევენ და სავაჭროდ გადადიან ჩრდილო კავკასიაში, სვანეთში, ზეგსურეთში, კასპიის მხარეში და სხვა ადგილებზე. ამ მოვლენას რასაკვირველია, თავისი გამომწვევი მიზეზები უნდა ჰქონოდა. ეს მიზეზები შესაძლებელია უმთავრესად შემდეგი ყოფილიყო: სოფლად მოსიარულე წვრილ ვაჭართა დიდ ნაწილს, როგორც ვიცით, თავისი საკუთარი საშუალებანი არ გააჩნდა და ზედმეტ ფასებში აღებული „ხაზინის“ საქონლით ვაჭრობდა. ამ წვრილი ვაჭრის გვერდით აღებ-მიცემას აწარმოებდა საშუალო შეძლების ვაჭარიც, რომელიც საქონელს ნაღდ ანგარიშზე შედარებით ნაკლებ ფასებში იძენდა და ასეთი უპირატესობის გამო მას, ცხადია, წვრილი ვაჭრისათვის მეექვსე კონკურენცია გაეწია<sup>1)</sup>. გარდა ამისა, საშუალო ვაჭარს შეეძლო საქონლის ნაწილი ნისიად

<sup>1)</sup> ნართალა, ზოგი „მესოფლის“ სავაჭრო არე გარკვეული სოფლებით ისაზღვრებოდა და ამ სოფლებში კლიენტთა გარკვეული ნაწილიც ჰყავდა, მაგრამ ეს გარემოება კონკურენციას მაინც ვერ სპობდა.

გაეცა, ხოლო წვრილი ვაჭარი ამ საშუალებას შედარებით მოკლებული იყო.

ამის გამო წვრილი ვაჭარი არ ერიდებოდა შორეულ და სახიფათო გზას, მიდიოდა ისეთ დაშორებულ და მიყრუებულ სოფლებში, სადაც კონკურენცია ნაკლები იყო და საქონლის ზედმეტ ფასებში გასაღება შეიძლებოდა. წვრილი ვაჭრების შორეულ სოფლებში საავაჭროდ წასვლას ნაწილობრივ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ რკინიგზის გაყვანამდე გლეხისათვის ძნელი და არა ხელსაყრელი იყო თავისი პროდუქტების ქალაქში წაღება და იქ საჭირო საქონლის შეძენა. ამის გამო იგი თავის სოფელშივე ყიდულობდა კარზე მიტანილ საჭირო საქონელს და თავის პროდუქტებსაც ამ საქონელზე ცვლიდა, ხოლო რკინიგზების გაყვანის შემდეგ ამ გზების ახლო მდებარე სოფლების გლეხობისათვის ქალაქთან უშუალო აღებ-მიცემის წარმოება ახლა უფრო ადვილი იყო. მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში ზოგიერთ სოფლებში იხსნებოდა პატარა დუქნები, იზრდებოდა ვაჭართა რიცხვი და დაბა ქალაქების მახლობლად მდებარე სოფლები ამდენ მესოფლენ ვაჭრებს აღარ მოითხოვდა.

სოფლად მოსიარულე ვაჭრები „ფარჩისა“ და „საწვრილმანოს“ ძახილით ატყობინებდნენ მყიდველებს მისვლის შესახებ. ზოგი პირდაპირ (რომელიმე) გლეხის ბინაზე მიდიოდა და თავის მისვლას მყიდველებს სახლის პატრონის მეშვეობით ატყობინებდა. ვაჭართა უმრავლესობა ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა და, სადაც მას დაუძახებდნენ (ზამთრობით რომელიმე გლეხის სახლში, ზაფხულობით დერეფანში), „ჩამოხდიდა“ თავის ბოხჩას და გაშლიდა საწვრილმანოს. ამ დროს ვაჭრის ირგვლივ თავს იყრიდნენ როგორც მყიდველი, ისე ცნობისმოყვარე ხალხი, უმთავრესად ქალები, ნაწილობრივ სახლში დარჩენილი მოხუცი მამაკაცები და ბავშვები. ვაჭარი გაშლიდა თავის საქონელს და ამის შემდეგ იწყებოდა ჩვეულებრივი ვაჭრობა. ერთ-რომელიმე მყიდველის მიერ საქონლის ფასში მორიგებისას დანარჩენ მსურველებსაც მიჰქონდათ საქონელი, საქონლის პირველი ამლები, ვაჭრობაში უფრო გამოცდილი უფროსი ქალი იყო. მაგ., თუ ერთი ოჯახიდან რომელიმე პატარძალი საკაბებს ყიდულობდა, მას შეეძლო საქონლის ამორჩევა, ხოლო ფასზე მორიგება უფროსის ან დედამთილის საქმე იყო. ზოგჯერ სოფელში მყიდველ სრულიად არ აღმოჩნდებოდა და ვაჭარი სოფელიდან სოფელში გადადიოდა.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მესოფლენ ებრაელი ბინადებოდა რომელიმე ნაცნობი გლეხის სახლში, სადაც საღამოობით თავს იყრიდნენ ახლო მცხოვრებლები და ჩვეულებრივად, როგორც

თავისი სოფლის ქირ-ვარამზე, ისე სხვა სოფლისა და ქალაქის ამბებზე მსჯელობდნენ. ამ საუბარში სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა ეს მესროფლე ებრაელიც, რომელიც თავის მხრივ მოუთხრობდა გლეხობას სხვადასხვა სოფლებში და ქალაქად გაგონილ ახალ ამბებს. მას დაპირებული სიტყვა და ზოგჯერ წერილიც დაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეში და ვაჭრობის გარდა, თუ შეიძლება ითქვას, იგი ფოსტალრონის როლსაც ასრულებდა.

გლეხის ოჯახში ღამის გათევსას, სხვადასხვა თემზე საუბრისა და ზაასის გარდა, ზშირად იმართებოდა ზღაპრებისა და ლექსების თქმა, რასაც, რასაკვირველია, მესროფლე ებრაელიც ისმენდა და თავის მხრივაც მოუთხრობდა დამსწრეთ სხვაგან გაგონილ ზღაპარს, ლექსს, ანდაზებს და სხვა. მეორე დღეს, იგი ერთ ადგილზე გაგონილ და შესწავლილ ზღაპარს, მეორე ადგილს მოუთხრობდა გლეხობას და ამით თავისი საქმიანობის გარდა ხელს უწყობდა ხალხში მიღი-ღარი ფოლკლორის გავრცელებას.

სოფლად მოსიარულე ებრაელი ცოტად თუ ბევრად იცნობდა გლეხთა ცხოვრებას. მან იცოდა თითქმის ყველა გლეხის მდგომარეობა და ოჯახური პირობები. იგი თავის სავაჭრო სოფლებში კარგად იყო დაახლოებული ზოგიერთი გლეხის ოჯახთან და ზოგჯერ ამ ოჯახის უფროსებისა და წევრების მნიშვნელოვან თხოვნა-დავალებასაც ასრულებდა. მაგ., ებრაელთან კარგად დაახლოებული ზოგიერთი გლეხი ავალებდა მას თავისი ვაჟის ან ქალისათვის სხვა სოფელში ამოიყრნია საპატარძლო ან სასიძო. ებრაელი იცნობდა რა გლეხის ოჯახს, ამ ოჯახში გასათხოვარ ქალს, დასანიშნ ვაჟს, მათ ქონებასა და კარგსა თუ ცუდ თვისებებს, დაუზარებლად ასრულებდა გლეხის დავალებას და ზოგჯერ (ერთონვე გამოდებოდა უფასო მაქანკლის როლში. გაწეულ შრომაში მისი სარგებელი ის იყო, რომ ზოგიერთ საქორწილო საქონელს მისგან შეიძენდნენ.

უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ახალციხელი მესროფლე ებრაელი ვაჭრები, როგორც ამას ზ. ჭიჭინაძე გვაუწყებს, — ვაჭრობდნენ რა ქართველ მაჰმადიანებში, ლაპარაკობდნენ მათთან ქართულ ენაზე და ამით მათ შორის ქართული ენის შემონახვას ხელს უწყებდნენ. ზ. ჭიჭინაძე თავის წიგნში, სადაც იხილავს საქ. ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას, სხვათა შორის, წერდა: „ებრაელები ახალციხიდან მოგზაურობდნენ ფოცხოვს, ქვაბლიანს, ჩილდირის ხეობისაკენ, ჯავახეთში და ყველგან — ქართველ მუსულმანებს ქართულად ელაპარაკებოდნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ საშინ ადგილებში, ქართველ მაჰმადიანთ შორის,

სადაც კი ქართული ენა ძველთაგანვე შეირყა და ამოვარდა, იქაც კი ქართველ მაჰმადიანებმა არ დაივიწყეს, ეს იყო ქართველ ებრაელთა შნო და წყალობა...“<sup>1)</sup> კიკინაძეს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ეს საკითხი, რომ დასახელებულ წიგნში ხელმეორედ უბრუნდება მას და ამბობს: „ახალციხის მაზრაში, ქვაბლიანს, ფოცხოვს და სხვაგანაც თუ კი სადმე დღემდე... ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთა შორის დაცულ იქნა, ეს სულ ქართველ ებრაელთა წყალობა გახლავსთ“<sup>2)</sup>.

ყურადღებებს ღირსია ის მოვლენა, რომ დროთა განმავლობაში მოვაჭრე ებრაელებს შემუშავებული ჰქონდათ თავისებური პირობითი ენა, რაც თავის დროზე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი იყო და ამჟამად კი, იგი ენათმეცნიერთათვის ფრიად საინტერესო მასალას წარმოადგენს. თავისი თავდაპირველი წარმოშობის მიხედვით ამ ენას დიდი კავშირი უნდა ჰქონოდა ალებ-მიცემისთან, რადგან, როგორც ირკვევა, მის მთავარ დანიშნულებას უმთავრესად კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოების დაცვა შეადგენდა. ამის გამო ამ ენას შეიძლება პირობითად „სავაჭრო-საიდუმლო ენა“, ანუ ქარგონი ეუწოდოქ“<sup>3)</sup>.

XIX ს. და XX ს. დასაწყისში ამ ენას დიდი გამოყენება ჰქონია ვაჭართა შორის. იგი უმთავრესად შეამზანაგებული ებრაელი ვაჭრების მიერ მეტ წილად საჯარო ბაზრობებზე იხმარებოდა, ხოლო საერთოდ ებრაელთა საყოფაცხოვრებო მეტყველებაშიაც მას შედარებით მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ადგილი ეჭირა. ამ ენიდან ზოგიერთ სიტყვებს ქართველი მოსახლეობის ვიწრო წრეც ხმარობდა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში).

საქ. ებრაელთა რელიგიისა და ყოფის განხილვისას პლისეცკის თავის შრომაში მოჰყავს ქართულ ლიტერატურაში არსებული ძველი ებრაული სიტყვების ნიმუშები და, სხვათა შორის, „საიდუმლო-სავაჭრო ენის“ შესახებ ამბობს:

„Кроме приведенных и подобных им древнееврейских слов, полностью вошедших в словарь литературного грузинского языка, имеется еще много других неполучивших еще полного гражданства, но введенных в народную (разговорную) речь, напр.:

✓ 1) კიკინაძე, ხ. ქართველი ებრაელი საქართველოში, 1904 წ., გვ. 45.

2) ibid, გვ. 49-50.

3) თვით ებრაელები კი ყვივრულ“-ს უწოდებენ და დაცვირებულთა ჩიტყვა კობრი-სან.

Древнееврейские	Грузинские	Русск. знач.
גַּאֲלָח	დალხდა	пошел
טוֹבֵה	თოვ	добр, хорош
יַיִן	ინაინი <sup>1)</sup>	вино
נֹשֶׂא (женщина)	ნოშა	любовница и т. д.

პლისეცკი ერთის მხრივ სწორად შენიშნავს, რომ ამ ენას (მის მიერ სანიმუშოდ მოყვანილ სიტყვებს) ჯერ კიდევ არ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება, მაგრამ თქმა იმისა, რომ იგი შევიდა ხალხის სასაუბრო ენაში, მთლიანად სწორი არ იქნებოდა იმდენად, რამდენადაც ამ ენას უფრო დას. საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისში მცხოვრები ქართველების ძალიან ვიწრო წრე ხმარობდა, ისიც იშვიათად, და უფრო დაცინვის კრლოთი.

ქ. „საიდუმლო-სავაჭრო ენა“ ძირითადად ძველი ებრაული სიტყვებისაგან შედგება, რომელთა ერთი ნაწილი ქართული ენის ფორმებით გვხვდება. სიტყვების ერთი ნაწილის ფუძე ძველი ებრაულია, ხოლო მათი პრეფიქსი და ზოგჯერ სუფიქსიც ქართული. მაგ., სიტყვა „ვისობარე“ (ქართული გაგებით ნიშნავს „ვივაჭრე“), ნაწარმოები უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვა „სობერ“-ისაგან, რაც ქართულად ვაჭარს ნიშნავს. ამ სიტყვაში, როგორც ჩანს, „ვი“ და „ე“ ქართული აფიქსებია. ასეთივე ფორმაშია მოცემული სიტყვა „გავხრიდე“, რაც ქართული გაგებით ნიშნავს „გავყიდე“, სიტყვა „მოვატოვე“, რაც ნიშნავს „მოვატყუე“ და სხვა. გარდა ამისა, ზოგი სიტყვა ნახშირია გადატანილი მნიშვნელობითაც მაგ., „დაუადე“—რაც ქართული გაგებით ნიშნავს „მიეცი“—ნაწარმოები უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვა „იად“-ისაგან, რაც ნიშნავს ხელს; „დააფანიერე“,—რაც ქართული გაგებით ნიშნავს „დაძალე“,—ნაწარმოები უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვა „ფანიმ“-ისაგან, რაც სახეს ნიშნავს და სხვა. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დაინტერესებულ მკითხველს გავაცნოთ ამ ენის ზოგიერთი დამახასიათებელი სიტყვები და ცალკეული ფრაზები:

ხმარებული სიტყვები:

1. აამსვერე,
2. არბე
3. არაიოთი

ქართული შესატყვისები:

- აილე, აიყვანე  
ბევრი  
მანეთი

<sup>1)</sup> Плисецкий, И. „Религия и язык грузинских евреев“, стр. 33.

<sup>2)</sup> უნდა იყოს: „ინაინი“.

- |                           |                                       |
|---------------------------|---------------------------------------|
| 4. ასათლინგი              | სასწორი                               |
| 5. არძიმი                 | სიმიინდი                              |
| 6. ბაყალ-აბათითი          | სახლის პატრონი                        |
| 7. ბუწი                   | აბრეშუმი                              |
| 8. გამა                   | ბათმანი                               |
| 9. გადოლ-ბათითი           | ქალაქი (თბილისი)                      |
| 10. გადოლ-გომი            | მოსამართლე, - დიდი გავლენიანი<br>კაცი |
| 11. გადოლ-დაიანი          | ბოქაული                               |
| 12. გიმელი, განაბი        | ქურდი, ჯიბგირი                        |
| 13. გააშვერუ              | ვაიტანე                               |
| 14. გაშვერდა              | გადაიფიქრა                            |
| 15. გახრიდე               | გაყიდე                                |
| 16. გომი                  | ქართველი, უცხო: სჯულის კაცი           |
| 17. გეინამი <sup>1)</sup> | მაგარი არაყი                          |
| 18. გეროსება              | გინდა                                 |
| 19. დაავანაბა             | მოიპარა                               |
| 20. დაათანიერე            | ღამაღე                                |
| 21. დავიადოფ              | ვიცილოთ, შევიძინოთ                    |
| 22. დალენდა               | წავიდა                                |
| 23. დაალეხა               | წაიყვანა, წაიღო                       |
| 24. დაეაქამე              | მოვატყუე                              |
| 25. დაეაქამდი             | ვიზარაღე, მოვატყუედი                  |
| 26. დავალილავედეთ         | დავბინავდეთ, ღამე გავათიოთ            |
| 27. დაი!                  | გაჩერდი! ჩუ!                          |
| 28. დაიანი                | მამასახლისი, მოსამართლე               |
| 29. დაიადე                | იყიდე, გამოართვი                      |
| 30. დაუქამე               | დაუკელი (ფასი)                        |
| 31. დაჩიშმე               | გასინჯე, შეხედე                       |
| 32. ეზომი                 | არშინი (ალაბი)                        |
| 33. ეთომარე               | ელაპარაკე                             |
| 34. ეროსება               | უნდა                                  |
| 35. ეფსედ                 | ხარალი                                |
| 36. ეხადი                 | ერთი                                  |
| 37. ვისოხარე              | ვივაქრე                               |
| 38. ვიხრიდე               | ვიყიდე                                |

1) გეინამი ნიშნავს ჯოჯოხეთს, მაგრამ გადატანილი მნიშვნელობით ხმა-რობდნენ მაგარი არაყის გამომხატველ ტერმინად.

39. ბააბი	ოქრო
40. ზემანი	დრო
41. თითენ	მიეცი
42. იეშამს	არის
43. ინაინი	ღვინო
44. ისოხარე	ივაჭრე
45. იშმაყელი	თათარი
46. იხრიდე	იყიდე
47. კოფი	ასი
48. ლევანი	თუმანი
49. ლო	არა
50. ლოტი	ოსი
51. მამზერი	ცული ადამიანი, ნაბიჭვარი
52. მამონი	საქონელი, ქონება
53. მარდი	კაცი
54. მაყოთი	ფული
55. მბრედავი	ყაჩაღი, მკვლელი
56. მელახა	საქმე
57. მეროსება	მინდა
58. მოამსევრე	მიეცო
59. მივამსევრე	მივეცი
60. მივხრიდე	მივყიდე
61. მოატოვე	შორჩი, გაათავე
62. მოვატოვე	მოვატყუე, ბევრი მოვუგე
63. მომსევრდა	მოვიდა
64. მომსევრდება	მოღის
65. მოტოვდა	მოტყუვდა
66. მოუბრიდე	მოუხიე, მოუქერი
67. მოუგადოლე	მოუგე
68. მოუსეფრე	მოუზომე
69. მოსატოვებელი	მიამიტი, ადვილად მოსატყუე- ბელი მუშტარი
70. ნაშა	ქალი
71. ჟერეში ან ზერეში <sup>1)</sup>	ჯანჯალი ქალი
72. რევახ	მოგება, დოვლათი

1) ზერეში ჰამანის ცოლის სახელია, ებრაული ლეგენდის „ესთერ მორდუხასი“, მიხედვით ჰამანმა ებრაელების დაღუპვა მოინდომა, მაგრამ თითონ დაიღუპა ამიტომ ზერეში ხმარობდნენ გადატანითი მნიშვნელობით.

- |                 |  |
|-----------------|--|
| 73. საბრედავი   | ცხელი ან ცივი იარაღი                                       |
| 74. სათოხლაკი   | საქმელი  |
| 75. სასანჯი     | ჩანახი   |
| 76. საქანჯი     | სასწორი  |
| 77. საქამებელი  | არიფი მუშტარი  |
| 78. სეფერი      | სავაჭრო მოწმობა, პირადობის მოწმობა                         |
| 79. სისვი       | ცხენი  |
| 80. ტობი, ტოვი  | კარგი, მშვენიერი   |
| 81. უთაქე       | გაართყვი, სცემე  |
| 82. უთომარე     | უთხარი   |
| 83. ქაშა        | რამდენი  |
| 84. ქამე        | ცუდი, უვარგისი საქონელი                                    |
| 85. ქაფარი      | ქართველი გლეხი   |
| 86. ქელეზი      | ძალი (გადატ. მნიშვნელობით— პოლიციელი, სააქციზოს ჩინოვნიკი) |
| 87. ქესეფი      | ფული   |
| 88. ქეფარი      | სოფელი   |
| 89. ქოჩაქი      | ცუდი, უვარგისი   |
| 90. ქუჩაფი      | ჯიბე   |
| 91. ყასარა      | ათი  |
| 92. ყატონი      | კაპიკი.  |
| 93. ყენაიმი     | თვალი  |
| 94. ყესები      | თივა   |
| 95. ყესრიმ      | ოცი  |
| 96. შეამსევრე   | შეიტანე  |
| 97. შეთლენვილი  | გიჟი, გადარეული  |
| 98. შეკერი      | ტყუილი   |
| 99. შეჩითული    | ჩითი   |
| 100. შოვე       | იაფია, ღირს  |
| 101. შოტე       | გიჟი, არანორმალური ადამიანი                                |
| 102. ჩიტი-თვალე | შაური.   |
| 103. წაამსევრე  | წაილე  |
| 104. ხამორი     | ვირი, უჭკუო  |
| 105. ხანუთი     | დუქანი   |
| 106. ხიტინი     | ხორბალი  |
| 107. ჰიერი      | კვერცხი და სხვა.   |



აღნიშნული სიტყვებისაგან სდგებოდა მთელი რიგი მარტოეი და რთული წინადადებანი. ზოგიერთ წინადადებაში წვერებად ხართული იყო ქართული სიტყვებიც. საწინამდებარე მოვიყვანო რამდენიმე წინადადებას:

სმარტბული წინადადებანი:	ქართული შესატყვისები:
1. ლოლაშონ	ენა. დააყენე, დაჩემდო
2. ლო თითენ,	არ მისცე
3. ტობი მარდი იეშობს	კარგი კაცია
4. ქესადათ იეშობს	როგორ არის ნაყიდი
5. ყატონი არ დაუქამო	კაპიკი არ დაუკლო
6. ტობი იადი უეშამს	კარგი ხელი აქვს
7. ეხადი ყატონი დაუქამე და მიამსყვრე.	ერთი კაპიკი დაუკელი და მიეცი.
8. დღეს ტობათ ვისობარე, მაგრამ სეფერი ღრ მიეშამდა და ქელებმა შობადი წამართვა.	დღეს კარგად ვივაჭრე, მაგრამ პატენტი არ მქონდა და პოლიციელმა ქრთამი წამართვა.
9. შენს მამონს მე მივხრიდი, და რასაც მოუგადოლებ სავახეზო იყოს.	შენს საქონელს მე მივყიდი და რასაც მოუგებ სანახევრო იყოს
10. ჩემი მუშტარი გამიშეყრა და ვერც თითონ მიხრიდა	ჩემი მუშტარი ჩამომაცალა (გადიბირა) და ვერც თითონ მიჰყიდა.
11. ბიმეერთათ მოუტოვე თორემ, გაშეყრდება	ჩქარა მოურთავი (მოუთავე), თორემ აღარ იყიდის (გადიფიქრებს).
12. ამ ზერეშმა ვაჭრობით ნეშამა ამომართვა და ვერაფერი ვერ მივხრიდი	ამ ჯანჯალმა (ქალმა) ვაჭრობით სული ამომადრო და ვერაფერი ვერ მივყიდი

მოყვინილი მაგალითებიდან ჩანს, რომ „საიდუმლო სავაჭრო ენა“ აღებ-მიცემის ნიადაგზე იყო წარმოშობილი და უმთავრესად ვაჭრობის დროს იხმარებოდა; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ საუბრის დროსაც გამოიყენებოდა.

\* \* \*

სოფლად მოსიარულეებრადელების შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთ „Кавказ“-ის თანამშრომელი. იგი აგვიწყობს რა მოვაჭრე ებრაელების სოფლად სიარულს ამბობს:

У странствующего еврея нет постоянного места деятельности, он всегда в пути и только раза три или четыре в год навещается к своей семье, живущей на месте родины, гденибудь в Сураме, Цхинванях, Сачхерах или в Они.

И куда только судьба, или, вернее, ремесло не носит его! Сегодня он в Горийском уезде, завтра—в Шоропанском, послезавтра—в Кутаисском, а там, смотри, он пробрался в Лечхум, Рачу или Сванетию.

Круглый год он ездит по этим местам, хотя и хорошо знает что выручки большой не будет...

Размер его торговли совсем незначителен, хотя в тюках найдется у него товара руб. на 300, на 400. В одном месте он продаст катушку ниток, бумажку иглол, наперсток, либо ножницы; в другом—зеркальца, кусок позумента, сукна на архах или на папаху; гребешок или бумажку крючков... в третьем отмеряет аршин пятнадцать ситца кому-нибудь на платье или десяток аршин коленика, или бязь на рубаху; в четвертом продает какой-нибудь деревенской Аспазин несколько золотников белил и румян, какое-нибудь грошевое колечко с стеклянным глазком, вместо драгоценного камня; в шестом будет кусок сафьяна кому-нибудь на чумачки или катушка мишурной канители для вышивок по коже. И вот весь ассортимент его товаров. Но из этого выбора не каждый день у него покупают. В ином селении даже вовсе ничего не возьмут, между тем заставляют его развертывать свои тюки или узлы раз десять-пятнадцать, но он безропотно повинуется и разгараживает свой товар, в полной надежде, что „авось и возьмут что-нибудь“.

Вообще Горийский еврей-торговец не гонится за большими барышами. Он доволен тем, что наживет со своего товара каких-нибудь 10—15% и будет сыт со свдею лошадей. Большого ему и не нужно. А между тем у него имеются и особые расходы. Дома семья, состоящая из жены и детей; быть может, старуха мать, сестры, малолетние братья. Надо им уделить значительную часть своего заработка. Надо затем, уплатить казенные подати, торговые пошлины. Надо, внести приличную сумму купцу, у которого он забирает товар в долг; надо дать малую толику своему равнину, который в

известное время об'езжает сынов израиля. Кроме того необходимо сделать подарки: старшине, у которого он берет паспорт, сельскому писарю, который прописывает паспорт, десятскому за то, что во время его отсутствия покровительствует его семье... И вот когда странствующий еврей-торговец подсчитывает в конце года, то выходит, что он чуть ли не даром все это время хлопотал, так как товар опять нельзя взять на наличные, а непременно опять в долг у того же купца, у которого он и прежде кредитовался.

Случается, что в какомнибудь уезде появятся недобрые люди, промышленяющие на счет благосостояния ближнего...

В таких случаях странствующий еврей — козел отпущения. Если он не задобрит лихих людей, — они его ограбят, не задумаются даже убить, если он будет сопротивляться...

Несмотря на такое незавидное положение, странствующие торговцы-евреи славятся за честных людей. Они часто служат чем то вроде передаточной инстанции или в качестве почтальонов, перевозя из деревни в деревню чужие письма и деньги, и, как говорят, не было еще случая, чтобы кто-нибудь из них не исполнил поручения, т. е. не доставил-бы письма или утаил деньги...

...Из странствующих евреев-торговцев редко кто достигает мало-мальски обеспеченного состояния; большинство рождается и умирает нищим. Помыслы всякого из них, во время самой кипучей деятельности, не простираются далее того, чтобы нажить столько, чтоб иметь свой собственный деревенский домик; и что, редко кому из них удается<sup>1)</sup>.

სოფლად მოვაჭრეების გარდა, ქალაქად მცხოვრებ ებრაელი წერილი ვაჭრების საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ იმავე ვაჭრების თანამშრომელი წერდა:

„Как ни странно называть человека „мелким товаром“, однако такое название людей существует в Тифлисе и служит для определения разносчика-коробейника, продающего действительно мелкий товар...

Не проходит дня, особенно в теплое время года, чтобы во двор к вам не зашли несколько человек „мелких товаров“.

<sup>1)</sup> Вл. К.-я, „Кавказ“, 1901 г., № 160.

Разносчики такого товара, заключающегося в ситцах, кружевах, чулках, пуговицах, крючках, нитках, иголках и т. п. все — грузинские евреи или по грузински „уриа сацвримало“.

Из Тифлиских разносчиков это самые жалкие, обиженные судьбой и людьми представители мелкой торговли. Товар их расходуется между беднейшим классом городского населения и расходуется очень туго. Между тем труд такого разносчика поистине тяжелый. Представьте себе разносчика еврея, например, летом, когда по улицам Тифлиса и без ноши нет возможности пройти, не задыхаясь от зноя. Худой, бедный, жалкий, в истрепанной одежде, разносчик-еврей несет за спиной громадный складной ящик со своим товаром, в котором вместе с ящиком пуда три-четыре, и то и дело выкрикивает: „мелкий товар, товар, мелкий товар“!

По свойственной вообще торговцам привычке „мелкий товар“ черезчур запрашивает; при чем божится и клянется, что оценил свой товар ниже фабричных цен. По этой причине на продажу какой-нибудь кофеечной пачки иглок тратит чуть ли не целый час времени...

Нередко бедный разносчик просиживает, показывает товар два-три часа; в результате 5—6 копеек прибыли, потому что его позвали не с целью купить что-нибудь, а от безделья, из любопытства, из желания убить праздное время, посудачить, посмеяться над разносчиком. И много переносит бедный „мелкий товар“ от этих „кекелок“, а также уличных мальчишек, которые дразнят его, — показывая свиное ухо, привязывая к подлам его одежды свиные хвостики, бросая в него грязью и т. п.

Трудно поверить, чтобы такой разносчик-еврей выручал от своей торговли, порядочную прибыль; слишком уже мелок его товар, слишком мало он торгует! Больше всего они торгуют в кредит, так как на наличные редко кто купит у них что-нибудь, разве только тот, кому лень пройти до каравансарая (гостинный двор в Тифлисе).

Отдавая в долг рублей на 5, на 6, „мелкий товар“, получает эти деньги в рассрочку, не редко по 20—30 коп. в месяц, так что за какими-нибудь десятью рублями он ходит два-три года, а то и больше. И хорошо еще, если так оплачивают, а

то многие, пользуясь беззащитностью еврея-разносчика отка-  
зываются от своего долга, и при первом появлении разносчика  
гонят его в шею, грозя полицией и кулаками.

Евреи разносчики обитают в еврейском квартале, ютятся  
в невозможно грязных комнатах с каким-то прокислым, гни-  
лым запахом, по 10—15 человек в комнате, питаются луком,  
чесноком, зеленью и овощами. Отличаясь крайней скупостью,  
они никогда не позволяют себе ничего лишнего и между ними  
невозможно отыскать п'яницу-кутилу так-же, как нельзя оты-  
скать сколько-нибудь прилично одетого, человека <sup>1)</sup>.

ონში მცხოვრები ებრაელებისა და მათი სიღარიბის შესახებ  
1909 წ. „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „ებრაელები, როგორც  
სხვაგან, აქაც ვაჭრობას მისდევენ, მაგრამ სიღარიბე-სიღატაკისაგან  
ვერ გამოსულან. ონის ებრაელებში ძვირად შეხედებით ინტელი-  
გენტს. არ მოიბოგება ერთი კაციც, რომ საშუალო განათლება მაინც  
მიეღოს“ <sup>2)</sup>.

მაგრამ არა მარტო ონში, არამედ როგორც ზემომოყვანილი  
ცნობებიდან დაინახეთ, სხვა დაბა სოფლებსა და ქალაქად მცხოვ-  
რები ებრაელები—თითო ოროლა შეძლებული და საშუალო შეძლე-  
ვის მქონეთა გამოკლებით,—გაჭირვებას განიცდიდა. არსებული  
სოციალ-ეკონომიური პირობები ებრაელთა ძირითად მასას საშუა-  
ლებას არ აძლევდა რამდენიმედ მაინც ჩაბმულიყო მრეწველობაში,  
სოფლის მეურნეობაში და რაიმე უფრო საზოგადოებრივ სასარ-  
გებლო შრომისათვის მოეკიდა ხელი. რაც შეეხება ებრაელ ქალს,  
იგი დღედაღამ განუწყვეტელ მძიმე შრომაში იყო ჩაბმული და  
ღუბჭირ ცხოვრებას ატარებდა.

სოფლად წოწიალი, დღედაღამ სხვის კარზე ყოფნა, არანორმ-  
ალური კვება და ნახევრად შიმშილი, ძონძებში სიარული, მოუვლე-  
ლობა, დევნა, დამცირება, მატერიალური და სულიერი უკმაყოფი-  
ლება—აი წვრილი ვაჭარი ებრაელის ხვედრი. ასეთ პირობებში  
მოქცეულ ღარიბ ებრაელთა მასას საშუალება არ ჰქონდა, რომ  
რაგორმე შეეცვალა თავისი ცხოვრების არაადამიანური პირობები  
და მომავალი თაობისათვის ეზრუნა. ღარიბი წვრილი ვაჭრის ბავშვი  
ძარულიად მოუვლელად, და შეიძლება ითქვას, უბატრონოდ იზრდე-

<sup>1)</sup> Донавский, В. „Кавказ“, 1908 г., № 19.

<sup>2)</sup> რაქველი შერდული, „დროება“, 1909 წ., № 137.

ზოღა. 10—12 წლამდე მას „ხედერი“<sup>1)</sup> ხახამი ასწავლიდა ლოცვებს, რელიგიურ დოგმებს და უნერგავდა ღმერთისადმი შიშს.

10—12 წლიდან, უკეთეს შემთხვევაში, მამა უყიდდა მას 2—3 მან. წვრილმანს, თან გაიყოლებდა და ვაჭრობას ასწავლიდა, ხოლო უარეს შემთხვევაში, რომელიმე შეძლებულ ვაჭართან მოჯამაგირედ დააყენებდა მას. არც ქალაქად მცხოვრები ებრაელი წვრილი ვაჭრების ბავშვებს ჰქონიათ უკეთესი ხედერი. ძალიან იშვიათად, თუ რომელიმე წვრილი ვაჭარი თავის შვილს რაიმე ხელობის შესასწავლად ხელოსანთან მიიყვანდა, რადგან ხელობის შესასწავლად გარკვეული საფასური უნდა გაეღო. ამიტომ წვრილი ვაჭრის მცირე წლოვანი ბავშვი ხან ფეხსაცმელებს სწმენდა ქუჩაში, ხან შილკებს, ზონრებს, „ირისს“ ან ნაწებვარს ჰყიდდა, ხოლო დავაჟვაცების პერიოდში რომელიმე ვაჭრისაგან ნისიად იღებდა სხვადასხვა წვრილმანს, ან ფართალს და, თავის მამის მსგავსად, კარიკარ სიარულსა და ვაჭრობას დაიწყებდა.

ღარიბ ებრაელთა მასის ვაჭრობა ცოტად თუ ბევრად წააგავს იმ უმუშევართა („ზედმეტთა“) საქმიანობას, რომელთა შესახებ ენგელსმა ამბობს: სამრეწველო კრიზისების დროს ინგლისში „ზედმეტთა“ (ე. ი. უმუშევართა ი. პ.) უმრავლესობა ხელზე ვაჭრობას ეწევა საწვრილმანთა. განსაკუთრებით შაბათ საღამოს, როდესაც მთელი მუშა მოსახლეობა ქუჩაში გამოიფინება, ეს მეწვრილმანეები მათში შეერევიან; ფეხსაცმლის ზონრებს, შარვლის დასაჭერს, ყაითანს, ფორთოხლებს, ნამცხვარს, ერთი სიტყვით, ყოველგვარ საგანს შეაძლევენ გავლელთ უამრავი მამაკაცები, ქალები და ბავშვები... ამ ხალხის სავაჭრო საგანს შეადგენს აგრეთვე ასანთი, ლუქი, დააბტენტებული ცეცხლსანთი და სხვა მსგავსი საგნები“<sup>2)</sup>.

როგორც ვხედავთ, ინგლისის მუშათა კლასიდან სამრეწველო კრიზისების დროს უმუშევართა უმრავლესობა ხელზე ვაჭრობას მიმართავდა, ხოლო სხვა საქმიანობასა და ხელობას მოკლებული საქ. ებრაელთა ძირითადი მასა იძულებული იყო წვრილი ვაჭრობით ეგრჩინა თავი.

1) „ხედერი“ ებრაული რელიგიური სასწავლებელი.

2) ენგელსი, ფ. მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935 წ.

И. Паписимедов

## К ИСТОРИИ ТОРГОВЛИ ГРУЗИНСКИХ ЕВРЕЕВ.

Часть II.

(Р Е З Ю М Е)

По исследовании материалов, относящихся к хозяйственно-экономической деятельности (торговли) грузинских евреев, после отмены крепостного права, автор приходит к нижеследующим выводам:

1. До начала XX века участия евреев Грузии в промышленной жизни почти не замечается, но во внешней и внутренней торговле евреи уже играют значительную роль.

2. Во внешней и крупной торговле из грузинских евреев первое место занимают проживающие в Зап. Грузии, особенно кутаисцы, которые, благодаря этому, а также занятию ростовщичеством, накапливают большие капиталы, а вместе с этим захватывают в свои руки рычаги внутренней торговли.

3. Вследствие упадка торговли в г. Ахалцихе, большая часть здешних состоятельных евреев-торговцев переселяется в разные торгово-промышленные центры Закавказья, в частности в гор. Тбилиси, где в начале XX столетия разворачивает свою торговую деятельность.

Состоятельные слои евреев, проживающих в деревнях и местечках Восточной Грузии, в больших коммерческих операциях и во внешней торговле, по сравнению с евреями Зап. Грузии, стоят на заднем плане.

4. С развитием промышленности и внешней торговли, росла и внутренняя торговля, в чем значительную роль сыграли грузинские евреи. Развитию внешней и внутренней торговли способствовали проведение в Грузии железных и строительство шоссейных дорог, улучшение средств передвижения и, вытекающее отсюда, сближение города с деревней.

5. Шовинистическая политика царского правительства и, вытекающее из этой политики, законодательство, направленное

против еврейства, стесняло участие груз. евреев в промышленности и земледелии.

Но законодательство это и ограничение в правах не одинаково распространялись на всех евреев Грузии. Вся тяжесть его преимущественно направлена была против евреев трудящихся и мелких торговцев, в то время, как буржуазная верхушка еврейства пользовалась некоторыми льготами.

Политически бесправная и экономически обессиленная еврейская масса втягивалась в мелкую торговлю и с трудом добывала себе средства к существованию.

6. В указанный период времени среди евреев Грузии намечается расхождение по социально-экономическим и профессиональным признакам, которые с течением времени претерпевали изменения.

Так, например, в 70-х годах XIX столетия приблизительно 81% всей массы евреев Грузии был вовлечен в торговлю, а 19% — в другую отрасль деятельности; в конце XIX века до 79% занималось торговлей и 21% другими профессиями; в 1913—14 г. около 77% было вовлечено в торговлю, а 23% — в другую деятельность. Так, в течение 40 лет, из всей массы еврейства количество торговцев сократилось на 4%, каковое обстоятельство главным образом объясняется тем, что евреи, втянутые в мелкую торговлю, этой деятельностью не могли удовлетвориться и часть их вынуждена была обратиться к другой деятельности, главным образом, к ремеслам.

Контингент торговцев в этот период делился на три слоя: на крупных, средних и мелких торговцев. С течением времени в этих слоях также происходили изменения; так, например, в начале 70-х годов XIX столетия из всего количества около 10,8% были крупные торговцы, 34,9% — средние и 54,3% — мелкие; в конце же XIX столетия крупные торговцы составляли 11%, средние торговцы — 33,5% и мелкие — 55,5%; в 1913—14 г. крупные торговцы составляли 11,3%, средние — 34,8% и мелкие — 56,9%. Как усматривается, за 40 лет, на основе развернувшейся конкуренции, постепенно сокращалось количество средних торговцев (3,1%), за счет которых увеличилось количество крупных (0,5%) и мелких (2,6%).

Упомянутые три слоя в своих взаимоотношениях делилось



еще на две основные группы: 1) группа „хозяев“ и 2) группа „коробейников-приказчиков“. Кроме этого, имела также ко-леблющаяся группа средних торговцев, меньшая часть которых выступала в роли „хозяев“, а другая часть — в роли „коробейников“, с той разницей, что эти последние частично собственными средствами торговали в розницу.

„Хозяева“ — это те же крупные торговцы, „коробейники-приказчики“ же — мелкие торговцы, большинство которых, из-за отсутствия или ограниченности собственных средств, было вынуждено брать у первых товар в кредит и всю жизнь оставалось объектом их эксплуатации.

7. В отличие от торговцев других национальностей, большинство торговцев евреев поставляло товар сельским покупателям на дом, что являлось спецификой их торговой деятельности.

8. До отмены крепостного права, торговая деятельность евреев ограничивалась пределами близлежащих деревень, после же отмены его и, в особенности, с начала XIX столетия они с торговыми целями направлялись в дальние места: на Северный Кавказ, в Сванетию, Хевсуретию, Закаспийский край (нын. Узбекистан, Туркменистан и др.). Это было вызвано главным образом тем, что в отдаленных и глухих селах конкуренции было меньше и легче было по повышенным ценам сбыть взятый в кредит товар.

9. Торгующие в аджарских селах ахалцхские евреи, общаясь с аджарцами, говорили с ними на грузинском языке, чем частично способствовали сохранению его среди населения этого края.

10. Торговцы-евреи владели особым тайным торговым языком, называемым „кизруди“ (от слова *ibri*), и состоящим из древнееврейских слов, корни которых имели грузинские аффиксы и суффиксы. Этот язык, своим происхождением обязанный торговым взаимоотношениям их друг с другом, в дореволюционный период имел широкое применение; ныне же он представляет из себя лишь интересный материал для лингвистов.

11. Несмотря на то, что большинство евреев занималось

торговлей, основная масса их, за исключением некоторых крупных и средних торговцев, постоянно испытывала нужду. Существующие социальные и политические условия не давали этой массе евреев возможности заняться промышленностью, или земледелием, взяться за общественно-полезный труд, и они всю свою жизнь проводили в беспросветной нужде.

Только лишь с установлением Советской власти, под солнцем Сталинской конституции, радикально изменились и улучшились условия евреев Грузии. Они стали полноправными членами единой братской семьи народов Советского Союза и получили все возможности для дальнейшего подъема материального благосостояния и культурной жизни.

*J. Papisimedov*

A REVIEW OF THE TRADE HISTORY OF THE GEORGIAN

JEWS. PART II

S u m m a r y.

The investigation of the materials bearing on the economic (trading) activity of the Georgian Jews, after the abolition of serfdom, leads the author to the following conclusions:

1. Previous to the beginning of the XX. century the share of the Georgian Jews in the industrial life of this country is hardly noticeable, while in foreign, as well as in large scale-home trade they play already an important part.

In foreign and large scale-home trade the most important part was played by the Jews inhabiting the West Georgia, especially Kutaisi, where thanks to that kind of trade and their pursuit of usury the Jews succeeded in raising large capitals and got hold of home trade and the market.

3. In consequence of trade decay at Akhaltzikhe the majority of the well off Jews of that district settled in different trading centres of Transcaucasus particularly in Tbilisi, where in the beginning of the XX. century they started to display their commercial activity.

As for the groups of wealthy Jews living in the country and boroughs of the East Georgia, when compared with those inhabiting the Western part of the country in regard to large commercial transactions and foreign trade, they stood in the background.

4. The development of industry and foreign trade was accompanied by the growth of home trade, in which the Georgian Jews also played an important part. This process was being prompted by the construction of railways, high roads and the

amelioration of the means of communication in Georgia, all tending to draw the town nearer to the village.

5. The chauvinistic policy of the tsarist government and its consequent legislation directed against the Jews checked generally their participation in industry and agriculture.

But that legislation and restrictions in rights were not uniformly administered—being chiefly applied in their whole rigour to the Jewish toilers and petty tradesmen, while their bourgeois upper class enjoyed certain franchises.

Deprived of political rights and weakened economically the Jewish masses were forced into the petty trade, hardly able to earn their livelihood.

6. At the period we are reviewing we witness among the Georgian Jews a differentiation according to their social, economical and professional conditions, variable in the course of time. So e. g. in the seventies of the XIX. century about 81% of the Georgian Jewish population were involved in trade and 19% in other occupations. At the end of XIX. century (1913—1914) 77% of them approximately carried trade and 23% were occupied otherwise.

So in the lapse of 40—45 years the number of Jewish tradesmen was reduced by 4%. This phenomenon finds its explanation mainly in the fact that the Jews occupied in petty trade were unable to provide themselves, and one part of them had to turn to other work chiefly to handicraft.

The bulk of tradesmen was then divided into three groups—the large-scale merchants, the middle and petty merchants. As the time went on these groups too underwent certain fluctuations. Thus e. g. at the beginning of the seventies of the XIX. century, out of the whole mass of the Jewish tradesmen, 10,8% approximately were large-scale merchants, 34,9% belonged to the middle merchants group and 54,3% were petty tradesmen, while at the end of the XIX century the large scale merchants formed 11%, the middle merchants—33,5% and the petty tradesmen—55,5%. In 1913—14 11,3% were large-scale merchants, 31% middle merchants and 59,9% petty tradesmen. Thus during 40 years, thanks to the growing competition, the number of the middle merchants was gradually reduced by 3,1% and at their

expenditure the number of large-scale merchants was increased by 0,5%, and that of the petty tradesmen by 2,6%.

The mentioned three groups, viewed from the point of their relation to each other, were divided into two principal groups: 1. the group of owners and 2. the group of pedlars. Besides these, there was an unsteady group of middle tradesmen the smaller part of which played their trade as „owners“ and the rest as pedlars, with the only difference that the latter retailed partially with their own means.

As for the „owners“ they formed the large-scale merchants, while the pedlars were petty tradesmen, the majority of whom having only limited own means had to buy goods on credit from the „owners“ and undergo on their part a lifelong exploitation.

In distinction from the tradesmen of other nationalities, the Jewish tradesmen supplied the rural population of the country bringing goods to the homes of their customers, and that vested their trade activity with a specific trait.

8. Before the abolition of serfdom their commercial activity was restricted within the limits of the neighbouring villages. After the abolition of serfdom and especially from the beginning of the XIX. century, they began to frequent according to their commercial aims, the remote places of the Northern Caucasus, Svaneti, Khevsoureti, the Transcaspien region (Ousbekhistan, Turkmenistan). The explanation of this we must see mainly in the fact that in the distant villages there was less competition and it was easier to sell at a higher price the goods bought on credit.

It may be asserted that the petty tradesmen trafficking with the districts still preserving tribal social order and supplying them with goods from factories at the same time brought thither the elements of civilisation and a higher culture as well.

Lodged at the villagers the Jewish pedlars used to repeat to their incidental hearers the tales, verses and proverbs they had heard in other places and thus helped to the spreading of the rich Georgian folklore.

The trading Jews from Akhaltzikhe, when dealing with the Adjarians, spoke Georgian with them, and thus they helped to

maintain the Georgian language among the population of this district.

The Jewish tradesmen spoke a special secret commercial language called „kivruli“, a word derived from „ibri“, which consisted of hebrew words and the roots of which had Georgian prefixes and suffixes.

This language was the result of commercial relations and was widely used in the pre-revolutionary period. Now this language is an interesting material for linguists.

Notwithstanding the fact that the Jews were occupied with trade, their mass, with exception of some large-scale and middle tradesmen, experienced constant distress and need.

The social and political conditions of this mass of Jews, gave them no opportunity for industrial and agricultural occupations or understandings in some useful social work. They spent their lives in utter need.

Only with the establishment of the Soviet power under the sun of the Stalin Constitution the conditions of the Georgian Jews greatly changed and improved.

They became rightful members of the great fraternal family of the peoples of the Soviet Union and received all the opportunities for the further growth of their culture and their material prosperity.

---

იუდა ჰალმში ჩოკნი

## შეგზავრება იმეარ და აშიარ-კავკასიაში

თარგმნილი ძველი ებრაულიდან ა. კრიხელის მიერ

## წინასიტყვაობა

იოსებ იუდა ჰალევი ჩორნიმ გასული საუკუნის 60—70-ან წლებში იმოგზაურა კავკასიასა და ყირიმში სპეციალურად მთიელ და საქართველოს ებრაელთა ისტორიული წარსულის შესწავლისა და მათი კულტურულ-ეკონომიური სინამდევლის აღწერის მიზნით. ამ მიზნით იუდა ჩორნიმ კავკასია 20 წლის მანძილზე სხვადასხვა დროს სამჯერ შემოიარა და აქ ათ წელიწადზე მეტ ხანს დაყო, ისე რომ ზოგიერთი ადგილი (მაგალითად, ქუთაისი) რამდენჯერმე ინახულა.

მოგზაურობის დამთავრების შემდეგ კავკასიის სიძველეთა მოყვარული საზოგადოების ამ ერთ-ერთ აქტიურ წევრს მხედველობაში ჰქონდა დაგროვილი მასალების სისტემაში მოყვანა და ვრცელი აღწერა თავისი მოგზაურობისა, მაგრამ ყელის ქლექით დაავადებულს გარდაცვალების გამო ამ ამოცანის შესრულება არ დაცალდა (ი. ჩორნი დაიბადა 1835 წელს მინსკში, გარდაიცვალა 1880 წელს ოდესაში). ჩორნიმ თავისი მოგზაურობის აღწერილობანი, დღიურები, ისტორიული ხასიათის მრავალი დოკუმენტი, ლაპიდარულ ძეგლთა ფოტო-სურათები, სიგელგუჯრების პირები თუ ორიგინალები და სხვა მრავალი ძვირფასი მასალა დაუმუშავებელი სახით დაკვიტოვა. გარდაცვალების წინ, მან ეს მასალები უანდერბარუჟეთის ებრაელთა შორის სწავლაგანათლების გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც პეტერბურგში არსებობდა. ამ მასალების განსახილველად საზოგადოებამ გამოყო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი ებრაელი ორიენტალისტი პროფესორ-დოქტორი აბრაამ ჰარქავი. კომისიის სხვა დანარჩენი წევრები აგრეთვე ცნობილი ებრაელი მკვლევარ-მეცნიერნი და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ: ალექსანდრე ცედერბაუმი, ლევ კანტორი, ჰირშ რაბინოვიჩი და მორდეჰაი ქოჰენი.

კომისიამ ჩორნის მასალებიდან ამოკრიფა ყველაფერი, რაც ცოტად თუ ბევრად ფასეული და საყურადღებო ყყო. მასალების სათანადო დალაგება-დანართისხება და რედაქტორის არც თუ ადვილი სამუშაო ჰირადად კომისიის თავმჯდომარემ, ჰარქავიმ შეასრულა.

ჩორნის მასალები ჰარქავიმ სამ კატეგორიად დაყო:



პირველ კატეგორიას მიაკუთვნა მოგზაურის მიერ კავკასიის ებრაელთა შესახებ შეგროვილი წერილობითი ძეგლები, რომელთაგან თითქმის ყველა უკანასკნელ სამ საუკუნეს მიეკუთვნება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი ძეგლისა, რომელიც შედარებით უფრო ადრინდელი პერიოდისაა.

მეორე კატეგორიაში შეიტანა იუდა ჩორნის მეგრ შეგროვილი ზეპირი ცნობები კავკასიის ებრაელებისა თავიანთი წარსულის შესახებ, აგრეთვე ჩორნის დაკვირვებანი კავკასიის ებრაელთა ეკონომიურ, სულიერ, ზნეობრივსა და რელიგიურ ცხოვრებაზე.

მესამე კატეგორიას მიაკუთვნა ისეთი მეორეხარისხოვანი მასალები, როგორცაა: ამონაწერები გაზეთებიდან, რომლებიც კავკასიაში გამოდიოდა, ცნობები კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ტომის ისტორიული წარსულიდან, ცნობები ზოგიერთი თავადის გენეოლოგიის შესახებ და სხვა. წიგნი, სათაურით: „სეფერ ჰამასაყოთ ბეერეც კავკაზ უბედინოთ აშერ მიყებერ ლაკავკაზ უკცათ მედინოთ ახეროთ ბენეგებ რუსია“ რუსეთის ებრაელთა შორის სწავლავანათლებლის გამავრცელებლმა საზოგადოებამ, ჰარქაეის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოსცა 1884 წელს სანკტ-პეტერბურში (ახლანდელ ლენინგრადში).

წინამდებარე გამოცემა ზემოდასახელებული, ძველ ებრაულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნის მხოლოდ ცალკეული თავების ქართულ თარგმანს წარმოადგენს, თავებისას, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა ისტორიულსა და ეთნოგრაფიულ სინამდვილეს აგვიწერენ: ისინი მრავალმხრივ იმსახურებენ ყურადღებას, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ აქ მოცემულია საქართველოს ებრაელთა უმრავლესობის მეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და დაბალი კულტურული დონე ბატონ-ყმობის ხანაში და მის შემდეგაც. აქვე საინტერესოა ისიც, რომ მრავალი, ეთნოგრაფიულად დაშასხაოთებელი დეტალი, რომელიც იუდა ჩორნის დროს თურმე ახასიათებდა აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელობას, დღევანდლობამდე არც ზნეჩვეულების სახით არის მოღწეული იკი და არც ზეპირი გადმოცემის.

რაც შეეხება „მოგზაურობის“ იმ თავებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოსა და, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მოსახლეობას შეეხება, მათი ქართული თარგმანის გამოქვეყნება, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმს ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, მომავლისათვის აქვს გადადებული.

უხერხული გამოთქმები, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის აქტუალობას მოკლებული და სხვა ასეთი ადგილები, რაც ორიგინალში გვხვდება, თარგმანში გამოტოვებულია.

ეს წიგნი არა მარტო წინამდებარე, ქართული თარგმნის სახით, არამედ საერთოდ, პირველ ნაწილს წარმოადგენს, რადგან რუსულ ენაზე შესრულებული და გამოცემული მისი თარგმანი ორიგინალის იმ თავებს წარმოგვიდგენს, რომლებიც მხოლოდ მთელ ებრაელებს შეეხება.

იუდა ჩორნის „მოგზაურობის“ წიგნს ზოგიერთი თავისებური ნაკლოვანება ახლავს, რაც სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულიცაა, მაგრამ, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, მისი მნიშვნელობა და აქტუალობა დღესაც დიდია. იუდა ჩორნი პირველი იყო, რომელიც კავკასიის ებრაელთა ისტორიასა და ეთნოგრაფიას მთელი რიგი წლების მანძილზე სპეციალურად სწავლობდა და საფუძვლიანად იკვლევდა, რამდენადაც ეს მას შეეძლო. იუდა ჩორნი პირველია აგრეთვე ქრონოლოგიურად იმ მკვლევარებს შორის, რომლებსაც ამ საკითხზე უმუშავნიათ (ცები ქასდოი და მ. ს. პლისეცკი).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო შუზეუმის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ იუდა ჩორნის მთელი რიგი ცნობების საარქივო დოკუმენტების მიხედვით უკვე შემოწმებულია. ყველა ასეთ შემოწმებათა შემდეგ, იუდა ჩორნის ცნობები უტყუარი და ზუსტი აღმოჩნდა და თითქმის სავსებით დაემთხვა იმ ცნობებს, რომლებიც საარქივო დოკუმენტებშია წარმოდგენილი.

მ. ა. მამისხვალიძევი.

„მოგზაშრომა საქართველოს მშენებელი“ (ივერეთი,  
საქმობლო, გურიკა) და აკარაბის მშენებელი (სომხეთი)

თავი 28, გვ. 126—131, ნაწ. I.

1869 წ. 14/V-ს დღით გავედით თბილისიდან, გზად გავიარეთ უშენიერესი ბალ-ვენახებიანი რამდენიმე სოფელი და მშვიდობით მივედით გორში. იქ წთის თავზე გორის გალავნის მახლობლად დავბინავდით. ჩემსა საბედნიეროდ, ჩვენი ბინის მახლობლად, პატარა დარბაზებთან, თავს იყრიდნენ ებრაელები. იქ შევხვდი ცხინვალელ რაბი იაკობს და სხვა ებრაელებს (სურამიდან, ბრეთიდან და ქარელიდან). ერთმანეთის ნახვამ ყველა გაგვახარა.

პირველი ღამე პატარა ოთახში გავათიე და დავრჩი „ნაჩალ-ნიკის“ დაბრუნებამდე, როგორცაც გორიდან მეფის ნათესავები გაეცილებინა.

მაისის 15-ს საღამოს რაბი იაკობსა და რაბი ელიაჰუსთან ერთად გორის მაზრის უფროსს თავად ერისთავს ვესტუმრე. მან დიდი პატივისცემით მიმილო და ჩაიხე მიმიწვია. ვუამბე რა მას, რომ რკინიგზის მონღლები გზად გამვლელ ებრაელებს ლანძღავენ, აწვალენ და სცემენ მეთქი, ვსთხოვე საქმის მოგვარება. ნაჩალნიკა წამომყვა უფროს ინჟინერთან და ჩემი თანდასწრებით წინადადება მისცა მას, გავეფრთხილებინა თავისი მოხელეები, რომ მათ ასეთი ამბები აღარ გაემოკრებინათ. გარდა ამისა, განკარგულება გასცა ჩემთვის სასწრაფოდ გამზადდებინათ ბარათი (მოწმობა). ამასთან, ებრაელთა წარსულის შესახებ მასალების შეგროვებაშიც დახმარებას დამპირდა.

იმავე საღამოს მეწვია ქართველთა მღვდელი, ვინმე მამა ალექსანდრე პეტრეს-ძე. ჩვენ ებრაელთა შესახებ დიდ ხანს ვისაუბრეთ.

16 მაისს დღით გამზადებული იყო ჩემთვის მოკაზმული ეტლი, სამი საუკეთესო ცხენით შებმული. რაბი იაკობ და ჩემს თანმხლებელთან ერთად წავედით ღია ბარათის მისაღებად მაზრის უფროსთან. თავადმა ამ ჟამადაც დიდი პატივისცემით მიმილო და

შემიბრდა, რომ თხოვნას შემისრულებდა. თავადმა ღია ბარათი გადმომცა, გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და წამოვედი ჩვენს ბინაზე. იქ ჩავსხედით ეტლში და ცხინვალისაკენ გავეშურეთ (გორის შესახებ სხვა ადგილას მოგახსენებთ). ცხინვალში რომ ჩავვლით, ეტლი ვაჩერდა ერთ საუკეთესო სახლთან, რომლის გარეგნობა მნახველს ხიბლავდა; ეს სახლი რაბი იაკობს ეკუთვნოდა. ჩემს შესახვედრად იქ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ჩამოვედი ეტლიდან და ზემო სართულში ავიდი. ხალხი თვალს არ მაშორებდა და განცვიფრებული მიყურებდა. თავადი მაჩაბელი (რომელსაც სოფ. თამარშენის ებრაელები ყმებად ჰყავდა) და სომხური სკოლის ორი მასწავლებელი მომესალმნენ. ჩვენ შორის საუბარი გაიმართა, ცოტა ხნის შემდეგ ადგილობრივი ბოქალური ვინახულე.

ღამით სალოცავში გავემგზავრეთ. აქაური სალოცავები დაღესტნის ებრაელთა სალოცავებისაგან დიდად განსხვავდება: დიდი დარბაზი და კედლების გარშემო აშისავით შემოვლებული მერხები. ღამის ლოცვის შემდეგ ჩემთან ბავშვები მოვიდნენ (ვაჟები) და ხელზე შემთხვიენენ, შემდეგ შუბლზე ხელს დამადებდნენ და ისევ ხელზე შემთხვიენდნენ. მათ უფროსები მოჰყენენ. მეორე დილას იგივე განმეორდა, რაც წინა ღამეს მოხდა—ხელზე კოცნა და „შაბათ-შალომის“<sup>1)</sup> მოლოცვა.

შაბათ საღამოს სომხების მღვდელმა და სოფლის მასწავლებელმა მიწაწაღეს, კვირას—ბრეთის რაბიმ (შალომმა).

ცხინვალის პატარა სოფელია. მას ჩაუდის-სწრაფი და საკმაოდ ღრმა მდინარე ღიახვი, რომელიც აზვირთებულ ტალღებს ისვრის და გორისაკენ მიემართება. ცხინვალში დიდადი ბაღი და ვენახია გაშენებული და შრავალი მოსახლე მისდევს შეხილვობას.

აქაური ებრაელი ქალები კარჩაკეტილობას არ იჩენენ, მამაკაცებს არ გაუბრძანან, მათთან ყოფნას არ მორცხვობენ და ხშირად მამაკაცებთან ერთად მაგიდაზე საუბრობენ.

ლოცვის დამთავრების შემდეგ, სოფლის რჩეულებთან ერთად რაბი ელიაჟ თავის სახლში მიგვიბატყა. ამ დროს ოთახში შემოვიდა თბილისელ ვაჟზე გათხოვილი 14-15 წლის გოგო, რომელსაც პატარძალს უწოდებდნენ. ის ჩემკენ გამოეშურა, მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მოულოდნელად მჯოცა. იგი დანარჩენ მოწვეულ პირებსაც ამავე წესით მიესალმა, ასეთია აქაური ზნე-ჩვეულება.

მისის 18-ს ბრეთის რაბი შალომსა და რაბი ელიაჟსთან ერთად სადილს შევექცევი: საუკეთესო სუფრა გააწყვეს, კარგ-

<sup>1)</sup> შაბათ-შალომ—„შვიდობის შაბათი“.

დრო გავატარეთ, მაგრამ აქაურების ღვინის სმამ მე ძლიერ გამაოცა: ეტყობა, საქართველოს ებრაელები ღვინოს კარგად სვამენ. სალამოხანს რაბი იაყაკობსა და რაბი ელიაჰუსთან ერთად ბოქაულთან გავემგზავრე. ბოქაულმა ბაღში მიგვიწვია და ჩაით გავემისპინძლდა, შემდეგ მასთან ერთად, ვენახებისაკენ გავისეირნეთ და შებინდებისას სახლში დავბრუნდით.

19 მაისს დღით თავადი მაჩაბლის სანახავად სოფ. თამარ-შენში გავემგზავრეთ. მან დიდი ამბით მიგვიღო და ცალკე ოთახში მიგვიპატიჟა; ცოტახნის შემდეგ ჩემთან ორი ქალბატონი შემოვიდა. დავიწყეთ საუბარი...

საუბრით დამტკბარნი გამოვემშვიდობეთ მასპინძელს და თავადი დავით მარტინეს-ძე მაჩაბლის ოჯახში მივედით. დავით მაჩაბელმა თავაზიანად მიგვიღო და ამ სოფლის ებრაელთა თავგადასავლიდან ბევრი რამ გვიამბო; მაჩვენა მეფეთა სიგელ-გუჯრები, უშუალოდ მათ გვარეულობაზე ვაცემული...

რაბი იაყაკობის ორსართულიანი სახლი (სადაც მე ვბინადრობდი) აშენებული იყო ალიზითა და კირით. პირველი სართული დუქნებს შეადგენდა, მეორე-კი—საცხოვრებელ ბინებს. ზედა სართული ორი ფართო ოთახისაგან შედგებოდა, ფანჯრები ოვალური ჰქონდა და მინებ-ჩასმული. ოთახების კედლებს ბუხრები ჰქონდა დატანებული, ოთახის მოწყობილობა ევროპული ყადისას მიაგავდა. ოთახის მოწყობილობას შეადგენდა ფართო და დაბალი მაგიდა; რომლის გარეშემო სკამები იყო მიდგმული, ეს მოწყობილობა ამავე დროს ღამის საწოლის დანიშნულებასაც ასრულებდა. კედლებში დატანებული იყო წალოები თაროებით, რომლებზედაც ჭურჭელსა და ლოგინებს ინახავდნენ, ტანისამოსს კი კიდობნებსა და სკრებებში ინახავდნენ.

ქალები სახლების წინ, მიწაზე ჯდებოდნენ. ჩემი გამოვლისთანავე ყველა ფეხზე დგებოდა. აქაური ებრაელი ქალი ყველა პატიოსანია. თავზე ქიშმირი ახურავთ და ბეჭებზე შალი აქვთ წამოსხმული, სახლში ისინი მარტო მანქაცებისაგან გამოცალკევებით ცხოვრობენ, სალოცავშიაც გამოცალკევებული არიან. ზოგიერთ სალოცავში მათთვის აშენებულია აივნები, ხოლო იქ, სადაც ასეთები მოუწყობებოდა, ქალები გარეთ დგანან და ფანჯრიდან ან კარებიდან ისმენენ ლოცვას. სტუმრის მიღებაც ასეთივე წესით წარმოებს.

21 მაისს ჩემს სანახავად ჩამოვიდა სურამის რაბი ელიშაყი. ამ დღეს ერთმა გამოჩენილმა პირმა ჩაიზე მიგვიწვია, თან რაბი დავითიც მახლდა. რამდენიმე ხნის შემდეგ რაბი ელიაშაყიც მოვიდა.

მე ძალიან მსიამოვნებდა ეს საზოგადოება. სუფრაზე მაჩვენეს მოშვე მონტეფიორეს წერილი 1841 წელს მომსდარი რიტუალური პროცესის შესახებ. წერილის პირი გადავიღე.

სალამო ხანს ხახამ მოშვე მიმიწვია. მისი ქალები და საზოგადოდ აქაური ქალები ერთობ ლამაზები არიან, სრულებით არ ჰგვანან დალესტინის მოჩხუბარ ქალებს, რომლებიც ამ ჩუბში ნადირებივით ღმუიან.

შამაკაცების ნებადაურთველად, და ისიც თუ ძალიან არ შეგვეწვი, აქაური ქალები არ ჯდებიან. როდესაც შამაკაცები სუფრას აკურთხებენ, ქალები ფეხზე დგანან და სასოებით უსმენენ კურთხევას. ამ ქვეყნის ქალი პირისახეს არ იღებავს, ქართველი და სომეხი ქალების მსგავსად. პირიქით, ზოგიერთი ქალი თავის ბუნებრივ სილამაზეს ხილაბანდითაც კი მალავს. საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ებრაელები დალესტინის მოძმე ებრაელებისაგან ძალიან განსხვავდებიან. აქ ბევრგან საჭმელს ხელითა სჭამენ, ზოგან კი კოვზები და ჩანგლები აქვთ ხმარებაში. ასეთივე მდგომარეობაა მკვიდეებისა და სკამების ხმარებაში; ერთგან მიამბეს, რომ საჭმელს შავიდაზე მხოლოდ შაბათსა და უქმე დღეებში შეეკცევიან, დანარჩენ დღეებში კი — გრძელ „სკამიკებზე“ ან იატაკზე ალაგებენ მას.

ცხინვალელ ებრაელებს მოაყალი ბალი და ვენახი შეუქმნიათ. აქაური მიწის ნაკვეთები სარწყავია და ნოყიერი. პურს აცხობენ შავს და სქელს, ხორცი, პარასკევი დღის გარდა, არ ეშოვებათ. სოფლის მოვარეებს მოჰყავთ ფრინველები და ჰყიდიან მთელი კვირის განმავლობაში. მე პირადად მხოლოდ ერთხელ ვჭამე საქონლის ხორცი და 2-ჯერ ფრინველისა, დანარჩენ დღეებში სულ რძეულით ვიკვებებოდი. ცხინვალში ყოფნის დროს მე დავესწარი ორ ქორწილს. დღისით ქორწინების აქტის წაკითხვამდე, ნეფის სახლში დიდი წვეულება იყო გამართული, შემდეგ მოვიდნენ მაყრები მრავალი ხალხის თანხლებით და ნეფე სალოცავამდე სიმღერით მიაცილეს. მალე პატარძალიც გამოჩნდა; ობოლი ქალი იყო, მას წინ მიუძღვოდა თეთრ-წვერა მოხუცი, რომელსაც ხალხი სიმღერით მრსდევდა; სალოცავის კარებთან ნეფეს შეახვედრეს პატარძალი, შეიყვანეს სალოცავში, ერთად დააყენეს, მათ წინ ხახამი-რაბი დავიდ დადგა და ებრაულად დაილოცა, წაიკითხა ქორწინების აქტი და შემდეგ მეფე ალექსანდრე მეორე მოიხსენია. რამდენიმე ხანს სუფა (საფარი) არ ჩანდა, შემდეგ მოიტანეს ტალეთი.<sup>1)</sup> ნეფემ ტანზე დაიხურა სათანადო რიტუალის შესრულებით და, როდესაც რიტუალს ასრულებდა, პატარძალს თავზე გადაახურა. ამ დროს ნეფეს ღვინით

<sup>1)</sup> რელიგიური წამოსახამი

საკეს თიხას ჭურჭელი ეკავა ხელში, შივ-კი ბირობის ბეჭედი იღო. როდესაც ხახამმა ლოცვა დაამთავრა, ნეფემ ამოიღო ჭურჭლიდან ბეჭედი, ჯამი კი მიწაზე დაახეთქა და დაამსხვრია; ხუფის შემდეგ, ნეფემ და დედოფალმა თეთრი ხელსახოცის ორ სხვადასხვა კუნჭულს მოჰკიდეს ხელი, ტრაპეზს გარშემო შემოუარეს, არონ ჰაკოდემთან<sup>1)</sup> გაჩერდნენ და ფარდას კმთხვივნენ; ამის შემდეგ ნეფე-პატარძალი გამოიყვანეს სალოცავიდან და ებრაული სიმღერებით სახლამდე მიაცილეს. ღამით დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა მიწაზე დაჯდა — ჯგუფ-ჯგუფად. გაიმართა დიდი ქეიფი, შუალაშე კარგად გადასული იყო, რომ ჯერ კიდევ გაისმოდა სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა. მეორე დღეს ქეიფი განახლდა. სუფრასთან დედოფალი მოიყვანეს და ერთი საათით ნეფეს გვერდში დაუსვეს. ამ დროს ერთი ფანატიკოსი ხახამი წამოხტა, იძრო ხანჯალი და ჰაერში შეატრიალა, თანაც ქადაგება დაიწყო. პირველად მე მეგონა, რომ ეს რაღაც ადგილობრივი ტრადიციაა მეთქი, რის გამოც რაბი იაყაკობს შევეკითხე, მაგრამ იგიც შეაფიქრინა ამ სულელი ხახმის საქციელმა და მიპასუხა, რომ ასეთი ჩვეულება ჩვენში არ არსებობსო. დარბაზში მრავალი ქართველი და სომეხი ქალი იყო. მე გავბრაზდი, გამოვაცხებინე ის სულელი ხახამი და ებრაულად ვუთხარი, რომ ასეთი საქციელი არ შეგშენის მეთქი; რაბი იაყაკობმაც თავისი მხრით იგი ცალკე დატუქსა ქართულად და როგორც იქნა დავაშოშმინეთ.

შემდეგ დაუკრეს დაირაზე და დედოფალი აცეკვეს, მას სხვა ქალები და ქალიშვილებიც მიჰყვნენ. მათი ტანსაცმელი ქართველი ქალის ტანსაცმელს ჰგავს და არა თათრის ქალისას.

როდესაც მიცვალებულის ოჯახში შეიკრიბება ხალხი, ქირისუფალს ყვილა ვერცხლის საჩუქარს სთავაზობს. რაბი იაყაკობის სახლში მე წავაწყდი წარწერას ვერცხლზე, რომელიც მას აჩუქეს დედის გარდაცვალების დღეს. ვერცხლზე შემდეგი თარიღი იყო: „1839 წ. 20 აპრილი“.

1869 წლის 8 ივნისს რაბი იაყაკობის, ხახმების ისხაკის აბრამ კრიხელის და ორი სხვა კაცის თანხლებით გავემგზავრე ბრეთში. ტბინვალიდან ორღობემდე მთელმა ჯამათმა გამაცილა. მშვენიერი ვზა იყო, ჰაერიც საამაური. აქაური ბუნება არ იპყრობს თვალს. ორსაათნახევრის შემდეგ, როდესაც უკვე კარგად შეღამდა, ბრეთიდან 2 ვერსის მანძილზე ჩვენ შეგვევება რაბი შალომი, რომელიც ცხენით წამოსულიყო. სოფლის ქუჩები და სახლების ბანები გავსებულნი იყო ხალხით; ყველა ჩემს მოსვლას მოელოდა. ჩვენ მიგვიყვა-

<sup>1)</sup> არონ ჰაკოდემ — წმინდთა კარადა.

ნეს სილამაზით განთქმულს ერთს მშვენიერ სახლში, ხოლო დანარჩენი სახლები მიწური იყო და გამოქვაბულებს ჰგავდა. სახლების მეტ ნაწილს იატაკები არა აქვს, ხოლო ბანიან ჭერში თანჯარაა გახერცული, სოფელი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას თუ შორიდან ან მალლობიდან გადმოხედავთ, სასაფლაო გვეგონებათ.

სოფლის ხალხი შეჩვეულია აქაურ კოლოს, უცხოელისათვის კი კოლო საშინელებაა. იგი გველივით იკბინება და მთელ ღამეს მოსვენება არა გაქვს მისგან.

ღამით სალტრეში წავედით. აქაური სალოცავი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ცხინვალისა. შენობა შალაია და რამდენიმე სვეტი ჭერამდე აღმართული.

აქაც გარშემო მერხები, „სკამეიკებია“ შემოვლებული. ბრეთის ებრაელებს 2 რაბი ჰყავთ: ერთი დანიელ ისხაკის-ძე, მეორე შალომ მოშეს-ძე. პირველი 60 წლის მოხუცია, თავმდაბალი, უბრალო და განსწავლული ადამიანი; მართალია მეორეც გულკეთილია, მაგრამ თაღლითი და ეშმაკი.

სალოცავიდან დაბრუნების შემდეგ წვეულება გამართეს, კარგად შეუნაყრდილთ და რაბი დანიელმა იერუსალიმის სიმღერებით გავვართო. შუა ქეიფში რომ ვიყავით, პატარა კურონოზი მოხდა: ცხინვალიდან ჩვენი წამოსვლის დროს ელიათ იქ არ ყოფილიყო და როდესაც გაეგო ჩვენი წამოსვლა, ცხენით დაგვედევნებოდა და ქეთუზე მოგვისწრო. ნაშუაღამევს მივწეკი, მაგრამ კოლოებმა არ მომასვენეს. აქაური ებრაელები გადმოსახლებულან ახალციხიდან, ახალდაბიდან და ვანიდან, როდესაც ხანებს ძავარა და შუშა აუწიოკებით.

## ბრეთი და აბრელი

თავი 12, გვ. 264, 266. ნაწ. II

ბრეთში ებრაელები დასახლებულან: 120 წლის წინათ, ე. ი. 1749 წელს. პირველად 6 ოჯახი ჩამოსულა: აბრამ დავარაშვილი; აბრამ ტორიკაშვილი, ისხაკ პაპისიმედაშვილი, მოშე ბინიაშვილი, ცლიათ ლევიანშვილი და შალომ ჯანაშვილი. მათ შორის ოთხი საბატონო ყმა, ორი კი — სახასო-საბატონო ყმები ყოფილან. სამი ოჯახი ავალოვებს ეკუთვნოდა, ერთი კი — მაჩაბელს. ბრეთის ებრაელთა გადმოცემით ზემოდასახლებული ექვსი ოჯახიდან ოთხი სოფ-



თამარა შენოდან გადმოსახლებულა. საბატონო ყმები დიდ შევიწროვებას განიცდიდნენ განუსახლებრელი გადასახადით, რომელიც მათზე იყო გაწერილი. ის უმთავრესად ფულით გამოიხატებოდა, მაგრამ გარდა ამისა, მათ ართმევდნენ: ცხენს (ულაყს), სანთელს, ხორბლეულს, ღვინოს და კერძსაც-კი. თუ ყველა ეს გადასახადი ნებით ან დროულად არ ჩაბარდებოდა ბატონს, ის თავისი ამალით შეესეოდა მთელ ოჯახს და ააწიოკებდა მას. ერთი სიტყვით მათი სხეულის გარდა, ყველაფერი ბატონს მიჰქონდა. ამ 33 წლის წინათ გაბრიელ დავითის-ძე დავაროვს აბავე გვარის სამ ოჯახთან ერთად მებატონისაგან თავი 600 თუმნად დაუხსნა. მაგრამ ყოფილი მებატონე ცხენის, სორბლეულისა და სხვა ქონების ტაციობას ვანთავისუფლებს შემდეგაც ვანაგრძობდა. გაკირვებაში ჩაეარდნილ ყმა-ებრაელებს მომრიგებელ მოსამართლესთან საჩივარი შეუტანიათ, რომ ამით მცირე შეღავათი მანაც მოეპოვებინათ.

აბრამ ბენიამინის-ძე ტოროკაშვილის გადმოცემით ბატონყმობის დამხობამდე მებატონე ქაიხოსროსაგან მათ წლიურად 100 მანეთის ფულადი გადასახადი და ყოველდღე ცხენის მიცემა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ბატონი ამით არ კმაყოფილდებოდა და ოჯახს, ვაჟს ან ქალის დაქორწინების დროს, 15--20 თუმნამდე უნდა მიეცა, ხოლო თუ ყმა გადასახადზე უარს ეტყოდა, „ეკუეკუციას“ ჩაუყენებდა, ჩაუსახლებდა ოჯახში 15-ოდე კაცს, რომლებიც ჰამდნენ, სეაზდნენ, ყოველგვარ შევიწროვებას აყენებდნენ ოჯახს, და მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებდნენ მას, როდესაც გადამხდელი მასზე შეწერილ გადასახადს სრულად დაფარავდა.

თავადები თავიანთი ცოლების სამკაულებისა და საოჯახო ნივთების შესაძენად, ებრაელებს აგზავნიდნენ თბილისსა და გორში, ფულის მიცემას-კი დაბრუნების შემდეგ შეპირდებოდნენ. საქმე ამით არ თავდებოდა. საცოდავი ყმა თავის გროშებით საქონელს შეუძენდა, დაკვეთისამებრ მოუტანდა, ხოლო, როდესაც ფულს მოსთხოვდა, ბატონი წყრომით შეჰკივლებდა: „როგორ მიზედავ ფულის თხოვნას, დავაიწყდა, რომ ჩემი ყმა ხარ და რომ მთელი შენი ქონება მე მეკუთვნისო“. ამის შემდეგ შესაძლოა ვაეროვზა და დაეტუსალებინა კიდევ ის.

ყმა-ებრაელს ოჯახიდან ქალიშვილის ან ქვრივის გათხოვება ან თხოვა არ შეეძლო თუ საამისოდ ბატონის ნებართვა არ ექნებოდა, ხოლო ასეთს იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ ბატონს საკმაო თანხას შესთავაზებდა.

ქართველი მეფეების დროს ასეთი წესი არსებულა: ბატონთან შემოხიზნული; თუნდაც იგი თავისუფალი ყოფილიყო, თუ ბატონის მამულზე დასახლდებოდა, ბატონის სასარგებლოდ სხვადასხვა გადასახადს იხდიდა, ხიზანის სიკვდილის შემდეგ შვილები ბატონის ყმებად რჩებოდნენ. ებრაელების ასეთი შეხიზვნა სწორი ყოფილა იმის გამო, რომ ომისა და თავდასხმის დროს ისინი ბატონისაგან მოელოდნენ მფარველობას. ბრეთის რაბი შალომმა მიამბო, რომ მათი ოჯახის წევრები შაზაბლის ყმებად იყვნენ და რომ სიმონ მაჩაბელი წლიურად, 100 მანეთი ჟულადი გადასახადის გარდა, ძალით ართმევდა მათ: ხორბლეულს, ღვინოს, საქონელს და დამატებით კიდევ 10 მანეთს. მაჩაბელს ღვივრი და მკაცრი ძებატონეები ყოფილან და მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო. 30 წლის წინათ რაბი შალომს თავისი თავი 2000 მანეთად გამოუსყიდია.

სურამში მომხდარი რიტუალური პროცესს<sup>1)</sup> მწვავე სუსხი ბრეთის ებრაელებსაც იგემეს. იმ დროს ბრეთელი მოშე პაპისიძე დოვი სურამში ყოფილა, მისი იქ ყოფნის გამო რიტუალური პროცესის ერთ-ერთ აქტიურთაგანს, ვინმე თ-დ... ეკვი ამ საბრალე აღამიანზე მიუტანია.

თავადს ბრეთის ებრაელთა დარბევა განუზრახავს. ამ მიზნით ბრეთში მას 10 შეიარაღებული კაცი წაუყვანია. გულგახეთქილი ებრაელები ოჯახებში დამალულან, რაბი დანიელი და რაბი შალომი კი სალოთავში ჩაკეტილან. თავადი სალოთავთან მიჭრილა, მაგრამ კარების გატეხვა ვერ მოუხერხებია. ამ დროს თამარაშენელი შემუელა, ავადმყოფი, 55 წლის მოხუცი ქეჩაში დაუჭერიათ, თავადი თავისი ამალით ხმლებით თავს დასდგომია და უყვირიათ: „თუ არ იტყვი, ვინ მოკლა ქრისტიანის ბავში, ეხლავე თავს მოგვეთავთო“. მოხუცს ტირილი დაუწყია და სულის ჩუქება უთხოვია. ხანგრძლივი ცემის შემდეგ, სულთმამბროლავი მოსუცი ბანზე აუთარევიათ და იქ დაუგდიათ; წამოსვლის შემდეგ გააფთრებულ მენდრებს თავადი მოუკრავთ, რომ ურმის ქვეშ დანიელა დაეაროვი ყოფილა, მისცივენიან, გამოუთრევიათ; თავადს ხმალი დაუდვია მისთვის კისერზე და წინადადება მიუცია: „თუ არ იტყვი ვინ მოკლა ქრისტიანის ბავში, ეხლავე თავს მოგჭრიო“. ფეხნარდკემული დანიელა დაუჭერიათ და სასამართლოში წაუყვანიათ, ცრუ მოწმედ იქ ერთი ბრეთელი ქართველი ქალიც მოუყვა-

<sup>1)</sup> სურამში რიტუალურა პროცესი მოხდა 1857 წელს, ვოთინცოვის უმუალო შეამდგომლობით სენაერის წინაშე, სენატმა 20-მდე ოჯახი შირფულ აღამიანელებში გად ახალა.

ნიათ, თითქოს „მან თავისი ყურით გაიგონა, რომ დანიელა ურიახ სთქვა: „ქრისტიანი ბავშვი სურამელმა ურიებმა მოკლესო“, მაგრამ ქართველი ქალი კეთილსინდისიერი აღმოჩენილ, გასამართლების დროს მას ჩვენება შეუცვლია და სიმართლე უთქვამს: „დანიელას კლავდნენ და რომ სიკვდილიდან თავი დაეხსნა, იძულებული შეიქმნა ტყუილი ეთქვა“-ო.

ამ კეთილი ქართველი ქალის ჩვენების შემდეგ, სასამართლოს პროცესი უშედეგოდ დამთავრებულა და მრავალი უდანაშაულო ადამიანი განსაცდელს გადაარჩენილა.....

### თამარაშენის, ცხინვალისა და შარხლის საზოგადოება

საზოგადოების გადმოცემით, ისინი ამ სამი წლის წინათ გადმოსახლებულან სოფ. თამარაშენიდან, ცხინვალში სამი წელიწადია, რაც ისინი ბატონყმობიდან გათავისუფლებულან. აქაურ მოხუცებს შორის გავრცელებულია, რომ მთელი საქართველოს ებრაელობა მცხეთიდან არის გადასახლებული და ამ სოფელშიც სამასი წლის წინათ მოსულან მცხეთიდან.

მათი გადმოცემით, თამარაშენის ებრაელები სამასი წლის განმავლობაში თავად მაჩაბლის ყმები ყოფილან. თავადები სხვადასხვა სახის ხარჯს ართმევდნენ მათ, სახელდობრ: საქმელს, ტანსაცმელს, ფულს, ულაცს და სახედარს, ერთი სიტყვით: ართმევდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ, ან რაც ჭკუაში დაუჯდებოდათ. მათი ზელისშემწეული არავინ იყო. თუ გაჯავრდებოდნენ ან რომელიმე ყმას თვალში ამოიღებდნენ, სცემდნენ ან სხვადასხვა სახის სასჯელით დასჯიდნენ. შაბათ ღაჭობით შევიდოდნენ შათ სახლებში, სანთელს ჩაუქრებდნენ და ბნელში სტოვებდნენ. ყველა ამის გამო, მათ შაბათი და უქმე დღეები არ გააჩნდათ. თავადს რომ ფული დასჭირდებოდა, ყმას თავისი სახლკარით და ცოლშვილით სხვა ბატონზე ჰყიდდა, ასე იყიდებდნენ ყმებად და მონებად, თავანთი ბატონების და თავადების სურვილისამებრ...

თამარაშენის ებრაელთა საქმიანობას შეადგენდა: მატყლის რთვა და ქსოვა, ნაწილი კი ვაჭრობის მისდევდა. ვაჭრობდნენ სხვადასხვა წამლებით და თბილისიდან მოტანილ მზა ტანსაცმელით.

თამარაშენში სახლობდ: ებრაელთა 25 კოწილი, რომელიც ხუთი გვარისაგან შესდგებოდა. ეს გვარებია: 1. იოსებაშვილი, 2. დედიაშვილი, 3. დავითაშვილი, 4. ელიაშვილი, 5. ნანიკაშვილი. ეს გვარები ცნობილია 200 წლის განმავლობაში.

ქოჭენები და ლევები მათში არ მოიპოვებინ. როგორც გადმოცემეს, ასეთები მათ არც წინად ჰყოლიათ.

ბატონუმიბიდან განთავისუფლების შემდეგ, ისინი თამარაშენი-დან ცხინვალში გადმოსახლებულან. თამარაშენის ებრაელთა სასაფლაოზე არის ერთი უძველესი საფლავი, სადაც დაკრძალულია იერუსალიმიდან მოსული დიდად პატივცემული რაბი, რომლის სახელი აღარ ახსოვთ.

დღემდე შემორჩენილია ჩვეულება—თუ ვინმე ლოგინად ჩავარდება, ან ციებ-ციხელებით გახდება ავად, ან გვალციანი წელიწადი დადგება, ასეთ შემთხვევებში ამ სასაფლაოზე მიდიან და ლოკულობენ. სათანადო ლოკვის შემდეგ ავადმყოფები „ჯანსაღდებიანო და წვიმაც მოდისო“.

ეს სასაფლაო თავადს გადაუთხრია, მიცვალებულების ძვლები გადაუყრია და საწნახელი აუგია.

მე წლის მოხუცი (ელიაუ დანიელის-ძე) ახალგაზრდობიდან თავადის შინამსახური ყოფილა, მას ევალეზობდა ყოველგვარი საშინაო საქმეებზე შესრულება და ბატონის ცხენის გაძლოლა. იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზის გამო ბატონს ცხენი არ ჰქავდა, ელიაუ ცხენის მაგიერ მხრებზე ისვამდა ბატონს და მიიყვანდა დანიშნულ ადგილას.

ერთხელ ერთ ებრაელს თავის გამოსასყიდად, თავადისათვის 400 მანეთი მიუტანია, თავადს ფული წაურთმევია, და მაშინვე ფულის მიღებაზე უარი განუცხადებია, ებრაელს ყვირილ-წივილი აუტყბია, თავადს უბრძანებია. ხელფეხი შეეკრათ მისთვის და ხარივით დაკვლას უბრძანებდა, რომ არ ჩარეოდა ვიღაც უცნობა ქართველი მეტად კეთილშობილი ადამიანი. საცოდავი ყმა ფულს აღარ გადაეცებია და უზაროდა, რომ ცოცხალი გადაჩა.

ქალებიც ბატონის სრულ განკარგულებაში ყოვილან და ბატონის სურვილი დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულიყო.

ერთხელ სასაფლაოზე, წამლობისა და ჯადოქრობის მიზნით, ნეშთი გაეხსნათ და მიცვალებულის ძვლები ამოკლათ.

ცხინვალში ხახამ ებრაელ აბრაჰის-ძე წიწთაშვილმა და მისმა შეილა არონმა შემდეგი ამბავი გადმომცეს: ქარელიდან ხუთი ევრსის დანაორებით მდებარეობს სოფელი ძორეთი (ამჟამად იქ ტყეა). წინაჲ ამ სოფელში ებრაელები სახლებულან (ჩემის აზრით ისინაც რამდენიმე ხნის წინ მცხეთიდან გადმოსახლებულები უნდა ყოფილიყვნენ). სპარსელთა ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ამ სოფლის მცხოვრებნი ზოგი დაეხოცათ, ზოგი ტყვედ წაიყვანათ, მათი ქონება კი სულ გაეტაცნათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გაეგოთ, მტემა სოფელი მიატოვაო, რამდენიმე ცხინვალელი ებრაელი წასულა, მთელი სოფელი

დარბეული და აოხრებული ენახათ და მცხოვრებთაგან გადარჩენილი სამი ბავშვი თან წამოეყვანათ.

სამივე ბავშვი გაზრდილა, ცოლები შეურთავთ და თავიანთი მამაბაბის ძველ საცხოვრებელ ადგილას (ძორეთში) — დასახლებულან. ერთი მაგდანი წიწვიან ტყის მახლობლად დასახლებულა; აქედან მის შთამომავლობას წიწვიანი ტყის სახელი მიუღია და გვარიც წიწვიან-შვილად გადაუკეთებიათ. მეორე, მალალი, ფართო-მხარბეჭიანი, მოწითურო და სრული ყოფილა. ამ კაცის მოყვანილობის მიხედვით მის შთამომავლობას ჯინჯიხაშვილები დარქმევიათ. მესამის შთამომავლობა სოფლის სახელის მიხედვით ძორელაშვილები გამხდარან. შემდეგ, ყაჩაღობის შინაიანობის გამო, წამოსულან ძორეთიდან და ქარელში დასახლებულან.

ქარელის მთელი მოსახლეობა ამ სამი გვარის ნაშენი ყოფილა, შემდეგში რამდენიმე კომლი სხვა ადგილებიდანაც შემატებიათ. ქარელში ამჟამად წიწვიან-შვილები 20 კომლამდე არიან. ასევე რამდენიმე კომლია ძორელაშვილებისა და ჯინჯიხაშვილებისა.

მათი საქმიანობა მატყლის რთვა და ქსოვა ყოფილა. დროთა ვითარებაში ორას ოთხმოცდა ათი წლის წინათ ციციანოვების ყმები გამხდარან და ვინაიდან ბატონების მამულებს ხმარობდნენ — წლიურად პატარა გადასახადს იხდიდნენ. სახელდობრ: ცხრა გირვანქა ქონის სანთელს, სხვადასხვა საქმელს, შინაურ ფრინველებს, ქრისტიანობის უქმე დღეებში გამხმარ თევზს უგზავნიდნენ, დროებით უთმობდნენ ცხენს და სხვ. ამ თავადებისა და მოხუცი ებრაელების გარდაცვალების შემდეგ თავადის შვილებს ებრაელები დაუჭერიათ და განუცხადებიათ, ამიერიდან თქვენ მემკვიდრეობით ჩვენი ყმები ხართ და უნდა დაგვემოჩიროთ. ამის შემდეგ მათი მდგომარეობა საკარძობლად გაუარესებულა და დიდ ტანჯვა-ვაებაში ჩაყარდნლიან.

ძმების ან ამხანაგების გაყრის შემთხვევაში მოძრავ-უძრავი ქონების გარკვეულ ნაწილს ბატონი ითვისებდა.

ერთი თავადი სოფელ ხოდურეთში სახლებულა (სოდურეთი ქარელიდან 3 ვერსით არის დაშორებული). მას თავისი ყმები ქარელიდან ხოდურეთში გადაუსახლებია; როდესაც ყმები სახლების აგებას შედგომიან, ბატონს თავისთვისაც დაუფალებია სახლის აშენება. ასე დიდ შევიწროებას განიცდიდნენ, რომ რაც სახლში ებადათ ყველაფერზე ხელი მიუწვდებოდა ბატონს, და თუ ფულს შეაკვლდებდნენ, მაშინვე წაართმევდნენ.

ყმა ებრაელი ვალდებული იყო ბატონისათვის ემუშავა: ბაღში, ვენახში, მინდორში, აგრეთვე ხენასა და მკაზე.

ხახამ გაბრიელ წიწუაშვილის გვარის სამი კომლი ზაქარია ციციანოვის და მისი ძმების, სარდიონ და მიხაილის ხელში ჩაგარდნილა. სამივე ძმა მკაცრი და დაუნდობელი ყოფილა; მანამ ყმებს უფული ჰქონდათ და ბატონს აკმაყოფილებდნენ, შედარებით დიდ შევიწროებას არ განიცდიდნენ, ხოლო როგორც კი ფული შემოჰკლებიათ და გალარებულან, მძიმე პირობებში ჩაგარდნილან. ყოველგვარ მძიმე სამუშაოზე იყენებდნენ, სცემდნენ, ხელ-ფეხში ბორკილს უყრიდნენ და ხშირად ციხეში ჰყრიდნენ.

ეს გაბრიელ აბრამის-ძე წიწუაშვილი ცოლშეალით თავად ზაქარიას ოცდაათ თუმნად მიუყიდნია. ანტონ ფალავანდოვისათვის. გაბრიელ წიწუაშვილი 2 წლის განმავლობაში ემსახურა ახალ ბატონს სოფელ ცერონისში. როდესაც ანტონი დარწმუნებულა, რომ მისი ყმა წიწუაშვილი ძალზე ლატაკია, ცოტაოდენი ფული უსესხებია და ამით ხელი გაუშართნია, რომ ოჯნავ სული მოეთქვა და მასაც შემოსავალი ჰქონოდა. ანტონ ფალავანდოვი შედარებით გულკეთილი ბატონი ყოფილა, ხარკს ცოტას ახდევინებდა და ძალიან არ ავიწროებდა ყმას, ალბად იმიტომ, რომ დავიწყებოდათ ის აუტანელი ტანჯვა, რაც მან და მისმა ოჯახმა გადაიტანა მკაცრი ბატონის ზაქარია ციციანოვის ხელში.

ორი წლის შემდეგ ეს ბატონი გარდაცვლილა. სიცივლის შემდეგ, მის ქვრივ მეუღლეს ნება მიეცა გაბრიელ წიწუაშვილისათვის, რომ დროებით თამარაშენში წასულიყო, ყმობიდან კი არ გაეთავისუფლებინა. გაბრიელს თამარაშენში ერთი წელიწადი უტხოვრია.

ანტონ ფალავანდოვის გარდაცვალების შემდეგ ზაქარიას შერი მოუღვია ანტონის ქვრივისათვის, რომ ანტონს ვითომდა არ მიუტია მის მიერ გაყიდული ყმის ოჯახის და სახლის საფასური, გარდა ქირისა, რაც მას ემსახურა მისი ყმა ორი წლის განმავლობაში. ეს საქმე სასამართლოშიაც გაუსაჩივრებია და მოუახოვნია თავისი ყმის დაბრუნება. სასამართლოში საქმე მოუვია და გაბრიელი თამარაშენიდან ოჯახით აუყრია და სოდურეთში გადაუყვანია.

თავადმა პირველ მდგომარეობასთან შედარებით გაათკეცებით გააუარესა გაბრიელის მდგომარეობა.

ერთხელ, გაბრიელს უთხოვია ბატონისთვის, ნება დაერთო ცხივალში დასახლებულიყო იმ მიზნით, რომ იქ ბავშვებისათვის თორა!) ესწავლებინა და საშუალებაც ჰქონოდა ბატონისთვის ხარჯი ეძლია, ვინაიდან ძალიან ლატაკი ყოველა და არავითარი საშუალება არ ჰქონია ადვილზე ოჯახიც ერჩინა და ბატონიც დაეკმაყოფილებინა, ბატონი დიდხანს ნებას არ აძლევდა, შემდეგ დათანხმებულიყო

1) თორა—დაბადება

იმ პირობით, რომ ყოველწლიურად ექვს თუმანს გადაუხდიდა ყმა. ასეთი პირობით გაბრიელი ოჯახით გადასულა ცხინვალში. მაგრამ ბატონისთვის ფულის შეგროვება ვერ მოუხერხებია და დაწესებულ ვადაზე რომ ფული ჩაებარებინა, იძულებული გამხდარა მოწყალე მსათვის მიემართა და ამგვარად შეგროვილი ვროშები ბატონისათვის მიერთმია.

ასე მიდიოდა დღეები და წლები. ყმები შიშით თრთოდნენ და უტანელ მწუხარებას განიცდიდნენ, ვიდრე . . . მეფე ალექსანდრე მეორე გასცემდა ყმების განთავისუფლების ბრძანებას, და ეს ბრძანება ამ მხარეშიაც გავრცელდებოდა.

გაიგეს რა ყმებმა ეს ფრიად სასიამოვნო ამბავი, თავისუფლად ამოისუნთქეს; მათ სახლებში დღესასწაული იყო, მეტატონები კოსიბნელის უჩინარს და მწუხრს მოეცვა.

მეტის ბრძანებით, ყმები ორი წლის განმავლობაში კიდევ უნდა დარჩენილიყვნენ ბატონების უღელ ქვეშ და ესადათ მათთვის გადასახადი. მაგრამ ბატონებს აღარ ჰქონდათ იმდენი ძალაუფლება, რომ კვლავინდებურად ეპარაშათ, ვინაიდან ამავე ბრძანებით ყველა სოფელში მეთაური უნდა ყოფილიყო ამორჩეული, რომელსაც ევალებოდა გადასახადის შეკრება და თავადის უზრუნველყოფა.

თამარაშენის საზოგადოებას თავის წარმომადგენლად აერჩია რაბი<sup>1)</sup> ელიაუ. მისთვის მიუთვინებულ უბანში სამი ქართველი ყმა გლენ-ს ოჯახიც შესულა. ყმებს ბატონის ნება დაურთველად ორი წლის განმავლობაში არ ნეემლოთ სოფლიდან გასვლა.

ამორჩეული პირი, რაბი ელიაუ, შეძლებული კაცი ყოფილა, რამდენიმე ბალი და ვენახა ჰქონია თამარაშენში, გარდა ამისა ქვენი და გამჭირავიც ყოფილა. ორი წელიწადი რომ ბატონის უღელ ქვეშ აღარ დარჩენილიყო შემდეგი ხერხისათვის მიუმართავს.

ელიაუ თავადთან მისულა და თამარაშენიდან ცხინვალში წასვლის ნებართვა უთხოვია ცხინვალი თამარაშენიდან სამი ვერსით არის (დამორებული), „რადგან იქ ჩემთვის ხელსაყრელი სავაჭრო ადგილია, ვივაჭრებ და შემდეგ ისევ დავბრუნდებიო.“ თავადი იძულებული იყო წასვლაზე ნება დაეთმო, ვინაიდან გადასახადის ამკრები ის იყო, და მისი ხელიდან უნდა მიეღო გადასახადის მთელი თანხა. ელიაუს პატარა ხანს ცხინვალში ევაჭრნა, შემდეგ თბილისსა და ქუთაისში წასულიყო და თავადებისთვის აღარ უზრუნვია; სახლში

<sup>1)</sup> ქართველ ებრაელებში რაბისა და ხანის ტიტულით, ოფიციალურად ამ თანამდებობის მქონე პირთა გარდა, საზოგადოებაში წარჩინებულ პირებსაც მიმართავდნენ, მეტწილად მოხუცებსა, მდიურებსა და ლოცვების მკოდნთ. ჩორნიც ამ ტიტულს ხშირად ამავე შინაარსით ხმარობს.

დაბრუნების შემდეგ მისთვის მიუმართავეთ თავადებს: „შენ ვალდებული ხარ გადასახადი აკრიფო, და შენ კი ამ ვალდებულებას არ ასრულებო“.

ელიაუს ეპასუხა: „ჩემო ბატონო!

ვის რა ვადავასდევინო, რა გააჩნიათ ღარიბ-ღატაკს ყმებს. თუ რამე ებადათ, თქვენ უკვე წაართვით, ეხლა ხელთ კამიკიც არ მოეპოვებათო. დღეს რაღას წაართმევ, გარდა ცარციელი სულისაო“.

თავადებს თუმცა ასეთი პასუხი არ ესიამოვნათ, მაგრამ იძულებული იყვნენ მიეთმინათ. ასე განვლო რამდენიმე თვემ. თვით ებრაელები ჯერ ისევ არავითარ გადასახადს არ უხდიდნენ ბატონს. ბატონებმა ერთხელ კიდევ სცადეს ვაცის მიგზავნა არჩეულ პირთან, ელიაუს იგივე პასუხი ვასცა რაც წინად. ამასთანავე, მას განუცხადებია, თუ საქმე სასამართლომდე მივიღაო, იქაც დაუმტკიცებენ, რომ ყველა ღარიბ-ღატაკი დარჩა და არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნიათო. თავადები ხედავდნენ, რომ მიძალება უშედეგო იქნებოდა და სასამართლოში გასაჩივრებთაც დადებითი შედეგს ვერ მიღწევდნენ. ამიტომ არჩიეს, ასეთი სახის ზომების მიღებისაგან თავი შეეკავებიათ (ელიაუს საზოგადოებასთან თათბირი ჩაუტარებია და დანატური მიუღია მათგან, რომ შემდეგი ხასიათის მოლაპარაკება ეწარმოებინა თავადებთან). ელიაუს წინადადება მიუცია თავადებისათვის, თუ გსურთ ჩემი და ჩემი მოკეთებების სახელით ცოტაოდენ ფულს მოგართმევით, დანარჩენებზე კი არაფერი შემიძლიაო, ვინაიდან ერთი სადილის პურის ფულიც არ მოეპოვებათო. თავადებს თავის მხრივ წინადადება მიუციათ, რომ თვითეულ კომლ ყმაზე ორი წლის გადასახადი 40 მანეთი გაეღოთ, ე. ი. 25 კომლზე ორი ათასი მანეთი, რის შემდეგ ნებას დართავდნენ დაწესებულ ვადაზე ადრეც და სადაც სურდათ იქ წასულიყვნენ.

თავადების ასეთი წინადადების გამო ელიაუს საზოგადოებასთან ხელმეორედ ჩაუტარებია თათბირი, რაზედაც ჯამაათს პირობა მიუცია, რომ თვითეული ოჯახი დაუბრუნებდა მას ამ ოროც მანეთს. ამგვარად მომხდარა შეთანხმება. ელიაუს ამ ფულს თავადებს არ გადაუხდიდა მახამ; ვიდრე ყველა თავადისაგან არ მიიღებდა სათანადო საბუთებს. იმას შესახებ, რომ ამიერიდან მათ (თავადებს) არავითარი უფლება არ ექნებოდათ კვლავ მოეთხოვათ ყმებზეგან რაიმე გადასახადი, რომ როგორც ბატონებს, ისე მათ შთამომავალთ (შვილებს, შვილიშვილებს) არავითარი პრეტენზიები არ ექნებოდათ ყმა ებრაელებიდან რაიმე დავალიანების მოთხოვნაზე და რომ მათ (ყმებს) სრული უფლება ექნებოდათ ადრე გადასახლებულიყვნენ, სადაც კი



მოისურვებდნენ. როდესაც ამორჩეულ პირს მიუღია ყველა ზემო-სხენებული საბუთები, მაშინ მორიგებული თანსა—ორი ათასი მანეთის რაოდენობით ჩაუბარებია თავადებისათვის. განთავისუფლებულ ყმებს დაუყოვნებლივ დაექირავებიათ ურმები, თავიანთი სახლები და სალოცავი დაენგრიათ; ხე-ტყე, ქვა და ალიზი ცხინვალში წამოეღოთ, რომ მათ ბატონს ერთი ქვაც არ დარჩენოდა.

თავადს რომ გაეგო სალოცავის დანგრევა, ძალიან განრისხებულა, ვინაიდან ამ სალოცავის გამოყენება უნდოდა ცხენების საჯინბოდ; მაგრამ რა გაეწყობოდა, მას ხელთ აღარ ჰქონდა ძველებური ძალა-უფლება.

დიდმა, შემბრალებ, ზეციურმა მეფემ კისრიდან მოხსნა ყმებს მძიმე და საშინელი უღელი.

თავადი ესტატე ფალავანდოვი სოფელ ცერონისში მცხოვრებ მის ყმას აბრამ ელიშაყის ძეს თვიურად 15 მანეთს ახდევინებდა; შემდეგ ესტატე ყმებს გაჰყროდა და თბილისში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ აბრამი ესტატეს ყმა იყო, ბატონის განაყარი ძმები მიანიც შარს სდებდნენ მას, სტატეებდნენ ცხენს და ოჯახს უწიოვებდნენ. ესტატეს სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივი მეტ დუხ-ქირში აყენებდა ყმებს, ამასაც არ აკმარებდნენ და მისი ქმრის ძმები კვლავინდებურად კიდევ ღამით ეჭრებოდნენ სახლში და თუკი ებადათ რამე, ყველაფერს ართმევდნენ.

აუტანელი შევიწროების გამო ცერონისიდან გაქცეულან და ცხინვალში დასახლებულან, ქვრივისთვის კი ქრაამი მიუციათ და ცხინვალში დასახლების შესახებ წერილობითი ნებართვა გამოურთმევიათ, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, თავადებს იქაც მიეგნოთ, მათ ზიერ ფარულად მიგზავნილი პირები სისტემატურად თავს ესხმოდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს

## სურამი და ახალციხე

თავი 31, გვ. 149—163

ბარასკეც ვლულის<sup>1)</sup> 27-ს სურამში მივედით, გამცილებელი ელიაუ და სხვებმა იმავე დღეს საჩხერეში დაბრუნდნენ. აქაურმა ჯამათმაც დიდი პატივისცემით მიმიღო. როშაშანას<sup>2)</sup> სურამში დაერჩი.

1) ვლული—ავგისტოს თვე.

2) როშაშანა—ახალი წელი.

შაბათ დღეს სალოცავში დიდი ჩხუბი იყო იმის გამო, რომ ხანამ რაბი მოშვეს დაკვლის წესები დაერღვია. აქაური ხალხი ბრიყვი და ჯიუტია. როშპაშანის შემდეგ ახალციხისაკენ გავემგზავრე. სოფელ აწყურთან გზაში რამდენიმე მოხუცი და ჯამაათის მეთაური მოხუცი რაბით დამიხვდნენ ახალციხის გზაზე გასაცილებლად. ცხენების გამოცვლამდე ყავა დავლიეთ. აწყურში დარჩენა არ მინდოდა, ახალციხიდან დაბრუნებისას კი განზრახული მქონდა აქ რამდენიმე დღით დავრჩენილიყავი. სოფლები, გზაში რომ დამხვდნენ, ჩემს ეტლს ცხენებით მოსდევდნენ. სადგურს ნახევარი კილომეტრით არვიყავი დაშორებული, რომ ჩვენკენ მომავალი ეტლი შევნიშნე—მალე ერთმანეთს დაეუახლოვდით. ეტლით ახალციხელების რაბი, ხანამ რაბი იოსებ, ხანამ რაბი დავიდის-ძე დავითაშვილი მოდიოდა. რაბი თავისი ეტლიდან გადმოხტა და ჩემ ეტლში გადმოვიდა. გამცილებლები რაჭდენიმე კილომეტრს გამოგვეყვნენ, შემდეგ კი აწყურში გაბრუნდნენ. ჩვენ გზა განვაგრძეთ. გვქონდა ჯერ კიდევ საათ ნახევრის (მამდე კილომეტრი) გზა, რომ ჩვენკენ მომავალი რამდენიმე ცხენოსანი შევნიშნე. რაბი ჩეუბნება, რომ ისინი ახალციხელი ებრაელები არიან და თქვენს შესახვედრად მოდიანო. ათიოდე წუთის შემდეგ ყველა მხრიდან ხალხის სმა გაისმოდა. თვითეულს ვაშლი და მსხალი ეჭირა ხელოში და ხელის ჩამორთმევის დროს მთავაზობდნენ და ბერახას<sup>1)</sup> მეუბნებოდნენ. ახალციხეში უამრავი ხალხისა და ცხენოსნების თანხლებით მივიდიოდი.

ქალაქიდან ორი კილომეტრის დაშორებით ორ ხევს შუა, მილიკზე, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. შათ შორის იყო 2 მოხუცი—გულა ატგაკაშვილი და ინჯაშვილი, ხელთ ვერცხლის თასი ეკავათ ამბრეშუმის საფარით გადაფარებული, თასზე პური და მარილი იდგა; მოხუცები წინ წამრდნენ და პურმარილი მომართვეს. ამ დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა და იძულებულად გავხდი ქოლგა გაშეშალა. ასეთი დიდი პატივისცემისა და უაღრესი სიხარულით შეხვედრას შემდეგ ხალხს შევპირდი, რომ ყველაფერს შევუსრულებდი, რაც ჩემგან იქნებოდა დამოკიდებული. ხალხის უმრავლესობა ფეხით მოდიოდა, ცხენების ჭენება შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ ნელი ნაბიჯით მივიდიოდით ახალციხისაკენ და ქალაქს მხოლოდ საღამოს ლოცვის დროს მიეუახლოვდით. აქ ჩემს წინაშე ერთი სურათი გადომალა. ქალაქის მახლობლად, ერთ ტრიალ მინდორზე, ხალხს თავი მოეყარა, შათ შორის იყვნენ ებრაელებიც, ქართველები და

1) ბერახა—კურთხევა-დაკურთხება.

სომხები. წვიმამ გადილო, მზე თავის უკანასკნელ სხივებს აბნევდა; პატივისცემისათვის მე ყველას მადლობა გადავუხადე და ამ „პროცესიით“ შევედით ქალაქში. ქუჩებში და ერობებზე ასობით და ათასობით ქალი და კაცი იდგა, ყველა საღამოს მიძღვნიდა. მათ ქალებს, აღმოსავლური წესის მიხედვით, თავზე ჩადრები ჰქონდათ ჩამოფარებული, ხოლო ჩემს შესახებ, იძულებული იყვნენ ჩადრები აეხადათ. ჩვენ ნელი ნაბიჯით გავიარეთ ქუჩები; ერობებზე, წინ და უკან ხალხის ჯარი იყო, ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ჩიხებში სიარული ცხენებსაც უძნელდებოდათ. და ბოლოს ებრაელთა კვარტალს მივუახლოვდით; ერობები ხალხით იყო გავსებული, ქალებს თათრული და თურქული ტანსაცმელი ეცვათ. რადგან ბინამდე ეტლით მისვლა შეუძლებელი იყო, ეტლი ერთ ვიწრო ჩიხში გაჩერდა, ჩვენ კი ჩამოვედით და ფეხით ვიარეთ ჩემთვის გამზადებულ სახლამდე. ამ სახლში რაბი იოსები ცხოვრობდა. სახლში მნახველები ცალცალკე მოდიოდნენ და ხელს მართმევდნენ.

სალამოს ლოცვის დროს სინაგოგაში წავედი.

სინაგოგა მორაული იყო, თითოეულ კუთხეს თეთრი სანთლები და შუქურები ანათებდა. გააღეს წმინდათა კარაღა (არონ აკოდემ), სადაც სეფერთორები ინახება. სეფერთორის კოცნის შემდეგ რაბიმ ჯერ კეისარი და მიხელი აკურთხა და შემდეგ კი მე. კურთხევა ისე შეასრულა, როგორც აშქენაზების<sup>1)</sup> სინაგოგაშია მიღებული.

სინაგოგაში ახალციხის თავადები და ქალბატონებიც მოვიდნენ. სალამოს ლოცვა, დიდი ხალხის თანადანსწრებით შეასრულეს, რის შემდეგ სხლში დავბრუნდი.

ლამით ყველა წავიდ-წამოვიდა, მე მარტო დავრჩი და როდესაც ვახშამს შევეუდექი, ხახამ რაბი იოსები ჩემს გვერდით იჯდა. უცბად ვილატ კაცი შემოვიდა და უხმო ერთი დიდკაცის სახლში. მათ აღათა ეს საქციელი ეწინააღმდეგებოდა, რადგან სტუმრის მიტოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ მისი წასვლა იმდენად აუცილებელი შეიქმნა, რომ მან (რაბიმ) ჩემთან ბოდიში მოიხადა და წავიდა. ერთი საათის შემდეგ საშინელი ტირილი გაისვა, ჩემი სახლს გარშემო რაღაც საშინელება დატრიალდა. მე მხოლოდ სმამესმოდა, სიტყვებს კი ვერ ვარჩევდი, რადგან ქართულად ლაპარაკობდნენ; ამ ჩოჩქოლის გამო მასპინძლის ოჯახის წევრებს შევეკითხე, რა ამბავია მეთქი, მაგრამ არავინ მიპასუხა. ჩემი მასპინძელი, რაბის ცოლი, გულში ხელს ირტყამდა და სახეს უკაწრავდა. გავიფიქრე, ქალაქში აღბათ ხანძარი გაჩნდა მეთქი, ან არა და თავს რაღაც უბედურება დაატყდა მეთქი, საქმის ნამდვილი ვითარება

1) აშქენაზი—ევროპელი ებრაელი

მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც, რამდენიმე ხნის შემდეგ, რაბი ხელით მოიყვანეს, რადგან მას სიარულის ძალა აღარ შესწევდა.

რაბი ცალკე ოთახში დააწვინეს, ტკივილებისაგან ის ხარბით ბღაოდა. ამ ამბავის მიზეზი შემდეგი ყოფილა:

რაბის 20 წლის ვაჟი ჰყოლია, ამ ვაჟმა თორის კითხვა არ იცოდა. „შემავ ისრაელის“ შინაარსიც კი არ ესმოდა; მაგრამ უკვე ხახამს ეძახდნენ. აქ ყმაწვილს „სიდურის“ წაკითხვა და ლოცვა თუ შეუძლია, ასეთს ხახამის წოდებას აძლევენ.

ამ ვაჟის სახელი შიმყონი იყო. მას აბრამ ჯანაშვილის ქალიშვილი, ხახამ არონის და, შეჰყვარებია, ქალსაც შეჰყვარებია ეს ვაჟი; მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალი, განსაკუთრებით კი გასათხოვარი ქალი, სისტემატურად სახლში ზის, პირისასე და სხეთუ-ლი ჩადრით აქვს დაფარული, მაგრამ მის გულში მაინც ავი სულელები ბუღობენ, და მცირე შემთხვევის გამოც თავის პატიოსნებას სრულიად უსასყიდლოდ გაჰყიდის მაშინვე, რადგან მოპარული წყალი უფრო ტკბილია და ინსტიქტი მეტად ძლიერი. ეს მოვლენა თავისთავად გასაგებია იმ მიზეზის გამო, რომ ქალიშვილები მუდამ კარჩაკეტილი არიან და აშკარად ვერავის ეჩვენებიან.

რაბი აბრამ ჯანაშვილის ქალიშვილს წერაკითხვაც სცოდნია, რამდენჯერმე საკუთარი ხელით სიყვარულის წერილიც მიუწერია ჯაჟისათვის, სხედასხვა საჩუქარიც გაუზავანია მისთვის, ვაჟსაც პასუხი მიუცია და ერთ საჩუქარზე სამაგიეროდ ორს უგზავნიდა. ერთმანეთს ფარულ და მივარდნილ ადგილებში ნახულობდნენ, რათა რამდენიმე წუთით მაინც მოეკლათ სიყვარულის მგზნებარე წყურვილი.

ეს ამბავი ვაჟისა და ქალის მშობლებს გაეგოთ; რაბის განუზრახავს ებრაული წესით ნიშნობა გადაეხადა. მაგრამ ქალის მშობლები სასტიკ უარზე იდგნენ, ისინი დიდი მდიდრები არიან და ღარიბ რაბისთან დამოყვრება არ ექაშნიკებოდათ. გარდა აჟისა, არც თუ ვაჟი მოსწონდათ: ყოვლად უუნარო და ზარმაციაო. ეს სამარცხვინო ამბავი თავიდან რომ აეცდინათ, ქალის მშობლებს რაბის და ვაჟის დაბარება განუზრახავთ. მათ წინადადება მიუციათ რაბისათვის, შენი შვილი დაარიგე, ჩვენ ქალს ჩამოშორდეს და მეტი აღარ შეაცდინოსო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დიდა შეურაცხყოფა იქნება, რომლის შესაგვისი ჯერ ამ ქალაქში (ახალციხეში) არ მომხდარაო და არც საქართველოში ისრაელთა შორის არ გავიწილაო.

ვაჟს, ამის გაგებისთანავე, ყვირილი აუტეხია, რომ „მას უყვარს ქალი და ქალსაც ის უყვარს, მშობლები კი ვალდებულნი არიან

ქორწილი (ხუფა) გადაგვიხადონო“. ქალის მშობლებს ველარ მოუთმენიათ და უცენსურო სიტყვებით ლანძღვა-გინება დაუწყიათ. რაბი აღელვებულა და ჩხუბი დაუწყია. ვითომ ქალმა ვაჟი შეაცდინაო. მოჩხუბრების წივილი-კივილი და სწრაფობა ცასა სწვდებოდა. საქმე ამით არ დამთავრებულა, შემდეგ მუშტებზედაც გადასულან, ვაჟს რამდენიმე მამაკაცი დასეკია და ძალიან უცემიათ. რაბი ცდილა შვილს მოხმარებოდა, მაგრამ მიხთვისაც გვერდები ჩაუღწეიათ; მეზობლები რომ არ მიჰშველებოდნენ, ვაჟს სიკვდილის პირამდე მიიყვანდნენ, რადგან მან მთელი ოჯახი შეარცხინა და მათი სასელი ფეხით გათელა. აქ ასე იციან თურმე: თუ ვაჟზე ან ქალზე ვინემ ცუდი ილაპარაკა, ეს სიცოცხლის მოსპობას ნიშნავს, რადგან ქალზე იტყვიან გავარდნილიაო და ამის შემდეგ აღარავინ ითხოვს და ველარც გაათხოვებენ. ამრგად, ქალი რამდენიმე წელიწადს გაუთხოვარი დარჩება.

რა იოლადაც უნდა ეცემათ მოხუცებული რაბინათვის, მისთვის საკმარისი იყო, რომ ფეხით სიარული ველარ შესძლებოდა.

ამიტომ იყო, რომ ხელით ძლივს მიიყვანეს სახლში. რაბი რამდენიმე დღეს იწვა, ბოლოს შვილმაც მოიხედა, მაგრამ ქალი-შვილისადმი სიყვარული ამ ვაჟს მალე გაუწელდა. ამ ამბავის შედეგად ოჯახებს შორის ცუდი განწყობილება ჩამოვარდა. მტრულად განწყობილ ოჯახებს შორის დიდი სიძულვილი ჩამოვარდა და შეყვარებული ქალ-ვაჟის შეუღლება შეუძლებელი გახდა. აქაური ხალხი ბუნებით ძალიან ჯიუტი და გულგრილია, ამ ნიადაგზე გაშეფებულია ერთმანეთისადმი სიძულვილი, ყოველდღიური ჩხუბი და მუშტების ტრიალი. სოფელში ეს უკვე ჩვეულებად ქცეულა. არც ქალებს შორის არის მეზობლური განწყობილება, ხშირია ერთმანეთის წყევლა და ცემაც კი.

ამ ამბის გამო რაბის განეზრახა სასამართლოში საჩივრის აღძვრა; ეს რომ ქალის მშობლებს გაეგოთ, შენდობის დღის (იომ-ჰაქიფურიმ-ის) წინა საღამოს მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს, რომ როგორმე შემერიგებინა ისინი. ასეც მოხდა: რაბიმ ყველაფერი აბატია, რადგან ის უბრალო და თავმდაბალი აღამიანია, ამასთანავე, ცოტათი მოისულულებს; შერიგების ამბავი ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, ხოლო სიძულვილი და მტრობა მანც დარჩა მათ გულში. მთელი ხალხი ლელავდა იმის გამო, რომ ეს ამბავი მოხდა სწორედ ჩემი იქ მისვლის პირველსავე დამეს. ამით ჩემს პატივისცემას შეეცადნენ, მით უმეტეს, რომ მე რაბისთან ვცხოვრობდი, ჩემთანაც ბოდიში მოიხადეს და პატივბა მოითხოვეს.

„ნაჩალნიკი“ ვინახულე, დიდი პატივით მიმილო და ყოველგვარი დახმარება აღმომიჩინა.

იომ-ჰაქიფური გავიდა; სუქოთის<sup>1)</sup> დღესასწაული ახლოცდებოდა, ამ დღეებისათვის ჩემი საჭირო საქმეების მოთაგება შეუძლებელი გახდა და ამიტომ მოგზაურობისაგან დალაღული ვისვენებდი. ჯამათმა მოსამსახურე დამიყენა. ადგილობრივი რწმუნებულს რასაც კი დავავალებდი, ყველაფერს დიდი თავაზიანობითა და სიხარულით მისრულებდა, ყველა ხარჯი ჯამათმა იკისრა.

რომ არ მომწყენოდა, ჩემთან აუარებელი ხალხი მიღი-მოღიოდა და მართო არასოდეს არა მტოვებდნენ.

უქმე დღეს, თავიანთსას მიმიწვიეს დაიდ ინჯაბელამ და მისმა ძმამ ისხაკიმ. მიწაზე დაგებულ ფარდაზე დავსხედით. შუაში ერთი პატარა, რგვალი და დაბალი მაგიდა დგას, მაგიდაზე ყოველგვარი სასმელი და თურქული კამფეთები, კაკაო და ჩაი ულავა. როდესაც კარგად გამზიარულდნენ, ვაქებმა ციკვე-თამა, ში გამართეს, შემდეგ დაირისა და გარმონის ხმაზე იცეკვეს და ვითის 16 წლის ქალიშვილმა და ისხაკის 18 წლის ქალიშვილმა. მთელ ქალაქში მართო ეს ორი ქალიშვილი იცეკვეს ქართულ ტანსაცმელს, დანარჩენები კი ძველებურ ტანსაცმელს იცეკვენ. მათი კაბები სულ აბრეშუმის ან ფარჩისაა ზეჭრომკერდით მოქარგული, ზედ სხვადასხვა ორნამენტებით გამოყვანილია „ყვავილები“ და სხ. ტანსაცმელ-ძვირფასია, მისი ღირებულება ას-ორას მანეთსაც აღწევს. გულზე იკეთებენ სხვადასხვა ძვირფასს ნივთს: ოქროს და ბრილიანტებს-ქლავებზე ხარხლებს, თითებზე—ბეჭდებს; ზოგიერთი ქალი და ქალიშვილი ისეთ ძვირფასს ნივთს ატარებს, რომლის ღირებულება ათას მანეთს აღწევს, სულ მცირე კი—ასორმოცდაათ მანეთს მაინც.

ოქრო-ბრილიანტებით მოკაზმული, იმდენად უღამაზოები ჩანან, რომ აღარ ჰშველით ძვირფასი ნივთებიც, რომლებიც ისე უხდებოთ, როგორც „ლორის დინგს ოქროს საყურე“. მთელ ქალაქში ორამდე ლაშავს ქალს თუ შესვდებით. ქალებს სრულიად არა აქვთ კარგი ჩვეულებები. მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ებრაულ წესებს ტებილას და სხვას) უპრავლესობა ქალებისა არ იცავს, ისე, როგორც ეს ებრაულ ადამ-ჩვეულებას შეეფერება. ჩამორჩენილობის გამო არის, რომ მათი შვილებისაგან და შთამომავლობიდან ყველანი ჯიუტები და გულგრილები გამოდიან, რასაც მკითხველი დაინახავს ქვემოთ მოყვანილ საუბრიდან.

ნაშუადღევს მრავალმა ქალმა და ქალწულმა თავი მოიყარა. შეჰკრეს წრე, ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს და დაიწყეს თამაში. თამა-

1) სუქოთი—კარავობა—ქოხობა (შემოდგომის დღესასწაული).

გ. საქ. ებრ. ისტორ.-გეოგრაფ. მუხ. შრომები.

შის დროს რამდენიმე ქართულად გაიმეორა „საივოს“ კუბლები; ყველა მოძრაობდა, ერთ ნაბიჯს უკან დგამდნენ, ხოლო მეორეს წინ, და ასე მოძრაობდნენ და მღეროდნენ.

ქალებს არავითარი ხელობა არა აქვთ: შეუძლიათ მხოლოდ ისეთი კერძის მომზადება, რასაც ევროპელი კაცი ახლო ვერ გაეკარება, აი რამდენად უნიჭია აქაური ქალი. რაბის მეუღლეს მე ვერასვხით ვერ შევასწავლე, ევროპული საქმლის, სახელობრ, ქათმის წვნიის მაკარონით დამზადება. ოცჯერ რომ ვაეკეთებინა ეს კერძი, შეიძლება ერთხელ გამოსვლოდა კარგი.

თევზის ნახარშ წყალს ესენი ღვრიან, საერთოდ თევზს მთელი საქართველოს ებრაელები ერთნაირად ამზადებენ.

სუქოაის გატეხილ უქმეს (ხოლ ამოყვდ) ჩემს ბინაზე მთელს ჯამაათს მოვუყარე თავი, რომ მათი წარსულის შესახებ შემეკრიბა ცნობები. ისინი მომიყვანენ ამბავს მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ პერიოდის შესახებ, ე. ი. 40 წლის მანძილზე მომხდარ ამბებს. უძველესი ამბები კი, ე. ი. რაც გადახდათ თურქეთის სულტანის ხელში ყოფნის დროს, ამის შესახებ ძალიან მცირე ცნობები, მომაწოდეს, რადგან აქაური მოხუცები ყველანი გაუნვითარებელნი არიან, მეხსიერება არ უვარგათ და ჭკუითაც უსუსურ ბავშვებს მოგავიწყებენ. საერთოდ აქაურ მოხუცებს ევაგარებთ წარსულის მოგონება; მათ დღევანდელი დღე აინტერესებთ და სხვა არაფერი. სწორებ ამით აიხსნება ის, რომ თავიანთი წარსულის შესახებ არაფერს იწერენ; ასეთი ჩვეულება მათთვის სრულიად უცხოა, რადგან უგუნური და მასთან დაუღვეარი ხალხია.

მათი ხანმები სრული სულელები და გრეები არიან იმდენად, რომ მათ ასეთი ამბავი სასაცილოდ მიაჩნიათ და ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ვისაც შევეკითხე, თუ რატომ არ სწერდნენ თავიანთ თავგადასავალს, ჩემი შეკითხვა ყველას უკვირდა.

სასაფლაოზე გნახე მთელი რიგი ძველებისა ებრაული წარწერით, მაგრამ ამასაც თავისებური ნაკლი ჰქონდა. მრავალ საფლავზე, მიცვალებულის სახელი არ ეწერა, ზოგსაც კი წარწერა სრულიად არ ჰქონდა. ამ უკანასკნელის მიზეზი ვერ გავიგე. ჩემის აზრით, ეს ამბავი ან წერაკითხვის უცოდინარობის შედეგია ან დაუღვერობისა.

ყველაზე ძველი წარწერები, რომლებიც წავიკითხე საფლავის ძეგლებზე არის შემდეგი:

„ტომ შემ მიშემენ ტომ ვეჰომ ჰამავეთ მჰომ ჰივალდო.

ვეზე ჰამავება ყალ კებურათ ჰათოლმილ ჰანაყიმ სიმან

ტომ ბეხარ ხახამ იაყაკობ შენიფტარ ლბ ყ ჯომ ილ  
ლებოღემ თიშრი შენათ ჰ. თჳჳ თნცბჳ ლეფჳ<sup>1</sup>.

ზრც მათ მოხუცებს სინაგოგის აშენების დრო აღარ ესოვთ,  
მაგრამ სინაგოგას დასაფლეთის კედელზე შიგნით, ერთ დიდ ქვაზე  
აშენების თარიღი აწერია. წარწერა ამოვშიფრე, შეიცავს შემდეგს:

„ესე სინაგოგა აშენდა ქვეყნის დასაბამიდან (5) 501 წ.  
(1740 წ.) რაბი ხახამ ფინხაზ ბინიაშინის ძე მიზრახის დროს“  
რაბი ფინხაზის დავთარში<sup>2</sup>) შევხვდი შემდეგ წანაწერებს:  
(5) 502 წ. (5) 503 წ. (5) 504 წ. ამ სალოცავში თორის  
სასწავლებლად მოვიდნენ მოწაფეები (თალმიდები), ჰირველი მამაჯან  
ისხაკის-ძე, ელიაუ რაბი ისრაელის-ძე, დავიდი, და ისხაკის ორი ვაჟი.  
აქედან ირკვევა, რომ ეს სალოცავი 129 წლის<sup>3</sup>) წინათ არის აშენ-  
ბული. თავიანთი წინაპრების შესახებ ახალციხელ ებრაელებს  
არაფერი ახსოვთ, გარდა იმისა, რომ წინათ უცხოვრიათ ახალციხის  
ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, სადაც ახლა ქალაქის ახალი ნაწილია  
გაშენებული, და ამჟამად ქართველები და სხვა ერები მოსახლეო-  
ბენ. წინანდელ საცხოვრებელ ადგილას სალოცავი ჰქონიათ და ახლა  
იმ ადგილას ქუჩებისა გაყვანილი და შენობებისა აგებული. მე ბევრი  
ვეცადე გამოემტკვია შიხეში, თუ რატომ გადმოსახლებულან ისინი  
წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან და ახლანდელ საცხოვრებელ  
ადგილზე რატომ დასახლებულან, მაგრამ ამის გამორკვევა შეუძლ-  
ბელი გახდა, რადგან აქაურებს ამის შესახებ უკვე აღარაფერი ახსოვთ.

სუქოთის ბოლო დღეებიც დადგა. დღეს ყველას ტირიფის  
ქერქით შეკრული მოკლე ტოტები ეჭირათ ხელში (ისე, როგორც  
ჩვენში ციან) და ლოცვის დროს, ყოველი ნაწყევტის წაკითხვაზე  
აქნევდნენ, ხოლო მიწაზე არ არტყამდნენ აშქენაზებივით (ევროპიელ  
ებრაელების). ჰომეყანა რაბა ღამეს, ვისაც ქოხი ედგა, ყველა იქ

<sup>1</sup>) კარგ ქონებას სჯობს კარგი სახელი და დაბადების დღეს სიკვდილის  
დღე, და ეს ძველი აფთღავსა ხედა მოწაფისა მშენიერისა, სიმანტომ ხახამ ია-  
ყაკობის ძისა, რომელიც გარდაიცვალა თიშრის თეს 14 სა დღესა ქვეყნის განჩინ-  
დან წელიწადსა 5, 555-სა. იყან სული მისი თანამონაწილე შაოადიულ სიცოცხლისა.

<sup>2</sup>) ცოდრე ჩანაწერების დავთარს გაყსინჯავდი, მეგონა რომ საინტერესო  
მასალებს აღმოვაჩენდი მასში, მაგრამ ძალიან გამოვირდა, რომ მართო უბრალო  
სიტყვები და იმ მამაკეთა საბელები ეწერა. რომელნიც თორის კითხვისას წა-  
მომდგარან ანუ სალოცავისთვის ფულები შეუწირავთ. სხვა ევრაფერი აღმოვაჩინე;  
ალბათ იმ რაბიმ ამის გარდა არაფერის ჩაწერა არ სცნო საჭიროდ, და ამგვარად,  
საინტერესო ფაქტები, რომლებიც ებრაელთა წარსულს შესწავლისათვის აუო გა-  
მოსადგვი, არ აღმოჩნდა.

<sup>3</sup>) 129 წლის წინ, ე. ი. 1740 წელს.



იკრიბებოდა და ყველა საჭირო რიტუალს ასრულებდა, სალოცავში ფსალმუნს კითხულობენ, ზოგი შიგ სალოცავში იძინებს; ზოგი კი გარეთ, ქალებიც სალოცავის ეზოში ათევენ ღამეს. დანარჩენები სალოცავის ახლო-მახლო მდებარე ქუჩებში სეირნობენ და ასე ათევენ ამ ღამეს.

„ყაზარათნაშიმი“<sup>1)</sup> მოთავსებულია გარეთ, ფანჯრების ქვემოთ, ან სალოცავის კარების პირდაპირ; აქ სხედან ქალები მთელ ღამეს და გათენებამდე არ სძინავთ.

სალოცავში ჰაკაფოთის<sup>2)</sup> დროს მამაკაცები გრძელ სკამებზე ავიდნენ. პირველნი გაემართნენ ბავშვები ხელში ანთებული სანთლებით, ზედ გადაფარებული ჰქონდათ გრაგნილები, ხელში ეჭირათ აბრეშუმის ხელსახოცები, უწყსრიგოდ, თხებივით დარბოდნენ, და ებრაულ საგალობლებს იმღეროდნენ; შემდეგ მათ მოჰყვნენ ახალგაზრდები, მათაც ხელთ ეკავათ სიდურები, ანთებული-სანთლები და შირებს (ებრაულ სიმღერებს) იმღეროდნენ. ახალგაზრდებს გაჰყვნენ მოხუცი მამაკაცები, მათ თავებ ჩამოცმულნი სეფერთორები მკერდზე ჰქონდათ მიბჯენილი, თანაც გალობდნენ და კუნტრუშობდნენ და ჰაერში ისროდნენ. დაქით ინჯაბელაც ხელეზზე მოამალლეს და ისე ატარეს.

ისეთი შემზარავი ხმით ყვიროდნენ და ტოკოდნენ, რომ ასეთ დღესასწაულს არავითარი სიღამაზე და მიმზიდველობა არ ჰქონდა. მთელი კავკასია დავიარე და მხოლოდ პირველად შევხვდი ასეთ ჩვეულებას. მე იძულებული შევიქენი შეყურებინა ამ სეირისთვის, რადგან წასვლის საშუალება არ მქონდა, ამიტომ საშინელ მტვერს ვყლაპავდი. იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. სალოცავს გარშემო მრავალი ქალი ერტყა და შიგნით არ შემოდიოდნენ. ამ დროს თავადებიც მოვიდნენ და უყურებდნენ მათ ჩვეულებას. შე ვცადე დამეშალა ამ წესის შესრულება, რადგან ყოველდ მიუღებლად ვცანი, მაგრამ ვინ იყო გამგონი, ან რას დამიჯერებდნენ? ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათგანი ასე მსჯელობენ: სჯობს შემცდარები იყვნენ, ვიდრე მოწინააღმდეგენი.

სიმხათ თორის<sup>3)</sup> დღეს პოლონეთს და ლატვიაში ასეთ მხიარულებას ადგილი არა აქვს. თითოეული მიდის თავის მეგობართან და მიულოცავს დღესასწაულს სიტყვებით: გუტ იომ ტობ! შემდეგ ერთმანეთს იბატიყებენ სახლში და ღვინოს, ხილს, ნამცხვარს აკურთხებენ, ყოველივე ეს ხდება სამხრის ლოცვამდე. ახალციხეში კი

<sup>1)</sup> ყაზარათნაშიმი—ქალთა გაღვრება.

<sup>2)</sup> ჰაკაფოთ—ქობობის დღესასწაულის მე-9 დღეს, სალოცავში კათედრის გარშემოვლა.

<sup>3)</sup> სიმხათ თორის—თარის (დაბადების) დღესასწაული.

ღამითაც დღესასწაულობენ და მთელ ღამეს გარმონის სმაზე ცეკვა-კუნტრუმით ათევენ.

ღღესასწაულის უკანსენელ ღამეს სტუმრად მიმიწვია ერთმა მოხუცებულმა ებრაელმა, სახელად ისხაკმა. მას ვაჟის ნიშნობა ჰქონდა. ის თავის ძმისწულის, დეპუტატის თვრამეტი წლის ქალიშვილზე ნიშნავდა თავის ახალგაზრდა ვაჟს. შევედი მათსას. მიწვეულები უკვე უსხდნენ რგვალდა დაბალ მაგიდას. სახლს ღამბა და სანთელი აშუქებდა. ჩვეულება ასეთი აქვთ: დედოფალი საქმროს არ ეხვეწება. ამის გამო მოციქულად რაბი უნდა წასულიყო. ვაჟს მამამ რაბის ორი ოქროს ბეჭედი და ბრილიანტები გადასცა, რის შემდეგ პატარძლის სახლში წავედით. ერთ კაცს „ფონდონსი“ მოჰქონდა, ფონდონსზე ელაგა შაქარ პური, ლეღვი, თხილი და სხვა. „ძღვენს“ აბრეშუმის ბაღდადი ჰქონდა გადაფარებული. ეს საჩუქარი პატარძალთან მიჰქონდათ. ვინც ვაჟის სახლიდან იყო მოსული, ყველას ანთებული თაფლის სანთლები მისცეს. პატარძლის სახლში მივედით, იქაც რამდენიმე მიწვეული იყო. რაბიმ ბეს ნიშნად პატარძლის მამას ერთი ბეჭედი და ბრილიანტი გადასცა, ხოლო მეორე ბეჭედი ნიშნობისათვის დაიტოვა.

ნიშნობის ცერემონია რომ შენახა, რაბის მოწმედ შევპყვი; შევედით პატარძლის ოთახში; იქ რამდენიმე ქალი იყო. ჩვენი წესვლისთანავე ყველა ფეხზე წაპოღვა. ქალებს ჩადრები ესხათ ისე, რომ მათი სახის დანახვა შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ პატარძალი ჯერ რაბისთან მივიდა და ხელზე ემთხვია, შემდეგ კი ჩემთან მოვიდა და მეც ხელზე მემთხვია. ამ შემთხვევით ვისარგებლე და შევხედე მას სახეში. მეტად ღამაში ქალი იყო, მაგრამ გამოვეტყველება ისეთი ჰქონდა, რომ უღაბნოში აღზრდილ ბავშვს წააგავდა. ხელის ჩამორთმევის შემდეგ პატარძალი თავის პირვანდელ ადგილას გაიწერდა. რაბი მივიდა მასთან, მისცა ვერცხლის ბეჭედი და უთხრა: „მე ვაჟის მოციქული ვარ და მოშე და ისრაელის წესით აგერ მე გნიშნავ შენ ამდაბამ კაცზეო“. ქალმა, მიიღო ბეჭედი, მიუახლოვდა რაბის და ხელზე მთხვევა გაიმეორა; ასევე, მოვიდა ჩემთან და კიდევ ხელზე მემთხვია, შემდეგ ისევ თავის ადგილას დაბრუნდა. მე და ხახამი გამოვედით პატარძლის ოთახიდან და წვეულთა ოთახში შევედით. სუფრა უკვე გაწყობილი იყო. მასზე ლეღვი, ხურმა, თხილი ელაგა. ყველა დამსწრე ნეფე-დედოფალს ლოცავდა. შემდეგ მასპინძელმა, ანუ პატარძლის მამამ, ყველას შაქრის თითო დიდი ნაჭერი

ქდახლოვებით ორ გირვანქას იწონიდა) მიაართვა. სტუმრებს თაფლის ანთებული სანოლები დაურივდა.

ერთ კაცს მისცეს დიდი მრგვალი ფასი, რომელზედაც შაქარ-პური და თხილი ეწყო. ზევიდან აბრეშუმის ბალდადი გადააფარეს. ძღვენი საქმროს საჩუქარი იყო. ასე მივედიო უკან საქმროს ოჯახში. სმა ხელახლა დააწყო. ცოტა ხნის შემდეგ ყველა დამსწრეს ისე, როგორც დედოფლიანთა შაქარი დაურივს; მეორე დღეს პატარძლის მამამ შაქარი კამფეოი, თხილი და სხ. „ფოდნოსით“ მომართვა, მხოლოდ იმისა, რომ მე მისი ქალიშვილის დანიშვნის მოწმე ვიყავი. ხუფი წინების აქტის წაკითხვის) წინ პატარძალი უამრავი ქალების თანხლებით წააიყვანეს მიკვეში (აბანოში) ტუბელაზე<sup>1)</sup>. ვიღრე პატარძალი აბანოში მიყვანამდე, გზაში რამდენიმე მამაკაცი პატარძლის წინ იმღეროან და ცეკვავენ; ეს ამბავი ჩემი თვალთ ვნახე.

ერთხელ, ისევ, ღარიბი კაცს ქორწილში დამპატივეს. ყველა მიწვეული მიწაზე, დაბალი მაგიდების გარშემო, იჯდა; ახალციხეში მდიდრისა თუ ღარიბის ოჯახში ყველგან ღამეები უნთიათ. ერთმა სომეხმა მუსიკოსმა „ბალალაიკაზე“ დაამღერა. ებრაელებმა სომეხ და ქართველ მამაკაცებთან და ქალებთან ერთად ფერხული ჩაბეს და თამაშა დააწყეს, ერთ ნაბიჯს უკან დგამდნენ, ხოლო მეორეს და მესამეს წინ.

შემდეგ იქიდან მრავალი ქალი მამაკაცების თანხლებით, ერთი ან ამაღალ შემდგარი, ღამით, ანთებული სანოლებით სელში მივიდა პატარძლის საწველო სახლში, და პატარძალს მიუტანეს საღებავები, რომელსაც ქართველთა ენაზე ჰქვია ეწოდება (საღებავი, რომლითაც ქალები ხელებსა და თითებს იღებენ). ამ საღებავით პატარძლისათვის ხელები და თითები უნდა შეეღებათ.

პატარძლის ოჯახში რომ მივედიო მე მამაკაცთა ოთახში მიმიწვიეს, სამი მომღერალი სომეხი თავიანთი „ბალალაიკებით“ მიწის იატაკზე დასხდნენ, რადგან პატარძალი ჩვენ ოთახში უნდა გაიზოგვიანათ სათამაშოდ. პატარძალი შემოვიდა ოთახში და ადგილობრივი ხასიათის აზიური კომპლიმენტი შეასრულა, შემდეგ მომიხსოვდა, ხელი ჩამოშართა და მეზობვია; მომტერლებმა სათამაშოდ დაუტრეს, პატარძალმა ცეკვა დაიწყო, ისე როგორც მთელი საქართველოს ებრაელი ქალები ცეკვავენ, შემდეგ პატარძალს ჭამოეთამაშა სხვა ქალი და ასე ერთი მეორეს სცვლიდა; მე შევეკითხე: „რატომ მოთამაშეები იცვლებიან და პატარძალი კი მუდმივ ცეკვას მეთქი“. ამის საპასუხოდ მითხრეს, რომ ყველა ქალი, ვინც პატარძალთან იყო, ვალდებულია პატარძალს გამოეთამაშოსო. როდესაც შევინაშნე,

1) ტებილა—წელით ასევე აუზში საზღვრ ჩაყვრუშულება.

რომ პატარძალი ძალზე მოიქანცა, ვუთხარი: „მე მიპატიებია“ და ჩემი პატიება ვედარავინ დაარღვია.

პატარძალს წითელი ოქრო-კაბა ეცვა, თავზე ეხურა ლეჩაჭი, რომელიც ზურგზე გადაფენილი ფეხებამდე ჩათრედა. თვითონ პატარძალი ლამაზი შესახედავადყო, ტანისაშოსი კი ისე ამანინჯებდა, რომ შეხედვაც კი შეგეზარებოდათ.

პატარძალი თავის ოთახში შევიდა. მე ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ, ყველას გამოგემშვიდობე და წამოვიდი. ამის შემდეგ პატარძალი საქპროს სახლში წაიყვანათ, დასასრულს აღარ დაესწრებივარ.

ჩემს იქ ყოფნაში ერთი ღარიბი ქალი გარდაიცვალა. დიდი ამბავი ატყდა იმისათვის, რომ დაკრძალვას ხალხი დასწრებოდა. თურმე ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ დაკრძალვას მიწიანიც<sup>1)</sup> კი არ ესწრება ხოლმე. მე ჩავერეე ამ საქმეში და მთელი ხალხი დავსწარი, თანაც დასაფლავებასთან დაკავშირებულ ადამიანებზე ვახდენდი დაკვირვებას. საფლავი, დაახლოებით არშინ ნახევარი სიღრმისა ამოთხარეს. მე განაოცა ამ წესმა. შესაძლებელია ამას იმატომ სჩადიხართ, რომ მიცვალებულის საფლავიდან ცული ჰაერი ამოვა და მოსახლეობას ავნებს მეთქი, მაგრამ შეკითხვაზე მათ ასე მიპასუხეს: „ეს პირველი შემთხვევა არ არისო“. მიცვალებული საფლავში ჩაასვენეს და მის წინაშე ბოდიში მოიხადეს. როდესაც საფლავში ჩაასვენეს ფეხებიდან ნახევარ ტანამდე მიწა დააყარეს, ხოლო ნახევარ ტანიდან თავამდე ერთი მუტა მიწაც არ მოიხარეს, შემდეგ თალებზე ფიცრები გაალაგეს და ამონათხარა მიწა დააყარეს. დამარხვის აეთ. წესს მთელს კავკასიის ქალაქებში ვერ არ შევხვედრივარ.

სასაფლაოზე უბოხ დასვენების დროს არაერთი რიტუალი არ შეუხსრულებიათ, ისევე, როგორც ეს დანარჩენ ქალაქებში სხევეით ხოლმე. კუბო ანალი ხისაგან იყო გაკეთებული და ამქეზანების კუბოს მდავავდა.

მე დღის შემდეგ დავაწყეს, რომ, ფუსრულწლოვანი (13 წლის) გარდაიცვლება, მთელი ჯამათი ვალდებულია ყურადღებით მოეპყრას მიცვალებულსა და სასაფლაოზე მიაცილოს იგი. მეღუქნეებიც ვალდებულნი არიან, ისე როგორც ქუთაისში ხდებოდა, იუ სამი წლის ბავშვი გარდაიცვალა, ღუქნები დაჭკეტონ და მიცვალებულის დასაფლავების თადარიგს შეუდგენენ. ეს წესი ჯამათს ძალიან მოეწონა და მადლობა გადამიხადეს.

<sup>1)</sup> მიწიანი — ოფიციალური ღოცვა შესდგება ათ სრულწლოვანი მამაკაცის დასწრებით.

## ქორწინება ახალ ციხელ სახამ იმისის მლის სახლში

სახამი თვითონ შეახლა და მთხოვა, რომ მისი დის ქორწინებაზე ვწვევოდი. მე იახნობა განუტყალო და გავპყვი. როდესაც მათ სახლში შევედი, გარდა რჩეული ხალხი ა, სხვას ვერავის შევხვდი.

შესვლისთანავე საგანგებო ადგილი შემირჩიეს იატაკის შემალ-  
ლებულ ნაწილზე, რადგან მათ სახლებში იატაკი ნახევარზე მაღალია, ნახევარზე კი შიშის გასწვრივ ავია იატაკი. ჩემ ადგილზე ფარდაგი და ბალიშები დააფინეს და ასე დამსვენეს. მაღალი იატაკი სულ ფარდა-  
გებით არის მოქნილი, ზედ არშინ ნახევარი სიგრძის შანდლები  
დგას, შანდლებზე უბრალო ქონის სანთლები ანთია, სახლის ქერში  
გადებულია ბოძები, რაზედაც ერდო („ბანი“) არის დაყრდნობილი.  
სანთლებისა და ბუხრის კვამლისაგან ქერი მთლად გამოეფულია და  
ძველ ნანგრევებს შივავს.

მეორე კედელი დიდი განჯინებითაა საცხე; სადაც ლოჯის  
ინახავენ. სახლის ერთ გვერდზე პატარა ოთახია მდებარე, ამას  
ქალების ოთახს ეძახიან, აქ პატარძალთან მიმსვლელი ქალები და  
ქალიშვილები იყრიან თავს.

მომღერლებს და თარზე დამკვრელების ორი დასია. ესენი  
სომხებია არიან და ყოველ აუცილებელ შემთხვევაში ფულით ქირავ-  
დებიან. ამ ორი დასის შერეს მე არ შევხვედრივარ აქ. ორი მათგა-  
ნი (ერთი დასი) წიფის სახლში უკრავს, მეორე კი დედოფლისას.  
ისინი მღერიან და უკრავენ, ასრულებენ ქართულ, კონსტანტინოპოლ-  
ურ ეროვნულ სიმღერებს. მათი საკრავებიდან ერთი ბალადაცაა,  
რომელსაც სახას უწოდებენ, ტარი საკმაოდ გრძელი აქვს, ბოლო  
კი—მრგვალი და მომსხო, მეორე საკრავი აზიურია ქნარია, რომელ-  
საც „კამანს“ უწოდებენ და რომელიც ევროპულ საკრავს, ვიოლი-  
ნოს მიაგავს. კამანი ხუროსიმიანი საკრავია; მასზე ხელით უკრავენ  
და ამღერებენ, ხოლო ქალწულები ცეკვავენ (ხაციონალურ ცეკვას).  
ქალებს ტანთ აზრემუშის კაბები აცვიოთ, ოქროსა და ვერცხლის  
ძაფით მოოჭვილი; კედლებზე ჩამოკიდებულია სხვადასხვა ნივთი,  
ერთ მხარეს გაკეთებულია თაროები, რომელზეც ალაგია თით-  
ბერის ჭურჭელი: თასი, იბრები, თუჯის ქვაბები, ლანგრები და  
სხვა, ჭურჭლის ასეთი განლაგება წარმოადგენს სახლის მორთვის  
ერთერთ მნიშვნელოვან მხარეს.

მოცეკვავენი ძალიან ვიწრო ადგილზე ცეკვავენ, საცეკვაო  
წრის დიამეტრი ორ-სამ არშინს არ აღემატება, თვით მოცეკვა-

ვინც მეტს არ მოითხოვენ და ამითაც კმაყოფილდებიან. მოცუ-  
კვავე ერთ ადგილზე თამაშობს, თვალები ძირსა აქვს დახრილი,  
ხელებს შლის და მთელი სხეული მოძრაობაში მოჰყავს, ასეთ  
პოზაში ასრულებს რამდენიმე ჟესტს და ცეკვის დროს არაფის  
შეხედავს.

სახლებში ძალიან მძიმე ჰაერია; ვინაიდან შენობები ისეთი  
დაბლებია, რომ მიწის ზედა პირთანაა გასწორებული. ამასთანავე,  
ეს შენობები პატარა, ვიწროა და ვერ იტევს ქორწილზე მიწვეულ  
და სხვა დამსწრე ხალხს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყრის თავს,  
როდესაც მომღერლები მამაკაცთა ოთახში სასიმღეროდ შევლენ.

როდესაც მამაკაცები ლეკებივით დაიწყებენ ლეკურ თამაშს, იმ  
დროს ქალები თავშალმოსხმულნი ოთახის კარებთან დგანან და  
უცქერიან მამაკაცთა ცეკვას.

დედოფლის ძმამ დამსწრეთ თათრული სიმღერები შეაწია,  
მისი ხმა ტირილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ქორწილში შუა-  
ღამემდე დავრჩი და შემდეგ სახლში წამოვედი.

ახალციხის ებრაელთა ქორწინებას ოჯგურ დავეწარი, ასეთი  
ჯახლავთ ქორწილი ახალციხეში დაწყებიდან დამთავრებამდე. თუმცა  
მათი ჩვეულებანი მე თავიდან ბოლომდე არ მინახავს, მაგრამ მათი  
ხახამების გადოცემით ნიშნობიდან ქორწინებამდე მძახლები ერთი  
მეორეს უგზავნიან სხვადასხვა საჩუქარს: წინდებს, ჭურჭელს, ტანსაც-  
მელს და ოქრო-ვერცხლს, ხოლო ყოველი უქმის წინა დღეს—ხილსა  
და ნამცხვარს.

ქორწილის დრო რომ დადგება, საქმროიანთა და პატარძ-  
ლიანთა სადილ-ვახშამს ამხადებენ, მამაკაცები—კაცებს პატიჟობენ,  
დედაკაცები კი—ქალებს.

წინათ ასეთი ჩვეულება ყოფილა. ოჯახს თითო პურს უგზავ-  
ნიდნენ და ვინც პურს მიიღებდა, ქორწილს ის დაესწრებოდა, მაგრამ  
ასეთი ჩვეულება უკვე გადავარდნილა, ზოგიერთი შემთხვევაში  
ქორწილს პარასკეობით მართავენ, უმეტესად კი ხუთშაბათობით.

დედოფლის თითოეული მოკეთისთვის, სავალდებულოა პატარ-  
ძლის სახლში მიწვევა ერთი დღით მაინც.

ქორწილის წინ, შაბათს, სადილად პატიჟობენ ნეფესა და პა-  
ტარძლის მახლობლებს. დედოფლის ოჯახში კი ქალები იკრიბებიან  
და მთელ დროს ცეკვა სიმღერაში ატარებენ.

ქორწილის წინა სამშაბათ ღამეს ნეფის ოჯახი მიიპატიჟებს  
თავის ნათესავეებსა და დედოფლის ბიძებს. ვახშამი დილამდე გას-  
ტანს ხოლმე; აქედან პატარძლის ოჯახში აგზავნიან: ერთ ფუთ უმ

ბორცს, 70 მანეთამდე ფულს, ტიკით ღვინოს, ქადას, ლეკებს, ცხრა წყვილ ქალის ფეხსაცმელს, ცხრა წყვილ ჩულქს, ცხრა ლეჩაქს. ამ საჩუქარს პატარძლიანთი ანაწილებენ თავიანთ მახლობელ ნათესავებზე; ამ ღამეს ნეფის საჩუქარს არ უბრუნებენ. ოთხშაბათ ღამეს კიდევ იკრიბებიან ნეფის ოჯახში და შუალამამდე ქეიფობენ. შუაღამის შემდეგ ყველა ქალი და კაცი პატარძლიანთა მიდის, თან მიაქვთ ანთებული ცვლის სანთლები, შამაშს კი (სინაგოგის მსახურ-მცველს) „ფოდნოსი“ მიაქვს, რომელზეც თორნის ოთხი პური აწყვია, ამ პურებს შორის ერთი მრგვალი და სქელი უნდა იყოს. ამ პურს, ჩვეულებრივ, შუაში მოაქცევენ ხოლმე, მასზე დარქობილი თაფლის სანთლები ანთია. „ფოდნოსზე“ საღებავით სავსე ქურქელი დგას, საღებავი, რომელსაც „ინას“ ანუ „ისტაფულას“ უწოდებენ. ინა წითელი საღებავია, ამით პატარძალი აუცილებლად იღებავს ფრჩხილებს და ხელის გულს, ხოლო დამსწრე ქალები კი ვაღდებულნი არიან ინაში ფრჩხილები და ხელის გული შეიღებონ. „შამაშს“ შეძლებისამებრ ფულით ასაჩუქრებენ და თან ეუბნებიან: „კარგი ნიშანი იყოს“. როდესაც პატარძალი ხელებს იღებავს, მის გარშემო გათხოვილი და გასათხოვარი ქალები სხედან და თავზე ორ-ორი პური ადევთ, პურში კი ორ-ორი ანთებული სანთელია ჩარქობილი. შეღების დამთავრების შემდეგ პურს და სანთლებს ჩამოიღებენ თავიდან და პატარძლის გასართობად ცეკვა თამაშს გამართავენ.

ამ დროს მამაკაცები მათთვის განკუთვნილ ცალკე ოთახში ქეიფობენ, იმღერიან და ცეკვავენ. სიმღერებს ჩვეულებრივ ქართულსა და თათრულ ენებზე ასრულებენ, ზოგი ერთდროულად მღერის და ცეკვავს კიდევაც.

გარიყრაჟზე პატარძალი მრავალი ქალისა და კაცის თანხლებით ნეფიანთა მიჰყავთ, გზაში ყველას ანთებული თაფლის სანთლები უჭირავს, ყველა სიმღერით მიდის.

გზაში ამ სიმღერას მღერიან:

ყეთ დოდიმ ქალა, 1)  
ბოი ლეგანიმ,

1 სიყვარულის დრო მოეწურა,  
ბაღში შემოდი,  
ვახუბი აყვავდინე,  
აკოკრდნენ ბროწყულებიც  
ბაღში შემოდი.  
ქლიერს არ სძინავს,

ქებულს არა სთვალეს,  
კვლავაც არ დაიძინებს  
და არც ჩასთვალეს,  
მცველი ისრაელისა —  
მცველი ისრაელისა.

ფარხა ჰაგეფენ,  
 ჰინეცუ ჰარიმონიმ.  
 აღირ ლო იანუმი,  
 ბარუხ ლო იშან,  
 ჰანე ლო იანუმი,  
 ვეგამ ლო იშან,  
 შომერ ისრაელ  
 შომერ ისრაელ<sup>1)</sup>...

როდესაც დედოფალს ნეფის სახლის კარებთან მიიყვანენ, წინ თავლს, კარაქსა და პურს მიაგებებენ. დედოფალი თითს ამოაწობს თავლში და კარის ზღურბლს წასცხებს. დამსწრენი შესძახებენ: კეთილი ნიშანი, ტკბილი და საზრდოიანი სიცოცხლე; ამ დროს ნეფე ზანზე აღის, თან ერთი მაშალი აჭყავს, ხელთ ბრინჯი უჭირავს, ბრინჯს მამალს ზიბილოზე შემოაყრის და შემდეგ დედოფლის თავზე გადააფრენს (ნიშნად იმისა, რომ ნაყოფიერი იყოს და მომრავლდეს). ამის შემდეგ დედოფალი სახლში შედის, როდესაც დედოფალი ნეფის სახლის კარებში ფეხს შედგამს იმღერიან:

ბარუხ ათა ჰეპოეხა,  
 უბარუხ ათა ბეცეთეხა,  
 იშლახ ყეზრეხა შიკოდეშ,  
 უმიციონ ისყადეხა<sup>2)</sup>.

დედოფალს შეიყვანენ ქალებისათვის განკუთვნილ ოთახში, ნეფე კი შედის თავის სახლში, წვეულნი თავ-თავიანთ სახლებში მიდიან.

ოთხშაბათ დღეს მრავალი ქალი და კაცი მოიყრის თავს, წინ უძღვებიან დედოფალს ცეკვით და სიმღერით და ასე მიჰყავთ აბანოში. ხუთშაბათ დღეს მრავალი მამაკაცის თანხლებით ნეფეც მიჰყავთ აბანოში, (იქ ყოფნის დროს მე ეს წეს-ჩვეულება გვაუწყებ და ამჟამად ნეფე და დედოფალი მხოლოდ მაყრებს მიჰყავთ აბანოში ყოველგვარი სიმღერისა და ცეკვის გარეშე).

ხუთშაბათ დღეს, ხუფის (ქორწინების) წინ, ნაშუადღევს დედოფლიანთა მოიყრინან თავს ხალხის მეთაურები, მოსამართლე,

<sup>1)</sup> ამ სიმღერას იმღერებენ ძველ ებრაულ ენაზე—(სათანადო რაოდენობის სასტამბო ნიშნების ებრაულ ენაზე უქონლობის გამო ყველა ებრა. ტექსტებს ვებმდავთ ქართული ტრანსლიტერაციით).

<sup>2)</sup> ჭურთხეულიც ხარ შემოსვლითა შენითა,  
 ჭურთხეულიც ხარ გასვლითა შენითა.  
 გამოგეზავნოს დამხმარე სამღვთო ტაძრიდან,  
 და ციონიდან ფარველობა შენი. (სამჯერ).



რაბი, ხახამი და ქორწინების აქტის მეორე გვერდზე მშითვეს ჩამოსწორენ. ამ დროს დედოფლის სტუმრები საჩუქარს სთავაზობენ პატარძალს და ეს ნივთებიც მშითვევის საერთო რიცხვში ემატება.

დამსწრე საზოგადოების წინაშე გადაშლიან ხოლმე ტანსაცმელს, თეთრეულს, ბაღდადებს, ბალიშებს, ფარდაებსა და ქურკულს, რის მიხედვით კომისია სათითაოდ შეაფასებს და ქორწინების აქტის მეორე გვერდზე ჩამოსწერს ყველა იმ ნივთს, რაც დედოფალს მიაქვს ნეფის სახლში, და შემდეგ ყველა ამას შეაჯამებენ. დასასრულს, მთელ მშითვეს დიდ ბოხჩებში გამოკრავენ, შამაშებს (სინაგოგის მცველნი) ზურგზე აჭკიდებენ და ნეფიანთა გააგზავნიან. ნეფე შამაშებს გასამრჯელოს აძლევს. მერე იკრიბებიან უამრავი ქალი და კაცი და ხუფას (ქორწინების აქტის წაკითხვა) ამზადებენ. ყველას ანთებული თაფლის სანთლები უჭირავს ხელთ, მაყრები ნეფეს სალოცავის თებაზე<sup>1)</sup> დააყენებენ, რაბი ან ხახამი წამოიძახებს „კურთხეულიც ხარ შემოსვლითა შენითა, კურთხეულიც ხარ გასვლითა შენითა...“

შემდეგ რაბის და მაყრებს მოჰყავთ პატარძალი, და ნეფეს გვერდით დაუყენებენ; ნეფე აკურთხებს ტალეთზე, (რელიგიური წამოსახამი) და შემდეგ დედოფლის მამა ტალეთს ნეფეს და დედოფალს თავზე გადაათარებს. ამას ეწოდება „ხუფა“. რაბი ჯერ „კიდუშს“ (ღვინით სავსე კიქაზე კურთხევას) შეასრულებს, შემდეგ „ქეთუბას“ (ქორწინების აქტს) კითხულობს ებრაულ ენაზე და ბოლოს ქართულად თარგმნის მას იმ მიზნით, რომ ქორწინების აქტის შინაარსი ყველასათვის გასაგები გახდეს. ნეფე-დედოფალს გარშემო ახვევია ხალხი, რომლს მეტ ნაწილს ფერად-ფერადი თაფლის ანთებული სანთლები უჭირავს, ზოგს კი სანთლებზე ქალაღები აქვს შემოხვეული. ნეფე, მოშესა და ისრაელის წესით დედოფალს აკურთხებს, რაბის მიერ ნაკურთხევი ღვინის დაღვევისას კიქაში ბეჭედს ჩაადგებს და კიქას ღვინით დედოფალს გადასცემს დასალევად. ნეფე დედოფლისაგან კიქას დაიბრუნებს, ბეჭედს უკანვე ამოიღებს (ამ ცერემონიის აზრი არ მესმის).

„ხუფის“ შემდეგ ნეფე ორივე ხელს მიჰჭიდებს დედოფალს და შეიყვანს ტრაპეზთან ანლოს მიდგმულ პატარა ოთახში (აჯილანში), რომელიც კათედრისებრ არის ამალღებული და რომელსაც სალოცავიდან მოტანილი რამდენიმე ფარდა ჰფარავს, შიგ ჩასვამს დედოფალს, მერე ნეფე უკან ბრუნდება და კათედრაზე ღდება. ამ დროს რაბი დამსწრე ხალხთან ერთად იმღერის:

<sup>1)</sup> თება — ტრაპეზი, კათედრა.

(სიმიან აბიათარ ხაზაკ) <sup>1)</sup>

ემეთ ქი ათა ხათანენუ  
ქემო სპარ ბეთოხენუ  
უქემო მელებ ლეფანენუ  
იებარეხება ელოენუ  
ბექალათხა მეოდ თისმან,  
ბერობ ყოშერ ვერობ ქემან,  
თიზქე ლახასოთ ეთ ცემან,  
ბებეთ კოდემ კოდეშენუ.

ემეთ ქი ათა ვექ...  
კაბელ შიროთენუ ქემო მინხა,  
ვქემ იოსიფუ ლეხა როზ სიმხა,  
უბეშემენ, ჰამიშხა,

მაშუახ მიშქაბხა ჰაიომ ხათანენუ  
ემეთ ქი ათა ხათანენუ ვექ...  
ამის შემდეგ ნეფეს ყველა მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„მესიმიან ტობ“, „კარგი ნიშანი იყფეს“ და ყველა თავის სახლში მიდის, ნეფე ქი მიდის თავის დედოფალთან. ნეფე-დედოფალს გაუზლიდან სუფრას, საკმელ-სახმელს და შეაქცევენ, ართობენ.

ქორწინების შემდეგ, შაბათ დღეს, ნეფესთან დიდი წვეულება იმართება, ისეთი, რომ ქეიფი სამხრამდე გასტანს ხილმე. შუა სადილოზისას, წამოდგება რაბი, რომელსაც სუფრის ყველაზე საპატიო ადგილი უკავია, როგორც დალალი აქვეყნებს თვითეულ საჩუქარს, ოქრო-ვერცხლსა თუ ბეჭედებს, რომლებიც შესწირეს სტუმრებმა ნეფე დედოფალს, ამის შემდეგ იმართება ცეკვა, რაც შუალამემდე გრძელდება.

<sup>1)</sup> (აბიათარ გმირის ნიშანი).

ქეშმარიტია, რომ შენ ხარ ნეფე ჩვენი,  
ვით მთვარეა ჩვენთვის,  
ვით მეფეა ჩვენს წინაშე,  
გაკურთხებს შენ ღმერთი ჩვენი.  
მხიარულნიც ხარ დედოფალთან,  
დიდი სიმდიდრით და ბევრი ღქვილით,  
გედირსოს მესიის მოსვლა და ხილვა,  
წმინდათა-წმინდა ჩვენსა ტაძარში.

ქეშმარიტია, რომ შენ ხარ ნეფე ჩვენი და ა. შ...  
შიილუ ხმდურა ჩვენი ვით შესაწირავი,  
და ისინი შეგპატებენ შენ მხიარულებას,  
მეფის შირონით არის ცხებული,  
დღეს საწოლი შენი, ნეფეო ჩვენი,

ქეშმარიტია, რომ შენ ხარ მეფე ჩვენი და ა. შ...

ქორწილის დღიდან თითქმის რვა დღის განმავლობაში განუწყვეტელი ქეფი და მიპატიებება: პატიჟობენ მოკეთებებს, წვეულებადროის გავლის შემდეგ დედოფლის ოჯახში აგროვებენ ძველს, ახალ ტანსაცმელს და ნამცხვრებისა და ტკბილეულის ძღვენთან ერთად ყველა ამის უგზავნიან დედოფალს ნეფის ოჯახში.

ყველა ამის შემდეგ პატარძალს უფლება არა აქვს ესტუმროს თავის მშობლებს, ვიდრე დიდი ამბით არ მიიპატიებენ მას.

რამდენიმე დღის შემდეგ ან უქმე დღეს, ქალის მშობლები მიიწვევენ ნეფე-დედოფალს ნეფის მოკეთებთან ერთად. ამ გადმოწვევისას პატარძლის მამა ვალდებულია თავის ქალიშვილი და მძახალი ოქროს ან ვერცხლის ძვირფასი ნივთით დაასაჩუქროს.

ასეთი აქვთ წესი ქორწინებისა ჩვენ მოძმე ებრაელებს ქალაქ ახალციხეში...

ხელშეორედ გავემგზავრე იმ ძველის დასათვალისწინებლად, რომელიც ახალციხის ებრაელთა სასაფლაოზე აღმოვაჩინე და შემდეგი დასკვნა გამოვიტანე: ამ სასაფლაოს ძეგლები არა მარტო 5509 წლით დათარიღდება (ისე როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ); არამედ უფრო ნაადრევი თარიღითაც (5500 და 5501). იმ ძეგლების შესახებ, რომლებიც დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ბროსემ გამოიკვლია, უნდა ითქვას, რომ ამოშრიფვის დროს დიდი შეცდომები ყოფილა დაშვებული და ამიტომ ბროსეს შეცდომები საბოლოოდ რომ გამოიკვლია, თითოეული ასო ცალკე შევისწავლე და დავადგინე:

### ბროსეს მიერ წაკითხული ძეგლი

ტობ შე მიშენ ტობ ევოამ ჰამავეთ შეჰომ<sup>1)</sup>  
ჰივალდო, ვეზე ჰამაცება ყალ კებერ ჰათამ  
ჰამშარ ჰაბახურ დეჰუდა ბენ იცხაკ განა,

1) კარგ ქონებას სჯობს კარგი სახელი,  
და სიკვდილის დღე დაბადების დღეს.  
და ესე ძეგლი საფლავსა ზედა, უწყინარისა,  
მართლისა და გაბუჯისა  
იეუდა ისხაკის ძე განა—სი (ჯანა),  
რომელმაც განისწუნა თვისა საუკუნო  
ბინასა, პარასკევ დღეს, ელულის თვის 15-ს  
ადამისა და ევას გაჩენიდან 5570 წელსა.  
იყავნ სული მისი თანამონაწილე მარარადიული  
სიცოცხლისა და განსვენება მისი—კეთილი.

შენიფტარ ლბჷყ დომ ვ ლეხოდემ.  
 ელულ ტვ ბო შენათ ჰ თკჷყ  
 ლეჲციერთ აღამ ვეხავა თნცბჷჰ  
 ვფმჷ ხ

**ჩემს მიმკ ამტკითხულ რეპტის ნიშუმი**

ტობ შემ მიშეშენ ტობ გეჲომ ჰამავეთ<sup>1)</sup>  
 შეჲომ ჰივალდო: ლეჰაჰქირ ყალ მაცებათ  
 ციუნ ლიკბურათ შემუელ ბეხარ მომე  
 შეჰალახ ლებეთ ყოლბმო ლეჲომ შიშო  
 ლეხოდემ სიენ ბეახად ყასარ დომ  
 ბო. ბიშნათ ჰთერვ

**ნიშუმი მრთ-მრთი კმზლისა, რომელსან წარწერა აქვს  
 რთხივე გვერდზე**

პირველ გვერდზე:

დაყელზე ხასიდიმ ბეჰაბოდ  
 მარუნუ ყალ მიშქებოთამ<sup>2)</sup>

მეორე გვერდზე:

ვეჰახოხმა შეიან თიმცა ვეეზე შაკომ ბინა<sup>3)</sup>

- 1) კარგ კონება სჯობს, კარგი სახილი,  
 და გარდაცვალების დღე დაჰადების დღეს.  
 მოსაგონარი ძეგლი საფლავსა ზედა  
 შემუელ რიბი მოშეს ძისა, რომელიც წავიდა  
 თვისსა საუკუნო ბინასა პარასკევსა.  
 დღესა სიენათ თვის 11-ს, წელიწადსა 5336-სა.
- 2) იხეიმიან სათნოყოფელებმა დიდებით,  
 იმზიარულ-ნ თაეიანთ სარეცელზე.
- 3) სად შეიძლება სიბრძნის შეძენა, სად არის ადგილი  
 გონიერების, ელისოსს მესიის—ძის ხილვა რაბი შემუელსა  
 და აგრეთვე აბეე და რაბასთან.  
 და ესე არს ძეგლი საფლავსა ზედა სწორისა,  
 მართლისა, პატრონისა იაყაკობ ჰალევი  
 ეფრაიმის ძისა. რომელიც უდროოდ გარდაიცვალა  
 30 წლის ასაკში და არა ესგა ძე.  
 იყავნ სული მისი-თანამონაწილე მარადიული  
 სიცოცხლისა და განსვენება მისი—კეთილი.

ყიმ რაბ უშმუელ იხქე ლი[რ]ოთ ბ ვეჟიმ  
 აჰიე ვერაბა-ვეზე ჰამაცება ყალ კუბურათ  
 ჰათაჰ ჰაჲშარ ჰაქაბოდ დაყაკობ ჰალევი  
 ბენ ეფრაიმ შენიფტარ ბეკიცურ დამავ ბენ  
 შელოშიმ შანა ბელო ბენ თ<sup>ნ</sup>ც<sup>ბ</sup> ჰ ვ<sup>შ</sup> ხ.

### მესამე გვერდზე:

ტობ შემ მიშემქნ ტობ ვეჲომ  
 ჰამავეთ მიჲომ ჰივალდო<sup>1)</sup>

### მეოთხე გვერდზე:

ვენითტარ ლბ<sup>ყ</sup> ბეარბაყა დამიმ  
 ლეხოდეშ იარ ბეჲომ რიშონ, მიშნათ  
 თრჲან ლფ<sup>კ</sup> თნც<sup>ბ</sup>ჰ. ჰოცაა შელ—  
 ჰამაცება ნიშლამ სახ<sup>ს</sup> ჰაქ<sup>ა</sup> ჲლ მეა მანეთ<sup>2)</sup>

ნუსახ მაცება ყალ ეხად ჰარბანიმ, ჰამეფურსამ  
 ვეჰაშუბ ბეჰალათამ რ. დავიდ ჴ<sup>ლ</sup>.<sup>3)</sup>

ვეახობნა მეანსაი (ცა<sup>4)</sup>)  
 ვეჰეზე მაკონ იხსა.

### ვეზე ჰამაცება

ყალ კებერ ჰახახამ ჰაშალემ ჰაქოლეღ  
 ჰადაჲან ჰქე ჰაზაკენ მორაი ვერაბაჰ  
 ხახამ რაბი დავიდ ბენ შელომო  
 ლბ<sup>ყ</sup> შენიფტარ ბეჲომ ბ<sup>ქ</sup> ჲ ლეხოდეშ  
 ქისლევ ლიბრიათ, ყოლამ ბიშნათ  
 ჰ<sup>თ</sup> რ<sup>ხ</sup> უთეჰი მენუხათო ქაბოდ  
 უთეჰი მენუხათო ქაბოდ,  
 (sic) უთჰტი ნიშმათო (კერურა

- 1) კარგეჰონების სჯობს კარგი სახელი,  
 და გარდაცვალების დღე დაბადების დღეს.
- 2) და განისვენა თვისსა საუკუნს ბინასა კვერას  
 იარას თვის მეოთხე დღეს—წგლიწადა ნ, მ 18-სა  
 იყავნ სული ნისი თახამონაწილე მარადიული  
 სიცოცხლისა, მეგლის დადგმულობა დაჯდა  
 სულ ასი მანეთი (მანეთი—რუსული რუბლი).
- 3) მათ საზოგადოებაში ერთი ცნობილი და სახელგანთქმული რაბინთაგა-  
 ნის რაბი დავიდის მეგლის ნიმუში [კეთილი იყვეს ხსენება მისი].
- 4) სად შეიძლება სიმძრძნის შექმნა  
 და სად არის ადგილი გონიერების,

ბიკრორ ჰახაიმი<sup>1</sup>

ეშუთ ხაილ ში იმცა ვერახოკ მიფენინიმი  
 მიხრა. ვეზე ციფუნ ჰამაცყმა  
 ყალ კებურათ ჰაიში ჰაქებოდა ვეჰაცენწყა  
 მარაჲ ესთერ ბათ აბრაჰამ ეშეთ  
 აბნერ შენიფტერა ბეჲომ შელიში  
 ქა დაჰიმ ლეხოდეშ აბ ჰ.  
 თრ ქ დ ლეჲეცირა თნცბჰ.<sup>2)</sup>

ახალციხეში ჩემი ყოფნის დროს, გავეცანი მათ უდიდეს საქცილს. მისიონერებიც ძალიან ჩვირად აწუხებენ მათ. სალოცავში მიჰყავთ ძუძუმწოვარა ბავშვები, რაც მოეხასიათებათ იმას სჩადიან, არ ჰყავთ ხელმძღვანელი და მეთაური. მე განვიზრახე, ახლა დროა ჯამათს რაიმე კარგი სპქმე გავუკეთოთ მეთქი. ბატონ ნაჩაღნიკ თავად რატიყეთან მოვითათბირე და შემპირდა, რომ ყოველგვარ დახმარებას აღმომიჩენდა.

რაბი ჩიოდა, რომ ჯამათი სრულიად არ მემორჩილებოდა. მართლაც ხალხს (ჯამათს) იგი ძალიან აბუჩად ჰყავდა აცდებული. მე შევეუდექი ზოგაერთი საკითხის მოგვარებას: უპირველესად გაბზიების (ლოცვის მმართველების) არჩევას, რომლებსაც უნდა

1) და ესე არის ძველი საფლავსა ზედა, სახჰისა სრულისა, საზოგადო მოღვაწისა, მოსამართლისა, პატროსნისა და მართლისა, მოხუცისა. ჩვენი ბატონის და მასწავლებლისა სახამ რაბი დავიდ შალომის ძისა, რომელმაც განისვენა თვისსა საუკუნო ბინასა ორშაბათ დღესა ქისტლევის თვის 25-ს, ქვეყნის დასაბამიდან წელიწადსა 5,620-ს და იყავნ განსვენება მისი კეთილი, და იყავნ განსვენება მისი კეთილი (2-ჯერ), და იყავნ სული მისი თანამონაწილე მარადიული სიცოცხლისა.

2) ვინ იპოვნა კეთილზინანი მეუტლე, რომლის ფასი მარავლიტებს აღემატება და ესე აღმართული ძველი საფლავსა ზედა ქალისა პატროსნისა, ნაგუსიანისა, ქალბატონ ესთერ აბრაჰამის ასულისა აბნერის ცოლისა, რომელმაც განისვენა სამშაბათს, აბის თვის 21-სა ქვეყნის გაჩენიდან 5,624-სა. იყავნ სული მისი თანამონაწილე მარადიული სიცოცხლისა.

9. საქ. ებრ. ისტორ.-გენოგრ. მუხ. შრომები.

დავალებოდათ მთელი საჯამათო საქმეების მართვა-გამგეობა. ამ მიზნით შეეკრიბე ხალხი, წინადადება მიეცეო, რომ ავტორიტეტული პირები აერჩიათ. ჩემს წინადადებას მხოლოდ ორი კაცი გამოეხმაურა, დანარჩენმა კი არ მოისურვეს ეს, ვინაიდან მათ შორის სიძულვილი და ბოროტი სული სუფევს. როდესაც დავრწმუნდი, რომ ტკბილი ბაასითა და თხოვნით ამ ხალხთზე ვერაფერს გავხდებოდი, მივმართე „ნაჩალნიკს“ და პოლიციის დახმარებით იძულებული გავხადე ისინი აერჩიათ 15 კაცი (გაბაი), მოსახლეობის საუკეთესო წარმომადგენლები. არჩეულ გაბაიებს განაწესი მივეცი: 3 კაცი უხელმძღვანელებდა წლის პირველ 6 თვეს, 4 კაცი კი—წლის მეორე ნახევარში. ასევე უნდა ეხელმძღვანელათ მეორე წელიწადსაც დანარჩენებს: 4-ს პირველ ნახევარში და 4-ს კიდევ მეორე ნახევარში. გაბაიები არჩეულ იქმნენ 3 წლის ვადით.

არჩევნები ჩატარდა სრულიად ოფიციალურად, მთავრობის მიერ იყო შემოწმებული და ბეჭედი ჰქონდა დასმული იმ ოქმს, რომელსაც ყველა დამსწრე ხელს აწერდა და იწერებოდა კიდევ სახელმწიფო ბლანკზე. თუ რამდენი ზრომა და ენერგია დამჭირდა ამისათვის, მკითხველს თვითონ შეუძლიან განსაჯოს.

მთელი დღე დაღამებამდე და მთელი ღამე გათენებამდე არ მქონდა მოსვენება ხალხის ხმაურისა და ჩივილისაგან იმის თაობაზე, რომ მაზრის უფროსმა აუკრძალა ებრაელებს სოფლად ევლოთ და ევაჭრათ და რომ მგზავრობის საბუთი არ მიეკემოდათ, ვიდრე არჩევნები არ დამთავრდებოდა.

ბოლოს არჩევნები ჩატარდა, ისე როგორც საქირო იყო. „გაბაიებს“<sup>1)</sup> გაწვემარტე მთელი რიგი ახალი წესებისა, უპირველესად კი ისა, რომ ისინი ვალდებული არიან მტკიცედ შეასრულონ და ჯამათის სალოცავში უქადაგონ ამა თუ იმ საკითხის ცხოვრებაში გატარება, ხოლო ის პირი, რომელიც ამას არ დაემორჩილება, მთავრობის მიერ იქნება დაჯარიმებული, რაზედაც მთელმა საზოგადოებამ ხელი მოაწერა.

...როდესაც მგზავრობისათვის ყველაფერი უკვე მომზადებული მქონდა, ფოსტიდან მომგვარეს ცხენები. ჩავჯექი საფოსტო ეტლში და მრავალი ხალხის თანხლებით გამოვედი ქალაქ ახალციხიდან 17 ხეშეანს 630 წელს (1869 წ.). ზოგიერთმა ახალციხიდან 10 ვერსის იქითაც კი გამომაცილა. ცხენებით გამოწყენენ თათრების პირველ სოფლამდე. ვზატ კარგი იყო და მზეც კარგად ანათებდა.

1) გაბაი—არჩეული პირი.

მალე აწყურის სადგურთანაც მოვედი; მე იქ არ გავჩერებულვარ და პირდაპირ სოფელ აწყურისაკენ გავეშურე. ფოსტიდან სულ ერთი ვერსიაც არ გამივლია, რომ ვალმა ხიდი დამხვდა. იქ მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო და პატარა ქუჩებია. დიდი ვივივალახის შემდეგ ეტლი, როგორც იქნა, თათრების მოლა ეფენდის სახლს მიადგა და რაკი შეუძლებელი იყო ეტლით მგზავრობა (მეტად იმ ვიწრო ქუჩებში), ეტლიდან ჩამოვედი და ფეხით გავუდექე გზას.

ჩემს შესახვედრად ებრაელთა მთელი საზოგადოება გამოვიდა. ჯგახში ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიმიღო, რადგან ყველანი მიწურსა და ბნელ სახლებში ბინადრობენ და ამასთან, ძალიან ღარიბნი არიან. ამის გამო ებრაელებმა სთხოვეს მოლა ეფენდის (აქიფ ეფენდის, ახმედ ეფენდის შვილს), რომ დამე მის სახლში გამეთია, ხოლო ხარჯს ჯამაათი კისრულობდა. მოლამ დიდი პატივისცემით მიმიღო თავის სახლში. მე მაშინვე სალოცავში წავედი სამხრისა და მწუხრის ლოცვისათვის. სინაგოგიდან დავბრუნდი თუ არა, ჩაი დამხვდა გამზადებული; ეფენდიც მოვიდა ჩემთან, დავსხედით მაღალ სკამებზე, რომლებზედაც აღმოსავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ ხალხთა ჩვეულებებისამებრ ნოხები ეგო.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩემთან მოვიდნენ ამ სოფლის პატარა საზოგადოების მეთაურნი და უხუცესი ხანები, რომლებიც შუაღამემდე დარჩნენ.

მეორე დილას მთელი ჯამაათი შეგროვდა და გადმომცეს ცნობები თავიანთი წარსული ცხოვრების შესახებ. ჩემი თხოვნით მოვიდნენ აგრეთვე მოლა, მამასახლისი და უხუცესო თათრები, რაც იტოდნენ და ახსოვდათ, ყველაფერი მიამბეს; მომწოდეს აგრეთვე ცნობები ამ სოფლის შორეულ წარსულის, ქართველთა ციხე სიმაგრისა<sup>1)</sup> და ეკლესიის აოხრების შესახებ.

როგორც მოხუცმა თათრებმა გადმომცეს, წინად ესენი ქართველები იყვნენ და ქრისტიანობას შისდევდნენ, შემდეგ თავიანთი სურვილით თუ იძულებით მათ წინაპრებს მაჰმადიანობა მიუღიათ

<sup>1)</sup> აწყური—ქალაქი და ციხე—ისტორიული მონაცემების თანახმად აშენებულია III საუკ. ჩვენ ერამდე ქართველთა მეფის ფარნაოხის მიერ. ქართლის ცხოვრებაში ეს ადგილი აღინიშნა, როგორც საყრდენი ადგილი, საიდანაც წინასწარმეტყველი ანდრია ქრისტიანობას (სახარებას) ავრცელებდა. აქ დღესაც არსებობს უძველესი ეკლესია. როდესაც ოსმალოებმა საქართველო დაიპყრეს, ქრისტიანობა იძულებით გააუქმეს. ნაწილი მცხოვრებლებისა გადასახლდა იმერეთში და თან წამოიღო აწყურის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამჟამად გელათის მონასტერშია დაცული.



მას შემდეგ, რაც თათრებს დაუპყრიათ ეს მხარე. იმ დროს აქ მათთან ერთად მრავალი ქართველიც სახლებულა. ზოგიერთების გადმოცემით მათი გამაჰმადიანება თამარ მეფემდე მომხდარა.

აწყურის ციხე-სიმაგრე თამარ მეფის ბრძანებით ყოფილა აღდგენილი. თავდაპირველად მხოლოდ 5-ოდე ებრაელთა კომლი სახლებულა და დროთა მსვლელობაში კიდევ სხვადასხვა ადგილებიდან სხვა ებრაელებიც გადმოსახლებულან.

რუსების შემოსვლამდე ციხის გალავანში კარგი სახლები ყოფილა აგებული, შიგ რამდენიმე კომლიც დასახლებულა, ხოლო როდესაც რუსებს თათრებთან მოხდენიათ შეტაკება, მაშინ ეს ციხე-სიმაგრე რუსებს გაუჩხრებიათ.

უკანასკნელი თავადი, რომელიც ამ ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა და აწყურის გარშემო მდებარე სოფლებს მფლობელობდა, ალა ყოფილა. ეს თავადი (ალა) ომის დროს ახალციხეში გაქცეულა, ტყვედ ჩავარდნილა და იქ მოუკლავთ.

აქ ერთდროულად ორი მფლობელი ყოფილა, მეორეს ოსმან-ალა ჰრქევიან. ეს თავადები, რომლებიც ამ ციხე-სიმაგრეს ჰფლობდნენ, ყველანი ალას შთამომავალნი იყვნენ, ახალციხის საფაშოს მფლობელის გვარისა. უკველეს დროს აწყურს ქართველები ფლობდნენ. შემდეგ ჰფლობდნენ მას სპარსელები, მათ შემდეგ დაასლოებით ექვს თვეს ჰფლობდნენ არაბები. ამჟამად კი მას რუსები ჰფლობენ.

ქართველთა მეფობის დროს ისრაელების შევიწროებას ადგილი თითქმის არ ჰქონია, სპარსთა მფლობელობის დროს კი ებრაელთა დიდი აწიოკება მომხდარა; ქართველთა და ებრაელთა სახლებს სპარსელებს დაუბრებიათ, დაუნგრევიათ, ხალხიც დაუხოციათ და ტყვედ წაუყვანიათ.

ახლანდელი ოსმალები დიდად მორწმუნე ხალხია, თავიანთი სარწმუნოება ღრმად სწამთ და თავისუფლადაც სცხოვრობენ.

სოფლის აშენების დრო არ ახსოვთ. არც ციხე-სიმაგრეში აშენებული მჩეთის აგების თარიღი იციან. მეჩეთი დაუნგრევიათ ციხე-სიმაგრის განადგურების დროს. ასეთი ცნობები გადმომცეს თათარმა მოხუცებმა თავიანთი მამასახლისისა და ეფენდის ბრძანებით.

\* \* \*

აი ცნობები, რომლებიც გადმომცეს აწყურის ებრაელებმა თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით.

თათართა ბატონობის დროს მოსავლისა და საკვების ღირსი ზიადე და თავისუფალი ცხოვრება ყოფილა. მაგრამ ამ მიღამოებში ღირსი ყაჩაღობას ჰქონია ადგილი. ერთი ვერსის მანძილზედაც კი ვერ გავიდოდა კაცი სოფლიდან გარეთ.

ებრაელთა გადმოცემით აწყურში ადიგენიდან გადმოსახლებულან იქაური ისრაელები, რომლებიც თათართა ფეოდალების ყმებად ყოფილან. მათი თავადი ფოცხოვბეგი შოითხოვდა ისრაელების იძულებით გამაჰმადიანებას. დღესაც ცხოვრობს იქ ერთი ქალი, რომელსაც მაჰმადიანობა მიუღია. ამ ქალის დედაც აწყურში ცხოვრობს. რუსების შემოსვლის შემდეგ ეს თავადები თურქეთში გაქცეულან, ებრაელებს კი დრო უხელთაათ, სხვადასხვა ადგილას გადასახლებულან და შემდეგ გათავისუფლებულან. ამ მიხედვის გამო რუსების შემოსვლით.

დიგვირში 32 კომლი სახლებულა, მათ ერთი რაბი ჰყოლიათ: ხახამ აბრამ ისაკის ძე. ეს ხახანი მოხუცებულობისას იერუსალიმში წასულა და იქ გარდაცვლილა. თუ ვინ და ვინ ჰყავდათ დიგვირში ხახამად ამ ხახმის დაყენებამდე, ეს მათ არ ახსოვთ.

ამ ქვეყნის ასალებად რუსები რომ მოდიოდნენ, თავადს ებრაელებისათვის წინადადება მიუცია, აჭარაში წაჰყოლოდნენ, მაგრამ არც ერთი ებრაელთაგანა ამაზე არ დათანხმებულა. ამ დროს ქალაქში აჭარლები შემოჭრილან და 25 კომლი ებრაელებისა ახალციხეში გაქცეულა. ერთი გაქცეული ქალის, სახელად მაზალ იაყაკობის ასულის, აბრამ-მელიტას მეუღლის ექვსი წლის ვაჟი მგლებს შეეჭამიათ. ბავშვი იმდენად დაუზარალებიათ, რომ მისგან ძვლებიც კი, აღარ დარჩენილა; ასე რომ შეუძლებელი გამხდარა მისი დასაფლავებაც კი.

თავადებს იმდენი მოუხერხებიათ, რომ ტყვედ წაუყვანიათ ათბ სული ებრაელთაგანი, რომელთა შორის 6 დედაცაცი ყოფილა და 4 მამაკაცი. ამ ორ ბატონს ებრაელი ტყვეები ერთმანეთ შორის თანაბრად გაუნაწილებიათ. ერთს თავისი წილი ებრაელი ყმებისა ახალციხის მაზრის ნაიზნიკისათვის, ბებუთოვისათვის უჩუქებია, მეორეს კი თურქეთში წაუყვანია. ამ ტყვეთა შორის შემოსენებული ქალის ქალიშვილიც ყოფილა, ქალიშვილი რომელიც ჯერ კიდევ ტყვედ წაყვანამდე ძალდატანებით გაუმაჰმადიანებიათ...

გადასახადი, რომელსაც ყმა ებრაელი უხდიდა თავის ბატონს დიგვირში, შემდეგი ყოფილა: სანთელი, სანთლის ფითილი (ჩლა), შეშა, ტანსაცმელი და თავადის შინაურებისათვის სხვადასხვა საქმე-ლი. ვარდა ამისა, თათოეული ოჯახი ბატონს ფულად 50 ჟურუმს

უხდიდა (ხუთი ყურუში უდრის რუსეთის ერო მანეთს). ვინც ახალ ტანსაცმელს ჩაიცმევდა, ზედმეტად 5 ყურუში უნდა გადაესადა. სისხლის ხმარებაზე ცილისწამებას აქ ადგილი არ ჰქონია. ქორწილის დროს თავადები არაფერს არ ახდევინებდნენ, გარდა აწისა, რასაც ყმები თავიანთი სურვილით მიუტანდნენ საჩუქრის სახით. შეშისა და სხვა მსგავსი საგნების მოსატანად თავადები ებრაელებს აგზავნიდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. ებრაელის ქალები კი სარეცხს ურეცხავდნენ და საოჯახო საქმეს უკეთებდნენ მათ.

ებრაელი ყმები თუ გადასახადს დროზე არ გადაიხდიდნენ, მათ დაიჭერდნენ და მაგრად სცემდნენ.

დიგვირის ებრაელები ქსოვას მისდევდნენ, ბამბას ართავდნენ, შაფიდან და თავის პროდუქციას სოფლებში ასაღებდნენ.

*А. Крихели.*

ИСТОРИЧЕСКИЙ ОБЗОР ПРЕБЫВАНИЯ  
ИНОГОРОДНИХ (РУССКИХ и ЕВРОПЕЙСКИХ) ЕВРЕЕВ  
НА КАВКАЗЕ.

1804—1855 г. г.

часть I

В научной литературе и исторических документах часто встречается деление евреев на туземных (коренные жители) и нетуземных или иногородних.

Под туземными евреями подразумевались грузинские и гатские (горские) евреи, а под иногородними — русские и европейские евреи, пришедшие на Кавказ в начале XIX века, так как, на основании Положения 1804 года, евреям дозволялось проживать на Кавказе. Этому вопросу посвящается настоящий труд.

\* \* \*

Вопросом пребывания русских и европейских евреев на Кавказе занимались некоторые историки, этнографы, лингвисты, а также журналисты. Из них назовем: В. Миллера, Ш. Аписимова, И. Сегалю, Гессена, Берлина, Зелинского и Вольфке. Однако, они не ставили себе целью дать исчерпывающую картину хотя бы таких основных вопросов, какими являются причины появления евреев на Кавказе, род их занятий и правовое положение. Вышеназванные авторы ограничивались лишь общими сообщениями о численности еврейского населения на Кавказе, о количестве синагог, о религиозных училищах и т. д.

Неудовлетворительны также статьи, помещенные в энциклопедиях.

Это обстоятельство объясняется тем, что авторы, посвящающие статьи еврейскому вопросу, не имели возможности

систематически вести научно-исследовательскую работу в этой области, путем изучения местных архивов, посещения соответствующих мест и собирания материалов на месте.

Благодаря огромной работе, проведенной Музеем в течение ряда лет в центральных исторических архивах Грузии и Советского Союза, а также путем организации комплексных экспедиций, изучения данного вопроса на местах, Музей сумел накопить много, в том числе неизвестных, документов и материалов; на основании которых создавалась возможность разрешить некоторые вопросы истории пребывания т. н. иногородних евреев на Кавказе.

Иногородние или же нетуземные евреи появляются в Закавказьи, в частности в Грузии, в начале XIX века, когда по Указу 1804 года евреям было предоставлено право водворяться в Кавказской области и приобретать здесь земельную собственность.

До этого периода на Кавказе почти не было нетуземного еврейского населения, по той причине, что Кавказ до начала XIX века еще не был присоединен к России, почему русские и европейские евреи не могли появляться здесь.

Однако, хотя Указом 1804 года Кавказ был включен в „черту оседлости“: все же для кавказской администрации не был ясен вопрос о том, в каких именно местностях евреи могли проживать, поскольку тем же Указом дозволялось евреям пребывание в литовских, белорусских, малороссийских, Киевской, Минской, Волынской, Подольской, Астраханской, Екатеринославской, Херсонской и Таврической губерниях<sup>1)</sup> но, вместе с тем, было оговорено, что в столице Киевской области в гор. Киеве, и в других центральных городах (Николаев, Севастополь и т. д.) было запрещено пребывание евреев<sup>2)</sup>. В связи с этим, кавказская администрация неоднократно ставила вопрос перед Министерством внутренних дел об уточнении вопроса, в какой части Кавказа дозволялось поселение пришельцев евреев; особен-

<sup>1)</sup> До Указа 1804 года см. 14-й том законов о паспортах ст. 11.

<sup>2)</sup> 14-й том законов о паспортах ст. 11 и примечание 2.

но подчеркивалась необходимость разъяснения в отношении Грузии, ввиду большой тяги пришельцев в Тбилиси.

На испрашиваемый запрос от Министерства внутренних дел на имя начальника Кавказской области были посланы Правила, указывающие на прежние узаконения и, особенно, на Положение 1804 года, которым, хотя евреям дозволяется постоянное пребывание в Кавказской области, но высочайше утвержденным 3 февраля 1825 года журналом-гг. Министров повелено: „Из уездов, где находится секта субботников<sup>1)</sup> или Иудейская, и соседствующих им уездов выслать всех евреев, без исключения, где бы они не находились, и впредь ни под каким предлогом пребывание там им не позволять“<sup>2)</sup>. Из цитированного документа видно, что в Закавказьи

Дагестане евреям не дозволялось проживать, в силу того, что в этих краях Иудейская секта давно существовала.

Между тем, пока шла переписка между кавказской администрацией и Министерством внутренних дел по этому вопросу, значительное количество евреев успело уже поселиться на Кавказе, в частности в Грузии.

Переселенцы евреи на Кавказе преимущественно были из следующих губерний. Полтавской, Кременчугской, Бердичевской, Могилевской, Киевской, Курляндской, Витебской и др. а также из Польши, Австрии, Бельгии, Чехословакии, Америки и т. д.

<sup>1)</sup> Субботники, жидовствующие (в русском прогонароци иудействующие, новые жиды). Под этим названием в русском законодательстве первой пол. XIX в. известны иудействующие секты в России.

<sup>2)</sup> Первые документальные сведения о жидовствующих относятся к началу XVIII в. К этому времени принадлежат основание секты молокан субботников.

Субботник—от слова Суббота. Одним из основных положений субботников был почитание ветхозаветной субботы и отвергание воскресенья.

Целью заселения Грузии разными племенами, проживающими тогда в России, а также для того, чтобы разбросать сектантов, Указом 18-го декабря 1826 года часть субботников была переселена в Грузию, а часть была отправлена в Сибирь и в другие места.

Этим же Указом были запрещены им передвижение и торговля по Закавказью, но через некоторое время субботникам было разрешено передвижение и торговля по Закавказью. Часть сектантов, проживающая в центральной России, в 1850 году в большом числе была поселена в Кубинской области (Куба в настоящее время входит в состав Азербайджанской Сов. Соц. Республики) и другие места Закавказья.

<sup>3)</sup> Центр. Истор. Архив Груз. ССР, ф. 8, д. 2829.

\* \* \*

Кроме того, в Грузии ни при каких обстоятельствах не допускалось проживание лиц, не имеющих определенных занятий, при чем каждый приезжий должен был быть, если не высокой квалификации, то не ниже средней.

<sup>1)</sup> Центр. Истор. Архив. Груз. ССР, ф. 8, д. 3340, стр. 22-25,

<sup>2)</sup> Центр. Истор. Архив. Груз. ССР, ф. 9, д. 5064, стр. 252-253-а.

По толкованию Правительствующего Сената, еврей-ремесленники могли проживать вне черты оседлости лишь до тех пор, пока занимались ремеслом. Еврей-ремесленники, прекратившие занятие ремеслом по болезни или старости, должны были испрашивать разрешение администрации или М. В. Д. на оставление их на месте жительства.

В случае же смерти ремесленника, семья его подлежала немедленному выселению. Вдова Хана Зейденберг, после смерти мужа, обратилась к наместнику Кавказа с просьбой об исключении ее мужа из общества кременягских мещан и о дозволении ей причислиться к городу Тифлису. На ее прошение последовал ответ через Тифлисского Старшего Полицеймейстера:

...„Уведомляя об этом... покорнейше прошу Вас.. объявить просительнице, что просьба ее не может быть удовлетворена...“<sup>1)</sup>.

Вот подлинная картина условий жизни и деятельности иногородних, а также туземных евреев, под покровительством кавказской царской администрации.

В 1847 году, в октябре месяце, последовало новое высочайшее повеление, запрещающее евреям селиться в Закавказском крае. В силу этого, местные власти приступили к осуществлению его. Однако, выселение всех ремесленников опять таки было сопряжено со многими препятствиями, как и в 1827 и 1835 годах. Наместник Кавказа Воронцов, приводя те же аргументы, как его предшественники, ставил вопрос перед Кавказским Комитетом о дозволении некоторым евреям-ремесленникам проживать в Тбилиси по платным паспортам, без ограничения срока; в связи с этим было составлено два списка: 1-й—список проживающих в Тбилиси евреев, которые по Указу Губернского правления должны были быть высланы в течение 4 месяцев, (по этому списку значится 23 дыма, численностью около 10 душ). 2-й список включает еврейские семейства из ремесленников, которым испрашивалось дозволение оставаться в Тбилиси; по этому списку значилось всего 26 дымов.

<sup>1)</sup> Центр. Истор. Архив Груз. ССР, ф. 8, д. 2828, стр. 77-а.

## СПИСОК

еврейских семейств из ремесленников, которым  
испрашивается дозволение оставаться в Закавказском  
крае на будущее время<sup>1)</sup>.

Составлено 22 июля 1852 г.

№	Имена и прозвание и откуда родом	С какого времени в Тифлисе	Занятие
1	Соломон Сальман из Кременчуга, семейный . . . . .	С 1812 года	Военный портной
2	Вдова Ханка Зейдманберг из Кременчуга, семейная . . . . .	С 1812 года	Хлебопек
3	Мойсей Крыпский из Кременчуга, семейный . . . . .	С 1819 года	Военный портной
4	Ойзер Сальман из Кременчуга, лишен зрения, семейный	С 1824 года	Жестяных дел мастер
5	Борук Юдкович Фарберг, Подольской губерний, мещанин местечка Тульчина, семейный, при нем сестра, вдова местечка Сароя, Сима-Хан Бардачская с дочерью . . . . .	С 1830 года	Шапошник
6	Сруль Месров Броцкий, Подтавский мещанин, семейный	С 1830 года	Шапешник
7	Мордко Гершков Фердман, из Кременчуга, семейный . . . . .	С 1830 года	Дамский портной
8	Мордко Ноеинов Зелезняк из Кременчуга, семейный . . . . .	С 1832 года	Учитель еврейских дет.
9	Соломон Грешков Буцацкий из Кременчуга, семейный . . . . .	С 1838 года	Дамский портной
10	Внасс Ицкович Рудник, житель города Житомир, семейный	С 1838 года	Портной.

<sup>1)</sup> В графе „с какого времени в Тифлисе“, обозначается время приезда, а не постоянного жительства, ввиду двукратного выселения из Тифлиса.

№	Имена и прозвания и откуда родом	С какого времени в Тбилисе	Занятие
11	Аврам Мохаринский, мещанин г. Тараца . . . . .	С 1840 года	Дамский портной
12	Вдова Мария Дубилер, купчиха Кременчуга, семейная . . .	С 1840 года	Дети ея резчики печатей
13	Гершко Мшквич Штейнберг, мещанин, Волынской губернии, м. Любовец	С 1840 года	Золотых дел мастер
14	Давид Мсер, Рабинович, Черниговский мещанин, семейный	С 1841 года	Часовщик
15	Нахим Даксин, Могилевский мещанин Могилевской губернии . . . . .	С 1843 года	Брильянщик
16	Захман Норштейн, мещанин Витебской губернии . . . . .	С 1843 года	Золотых дел мастер
17	Герко Норштейн, мещанин Витебской губернии . . . . .	С 1843 года	Золотых дел мастер
18	Рахим Левинс, Бессарабской области, м. Дуни, мещанин семейный . . . . .	С 1844 года	Печник
19	Лейзер Зеласковской, Киевской губернии, мещанин м. Златоноса . . . . .	С 1847 года	Дамский портной
20	Шмерко Израиль Цейтлинг, Могилевской губернии, Оршанский мещанин, житель м. Довгоки, семейный . . . . .	С 1847 года	Резчик печатей
21	Фрайн-Герик-Мшквич Фитер, мещанин г. Дубно . . . . .	С 1849 года	Брильянщик
22	Давид Бельский, Полтавский мещанин . . . . .	С 1849 года	Золотых дел мастер
23	Иосель Яковлович Примак, Митинской губернии, житель м. Новой Маши . . . . .	С 1850 года	Дамский портной



№	Имена и прозвания и откуда родом	С какого времени в Тбилисе	Занятие
24	Гершко Островский, мальчик из г. Римны, племянник Дубалира показанного под № 12	С 1850 года	Ученик мастер золотых дел
25	Моисей Горп Фникельштейн, мещанин г. Аleshки, Таврической губернии с женою	С 1850 года	Портной
26	Янко Берко Лейбов Эйдельсон, мещанин Витебской губернии . . . . .	С 1850 года	Портной <sup>1)</sup>

Как видно из списка, 10 чел. были портные, 5 золотых дел мастера, 2 шапошника, 2 брильянтика; остальные часовщики, жестянщики, резчики печатей и другие.

Второй список, на 26 семейств, который был составлен на основе общего списка из числа 49 дымов, представлял подбор самых нужных и, очевидно, более квалифицированных мастеров, относительно коих ставился вопрос о приписке их к городским обществам.

В 1852 году 28/VIII Кавказский Комитет сообщал решение по сему вопросу, в котором говорилось: „В последствие огношения В. С. от 28 марта 21 июня № № 480 и 800, имею честь . . . представить для зависящих распоряжений выписку из высочайше утвержденного 27-го августа журнала Кавказского Комитета о дозволении 26 еврейским семействам приписаться к городским обществам Закавказским или к существующим там еврейским обществам.

Подобная выписка вместе с ним сообщена мною, для сведения Г.М.В.Д.<sup>1)</sup>

Что касается остальных 23 семейств, по поводу их Наместником Кавказа на имя начальника гражданского управления Закавказского края было сделано распоряжение следующего содержания: „Чтобы, кроме означенных 26-ти семейств, не дозволялось никому из других иногородних евреев водворяться в Закавказском Крае на жительство в противность

<sup>1)</sup> Центр. Ист. Архив Груз. ССР, ф. 8, л. 5064 стр. 254—255.

высочайшего повеления, последовавшего в 1847 году. О таковом высочайше утвержденном положении Кавказского Комитета, сообщая Вашему сиятельству к надлежащему исполнению и препровождая при сем список вышеозначенным семействам евреев, имею честь покорнейше просить Вас . . . сделать распоряжение, чтобы все прочие евреи, не погазанные в списке и проживающие в Тифлисе, немедленно были высланы отсюда . . . <sup>4)</sup>).

Этим документом еще раз убедительно подчеркивается, какими идеями руководствовались кавказские власти и какими особыми „привилегиями“ пользовались лица еврейского происхождения, поставленные в невыносимо тяжелые условия и вынужденные всю жизнь странствовать, как бродяги. Судьба 23 семейств была судьбой всех евреев; оставшихся на некоторое время 26 семействам ожидала не сегодня—завтра та же участь, поскольку сама система управления страны и господствующий в ней произвол обуславливали узаконенность и неизбежность гонения еврейского населения.

В чем же заключалась трагедия для иногородних евреев в возвращении в те места, куда они были приписаны?

На этот вопрос можно ответить только таким образом: трагедия заключалась в тех же причинах, которые влекли за собой вынужденный выезд их из насиженных мест.

Кроме того, основная причина их странствования была нужда. Евреи, загнанные к черту оседлости, особенно в маленькие местечки, не имели возможности развернуть свое ремесло или другую отрасль хозяйства; сбыт их продукции был слишком ограничен; людей одной профессии даже в самом маленьком местечке, насчитывалось десятками. Существующее положение диктовало ремесленникам необходимость подыскать соответствующее убежище, и потому сообщение о присоединении Кавказа к России было для них своеобразной радостью. Предвидя заранее в этих краях потребность в разных ремеслах, с этой надеждой они ехали сюда; их профессия оказалась слишком ходкой; люди начали оживать, не щадили своих трудов, старались услужить

<sup>4)</sup> Ibid стр. 261--262.

всем, дабы не подвергнуться изгнанию. Но не в их силах было предотвратить несчастье, и они поневоле должны были следовать к месту назначения.

И так, царские суровые законы и вопиющая нужда гнала их с одного места в другое, пока не появились освободительные лучи Великой Октябрьской Социалистической Революции.

\*  
\* \*

Как мы видим из рассмотренного материала, начиная с 1804 года до 1852 года, иногородние еврей-ремесленники 3 раза подверглись выселению из Кавказа, в особенности из Грузии (Тбилиси), т. е. в 1827, 1835 и 1847 г. г.

Общее число приезжих евреев, начиная с 1804 до 1852 года, судя по спискам лиц, подлежащих выселению (которые и были высланы) в разное время, только в Грузии составляет около двух тысяч семейств.

После третьей высылки в Тбилиси было оставлено лишь 26 еврейских семейств.

**ისტორიული მიმოხილვა კავკასიაში სხვაქალაქელ  
(რუსეთის და მხროკიელ) მხრამდელთა დასახლებების  
შესახებ.**

( რ ე ზ უ მ ე )

სამეცნიერო და ლიტერატურული მასალების შესწავლისა და საისტორიო არქივის საბუთების გამოვლინებისა და გამოკვლევის საფუძველზე, სხვაქალაქელ ებრაელთა კავკასიისა და კერძოდ საქართველოში დასახლებისა და კულტურულ მრეწველობის განვითარების დარგში მათი როლის შესახებ დასტურდება შემდეგი:

1. სხვაქალაქელი ებრაელები აკავკასიისა და კერძოდ საქართველოში დასახლდნენ მე-XIX საუკ. დასაწყისში, როდესაც 1804 წლის დებულებით კავკასია ისევ, როგორც სხვა ზოგიერთი მეფის რუსეთის დროინდელი ოლქები და შაზრები, გამოცხადებულ იქნა „ებრაელთა ბინადრობის ფარგლად“ (черта еврейской оседлости), დებულებით მათ უფლება მიეცათ კავკასიაში ცხოვრებისა და საკუთრების შექენისა, 1804 წლამდე რუსეთის ან ევროპიელი ებრაელები კავკასიაში თითქმის არ მოიპოვებოდნენ.

2. მიუხედავად იმისა, რომ 1804 წლის დებულებით, კავკასია გამოცხადებულ იქნა „ებრაელთა ბინადრობის ფარგლად“, 1825 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კავკასიის ადმინისტრაციის შეკითხვაზე მიცემულ განმარტების საფუძველზე, რაც შემდგეს შეიცავდა: „იმ ადგილებში, სადაც იუდაელოთ ან სუბოტნიკების სექტა არსებობს, ებრაელებს ეგრძალებათ ასეთ ადგილებსა ან მის მუზობლად დასახლებას“, კავკასია გამორიცხული იქნა ებრაელთა ბინადრობის ფარგლებიდან, კავკასიაში ასეთი სექტების უძველესი დროიდან არსებობის გამო.

3. კავკასიაში პლაკატისა და საგუბერნიო პასპორტით ჩამოსვლის უფლება განსახლებული დროით 2 — ი თვემდე, ჰქონდათ მხოლოდ ებრაელ კვალიფიციურ ხელისნებს და კომერციულ საქმეებზე ჩამოსულ პირებს.

4. 1804 წლიდან 1825 წლამდე კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ჩამოსულ სხვაქალაქელ ებრაელთა რაოდენობა სამისამდე კომლს აღწევს და, მცირე გამოწილის გარდა, წარმოადგენდა სხვადასხვა სახის კვალიფიციურ ხელოსნებს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს 1827 წ. 25 მაისის სპეციალური ცირკულიარით სხვაქალაქელ ებრაელებს კატეგორიულად აეკრძალათ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ცხოვრება, და, მიუხედავად კავკასიის ადმინისტრაციის ცდისა, ებრაელ ხელოსნების საქართველოში დროებით დატოვების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნის გამო 1827--28 წელს იქნენ გადასახლებულნი.

6. სხვაქალაქელ ებრაელ ხელოსნების გადასახლება უარყოფით ვაგლენას ახდენს კუსტარული მრეწველობის განვითარებაზე, შინამრეწველობის პროდუქციაზე შესამჩნევ ხდება ფასების გაზრდა და, რაც მთავარია, რუს ჩინოვიკთა და ოფიცრობის მუნდირის დამამზადებელ ხელოსნების დიდი ნაკლებულება, ამის გამო კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული ხდება 1827 წლის გადასახლების შემდეგ 1831 წელს საქართველოში არალეგარულად ჩამოსულ ხელოსნებს აღმოუჩინოს ერთგვარი „მფარველობა“ და შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მათი დატოვების შესახებ.

7. კავკასიის ადმინისტრაციის შუამდგომლობა კვლავ უშედეგოდ რჩება და, 1835 წლის უზენაესი განკარგულების თანახმად, საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში, სადაც რევიზიით არ იყვნენ მიწერილები, კატეგორიულად აეკრძალათ ცხოვრება. ამავ უზენაესი განკარგულებით გადასახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ არა მარტო სხვაქალაქელი ებრაელები, არამედ მკვიდრი მოსახლეებიც, ე. ი. ქართველი და მთიელი ებრაელები.

8. ვინაიდან საქართველოსა და დალისტანში მცხოვრები ებრაელები მკვიდრ მოსახლეებს წარმოადგენდნენ, მისდევდნენ მევენახეობა-მემინდვრობას (დალისტანში) და ვაჭრობას, და მათი უმრავლესობა ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რის გამო მათი გადასახლება მებატონეთა ინტერესებს შელახავდა, ამიტომ მკვიდრ ებრაელთა მიმართ უზენაესი განკარგულება შეჩერებულ იქნა. რაც შეეხება სხვაქალაქელ ებრაელ ხელოსნებს, კავკასიის ადმინისტრაციის არა ერთი გზის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზოგიერთ კვალიფიციურ ხელოსნების დროებით დატოვებით. დანარჩენნი კი კვლავ გადასახლებულნი იქნენ.

9. საქართველოსა და აკავკასიაში ჩამოსული ებრაელი ხელოსნები იყვნენ: მკერავი, ოქრომჭედელი, მექუდე, მესაათე, მკალავი, სამხედრო მკერავი, ბრილიანტის მოხელე, მეპურე, არყის მოხელე და სხვ. ჩამოსულ ხელოსანთა უმრავლესობა ევროპული ტიპის კვალიფიციურ ხელოსნებად იყო ცნობილი.

10. 1804—1835 წლის პეროდში ებრაელი ხელოსნები სავრძნობ კონკურენციას უწევდნენ ადგილობრივ ხელოსნებს, რის გამო თავს იჩენს ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილ ანტაგონიზმს ადგილობრივ ქრისტიან და ჩამოსულ ებრაელ ხელოსნებს შორის, ხელოსნების მოთხოვნით „უსტაბაშები“ ჯერ კავკასიის ადმინისტრაციისა და შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს და სენატის წინაშე აყენებენ საკითხს მეფის კანონმდებლობის მე-187—მუხლის საფუძველზე სხვაქალაქელ ებრაელ ხელოსნების გადასახლების შესახებ, მაგრამ უსტაბაშებს ერთგვარ წინააღმდეგობას უწევს კავკასიის ადმინისტრაცია, რას გამო უსტაბაშების მიერ არაერთხელ აღძრული საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული.

11. კავკასიის ადმინისტრაციის „მფარველობა“ ებრაელ ხელოსნების მიმართ გამოწვეული იყო არა უბრალოთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, არა ანტისემიტისმის ნაკლებად ან სულ არ არსებობით, არამედ გარკვეული პრაქტიკულ-სამეურნეო მოსახრებით. კავკასიის ადმინისტრაცია ითმენდა ებრაელ ხელოსნებს ვარკვეულ დრომდე, უმთავრესად თავისი და რუს ჩინოვნიკების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც დიდ ნაკლებულებას ხედავდნენ ევროპული ტიპის ხელოსნებში, როდესაც ადგილობრივი ქრისტიანი ხელოსნები, როგორც აზიური ტიპის ხელოსნები, მათ მოთხოვნილებებს ჯერ ვერ აკმაყოფილებდნენ.

12. 1804 წლიდან 1847 წლამდე აკავკასიისა და საქართველოში, ისევე როგორც მეფის რუსეთის სხვა ადგილებში, მცხოვრები ებრაელები მეტად დაძაბულ ცხოვრების პირობებში იმყოფებიან, ისინი ყოველდღიურად გადასახლების მოლოდინში ყოფნის გამო წოკლებული არიან საკუთრების შექმნას და დამჯდარი ცხოვრების შექმნის საშუალებას.

13. 1847 წელს ოქტომბერში გამოქვეყნებულ იქნა უზენაესი განკარგულება აკავკასიაში სხვაქალაქელ ებრაელთათვის დასახლების აკრძალვის შესახებ.

ამ დროისათვის თბილისში ითვლებოდა სხვაქალაქელ ებრაელ ხელოსანთა 49 კომლი, რომელთაგან დატოვებულ იქნა მალალი

და დეფიციტიური კვალიფიკაციის ხელოსანი 26 კომლის რაოდენობით, დანარჩენი 23 კომლი დაუყოვნებლივ გადასახლებულ იქნა.

14. ამრიგად, 1804 წლიდან 1852 წლამდე სწავლაქელი ხელოსანი ებრაელები კავკასიიდან, განსაკუთრებით საქართველოდან, გადასახლებულ იქნენ სამჯერ, ე. ი. 1827, 1835 და 1847 წ.წ. ამავე პერიოდში სისტემატიურად სწარმოებდა ინდივიდუალური გადასახლება.

15. 1804 წლიდან 1852 წლამდე საქართველოში ჩამოსულა ებრაელთა სულ 2000 ოჯახი. მესამე გადასახლების შემდეგ თბილისში დარჩა მხოლოდ 26 ოჯახი.

*A. Krikheli.*

A HISTORICAL SURVEY OF OUTLANDISH (RUSSIAN AND EUROPEAN) JEWISH SETTLEMENTS IN THE CAUCASUS

S u m m a r y.

The study of scientific and literary sources and recently detected materials relating to the history of non-local Jewish settlement in the Caucasus and particularly in Georgia and its importance in the development of home-industry leads the author to the following conclusions:

1. Non-local Jews settled in the Caucasus and particularly in Georgia at the beginning of XIX. century, when by virtue of the Regulation issued in 1804, the Caucasus along with certain other regions and districts was included within the pale of Jewish settlement. The Jews were allowed to dwell in the Caucasus and acquire there property. Till 1884 there were scarcely any Russian or West-European Jews residing in this part of the Russian Empire.

2. Though according to the above mentioned Regulation the Caucasus was comprised within the limits of Jewish settlement, the Ministry of the Interior, inquired about that subject by the administration of this country in 1825, replied that the Jews were denied the right to settle at the places with Israelite and Sabbatarian sectarians or in their proximity. Thus the Caucasus was excluded from the pale of Jewish settlements upon the pretext of there being Israelites and Sabbatarians fixed in that country for many centuries ago.

3. Only skilled Jewish artisans and persons travelling on business purposes, duly provided with passports, were admitted to this country, and that only for a limited length of time (2-6 months).

4. The number of the Jews settled in the Caucasus and especially in Georgia from 1804 to 1825 did not exceed three



the majority of them being known as skilled artisans of the European type.

10. In consequence of hard competition among the Jewish and local christian artisans and its following economic antagonism, the heads of corporations, urged by their craft-brothers, addressed complaints at first to the Crucasian authorities, then the Ministry of the Interior and Senate, insisting, on the ground of the clause of the code, upon the expulsion of the non—local Jews. But the Caucasian administration made a certain opposition and the efforts of the corporations failed through.

11. But the seat and source of the „protection“ thus prof-fered by the Caucasian authorities to the Jewish artisans was to be found not in the judicious understanding of their national needs, nor in the want of anti-Semitic disposition of the Govern-ment, but merely in practical—economic calculations. The Jews were tolerated temporarily because they were indispensable as skilled artisans of the European type to the local administration; officials and soldiery, whose wants could not be met with by the local Asiatic type artisans.

12. From 1804 to 1847 the Jews residing in the Caucasus, Georgia and other parts of Russia experienced great hardships; for constant fear of expulsion they dared not acquire property or settle down in peace and security.

13. By a decree promulgated in October, 1847 the Russian government prohibited again the non-local Jews to settle in the Caucasus.

At that time the non—local Jewish artisans in Tbilisi num-bered 49 families. Out of them 26 families of highly qualified and keenly wanted artisans were allowed to stay and the rest were expelled immediately.

14. Thus from 1804 to 1852 the non-local Jewish artisans, in the Caucasus and particularly in Georgia suffered expulsion three times, in 1827, 1835 and 1847. At the same time there had been cases of individual expulsions.

15. From 1804 to 1852 2000 Jewish families in all came to Georgia from outside. After the third expulsion in Tbilisi there remained only 26 families.

hundred families. Most of these newcome Jews, with few exceptions, were skilled artisans of different trades.

5. By a special ordinance of the 25<sup>th</sup> May, 1827 the Ministry of the Interior categorically interdicted the settlement of the non-local Jews in the Caucasus and particularly in Georgia, and in spite of the intercession of the Caucasian administration with a view to leave them in the country temporarily, at the instance of the said Ministry, the Jews were expelled in 1827—28.

6. The expulsion of the Jewish artisans weighed depressingly upon the home-industry. The prices of home industry products went up manifestly and what is more essential, the expulsion caused a lack of artisans supplying the army and officials with uniforms. This circumstance forced the Caucasian administration after the expulsion of the Jews in 1827 to take the course of „protecting“ the Jewish artisans, who penetrated into Georgia illicitly in 1831, and interceding with the Ministry of the Interior in their favour.

7. This intercession had no result, and by the imperial decree the Jews inhabiting Georgia and generally the Caucasus and being not officially registered as „fixed elements“, were categorically forbidden to live within the limits of this region. According to the same decree not only the non—local but local Jews too, i. e. those dwelling in Georgia and the mountains of the Caucasus, were to be expelled from the country.

8. As the Jews inhabiting Georgia and Daghestan belonged to the local population and were occupied in viticulture, husbandry (in Daghestan) and trade, and as the majority of them were serfs and their ejection from the country would impair the landlords interests, the order for the expulsion of the Jews was superseded. As for the reiterated appeals of the Caucasian authorities to the Ministry of the Interior in favour of the Jews they were complied with only in regard of a few skilled artisans and the rest were expelled again.

9. Among the Jewish non—local artisans settled in Georgia and the Transcaucasus generally there were tailors, jewellers, hatters, watchmakers, tanners, military outfitters, bakers, distillers,

ემიმი იოსებ ჟურნიზმილი.

## ახალციხეში მცხოვრებ მგრავლთა ხალხური მკურნალობა

ხალხური მკურნალობის შესწავლა საინტერესოა მრავალმხრივ. მისგან ბევრი რამ სასარგებლო შეუძლია შეითვისოს თანამედროვე მედიცინამ, ხოლო ხალხურ მკურნალობასთან დაკავშირებულ შელოცვებში უხვად არის შემონახული ძველი სიტყვები და წესები, რომელიც ხშირად ნათელსა ფენს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მოვლენას.

ვიღრე ხალხური მკურნალობის საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ განვსახდებოთ, თუ რა არის მედიცინა. კლავ ბერნარის განმარტებით „მედიცინა არის მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და განკურნოს ავადმყოფი“.

მედიცინა, საერთოდ, და კერძოდ ხალხური მედიცინა ისევე ძველია, როგორც ავადმყოფობა. ავადმყოფობა კი იმ ხნისაა, რა ხნისაც კაცობრიობა.

პირველყოფილი ადამიანი ხშირად ღებულობდა ქრილობებს, იტებდა კიდურებს, ცივდებოდა, ან რომელიმე უვარგისი საკვებით იზიანებდა საკმლის მომწელებელ ტრაქტს და ამის შედეგად ავად ხდებოდა.

პირველყოფილ ადამიანს თავდაცვის ინსტიქტი ავადმყოფობის დროს უვარნახებდა შეძლებისგვარად დაეცვა თავი. მაგალითად, ქრილობას ინსტიქტიურად ხელს დააფარებდა, დააჭერდა და ხშირად ამით სისხლდენას აჩერებდა; ამ გამოცდილებას ადამიანი იმახსოვრებდა და მეორეთ ქრილობაზე მიღებისას რითიმე აწებებდა ან ჰკრავდა მას.

ზოგჯერ თვით ბუნება უზიძგებდა ადამიანს ზოგიერთ განმკურნებელ საშუალებათა შესწავლაში. მაგალითად, ზოგი მცენარე ადამიანს, მუცელში ხსნიდა, ზოგი კი ჰკრავდა. ადამიანი ამას იმახსოვრებდა და, როცა გახსნილობა აწუხებდა, ის ეძებდა იმ მცენარეს, რომელიც ჰკრავდა და პირიქით. ამრავად, პირველყოფილი

ადამიანი დაკვირვების ნიადაგზე იძენდა ერთგვარ პრაქტიკულ გამოცდილებას მკურნალობისა და წამლობის შესახებ.

სახ. ავადღებობის განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მოხდა შრომის განაწილება და წარმოიშვა სოციალური ფენები, მედიცინა პრივილეგირებული სოციალური ჯგუფის, ქურუმების, ხელში მოექცა. ქურუმები კი ცდილობდნენ, რომ ხალხური მკურნალობა-ცრუმორწმუნეობისა და ჯადოქრობის ბურუსში გაეხვეით, კაცობრიობის განვითარების სწორედ ამ საფეხურზე წარმოიშვა რწმენა დემონებზე და ავ სულელებზე. ქურუმებმა ავადმყოფობა დემონებს დაუკავშირეს და გაჩნდა ე. წ. დემონოლოგიური შეხედულება ავადმყოფობაზე.

თუმცა განვითარების ამ საფეხურზე ადამიანმა უკვე ბუნებასთან ბრძოლა და, ხშირ შემთხვევებში, მისი დამორჩილებაც იკოდი-მაგრამ, ვინაიდან დემონებისა და ავი სულების დამარცხება და დაშორჩილება შეუძლებელი იყო, იგი ცდილობდა მათი გულის მოსყიდვას. ამ საქმეში „შუამავალნი“ ქურუმები იყვნენ, რომლებმაც ამ საქმისათვის შექმნეს მრავალი ლოცვები, წელოცვები, ათასგვარი რიტუალები, ამულეტები და სხვა.

დემონებსა და ავ სულებთან ერთად ადამიანს სწამდა კეთილი სულის აოსებობაც, რომელიც ავადმყოფობას არჩენდა. ამნაირად გაჩნდა წარმოდგენა „ჯანსოღობის ღმერთზე“.

ამრიგად, ხალხში შეიქმნა ერთის მხრივ, მედიკამენტოზური—პრაქტიკულ მკურნალობა, და მეორეს მხრივ, ღვთიურ ანუ თერგიული მკურნალობა.

ქრისტეს დაბადებამდე რაწდენიმე საუკუნით წინ, ჰაპოკრატეს, გალენის და მათზე ადრე კი ინდოელ, ეგვიპტელ და სხვა ექიმების მეშვეობით ხალხურ მკურნალობას, გამოეკრა და ცალკე განვითარდა მეცნიერული მედიცინა, რომლის თესვები, ცხადია, ხალხურ მკურნალობაში იყო.

ასე არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში ორი შტოსაგან შემდგარი ხალხური მკურნალობა (მედიკამენტოზური და თერგიული) და ამ ხალხური მკურნალობიდან აღმოცენებული სამეცნიერო მედიცინა. დღეს სამეცნიერო მედიცინამ სრულიად დაარჩილა ხალხურ მკურნალობა, რომელსაც მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობა შერჩა.

ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით მივუდგებით ჩვენ ახალციხის ებრაელთა ხალხური მკურნალობის საკითხის განხილვას. მაგრამ ამ საკითხის განხილვამდე საჭიროა თვალი გადავაავლოთ,

ერთის მხრით, ხალხურ მკურნალობას საქართველოში, რადგან ახალციხის ებრაელთა ხალხურ მკურნალობაში ძალიან ბევრია ნა-სესხები საქართველოს ხალხური მკურნალობიდან და პირიქით სა-ქართველოს ხალხურ მკურნალობაშიც შეიძლება მოინახულს ზოგი რამ ახალციხის ებრაელთა ხალხური მკურნალობიდან ნაესხები.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ხალხური მკურნალობის ერთ წყაროს საქართველოს ხალხური მკურნალობა წარმოადგენდა, ხოლო მეორეს კა ბიბლია, რომლითაც სწორად სარგებლობდნენ ახალციხელი ებრაელებიც.

რაც შეეხება საქართველოს ხალხურ მკურნალობას, ის ისტორიის მრავალი ათეული საუკუნის სიღრმეში მიდის.

პირველი წერილობითი ცნობა საქ. ხალხური მკურნალობის შესახებ გვუქვს პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეაში“. იქ 30-ე თავში ვკითხულობთ, რომ „კოლხიდის მეფის აეტის ქალიშვილი მედეა ქურუმად მსახურებდა ქალიმერთ ეკატის ტაძარში. მედეასთან მივიდა მომკვდავი იაზონი, რომელიც მან სასწაულმოქმედი მალამოთი გადაარჩინა. ეს მალამო ქურუმმა დაამზადა შავი წვეწვებისაგან. ეს წვეწვი ბნელ ღამეში ჩუმად შეაგროვა ერთი მცენარის ძირიდან, რომელიც ამირანის სისხლით მორწყულ კავკასიის მთებზე იზრდებოდა. ამის შემდეგ მედეამ მამას უღალატა და მის მიერ განკურნებულ იაზონთან ერთად გაიქცა. მათ თან წაიღეს ოქროს ვერძი, არგონავტების კოლხიდაში მოსვლის მიზანი.

გზაში ისინი შედიან წმინდა გამოქვაბულში, სადაც ურჩხული დარაჯობს მათ ოქროს ვერძის წასართმევად, მაგრამ შედეგ რაღაც მოჯადოებულ სითხეს შეასხამს ურჩხულს თვალებში და დააბრმავებს“. ასეთია ეს ლეგენდა, რომელიც გვეუბნება იმის შესახებ, რომ კოლხებს სკოდნიით ბალახებიდან მალამოს და წამლების მომზადება და მკურნალობის ეს მცოდნენი, ქურუმები, ყოფილან ტაძარში.

„ლეგენდარული გადმოცემით წმინდა ნინომ განკურნა ერთი უბატრონო მოხუცის შვილი, რითაც სახელი მოხვეჭა და შემდეგ მძიმედ დაავადებულ დედოფლის განსაკურნებლად მიიწვიეს. დედოფლის განკურნებით ნინომ დიდი სიმპატია და ნდობა დაიმსახურა და მირიან მეფეს ქრისტიანობა მიალბინა. ამავ ლეგენდაშია თქმული, რომ წმინდა ნინომ „აჯობა მანამდე საქართველოში მყოფ ისრაელ ექიმებს“-ო<sup>1)</sup>.

1) Алхазов И. Крат. Истор. очер. врачеванго дела в Грузии, ст. 4. 12. საქ. ებრ. ისტორ.-ეთნოგრ. მუხ. შრომები.

აქ პირველად ვხვდებით ცნობას ებრაელების ექიმობის შესახებ საქართველოში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ უწინდარად ვთვლით იმ აზრს, რომელიც მე-XIX ს-ის II ნახევრის დასაწყისის მკვლევარმა, ნ. ბერძენოვმა გამოთქვა. იგი წერდა: „საქაროა ვიცოდეთ, რომ კერძოდ ქართული მედიცინა არ არის და არც არსებულა; ეს ხელოვნება საქართველოში გადმოვიდა აღმოსავლეთიდან იგივე სახით, რა სახითაც იგი იქ შეიქმნა რამდენიმე საუკუნის წინ“-ო!).

ლ. ბერძენოვის ეს შეხედულება სინამდვილეს, არ შეესაბამება. საქართველოში ადგილობრივად მედიცინა არსებობდა, მაგრამ, რადგან ამ დროს აღმოსავლეთის ქვეყნებში მეცნიერების ეს დარგი სწრაფად განვითარდა და ძალიან მაღალ დონეზე დადგა, ამიტომ სხვა ქვეყნებს შორის საქართველომაც განიცადა მისი გავლენა, რაც თითქმის მე-XIX საუკუნემდე გაგრძელდა.

აღმოსავლეთის გავლენასთან ერთად ამ საქმეში საქართველო დასავლეთის გავლენასაც განიცდიდა. ასე, მაგალითად, საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოში მოდიოდნენ საქმის განათლების მქონე კათოლიკე მისიონერები, რომლებიც მეფის კარზე მსახურობდნენ და თავიანთ უბნებში მოწყობილი ჰქონდათ საავადმყოფოები.

1740 წელს კათოლიკე მისიონერებმა გახსნეს საქართველოში პირველი აფთიაქი, რომელსაც წამალხანა უწოდეს. 1755 წელს, საქართველოს სამღვდლოების გადაწყვეტილებით კათოლიკე მისიონერები განდევნილ იქნენ საქართველოდან, რის შემდეგ ისინი ახალციხის საფაშოში მოეწყვნენ. ერეკლე მე-II-მ; გამეცების შემდეგ, ხელახლა მოიწვია მისიონერი ექიმები თბილისში და წლიურად 300 მანეთი დაუნიშნა თითოეულს<sup>1)</sup>. ამრიგად, საქართველოს მედიცინის განვითარებაში საკმაო ღვაწლი მიუძღვით დასავლეთის ქვეყნებსაც, მაგრამ, ამასთან არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ უფრო ადრინდელი და მთავარი გავლენა მაინც აღმოსავლეთს ეკუთვნის. ამას ამტკიცებს აღმოსავლეთიდან შემოტანილი „კარაბადინები“, რომლებსაც X—XI საუკუნიდან ჩვენ დრომდე მოუღწევიათ.

მარტო საქ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში ინახება რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხასიათის ასეთი სამკურნალო კრებული.

1) Бердзенов—Народна медицина в Грузин, ст. 5, 1857 г.

2) Бердзенов о груз. мед., Кавказск. календ. 1859 г. ст. 36.

საყოფადღებოა, რომ ერთი XII საუკ. ასეთი უძველესი კრებული გადაწერილია ვინმე ებრაელის მიერ და „აბრამის კარაბადინი“ ეწოდება. ეს კარაბადინი დაწერილია ნუსხურით. ხელის, ქალაქის და სხვა წიშნების მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს — XII — XIII ს. ებრაელთა და ებრაელის ავლენა ნტყობა სხვა ბევრ კარაბადინებსაც, მაგალითად იმ კარაბადინს, რომელიც კვლევის დროს ბერძენოვს ჰქონია ზელთ. ხსენებული კარაბადინის ბოლო ნაწილი შეიცავს მთვარის კალენდარს და ასე მთავრდება: „არ განიკურნება იგი, ვინც ამ დღეს (ლაპარაკია შაბათზე) დაავადდება. ამიტომ გვიბრძანა ღმერთმა ისრაელებს მტკიცედ შეგვენახა ისინი“.

ზოგი შელოცვა ამ კარაბადინში შეტანილი ყოფილა ებრაულ ენაზე. „ზოგიერთი შელოცვები შესდგება ბერძნული, სომხური და, ასე გასინჯით, ებრაული სიტყვებისაგანაც“, წერს ბერძენოვი.

როგორცა ვთქვი, საქართველოს საეპიმო საქმეზე დიდ გავლენას ახდენდა აღმოსავლეთი: სპარსეთი, არაბეთი, ინდოეთი და სხვა ქვეყნები. ამათ შორის პირველი ადგილი; არაბებს ეჭირათ, თვით არაბების სამედიცინო მეცნიერების შექმნაში კი საკმაოდ დიდ როლს ებრაელები ასრულებდნენ. აი რას წერს ამის შესახებ ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ზულგოვი: „ძალიან დამახასიათებელი პიროვნება იყო ებრაელი ექიმი ალი-ისრაელი (+932), მის თხზულებას შარდის, ციებისა და დიეტეტიკის შესახებ დიდი სახელი ჰქონდა მოხეყილი“<sup>1)</sup>.

„დიეტეტიკის საქმეში არაბეთის ექიმები მოხერხებულად და კარგად განავრძობდნენ ბერძნულ ტრადიციას. ამის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ერთი ებრაელი ექიმის თხზულების მიხედვით. ეს ებრაელი ექიმი იყო ესპანეთიდან და ეწოდებოდა აბუ იმრან მუზა ბენ მაიმუნაი (დაიბადა 1135 წ. კორდოვში და გარდაიცვალა 1205 წ.), რომელიც დასავლეთში ცნობილია მაიმუნაიდის ან რაბი მოზერის სახელით. ჯერ ის მუშაობდა ქაირში და როგორც ფილოსოფი პეჩიპატეტიკმა დიდი სახელი და გავლენა მოიპოვა, განსაკუთრებით ებრაელ მოაზრებულთა შორის“<sup>2)</sup>.

ასეთივე ცნობებს გვაწვდის მედიცინის ისტორიის დიდი ავტორიტეტი, პროფ. მენიე. სხვა ებრაელი ექიმის, ავენზორის შესახებ. იგი წერს, რომ არაბ ექიმთა შორის დიდი გავლენა ჰქონდა ავენზორს.

<sup>1)</sup> Зулгоу. Медицина ере ких веков, ст. 15, 1925 г.

<sup>2)</sup> Ibid, стр. 155.

„აგენზორი (1161 წ.) წარმოშობით ებრაელი, შვილი და შვილი — შვილი ექიმისა, როგორც ეტყობა დაავადებული იყო წინა კედლის აბსცესით. მან პირველმა აგვიწერა პერიკარდიუმის წყალმანკი. მასვე მოეპოება ყველაზე უფრო სწორი ცნობები ბეზოარის შესახებ, რომლის ანტისეპტიური თვისება თვით ავიცენამ შეკო“<sup>1)</sup>.

ამის შესახებ მავალითების მოყვანა დაუსრულვებლად შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც ცხადყოფს, რომ არაბული მედიცინის შექმნაში საკმაო როლს ებრაელები თამაშობდნენ. აღსანიშნავია, რომ თვით არაბი ექიმებიც თავიანთ თხზულებებს ხშირად ებრაულ ენაზე წერდნენ, ან ყოველ შემთხვევაში, შემდეგ თარგმნიდნენ ებრაულ ენაზე. ამას ამტკიცებს არაბული მედიცინის კორიფენის, ავიცენას მიერ ძველ ებრაულზე დაწერილი, დღემდე შემონახული, თხზულებები.

ახალციხეში მცხოვრებ მოხუც ებრაელთა გაჯმოცნით ჯერ კიდევ ძველად, პალესტინიდან ჩამოსულ ებრაელ მისიონერებს ჩამოჰქონდათ სხვადასხვა სამკურნალო წიგნები, რომლებსაც ისინი ძვირად ჰყიდდნენ, ხოლო შემდეგ სხვადასხვა პირები გადაიწერდნენ და აწარმოებდნენ. ერთი ასეთი გადაწერილი სამკურნალო წიგნი ინახება საქართველოს ებრაელთა ისტ. ეთნოგრ. მუზეუმში და ცნობილია „კარაბადინის“ ანუ „გორალოთის“ სახელწოდებით.

სიტყვა „კარაბადინის“ მნიშვნელობის შესახებ სამი აზრი არსებობს. პირველი ეკუთვნის ნ. ბერძენივს, რომელიც ლაპარაკობს, რომ „კარაბადინი“ უნდა იყოს რაღაც „чернокожиные“-ს მავგარო თხზულებაო. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებსო, ამბობს ავტორი, რომ „კარა“ თათრულად „შავს“ ნიშნავს, ხოლო „დინ“ რომელიმე სახელის ან ადგილის დაბოლოებასო. ბერძენივს ეთანხმებიან ექ. თაყაიშვილი და პროფ. ალ. ხახანაშვილიც<sup>2)</sup>.

მეორე აზრი ეკუთვნის ექ. ა. იაშვილს, რომელსაც ჰგონია, რომ „კარაბადინი“ გვარი ან სახელიაო. აი რას წერს ის ამის შესახებ.

„სიტყვა კარაბადინი არა ქართული წარმოშობისაა და მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჯერ არ არის ცნობილი. „კარა“

<sup>1)</sup> Мешс. История медицины, ст. 74. 1926 г.

<sup>2)</sup> Ал. Хаканов. „Очерки по ист. Груз. словесности“ I, Москва, ст. 304, об. 1) Кавказск. календ. 1859 г. ст. 479. Бердзенов о грузин. мед. 2 Е. Таквишвили. Описан. рукописи „общество распротство. грамот среди Груз. населения“ 1902 г. ст. 643.



თათრულად „შიავია“, „დინ“ დაბლოგებაა ბევრი მუსულმანური გვარისა და სახელისა. შეიძლება „კარაბადინი“ გვარია ან სახელი ავტორისა, რომელმაც პირველად დაწერა პოპულარული საექიმო წიგნი“ (ხაზი ჩვენია) 1).

მესამე შეხედულება ეკუთვნის ექიმ ლ. კოტეტიშვილს, რომელმაც ორივე ზემოხსენებული შეხედულება უარპყრო და თავისი წამოაყენა. მისი აზრით: „კარაბადინი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ფარმაცოპეიას, ანუ წამლეულის დამზადების წესების შემცველ წიგნს“. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად კოტეტიშვილი იმოწმებს Kurt Sprengel-ს და ექიმ ოგანეზივს.

სიტყვა „კარაბა“ ებრაულად „მიახლოვებას“ („სამსხვერპლო-სთან მიახლოვებას“), ანუ, სხვა გაგებით, შეწირავს ნიშნავს, სიტყვა „დინ“ კი ნიშნავს წესს. ამრიგად, ჩვენის აზრით „კარაბადინი“ შეიძლება ახსნილი იქნეს, როგორც „შეწირვის წესი“. თუ გავიხსენებთ, რომ იმ დროს, როდესაც პირველად უნდა შექმნილიყო ასეთი წიგნები, მკურნალობის და ექიმობის მთავარ მომენტს, ჯანმრთელობის ღმერთისა ან მფარველი სულისათვის მსხვერპლის შეწირვა წარმოადგენდა, ადვილი ვასაგებია, რომ იმ წიგნს, რომელშიაც ეს წესები იყო აღწერილი, „კარაბადინი“-ი, ანუ „შეწირვის წესთა კრებული“ ჰქმნოდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „კარაბადინეში“ სიხშირის ახსნისა და შედოცვების გვერდით გვხვდება ზალმრთოს ანუ შესაწირავის შეწირვის წესებიც.

ექ. კოტეტიშვილი ფიქრობს, რომ „შეწირვის წესები“, „სიხშირის ახსნა“ და სხვ. ხალხის მიერ უნდა იყოს დამატებული შემდეგში. ჩვენის აზრით კი პირველი კარაბადინები მხოლოდ ამ ნაწილისგან შესდგებოდა, ხოლო ხალხმა შემდეგში პრაქტიკული წამლოზიანი დაუმატა.

უძველესი ცნობები ებრაელთა მედიცინის შესახებ ბიბლიაში მოიპოვება. ბიბლიის ცნობებით, ებრაელთა შორის ექიმები მხოლოდ ქურუმნი-ლევიტები იყვნენ. ამავე დროს სამედიცინო ცოდნა მემკვიდრეობითი, საკუთრებას შეადგენდა და ის, მაშინდენ გადადიოდა შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე და ასე შემდეგ.

ძველ ებრაულ მედიცინაში ყველაზე კარგად დამუშავებულია პროფილაქტიკა, რომლის სავალდებულო წესები გახვეულია რელი-

1) Яшвили. Народная мед. в Закавказ. Крае, ст. 16, 1904 г.

გიურ სამოსელში და ამრიგად გადაქცეულია დაურღვეველ დოგმაბად. პროფილაქტიკიდან უპირველეს ყოვლისა უსუსტად დადგენილია საქმელად ვარგისი ცხოველები და დაწვრილებით დამუშავებულია მათი დაკვლის წესები. ამის მიზეზი ის იყო, რომ თბილ ქვეყნებში, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, ყველაზე მეტ დაავადებას სწორედ ხორცი იწვევდა, რადგან ის სიცხისაგან მალე ფუჭდებოდა; ამასთანავე, ხშირად თვით ცხოველები იყვნენ დაავადებული. აი რას წერს ამის შესახებ ექიმი ლ. კოტეტიშვილი.

„ძველი ებრაელებიც რელიგიის სამოსელში ჰყვებდნენ ჯანმრთელობაზე ზრუნვას. თუმცა ბიბლია არა სცნობს დემონებს და მასში არაერთი კვალი არ არის, რომ მათ სწამდათ ავი სული ან ეშმაკი სამაგიეროდ ერთად ერთი ღმერთი იედოვო უკრძალავდა თავის რჩეულს, ხალხს სისხლისა და სისხლიანი ხორცისჭამას, რაც გამომდინარეობდა ებრაულ რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფმხედველობიდან, რომ აღამაინის სული და საერთოდ ყოველფ ცოცხალი არსების სული სისხლში ცხოვრობდა, რაც გულისხმობდა მის ხელშეუხებლობას. თანაც ეს პროფილაქტიკური ზომა იყო, რადგან ცხელ ქვეყნებში სისხლიანი ხორცი ადრე ლპებოდა. უკრძალავდა ხორცის სამ დღეზე გვიან ჭამას. აგრეთვე უკრძალავდა ღორის, კატის და თავისი ჭამას. შემდეგ მეცნიერებამ მხოლოდ ამ ცხოველების ხორცში აღმოაჩინატრიხინები, რის გამოც სახელგანთქმული გერმანელი მეცნიერი Virchow-ი წინასწარმეტყველ მოხეს სთვლიდა ყველა დროის ერთ უდიდეს ექიმად (Nobiling Jankau, „Руководство к профилактике“, 1901 г.).

იმავე ბიბლიაში გეხვდება ჩვენ უდაოდ სწორი სანიტარულ-ჰიგიენური წესები, როგორცაა ფეხსადგილების დაშორება საცხოვრებელი ადგილიდან, განავალისათვის მიწის წაყრა, შაბათობით სქესობრივი კავშირის აკრძალვა, კეთროვანთა იზოლაცია, წინადაცვეთა, რაც სხვა ძველ ხალხებსაც ჰქონდათ... და სხვა“...<sup>1)</sup>.

ძლიერი პროფილაქტიკური ზომები იყო მიღებული ვენერიულ დაავადებათა წინააღმდეგ. ამ მიზნით სასტიკად იკრძალებოდა სქესობრივი აღვირახსნილობა, ქალთან სქესობრივი კავშირის დაკერო მენსტრუაციის დროს და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

ლევიტელთა წიგნში განსაკუთრებით მკაცრი ზომებია ვათვალისწინებული კეთროვანთა წინააღმდეგ. კეთროვანი უწმინდურია და ამიტომ მას უკეთდებოდა იზოლაცია. იგი ვალდებული იყო ეტარებ-

1) ლ. კოტეტიშვილი—„იადვარ დაუდი“ 1901 წ., შესავალი.

ბინა. განსაკუთრებული ტანსაცმელი, რომელსაც განკურნების შემდეგ სწორად დასწვავდნენ ხოლმე.

როგორც ჩანს, ლევიტელებს, ძალიან ადრე ჰქონიათ წარმოღვევნი ინფექციის კონტაქტის (შეხების) გზით გადასვლის შესახებ. ამასთან ერთად მათ შეუძულებიათ დეზინფექციის წესებიც. მედიცინის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის მენიეს თქმით, ებრაელები იმ ნაგებობების კედლებს, რომლებშიც ავადმყოფები იყვნენ მოთავსებული ახლად, შელესვით უკეთებდნენ დეზინფექციას<sup>1)</sup>.

ებრაელებს რომ ინფექციის გავრცელების გზა კარგად სცოდნიათ, ამას ამტკიცებს ისიც, რომ მათ დაავადების წყაროდ მაინცა დათ არა მარტო ცოცხალი ავადმყოფი, არამედ გვამიც. ამიტომ შეუძულებიათ კეთრით გარდაცვლილის დასარხვის წესები (დასარხვის დროს საფლავის სიღრმის განსაზღვრა, მიწის მიყრის წესი და სხვა).

საზოგადო პროფილაქტიკის გარდა ძველ ებრაულ მედიცინას კარგად დაუმუშავებია პირადი პროფილაქტიკის წესებიც, რომელთა თანახმად ყოველი ებრაელი ვალდებულია ჰამის წინ და საპირთარეზოდან გამოსვლის შემდეგ ხელები დაიბანოს, ზამთარზაფხულში ატაროს სხვადასხვა გვარი ტანსაცმელი და სხვა.

პროფილაქტიკასთან ერთად ძველად ებრაელები აღგენდნენ მკურნალობის წესებს და სამკურნალო ნივთიერებებს. უმაჯრესს სამკურნალო საშუალებებს წარმოადგენდნენ მალამოები, მცენარეული ზეთები და ე. წ. „უკვდავების ბალახები“.

შემდგომ ხანებში ებრაელებმა შეიმუშავეს თავისებური ფილოსოფიური-ფიზიოლოგიური კონცეპცია, რომლის თანახმად ადამიანის სული მის სისხლშია მოთავსებული. „ასე ვთქვი მე, ზენ ისრაელმა, ნუ იხმარ საქმელად ნურავის სისხლს, რადგანაც ყოველი სხეულის სიცოცხლე—ეს მისი სისხლია“<sup>2)</sup>.

ღვიძლი ითვლებოდა ყოველგვარი ვნებისა და უფუნებობის წყაროდ და გულს აწერდნენ აზროვნების ფუნქციას.

მათი თვალსაზრისით, ადამიანს აქვს 271 სახსარი, 268 ძვალი და სხვა.

ასეთ მრავალფეროვან ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა ხალხური მკურნალობა.

ვიდრე ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა შორის გავრცელებული დაავადებითი და მათი ხალხური მკურნალობის შესახებ ვი-

1) Мельс. Истр. медицины, сг. 10, 1926 г.

2) Ibid

ლაპარაკებდნენ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ახალციხელ ებრაელთა სოც. ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობაზე, რადგან ეს მეტ ნათელს მოჰყენს იქ გავრცელებულ დაავადებათა წარმოშობასა და მათი მკურნალობის წესებს.

ახალციხეში ებრაელები დიდი ხანია ცხოვრობენ. ებრაელთა კონტინგენტი განსაკუთრებით გაიზარდა ახალციხეში რუსეთ-თურქეთის ომის (1853—56 წ.) შემდეგ, როდესაც იქ გადასახლდნენ ხერთვისის, ადიგენის, ღვირის და სხვა ებრაელები, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის პირველ თვეებში (1917 წ.) აწყურის ებრაელებიც. რევოლუციამდე ახალციხელი და აწყურელი ებრაელები უმთავრესად ვაჭრობას ეწეოდნენ. ებრაელთა უმრავლესობას წვრილი ვაჭრები შეადგენდნენ, მათ ჰისდევდნენ ხელოსნები, ხოლო მცირე ნაწილი მსხვილი ვაჭრები იყვნენ. ახალციხელ ებრაელთა უმრავლესობა ღარიბები იყვნენ, რომლებიც საშუალო ფენასთან ერთად ცხოვრობდნენ პატარა მიწურებში, სადაც დღის სინათლე მხოლოდ ქერში დატანებულ პატარა სარკმლიდან („ფანჯაყაფი“) შედიოდა. ასეთ მიწურში ხშირად ხუთი, ექვსი და მეტი სული ცხოვრობდა და ის ისე ბინძურდებოდა, რომ სუნთქვაც შეუძლებელი ხდებოდა. მიწურების შიშველი ჰაერი განსაკუთრებით მავნებელი იყო ახალშობილთა ფილტვებისა და, საერთოდ, მათი ჯანმრთელობისათვის, რის გამო ბავშვთა შორის დაავადება და სიკვდილიანობა აქ ძალიან ხშირი იყო.

გარდა ამისა ეს მიწურები ისე იყო აშენებული, რომ ერთის სახურავი წარმოადგენდა მეორე მიწურის ესოს, რომელზედაც მოწყობილი იყო საპირფარეშო, სანაგვე და სხვა. წვიმის დროს ზედა მეზობელი თავის სიბინძურეს ქვედას უჯჯავნიდა და თითონ კი სამაგიეროს თავის ზედა მეზობლისაგან ღებულობდა.

ქერიდან ჩასული ბინძური წყალი ინფექციურ დაავადებათა გავრცელების უპირველეს და უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენდა.

ახალციხის ებრაელთა შორის ხალხურ მკურნალებად თითქმის მხოლოდ ქალები იყვნენ და ისიც საკმაოდ მოხუცებულები. ხალხი მათ ექიმბაშებს ეძახდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. ექიმბაშობა ეწლაც მემკვიდრეობით გადადის დედიდან შვილზე ან დედამთილიდან რძალზე. თითქმის ყველა ექიმბაში იმავე დროს ბებია ქალიც იყო. წარსულ საუკუნეში ხშირი იყო ვიწრო სპეციალიზაციაც. მაგ., იყვნენ ექიმბაში „სინიხები“, რომლებმაც მხოლოდ მოტეხილობის წამლობა იკოდნენ (სინიხ თათრულად მოტეხილს ნაშნავს). ამ საქმეს უმთავრესად მამაკაცები ეწეოდ-

წენ. იყენენ სპეციალურად იარების მკურნალები და სხვა. ხშირად ექიმბაში ერთდამიხვე დროს ექიმიც და ფარმაცევტიც იყო, ის საკუთარი რეცეპტებით თვითონვე ამზადებდა წამლებს. ამ ექიმბაშებს, თავიანთ მიწურებში თაროებზე განლაგებული ჰქონდათ ბალახით, სამკურნალო მიწით, ბჭოწყულის ქერქით და სხვ. სახსე ქოთნები. ზოგს ეს სამკურნალო წამლები უბრალო ძონძებში ჰქონდათ გახვეული და ისე ინახავდნენ.

თუ ავადმყოფი ფეხზე მოსიარულე იყო, მაშინ ის თვითონ მიდიოდა ექიმბაშთან, თუ მწოლიარე იყო, ექიმბაში სახლში მიჰყავდათ მასთან. ექიმბაში უპირველეს ყოვლისა ღმერთს სთხოვდა ავადმყოფის განკურნებას და ამის შემდეგ დაიწყებდა მის გასინჯვას. გასინჯვისა და „ღიაგნოზის“ დასმის შემდეგ, ექიმბაში ან თვითონ დაამზადებდა წამლებს, ან ავადმყოფის პატრონს დააროებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ზოგჯერ ექიმბაშობას მამაკაცებიც ეწეოდნენ. მამაკაცთა შორის ამ საქმეს უმთავრესად, „შტატგარეშე“ დარჩენილი ხახმები ეწეოდნენ, ხოლო ზოგჯერ თვით შტატში მყოფნიც, ე. ი. ისინი, ვინც ოფიციალურად სალოცავში საღმერთო წესს ასრულებდა.

ახალციხის ებრაელებს ღრმად სწამდათ, რომ ყოველ დაავადებას ჰყავს თავისი ანგელოზი. ასე მაგალითად:

- |             |     |           |        |                   |
|-------------|-----|-----------|--------|-------------------|
| 1. ხანამელი | ანუ | სანამელი  | იწვევს | შარდის შეკავენას  |
| 2. ახთერელი | „   | ახთარიელ  | „      | გულის წასვლას     |
| 3. ხანაზიე  | „   | ხანაზიელ  | „      | მუცლის წვას       |
| 4. ქორიელი  | „   | ქორელი    | „      | ბნედას            |
| 5. ხიზიმიელ | „   | ზინუქიელ  | „      | სიყვირულს         |
| 6. ზინუქიელ | „   | ზულზარიელ | „      | წელეების ხურვებას |
| 7. კადიკილე | „   | ზუნიელ    | „      | მუხლების მოკვეთას |
| 8. ხაზანიელ | „   | ქუთიელ    | „      | შაკიკს და სხვა.   |

ამიტომ ხალხშიც მკურნალობას სწორედ ამ ანგელოზების მიმართ ლოცვით იწყებდნენ. ანგელოზების განრისხებას მიაწერდნენ განსაკუთრებით ინფექციურ სნეულებებს და ჩვენც ზეჰედან დაიწყებთ.

#### წ ი ტ მ ლ ა

ამ დაავადებას ახალციხის ებრაელები „წითელას“, ანუ „ბატონებს“ უწოდებენ (უფრო ხშირად ბატონებს). ბატონებს უწოდებდნენ აგრეთვე სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას: ყვავილს, ყვიანახელებს ქუნთორუშას და ღიზენტერიას.

წითელას, მათი აზრით, იწყებენ კეთილი ანგელოზები. „თუ ავადმყოფმა, და მისმა პატრონმა ანგელოზების მოსვლა იწყინეს, მაშინ ისინი განრისხდებიან და შეიძლება ავადმყოფი იმსხვერპლოს“. კეთილ „ბატონებს“ დიდი სიფრთხილით და მოწიწებით ეპყრობიან. ავადმყოფის პატრონი წითელ ბატონების მობრძანებას დიდ წყალობად სთვლის და სშირად იკვებნის კიდევაც ამით. „აი ჩემი სახელი ბატონებმა ღირსად სცნეს და თავისი მობრძანებით გამაბედნიერეს“. ავადმყოფის პატრონი ყოველნაირად ცდილობდა ბატონებს გული მოეგო და ტკბილეულით ეგებებოდნენ. ვინაიდან ეს სენი მალის აზრით ავადმყოფის სხეულში ბინადვება, ამიტომ მას ტანზე მაქარ-წყალს უსვამდნენ. ვარდა ამისა ოთახის ყველა კუთხეში ტკბილეულს ალაგებდნენ.

წითელ ბატონებს წითელი ფერი უყვართ, ამიტომ ავადმყოფს აცმევენ წითელ პერანგს, ახურავენ წითელ საბანს, ფარდებად ჰკიდებენ წითელ აბრეშუმს, ოთახს წითელი ყვავილებით ამშვენებენ და სხვა.

წითელი ბატონების გასართობად და გასამხიარულებლად უკრავინ მუსიკას და მღერიან სპეციალურად ბატონებისათვის შეთხზულ სიმღერას, რომელსაც „ბატონების სიმღერა“ ეწოდება.

### ბატონების სიმღერა

იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
 დაუტკბი და დაუშაქრდი  
 ჩემს ბატონებიანსაო.  
 იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
 ამ ბატონების დედასა  
 იავნანა, ვარდო ნანა, ვარდო ნანინაო,  
 ამ ბატონების მამასა  
 იავნანა, ვარდო ნანა, ვარდო ნანინაო,  
 ალი ქათობი აცვია,  
 იავნანა, ვარდო ნანა, ვარდო ნანინაო,  
 ზენდ მარგალიტი ასხია,  
 იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
 ამ ბატონების მამიდასა  
 იავნანინაო  
 ვარდი უსხია კერასა  
 იავნანინაო.  
 დაუტკბი დაუშაქრდი

იავნანინაო,  
 ამ ჩემს ვარდსა იავნანა,  
 იავნანინაო.  
 ბატონებთანსა შვილსა  
 იავნანინაო,  
 დაუტკბი და დაუშაქრდი  
 ვარდონანინაო..

ან სიმღერის შესრულებისას ავადმყოფს წითელი ბაღდადო აქვს გადაფარებული და ზედ შაქარი აყრია.

ზოგჯერ წითელა ბატონების გასამხიარულებლად ავადმყოფის ოთახში წითელი მამალი შემოაპყავთ, რომელსაც ფეხებზე ოქროს წივით აქვს გამობმული და აქლარუნებს.

თუ ყველა ამ ზომებმა წითელას ბატონები ვერ გაამხიარულა, ის გაგულსდა და ავადმყოფი ძალზე შეაწუხა, მაშინ ჰამა ერთიანად გატიტვლდება. ავადმყოფის ვარშემო ცეკვავს და იძახის: „მე თქვენი ეიქნები, ეს ყმაწვილი კი თავზე შემოივლო და მაჩუქეთო“.. ცეკვას გარეშე პირი უნდა ესწრებოდეს, რადგან ცეკვის მიზნია ამ პირთ სიცილა მოაგვაროს და ამით ბატონებიც გაამხიარულოს.

ბატონების გულისმოსავებად უკიდურეს შემთხვევაში მიმართვენ „მსხვერპლის შეწირვასაც“, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლამბაქზე ყრიან თხილის გულს და ცეცხლს წაუკიდებენ. დამწვარი თხილის სუნი ბატონებს სიამოვნებთ.

ავადმყოფის ყოველი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი განაწყენდება და მასთან განაწყენდებიან და განრისხდებიან „ბატონებიც“. ავადმყოფის ოჯახში არ შეიძლება ჩხუბი, ლანძღვა და ტირილი, რადგან ეს ბატონებს განაწყენებს. არ შეიძლება სარეცხის დარეცხვა, რაიმეს აღუღება, საკლავის დაკვლა, ფრთოსანის მორაჯგვა, მთქნარება. ვინმეს წყენინება და სხვა, რადგან ეს ბატონებს ეჯავრებათ.

ბატონებს განსაკუთრებით ეჯავრებათ წაშლები და ექიმის ამიტომ ავადმყოფის პატრონს მათი ხსენებისაც კი ეშინოდათ.

ახალციხის ებრაელებმა იციან, რომ წითელა გადამდები სნეულებაა. მაგრამ მას მაინცღამაინც არ ერიდებიან, რადგან იციან, რომ ბავშვმა ის როდისმე უნდა მოიხადოს და რაც ადრე მოიხდის ის სჯობიაო. გარდა ამისა, არ შეიძლება ბატონებისთვის ხელის კვრა, რადგან ამით გაბოროტებულ ბატონებს შეუძლიათ უფრო მძიმე დაავადება გამოიწვიონ. ამიტომაც რომ, როცა ახალციხელ ებრაელს ბავშვი წითელსაი ყავს ავად: მეზობლები ურჩევენ: „მიდი

იმ ოჯახში, საიდანაც შენ ოჯახში შემოვიდა ბატონები და დაუწო-  
ქე მას, რომ დაგიღინოსო“.

სიმღერების გარდა წითელ ბატონებისათვის არის შემდეგი  
სპეციალური შელოცვა.

### წითელას შელოცვა

ბატონებო ღვთიანებო,  
ღვთისგან მობრძანებულებო.  
ქმარიც გყავთ და შვილებიცა,  
აგრემც გაუხარიათ თქვენ ქმარსა და შვილსაო,  
თქვენ გზასა და თქვენ კვალსაო.  
თუ-ქალი ხარ ქმარშვილსაო,  
თუ კაცი ხარ, ცოლშვილსაო.  
თავზე შემოივლით და გვაჩუქეთ  
ეს ყმაწვილი უზიანოთ და უზარალოთ.

წითელიანი ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება იმიტაც გაუა-  
რესდეს, რომ თვალი აიღოს, მაშინ შეულოცავენ თვალაღებულისას.

შეგილოცავ თვალისასა,  
უწინ ჩემი თავისას.  
შენსა მთვალავსა  
თვალში ნაცარი,  
გულში ლაღარი.  
დაუტბკი დაუშაქრლი ამ ბატონებიანსა.  
შენსა მთვალავსა შვიდი კონა ნემსი,  
მახათი,..... და სხვა.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადებაზე ახალციხის ებრაე-  
ლებს ასეთი დემონოლოგიური შეხედულება აქვთ, მისი კლინიკა  
მინც კარგად იციან. მათი შეხედულებით ავადმყოფობა მიმდინარე-  
ობს ასე: პირველ სამ დღეს სიცხეს მისცემს, სამი დღის შემდეგ შეთო-  
შავს, კანზე გამოაყრის, შემდეგ კიდევ სამ დღეს გაგრძელდება. სულ  
ავადმყოფობა გრძელდება 9 დღეს, მეცხრე დღეს დაბრუნდება და  
კიდევ სამ დღეს გასტანს (ე. წ. რეციდული პერიოდი). ახალციხელ  
ებრაელთა შეხედულებით ბატონები დაბრუნდებიან მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ ავადმყოფმა თვალი აიღო.“

ავადმყოფობის მდგომარეობის დილით შემსუშუქებას იმით  
ხსნიან, რომ: „დილით ანგელოზები თავიანთ საქმეზე მიბრძანდებიან  
და ავადმყოფი დაწვილდება და უკეთ იკრძრბს თავს. საღამოზე



კი ანგელოზები ისევე მობრძანდებიან და ავადმყოფიც აშიტომ წუხდებაო“.

ამრიგად, წითელი ბატონებით დახვადების მიზნად ახალციხის ებრაელები ანგელოზებს თვლიან და მკურნალობაც მხოლოდ მათ-ღამი მიმართულ ხეეწნა-მუდარაში და ავადმყოფის გართობაში გამოიხატება. მედიკამენტებს და ექიმს ბოლო ხანებამდე არავითარ შემთხვევაში არ მიმართავდნენ. დღეს, ბავშვთა კონსულტაციებისა და ფართოდ გაშლილი საექიმო დახმარების შედეგად ახალციხის ებრაელებშიაც წითელას მხოლოდ ექიმი მკურნალობს.

საერთოდ ხალხისა და, მათ შორის, ახალციხის ებრაელების მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე შემუშავებულ მკურნალობაში ბევრი რამეა დადებითი. მაგალითად დღეს მეცნიერულის თვალსაზრისით სასარგებლოდ მიაჩნიათ წითელათი და საერთოდ მრავალი ინფექციური ავადმყოფობით დაავადების დროს წითელი ფერი, რადგან წითელი ქსოვილი ატარებს ულტრა იისფერ სხივებს, რომლებიც ინფექციას ასუსტებენ. სასარგებლო და მიზანშეწონილია ავადმყოფის გარშემო სრული სიწყნარის დაცვა, მისი ნერვების დამშვიდება მუსიკით და კარგად შესრულებული „იავნანათი“.

### ყვავილი

ყვავილი მეტად მძიმე ინფექციური დაავადებაა. ყვავილი ენდემურად აღმოსავლეთში (ინდოეთში, სპარსეთში, ოსმალეთში) არსებობს და საქართველოშიც ყველაზე ხშირად ალბად ახალციხის მხრიდან შემოდის. ამიტომ ახალციხის ებრაელებსაც, როგორც კულტურულად ჩამორჩენილთ, ძალიან ძლიერად განუცდიათ მისი სუსხი. ამის უტყუარი მაჩვენებელია ახალციხელ ებრაელთა მოხუცების ნაყვავილარი სახეები, რაც ახალციხის ებრაელთა უბანში შესულ ექიმს წაწმე თვალში ეცემა. ახალციხის ებრაელებს ყვავილის გამოიწვევ მიზეზადაც აგრეთვე ანგელოზები მიაჩნიათ და მას „შავ ბატონებს“ უწოდებენ. ამ ბატონებსაც ისეთივე მოფერება უნდა, როგორც წითელ ბატონებს. ხოლო მკურნალობისას წითელი ფერები არ არის საჭირო, წითელას დროს ხმარებული პასიური მკურნალობის გარდა, ყვავილ ბატონების დროს ხმარობენ აქტიურ საშუალებასაც.

ავადმყოფს რომ გაჯანმრთელების შემდეგ ნაწიბურები-დაჩილვა არ დააჩნდეს, ამიტომ ირმის რქას წვავენ, მის ნაცარს ხაყვენ და სახეზე აყრან.

ახალციხის ებრაელებს ღრმად სწამთ, რომ იმავე ბატონებს შეუძლიათ გამოიწვიონ ყივანახველა და ღიხენტერია.

### ყვიანა-ხველია

„ყვიანა-ხველიანი ავადმყოფისთვის წამლის მიცემა მხოლოდ 40 დღის შემდეგ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონები განრი-  
სხდებიან და ავადმყოფი დაიღუპება. ორმოცი დღის შემდეგ, თუ  
ავადმყოფი ცოცხალი დარჩა, მაგრამ მაინც ახველებს, ბავშვს წაიყვანენ  
ბაღში და კაკლის ხის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებენ. სახლში  
რომ მოვლენ, ამ ხის კაკალსა და ბამბას დანაყვენ და, როცა ყველა  
დაიძინებს, ამ ნარევეს ავადმყოფის ოთახის კარებს უკან დასწვავენ.

ავერ შენ წამალი

ჩემ ავადმყოფს დაესენი.

ეს შენა, და ჩემს ავადმყოფს—

დაუღსინე.

ესეც შენ.— თან მიაყრიან შაჰარს.

ერთი ექიმბაშის გადმოცემით, ვივანა-ხველის წინააღმდეგ  
ინმარება კიდევ ასეთი წამალი: „მიხვალ მეთევხესთან, ერთ „რუმკა“  
თევხის ნალველს წამოიღებ, მერე აიღებ სუფთა ბამბას ლავაშივით  
გააბრტყელებ, დააწობ ნალველზე, ორჯერ, სამჯერ გადააბრუნ-გად-  
მოაბრუნებ, რომ კარგად შეიწოვოს, მერე გაანზობ, დაკეცავ და  
შეინახავ. როცა ბავშვი ავად გახდება, მაშინ ერთი თხილის ოდე-  
ნას გამოიღებ, ბავშვის დედა კოვზზე მოიწველის თავის რძეს და ამ  
ბამბას შიგ გაავლებს. ეს წამალი უნდა დალიოს დღეში ორჯერ“<sup>1)</sup>.

### დიზენტერია

ახალციხის ებრაელები დიზენტერიისაც საყმაწვილოს უძახიან.  
მათი შეხედულებით დიზენტერიის დროს ავადმყოფის განავალი  
მწვანე ფერისაა, კოვკოტივით არის აჭრილი და მყრალი სუნი აქვს.  
მას კუჭნაწლავის დაავადებად სთვლიან. ცალკე ავადმყოფობად არ  
გამოჰყოფენ და ჩვენც კუჭნაწლავის დაავადების გარჩევის დროს  
განვიხილავთ.

### მალარია

ახალციხის ებრაელებში, მათი საქმიანობის გამო, მალარიით  
დაავადება ხშირი იყო. ვაჭრობის დროს მოხეტიალე ებრაელი  
ხშირად ხვდებოდა მეზობელ მალარიან რაიონებში და მთელი დღის

<sup>1)</sup> ყოველგვარი წამლობა და შელოცვები მოგვყავს მოზობელის ენით,  
უცვლელად, როგორც ისინი ჩაეწიე ახალციხეში ყოფნის დროს 1938 წ.

ნაწოწიალევი, დაღლილი არ ეძებდა წყლის, სანოვავის თუ საცხოვრებელი ბინის სისუფთავეს. არ ერიდებოდა კოლოს და ხშირად ბრუნდებოდა უკან მალარიით შეპყრობილი. მალარიის მიზეზად ახალციხელ ებრაელებს „გაციება“ მიაჩნიათ და შემდეგნაირად მკურნალობენ:

#### ციების წამალი

„თუ კაცს აცივებს უნდა მოიყვანო ანკარო და ხელით გახადო პერანგი. ნაწილი ამ პერანგისა უნდა გახვიო ლურჯ ნაპერწკში და ყმაწვილებს ჩამოჰკიდო. მეკრდზე, კარგია საყმაწვილოსთვის, ნაწილს უნდა დაამატო მკვდარი ბაყაყი-ეკალაი, საქონლის-ვირის ფრჩხილი-ხრტილი და ოხალუგი. ყველაფერი ეს უნდა დაყაროთ ნახშირზე, წაუქიდოთ ცეცხლი, მერე ზედ დააყაროთ შაქარი. ცეცხლი კარგად რომ გაჩაღდება ავადმყოფს თავზე უნდა გადავახუროთ დიდი შალი. ამ შალის ქვეშ უნდა შეუდგათ ცეცხლი, და უხრჩოლოთ. ავადმყოფმა ეს კვაძლი უნდა ყლაპოს. როცა ააკანკალებს და სიცხეს მისცემს, მაშინ აიღებს თავს და ოფლი მოუვა, ასეთი ხრიკი უნდა გამეორდეს 3—4-ჯერ, შეჰველად მორჩება“.

„ციებას შარდიც შევლის. შარდი უნდა დალიოს თავისი, ბოლოს გამოსული და როცა დაღვეს უნდა ირბინოს, ვიდრე არ დაიღლება. ასე უნდა გაიმეოროს 4—5 პირი, მორჩება“.

ციების წამალი ასეთიცაა:

„თუ ავადმყოფს აცივებს, თუ გინდ ათი წლის ნაციები იყოს, ეს წამალი უყავი და მორჩება; აიღე ერთი ბოთლი წყალი, ჩაყარე შიგ ერთი საქმლის კოვჭი ნამდვილი ყავა, ერთი პარაშოკი ხინა. თუ პარაშოკი ძველია ორი ცალი ჩაყარე. ჩაასხი ერთი რუმკა ცხარე არაყი. ჩაწურე ერთი ლიმონი და ააღულე. მერე კვერცხის გული კარგად უნდა ათქვიფო და ცეცხლიდან გადმოღებულ ნარევეს დაუმატო. ამის შემდეგ კიდევ კარგად უნდა აურიო ეს წამალი უნდა გაყოთ სამად, ერთი ნაწილი, გააცივებს. თუ არა, მაშინვე უნდა მისცე ერთი მეორე დილაზე, და ერთიც მესამე დილაზე, ამის შემდეგ შეჰველად მორჩება. თუ ამანაც არ უშველა, მაშინ უნდა აიღო ლავაძარღვა (*Plantagi media*), უნდა დანაყო, გაწურო და დააღვენიო, მორჩენს“.

#### კემბბიჩში

მეფის რეჟიმის დროს ახალციხის ებრაელთა საქმიანობა— დაუსრულებელი ხეტიალი და მათი საყოფაცხოვრებო პირობები

(ნესტიანი, უმზეო-მიწურები ნახევრად მშვიერი ცხოვრება) ხელს უწყობდა მათში რევმატიზმის ფართოდ გავრცელებას.

რევმატიზმის ეტიოლოგიურ მიზეზად ახალციხის ებრაელები ქაზრებს თვლიან, და შემდეგნაირად მკურნალობენ:

### რევმატიზმის წამალი

რევმატიზმის წამალი არის: „უელი ბალახი. როცა კაცს ან ქალს ქარები აქვს ეს ბალახი უნდა ჩაყაროს სარეცხის ყაბში, აადულო და მოხარშო, შემდეგ ამას ჩაასხამ გობში და ადუღეიფულ წყალსაც დაუმატებ. ჩასვამ ავადმყოფს, სანამ კარგა ოფლი არ მოუვა, მერე ადგება. თუ ერთით არ მორჩა, ორჯერ, სამჯერ გაუკეთებ ასეთ წამალს. ამბობენ, რომ ვინც ამ ბალახში იბანავენს, შვილი აღარ მიეცემაო“.

თუ ქარებისგან ავადმყოფს მუხლებას მოკვეთა აქვს მაშინ „დათვის ქონს დაადნობთ და იმით დაუხილავ, მორჩება“

### ტუბერკულოზი

მძიმე სოციალური პირობების გამო ეს დაავადება ახალციხის ებრაელთა შორის, თითქოს სშირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში არც ისე ხშირად გვხვდება. ამ მხრივ კლიმატურ პირობებს უნდა ქონოდა მნიშვნელობა რადგან ახალციხეს ირგვლივ გარშემორტყმული აქვს წიწვიანი ტყით დაფარული მთები, ჰაერიც სუფთაა და სხვა.

ღარიბ ოჯახებში, აქა იქ, მაინც გვხვდება ტუბერკულოზი. ტუბერკულოზს ახალციხის ებრაელები ამჟამად „ჩიხოტკას“ ეძახიან და უმთავრესად რძით მკურნალობენ. შემდეგნაირად:

„ვისაც ჩიხოტკა აქვს იმას უნდა დააღვინო ვიროს, ცხენის ან ძაღლის რძე. ყოველდღე ახალი მოწველილი თითო ჩაის კიჭა. აეთრი ცხენის რძე ორჯერ უკეთესია. ქალის რძეც მოარჩებს, თუ ორომც დღეს დალია, დღეში თბათ ღვინის კიჭა“.

### კუჭ-ნაწლავის დაავადებანი

რადგან წყლისა და სანოვავის სისუფთავეს მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ კუჭ-ნაწლავის დაავადება ახალციხის ებრაელთა შორის გავრცელებული აყო და მკურნალობაც მრავალმხრივია. აი რას გვეუბნება ამის შესახებ შეგროვილი მასალა:

### კუჭის ტკივილის წამალი

„ავადმყრფმა თავისი შარდი უნდა დალიოს. მაგრამ პირველად რომ შარდი გამოვა, იმას თავი უნდა დაანებოს და შემდეგი დალიოს, ყოველთვის, ვიდრე კუჭი სტკივა“.

### ბავშვის მუცელას წამალი

„ბავშვს რომ მუცელა ქონდეს (ფალარათად იყოს) შინდის კურკის ყავა უნდა დააღვინო. ამისათვის უნდა აიღო შინდის გარეცხილი კურკა და მოხალო, როგორც ყავა. მერე ეს მოხალული კურკა უნდა გაცრა, დასხა ორი სტაქანი წყალი და წამოაღდულო. როცა ეს ორი სტაქანი წყალი წამოაღდულება და ერთზე დადგება, უნდა გადმოიღო და თითო ჩაის კოვზი მისცე ბავშვს და შორჩება. თუ გაუძნელდა და ზაფხული ცხელია, მაშინ მდინარე წყალში ჩასვამ და ამოიყვან. მერე ძველ ბამბას ჯრაცში დაეასველებ, მუცელზე დაადებ. უეჭველათ შორჩება“.

„ანდა ძველ ნახმარ ბამბას მოგუშუშავთ რახში (არაყში) დაეადებთ ბავშვს ჭიპზე და ბამბის გაშრობამდე შეკრავთ“.

„კაცს, რომ წელე ბის სიმსურვალე ქონდეს ბროწეულის ქერქი უნდა მოხარშოს. ამ წვენიში ბაღდადის ხურმის დანაყილი კურკა ჩაყაროს და თითო არყის ჭიქა დღეში სამჯერ დალიოს, უეჭველათ შორჩება“.

„კაცს რომ მუცლის წვა ქონდეს, ვირის რძე და დედაკაცის რძე გაუჭიოს ერთმანეთში, დალიოს და შორჩება“.

„კაცი რომ მუცელში მაგრად იყოს, აიღოს ზეთისნილის ზეთი (ეს ზეთი მწვანე ფერისაა), ამითი მუცელი დაიზილოს, მერე აიღოს მკედრის მიწა და ანაკვეთი (ქალო), აურიოს საპნის ქაფში და წელზე დაიდოს. უეჭველათ გავა“.

„კაცს რომ მუცლის აწთება ქონდეს, უნდა ზილოს უსახელოს პერანგი, ჩაავდოს კოწახურის წვენი და მოხარშოს. მერე ამითი მუცელი დაიზილოს და სიმსურვალე გამოუვა“.

„მელოგინეს რომ მუცლის ჩავერა-ტკივილი ქონდეს, უნდა მოიტანოს დვირელი ბალახი, გაასუფთავოს, მოხარშოს და წვენი დალიოს, არგებს, მაგრამ თუ მელოგინეს სისხლის დენა აქვს, ამ ბალახის ხმარება არ შეიძლება, სისხლის დენას გაუძლიერებს. ეს ბალახი კარგია ხველებისთვისაც“.

## ს ი ყ ვ ი თ ლ ე

სიყვითლის გამომწვევ მიწესადა ახალციხის ებრაელები თვლიან შიშს. ამ დაავადების კლინიკური სურათი საკმაოდ აქეთ შესწავლილი და მკურნალობის ჰომეოპათიურ პრინციპს აღიარებენ (*Similia Similibus Curantur*). აი როგორ ავიწერენ ისინი ამ ავადმყოფობას და მის მკურნალობას.

„სიყვითლე ჩნდება ჰიშისგან, ავადმყრფს თვალეზი გაუყვითლდება, მის შარდში რომ თეთრი მიტკალი ჩაავდო გაყვითლდება ავადმყოფს მადა არა აქვს, მაშინ ქარვა უნდა შეიბას გულზე და ყოველ დილით ჩაიგდოს პირში და წუწნოს. ქარვა იმიტომ იხმარება, რომ ყვითელს ყვითელი მოუხდება“.

## სიყვითლის წამალი

„თუ კაცს სიყვითლე აქვს, უნდა აიღო კოწახურის ძირი, მობარშო, გაწურო და ერთი რუმკა დაალევირო. დალევინების წინ ავადმყოფი უნდა აბანაო. ან უნდა აიღო ქარვა. ქარვა დანაყო და ამოზილო ხასათაფლში (ფიქა თაფლი).“

ეს ამოზელილი ყოველ დილით უზომზე თითო კოვზი უხდა შუამოს. თუ ამან არ უშველა უნდა აიღოს ყვითელი ყანაოზის ნაჭერი და 4—10 მარცვალი სიმინდი. დაუმატოს ყინვარი შაქარი და ამ წვენი იბანაოს, 1 რუმკა წვენი კი დალიოს. თუ ამანაც არ უშველა, უნდა აიღოს სიმინდის წვენი, ზიგ უნდა იბანაოს და ცოტა შაქრის წვენი უნდა დაუმატო და დალიოს. მორჩება.

თუ ადამიანს თვალეზში, ფრჩხილებში და სახეზე სიყვითლე აქვს, მაშინ ეს წამალი უნდა მისცე და მორჩება. უნდა აიღო ერთი ბროწეულის თავი და ძირი, ჩაყარო ერთ ბოთლ რძეში და ადუღო, ვიდრე რძე არ განახევრდება. ეს დარჩენილი რძე უნდა გაცო სამათ და სამჯერ დაალევირო. ავადმყოფი მორჩება“. თუ ამანაც არ უშველა:

„მობარშულ სიმინდს დადგამ ცის ქვეშ, სამ ღამეს ვარსკვლავებს აკრებინებ, გაათბობ სიმინდის წვენი და იმაში აბანებ ან ტანზე წაუსვამ.“

კოწახურის ძირს, დააწვინებ მობარშავ—ამას თან—ასმევ, თან ამით აბანებ.

ბის სის ძირის მიწა, მაწონი, ძმარი და ძაღლის გაწაილი და კვერცხის გული უნდა გახსნა გამთბარ წყალში თუ სიცხე აქვს ან სიყვითლე ადამიანს, ამას წაუსვებენ ტანზე, წყალი უნდა გათბეს მზას სხივებზე, ან ცეცხლზე გაათბობ და ისე წაუსვამ ტანზე და სახეზე.

ვინც იცის, რომ სიყვითლე აქვს, ყვითელი პაპუცი ან თელიგი შემოიკრის ორივე ყბაში უტბათ და მორჩება“.

### გ რ ი ზ ი

იმის გამო რომ ახალციხის ებრაელთა უმრავლესობა ნესტიან მიწურ ბინებში ცხოვრობდა, გრიბით დაავადება, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ძალიან დიდი იყო. გრიპოზულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი ახალციხელ ებრაელებს უმრავლეს შემთხვევებში გალახულად ან თვალაღებულად მიაჩნდათ და განკურნებასაც მხოლოდ შესაფერისი შელოცვებით ცდილობენ.

ებრაელთა გაგებით, გრიპოზულ მდგომარეობაში მყოფებ ავადმყოფისათვის ან გალახულ ავადმყოფისთვის არის შემდეგ შელოცვები.

### გალახულის შელოცვები

სახლის ანგელოზს შეელეწე,  
 დღის ანგელოზს შეელეწე,  
 ღამის ანგელოზს შეელეწე,  
 შინაურ ანგელოზს შეელეწე,  
 გარეულ ანგელოზს შეელეწე.  
 ეჟული, მეული  
 იმის გზა იქნეს წყეული.  
 ერდოს<sup>1</sup> ცეცხლი, კარს მეხი  
 მოვიტან ბარს და ნიჩაფსა,  
 მივაყრი ქვას და ქვიშასა.  
 მივცემ წყალსა და მდინარესა,  
 ქარსა და ნიავსა,  
 ვაი მას დავეთხრი თვალსა და კიქასა.  
 იქ რა უნდა იმასა,  
 მოვჭრი ალისა თმასა,  
 დავკარგავ იმისა გზასა.  
 შემაყ ისრაელ აღონაი.  
 ელოჰენუ აღონაი ეხად<sup>1</sup>).

შელოცვა გალახულისა, როცა ადამიანი გაილახება უდროოდ როს შარდზე გადადგომით.

შენსა მთვალაფსა  
 გულხო ნაღადარი,  
 ნეესი მახათი,  
 ბინდი ყარაო.

1 ისმინე ერო ისრაელისა, გაჰენი ღმერთი ჩვენი არის, ღიერაი. ერთი

ეწული მეწული  
 იყავ წყეული  
 ბინდი ყარხო  
 შენსა მთვალავსა.  
 შენი გზა რქნეს წყეული.  
 ავრი ვაი ამასა.  
 დედამ შეგაშინა?  
 შენი გული ალაგასა.  
 არც არა ჯამა წყეული,  
 არც არა გაისეული.

გალახულის განსაკურნავად შელოცვის გარდა მიმართავენ უ. წ. „წყლის დადაღვას“:

„თუ ადამიანს ავი თვალი ცეცა და გაილახა, მაშინ საჭიროა წყლის დადაღვა. ამისათვის აიღებენ შვიდ ცალ ნალადარს (ნაკვერჩხალს) და ჩაყრიან ცივ წყალში, თითო-თითო ცალს. ამავე დროს თითოეულ ნალადარზე დასახელებენ იმათ, კისზედაც აქვთ ექვია, რომ მისი თვალით უნდა იყვეს ავადმყოფი გალახულიო. ჩვეულებრივად პირველად იტყვიან დედის თვალი გეცაო, მერე მამის თვალი გეცაო. მერე ჩამოთვლიან სხვა საექვეო პირებს. შვიდ ნალადარს შორის, რომელიც ყველაზე უფრო აშიშინდება მისი გამთვალავი, ამ ნალადარის ჩაგდების დროს დასახელებული პირი იქნება. ამის შემდეგ (რაც გამთვალავი გამოცნობილია) ავადმყოფი შორდება“.

თუ „გალახულობას“ დაერთო კისრის გაშეშება, მაშინ შემდეგნაირად მკურნალობენ.

თუ ადამიანი გაილახა და ავად გახდნ/ან უცბათ კისერი გაუშეშდა, მაშინ თაშანუშის ბალახი უნდა აიღო, ადუღებულ წყალში ჩაყარო და დაღვა ვიდრე მუქ ფერს არ გაუშვებს. მერე შაქარი უნდა დაუმატო, რადგან ბალახი ძალიან მწარეა და ავადმყოფს ერთი რუმკის ოდენა ასვა. დანარჩენით ხელპირი უნდა დაბანო. შემდეგ თავპირი შეუხვიო და დააწვინო. თაშანუში ოფლს დაადენს და ავადმყოფი კარგად გახდება. თაშანუშის ბალახს იმიტო იცნობ, რომ დაკრეფის დროს ხელები ისე შეგვლებება თბაქას ინა წავისვიაო“.

როგორც ვთქვით, ზოგჯერ გრიპოზულ მდგომარეობას მიაწერენ „ავი თვალის აღებას“, მაშინ მკურნალობა და შელოცვები სხვანაირია. ამისათვის გამოიყენებულა სპეციალური შელოცვა.



### თვალაღებულის შელოცვა

„შეგილოცამ თვალისასა  
 დედისასა და მამისასა,  
 უწინ ჩემი თავისასა,  
 შავგვრემანისასა და თეთრფეროიანისასა,  
 ტანმალისასა და ტანდაბლისასა  
 ჭრელთვალასი და შავთვალასი.  
 შენსა მთვალავსა;  
 თვალში ნაცარი  
 გუღსა ლადარი,  
 მიგცემ ქარსა და ნიავსა.  
 ტყეში წავალ და შეშას მოვჭრი,  
 ცულსა ტარად დაეგება,  
 ჩემი ლოცვა შენ კარგად შეგერგება.  
 ჰალალო ანგელოზები მარჯვენა მხარეზე დაგადგება.  
 გამოდგინდი ქარავითა,  
 გამობანდი წყალივითა.  
 შენსა მთვალავსა;  
 თვალსა ნაცარი,  
 გუღსა ლადარი.  
 გახურებული კერია,  
 წალმაუკულმა რტენია.  
 თვალის კილოდან გამოდი,  
 ცხვირის ნესტოდან გამოდი,  
 ხელის ფრჩხილიდან გამოდი,  
 გამოდი გამოიარე.  
 გამორყევ ჩემსა ლოცვასა.  
 არ გამოხვალ ნებიითა,  
 გამოგიყვან ძალითა.  
 გამოგიყვან ცემითა, ტყეებითა,  
 ლანძღვითა თრევითა.  
 მთა-მთა იარე,  
 ბარ-ბარ იარე.  
 ღვარამა დაგლეკოს,  
 ფუ, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი“ .

### თვალაღებულის მორჩენა შეიძლება შემდეგნაირად:

„როდესაც თვალს აიღებს ვინმე და იცის, თუ ვისაგან არის,  
 მაშინ იმ ადამიანის ფეხის მიწას აიღებენ ჩუმად, ჩააგდებენ წყალში  
 და იმით ხელპირს დაბანებენ“ .

უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ბავშვების მიმართ, ახალციხის ებრაელები გრიპოზულ მდგომარეობას მიაწერენ წიშს და დაცემას (დავარდნის გაგებით).

ამ შემთხვევაში უკვე სხვა შელოცვაა საჭირო.

„შენსა მთვალავსა;

თვალში ნაცარი,

გულში ღადარი.

შენსა მთვალავს;

შვიდი კონა ნემსი მახათი,

ტ . . . . . ი ბზიკი.

თვალში ბიზგი,

განურებულ ცეცხლნაპირის

კარია

უკანაც ტ . . . . . ისტენია

შენსა მთვალავსა.

გაიაროს კარები

დაინტერის კლავები.

გათხაროს ეზო

ამოიგდოს აედო.

შეგილოცავ თვალისას;

უწინ ჩემი თავისას

გამოჰყე გამოიარე, არ

სადგომი შენე

არ არის სამყოფი შენი,

გამოჰყე გამოიარე ჩემს

ლოცვასა,

დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი“.

**თვალი თუ აიღო და დაავადდა:**

„ნაკვერჩხალით წყალს დადაღავ, ჩათვლი 7 ქვრივს (ან გაუთხოვარ ბარიშნას), თითო ქვრივის დასახელებზე თითო ნადაღარს ჩაავდებ წყალში. აიღებ - იმით დაბან ხელპირს და უკნიდან გადაასხავ“.

ამ შელოცვებს თან ახლავს თავისებური წაშლებრი:

### შეშინებულის წამალი

„თუ კაცს შეეშინდა და ავად გახდა, უნდა აიღოს თანხაარი (ეს საქონელს აქვს ფაშეში) და ვარდის წყალი, დიკის ფქვილიან და ხასათაფლთან ერთად გალესოს და ავადმყოფს დააღვეინო.

თუ ავადმყოფს აჩქარებული გულის ცემაც აქვს, ეს ყველაფერი უნდა მოადღურო და ისე დააღვეინო. მორჩება“.

### წამალი მეორე

კვარდის წყალს, კვერცხი გულს, სახამებელს, უცეცხლო თაფლს, ყინვარ შაქარს, ხაროზას—გალესავ, გათქვიფავ ბოთლში და დაალევენიებ დილით უზმით ერთი ღვინის ჭიქას. თან იტყვი:

დედამ შეგაშინა? მამამ შეგაშინა?

შვიდჯერ — შენი გული ალაგას  
 გულო, ჩადექ შენ ალაგას,  
 ქორი მე ქანთარასა.  
 გზა ნაგზაურს  
 წყალი ნაწყლევს,  
 გულო, ჩაჯექ შენ ალაგას!

ან კიდევ, კლდის ნატეხს და ფეხდაუდებელ უნაბის ხის ტოტს წყალში გალესავ და შემდეგ ამ წყალში მოადლეუბ უნაბის ტოტს და დაალევენიებ. მოარჩენს“

თუ გრიპოზული მდგომარეობის მიზეზად წაქცევა დასახეს, მამინ მკურნალობენ შემდეგნაირად:

დაცემულის (დავარდნილის, წაქცეულის გაგებით), წამლობა.

თუ ყმაწვილი წაიქცა და ავად ვახდა, მამინ იმ ადგილზე, სადაც ყმაწვილი წაიქცა, მიწა უნდა ამოთხარო. თუ ამოთხარილ მიწას ნახშირი ამოჰყვა, ძალიან კარგია და ყმაწვილი მალე მორჩება (მთქმელი დარწმუნებულია რომ მიწას ნახშირი ყოველთვის ამოჰყვება). თუ ნახშირი არ ამოვდა, ეს ცუდი ნიშანია, ყმაწვილი გაფუჭდება. მიწის ამოთხრის შემდეგ იმ ადგილზე უნმარი ლურსმანი უნდა ჩააქონ და შაქრიანი წყალი მოასხან. ამ შაქრიანი წყლის დანარჩენი ავადმყოფს უნდა დაუსვან ტანზე“.

### წამალი მეხამე

ჩამოასხამენ ავადმყოფის სიგრძე სანთელს. წაიღებენ იმ ადგილას, სადაც წაიქცა, დაქრიან სამ ნაწილად და თითო თითო ნაწილს დაანთებენ ავადმყოფის გარეშე მოასხამენ შაქარ წყალს“.

### სურდოს წამალი

ზოგჯერ გრიპოზულ მდგომარეობას ერთვის სურდოს გამომხატველი სურათიც. მამინ მას უკვე გარკვევით სურდოს ეძახიან და მეტად ახირებულად მკურნალობენ.

„შენი ნიფხავი უნდა გაიხადო, შაქარწყალი წაისვა და ნიფხავი თავზე შემოიხვიო, მერე ხიდზე გაივლი, ცხვირს მოიხიკავ და იტყვი: ჩემი ცინდლი წაიღე წყალოო“, ან როდესაც ავადმყოფის სახლში

სურდოთი ან საოფლეითა, ვინმე შეპყრობილი მაშინ გაუკეთებენ ჩხირის კუკლას, (დედოფალას) თავით დაუდებენ, მერე აიღებენ და გადაადგებენ, ამის სატიკივარი წაიღე და წაიღო“.

როგორც ვხედავთ, ახალციხის ებრაელთა შორის ფართოდ გავრცელებულ გრიპს მკურნალობაც შესაფერისად მრავალფეროვანი აქვს.

გრიპი რომ უძველესი დროიდანაა ამ ხალხისთვის ცნობილი, ამას თვით მკურნალობაც ადასტურებს. მაგალითად, სურდოიანი ავადმყოფისთვის ფიტულის გაცემა და მისი გადადგება, რათა ავადმყოფობა თან წაიღოს, უდავოდ მაგიური მკურნალობის ერთ-ერთი სახეა. ალბათ, ეს დაავადება უკვე ცნობილი იყო იმ ხანაში, როცა ებრაელები მაგიურ მკურნალობასაც ეწეოდნენ. ყურადღებას იქცევს აგრეთვე შარდით მკურნალობა. შარდის მკურნალობას შევხვდით ჩვენ სიყვილის დროს, შარდით მკურნალობას შევხვდებით აგრეთვე შექმდეშიაც და ამიტომ ორიოდვე სიტყვა მიინდა ვთქვა მის შესახებ.

როგორც ირკვევა, ახალციხის ებრაელები დიდი ხანია იცნობდნენ შარდით მკურნალობას, მაგრამ საქმე ისაა, რომ შარდს ხმარობდნენ იმ სახით, რანაირსაც მას იღებდნენ ადამიანის ორგანიზმიდან, გაუფიქრავს და ბაქტერიოლოგიურად დაუმუშავებელს. ამიტომ, შარდის მეშვეობით განსაკურნავი პირი ხშირად ახალ ავადმყოფობას იძენდა და იღუპებოდა კიდევ

ჩვენი დროის სამეცნიერო მედიცინა უკვე ფართოდ აწარმოებს შარდით მკურნალობას, განსაკუთრებით ორსული ქალის შარდით, რომელიც ზოგიერთი ავტორის აზრით ზოგიერთ დაავადებში მკურნალობისას ეფექტიურ შედეგს იძლევა.

### ბუჰასილი

ახალციხის ებრაელთა შორის კარგად არის დამუშავებული აგრეთვე კლინიკა და მკურნალობა ბუჰასილისა, რომელიც უმთავრესად ხანში შესულ მამაკაცთა დაავადებაა. ახალციხის ებრაელები ბუჰასილს ეძახიან შაიასელს და არჩევენ მის შემდეგ სახეებს:

1. შალიან მაგარი.
2. თხელი.
3. ქავილიანი.
4. ძუძუებიანი (როცა ძუძუებივით დაფოცდება).
5. გაძალღებული.
6. წვიანი.

ახალციხის ებრაელთა შეხედულებით არც ერთი ადამიანი არ არის უშინაისულოდ. ზოგს პირში აქვს, ზოგს თვალში, ზოგს ფეხებში ოფლის სახით და სხვა.

### მაიახილის (ბუახილის) წამლობა.

შინდის გარეცხილი კურკა უნდა მოხალო, დაექვა და 4 სტაქანი წყალი დაასხა. ამის შემდეგ იმდენა უნდა ადუღო, რომ წყალი 2 სტაქანზე დაეიდეს. მერე ეს დალიოს ყოველთვის წყლის მაგიერ, მორჩება. თუ ამან არ არგო, აიღე ვარდის-ქოქი (კუჭი-გული), გამზმარი ბრწეულის ქერქი, ქვეყნის მიწის ყვეთელი გული (ქვა არის თავისებური), 5—ნ მარცვალი ყარამფილი და დარიჩინი, და 4 სტაქანი წყალი. ეს ყველაფერი ჩაყარე თუნგში, მოადუღე და სამ სტაქანზე რომ დაეა, გადმოიღე და ვაწურე. ერთი სტაქანი იმავე წამს დაალევინე, თბილ-თბილი. დანარჩენი, როცა წყალი მოსწყურდეს მანინ დაალევინე.

ქვა, რომელიც წამოდუღების დროს ჩავაგდეთ, უნდა ამოვიღოთ, შევინახოთ ის სხვა დროსაც გამოგვადგება; ვინც მაგრად არის, როცა ზემოთქმულ წამალს დალევს, მერე უნდა აიღო ქათირინდი და ხარიანო (ესენი ეხლა აღარ არის, სტამბოლიდან მოდიოდა ხოლმე). უნდა აურიო ერთმანეთში, დანაყო, წყალში, გაღესო და დაალევირო. თუ ამან არ უშველა ბუახილს, მაშინ უნდა აიღო უმარილო კარაქი და შაქრის ბესოკი, აურიო ერთმანეთში, აზილო და თითო ჩაის კოვზი მისცე დილა-საღამოს. ვისაც ეს წამალიც გაძნელებულზე ძნელად მოერგება და გაძალღებული აქვს, აიღე ძაღლის ფინთი, სუფთათ გაცერო და ხასათაფლში შეაზილე. დღეში თითო ჩაის კოვზი მიეცი, მორჩება.

თუ ადამიანს ძუძუებიანი მაიახილი აქვს, მაშინ დილით უნდა წავიდეს აბანოში და დაიყაროს 10 ცალამდე წურბელა; თუ თითონ სუსტად არის, შეიძლება ნაკლებიც. მერე, როცა წურბელებს მოიშორებს, სუფთა ბაზა უნდა დაასველოს ზეთში და დაიდოს.

შემდეგ ავადმყოფმა უნდა ჭამოს კარგი საქმელები, ქათამი, ხორცი, დალიოს კარგი ღვინო, რომ ღონეზე ჭოვიდეს.

რადღესაც წურბელებს დაიყრის, ავადმყოფმა არ უნდა დაიძინოს. თავი და ფეხები ნამეტნავად თბილად უნდა შეინახოს.

ავადმყოფს ამ დროს არ ექმევა ჭადი, ლობიო, კამეჩისა და ხარის ხორცი, პამიდორი, პიპილიანი და ბიბრიანი საქმელები.

თუ ავადმყოფს მაიასილი დაუსივდა, უნდა იყიდოს ღორის ქონი, წაუსვას ლახანაზე (კომპოსტოზე) და დაიდოს. ეს ლახანა შესივებას და წვას გამოიტანს.

თუ ამანაც არ არგო, უნდა აიღო ავაჯუა — ეს ხის ტოტია და — ჩხირსა გავს. ეს ავაჯუა უნდა ჩაავდო თხის ქონში და ბატის პო-ზანში და როცა გადნება, ისევე უკან ამოიღო. დანარჩენი ფალასზე უნდა წაუსვა და დილა სალამოს აფინო. როცა ნაფენს აიღებ, ცხელი კრამიტი უნდა დაუდო შორი-ახლო“.

### წელის ტკივილი და თიაქარი

მრავალი წლების განმავლობაში შორ მანძილზე სავაჭრო მძიმე ბოხჩის ან კალათის ტარების გამო ახალციხის ებრაელ მამაკაცებში, განსაკუთრებით შუა ხნისა და მოხუცებულთა შორის, ხშირი იყო წელის ტკივილი და თიაქარი, რომელსაც ხალხმა შემდეგნაირი მკურნალობა მოუწინა: „კაცმა რომ მძიმე რამე ასწიოს და წელი იტკინოს, მაშინ მას ქიბი აქვს ჩავარდნილი. მან უნდა აიღოს ქუსკი (ფუნა), თბილ-თბილი წელზე დაიდოს და დაუშვამს. თუ კაცს წელი ხტკივა, უნდა აიღოს დანა-მასტაკი — ეს თეთრკირსა გავს, უნდა დაუმატო: საკმე-ველი, ცხარე არაყი და შაქრის ლურჯი ქაღალდი (ქაღალდი, რომელშიაც წინათ შაქარი იყო ხოლმე გახვეული). ყველაფერს ამას დანაყამთ, ქაღალდს დაჩხვლიტამთ ნემსით, როცა ეს ყველაფერი მზათ არის, წელს დაუხილამ არყით. მერე ამ დანაყულ ცომივით ნარევეს წაუსვამ დაჩხვლეთილქაღალდზე. ქაღალდს ჩვარზე დაადებთ და წელზე შემოაკრავთ. ამის შემდეგ ავადმყოფმა არ უნდა იმუ-შაოს, ვიდრე ეს იახო თითონ არ ავარდება. როცა ავარდება, მაშინ იმ ადგილზე უმარილო კარაქი უნდა წაუსვა“.

### მამაკაცის წელის დაბოჯების წამალი

„თუ კაცს წელი დაუბოჯდა (მოუღუნდა), დაუხელავენ არაყით ან სპირტით. მოიტანებენ და დააკრობენ იახოს, დანა-მასტაკს, სპირტს, ბაჰარებს: ბიბარს, თეთრ კოჭს, დარი-ფირფელს, ქაბაბიას, ქიფლს დანაყამენ და მოაყრიან სპირტში დასველებულ დაჩხვლეთილ მჩვარს. ბაჰარებასაც ზედ მოაყრიან, აიღებენ, წელს დაუხი-ლავენ სპირტით და გამზადებულ ჩვარს წელზე დაადარებენ და მაგრად შეუხვევენ. მისი ხელის ხლება არ შეიძლება, ვიდრე თვი-თონ არ ავარდება.“

ვისაც წელი სტკივა უნდა სჭამოს: მაჯუნი თიფლი ქაბაბია, ტარი ფარფალი, თეთრი კოჭი, ჯავზები, დარიჩინი, ყარაფილი. თითო წამლიდან სამ-სამი მისხალი უნდა აიღოს და დაინაყოს, ერთად გაიცრას, ამოზილოს უცეცხლო თაფლში, წამოიდუღოს და თითო ჩაის კოვზი დღეში სამჯერ ჭამოს, მორჩება“.

### თიბკრის წამალი

„ვისაც თიაქარი აქვს და ფუში მოუფლის, ნახევარ-ნახევარ ატაქან რახში უნდა გალესოს დათვის, კამბეჩის, თევზის, ბატის, თხისა და გარეულ მამლის ნაღველა და დღეში ორჯერ დილით და საღამოთი დალიოს“.

### შირუკგინული ღაბაღღებანი

ახალციხელ ებრაელებს სწამთ, რომ ადამიანის სული-სიცოცხლე სისხლში დგას. ამიტომ, ადამიანის ორგანიზმიდან გამოსული სისხლი წმიდააა წმიდაა: არ შეიძლება მასზე ფეხის დადგმა, მისი ბინძურ ადგილზე დასხმა და სხვა. დაქცეულ სისხლს მაშინვე მიწა უნდა დაეყაროს და დაიმარხოს, როგორც ნაწილი ადამიანის ორგანიზმისა. სისხლის შესაჩერებლად ებრაელები ხმარობენ უმთავრესად სუფრის მარილის, შემდეგ, დანაყულ ნახშირს. თუ ჭრილობა შუბლზე ან სხვა რომელიმე ნაწილზე მიყენებული, დაადებენ ხოლმე აბლაბუდას (ობობას ქსელს).

ებრაელები უძველესი დროიდან იცნობდნენ ჭრილობას, მიღებულს წინადაცვეთის დროს. ამ ჭრილობიდან სისხლის შესაჩერებელი პირველი საშუალება ოპერატორის „მოელის“ პირი და ნერწყვი იყო. ცნობილია, რომ ადამიანის პირის ღრუ თავისი ტემპერატურით, მასში ნარჩენი თხიერი საჭმელით და სხვებით, მშვენიერი ინკუბატორია ყოველგვარი ბაცილებისათვის და ამგვარად ინფექციისათვისაც „მოელის“ პირის ღრუდან ახალშობილთ მიუღიათ ათასგვარი დაავადება და, მათ შორის, არა იშვიათად ჭთაშანგიც კი.

წინადაცვეთისას სისხლის შემაჩერებელ საშუალებად იმარებოდა აგრეთვე ნაცარი და შურდასანგი.

ახალციხის ებრაელთა შორის, რომლებიც ცხოვრობას ხშირ ხეტიალსა და მოგზაურობაში ატარებდნენ, ხშირი იყო მოტეხილობა და სახსრის ამოვარდნილობა. ახალციხის ებრაელთა შორის იყვნენ ხალხური მკურნალები, რომლებმაც მხოლოდ და მხოლოდ ამ მოტეხილობათა და ამოვარდნილობათა წამლობა იცოდნენ და, როგორც

ვთქვით, „სინისჩი“ (სინის თათრულად გატეხილს ნიშნავს) ეწოდებოდა. მათ იცოდნენ ამოვარდნილი კიდურების ჩაყენება, მოტეხილი ძვლების ჩაწყობა და მკურნალობა.

### ამოვარდნილის წამლობა

„ამოვარდნილი ალაგი უნდა გაჭიმო, მერე შაბი უნდა დანაყო კვერცხის ცილაში აურიო და ამოვარდნილ ადგილზე დაადო და მაგრად შეუკრა, ამოვარდნილობა რამოდენიმე დღეში მორჩება.

თუ შაბი და კვერცხი არა გაქვს, ხახვი და მარილი დანაყე და ის დაადე, ანდა პური-ცომი და მარილი დანაყე და ის დაადე“ იგივე „სინის-ჩები“ ხშირად დამწვრობასაც წამლობდნენ“.

### დამწვრობის წამალი

„დამწვარს კარგად არჩენს ერთმანეთში არეული თაფლსანთელი და ერბო. დამწვრისათვის კარგია აგრეთვე ერთმანეთში არეული კვერცხის გული და ზეთი“.

თუ დამწვრობა გამოწვეულია ცხელი წყლით, გაუფუფქულს უწოდებენ და შემდგენიარად წამლობენ:

„გაუფუფქულის წამლობისათვის საჭიროა გაუფუფქულ ნაწილზე ჩაინი სოდის მოყრა, მერე საჭიროა ოტკაში დასველებული ტილოს დაფენა“.

### გულის დაავადება

გულის დაავადებას ახალციხელი ებრაელები შეშინებას მიაწერენ, მათი აზრით გულს შეუძლია თავის პერანგში გადაბრუნდეს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ტკივილები და გულის ფრიალი. აქაც მკურნალობისათვის ნაწილობრივ ჰომეოპათიური პრინციპია აღიარებული (მსგავსი მსგავსითვე განიკურნება), ამიტომ:

„თუ კაცს გულის ფრიალი აქვს, იმან მტრედის გული 2—3-ჯერ უნდა ჩაყლაპოს და მორჩება. ან ვარჯის წყალი თაფლით დალიოს და მორჩება.

გულის წასვლის დროს ხავსე ბალახი მოადუღე თაფლში და ასვი; მორჩება.

როდესაც აღამიანს გული გადაუბრუნდება, წაიღებენ ლაფაქას, თან წაჰყვება ვინმე, მივლენ ისეთ ადგილას, სადაც აღამიანის ფეხი არ დადგმულა, თვითონ მოთხრის. ავადმყოფი ერთ ბელტს



და გადაბრუნებს, თან იტყვის, როგორც ეს ბელტი გადაბრუნდა, ჩემი გულიც ისე გადაბრუნდესო. ეს უნდა შესრულდეს სამჯერ.

თუ შიშოდან გული გადაუბრუნდა ან აღამიანიდან ან ძაღლიდან, ან ჩხუბის დროს, მაშინ საჭიროა შაქარის, წყალის და სახამებელი ერთად აურიოს და სვას. დილითაც დაბანავენ ამ შაქარწყლით ხელპირს და ფეხებს. შემდეგ ნაბან წყალს იმ ადგილს მოასხამენ სადაც შეეშინდა, თან ეტყვიან: აგერა შენი წილი, დაეთხოვე ჩემსას“...

### ნერვიული და ფსიქიური დაავადებანი

ახალციხის ებრაელები ნერვიულ და ფსიქიურ დაავადებებს (ტვინის ანთებას, მენინგიტს, ეპილეპსიას და სხვა), უმთავრესად შელოცვებით და ამულეტებით მკურნალობენ.

ამ დაავადებათა მკურნალობაში წამყვანი ადგილი მიანიჭებენ ამულეტებს უჭირავთ და ამიტომ მაშინ შესახებ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ.

ამულეტს ახალციხელი ებრაელები ეძახიან ნუსხას. თუ ის თათრის მოლის მიერ არის დამზადებული, და კამიასს, თუ ხახმის მიერ არის დამზადებული. ამულეტებით მკურნავე მოლები ახალციხეშიაც ბევრ იყვნენ. მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმულნი იყვნენ თბილისის მოლები. ამიტომ, როცა ღარიბ ებრაელს ბავშვი ებილეპსიით, ტვინის ანთებით ან სხვა ამგვარი ავადმყოფობით გაუხდებოდა ავად, იგი უკანასკნელ პერანგს ყიდდა და თბილისში ჩამოდიოდა. თუ ავადმყოფ ბავშვს ვერ ჩამოიყვანდა. მოქონდა მისი ტანსაცმელის ნაწილი და მოლა ამ ნივთის საშუალებით „გაიგებდა“, ბავშვი რომელი ანგელოზის მიერ იყო შეპყრობილი და უწერდა მის საწინააღმდეგო „ნუსხას“. ამაში ღარიბი ებრაელი უკანასკნელ თავის კაპიკებს აძლევდა. ებრაელს ბრმად სჯეროდა ნუსხის სასწაულთმოქმედება და როგორც უძვირფასეს რამეს სამკუთხიანი აბრეშუმის ნაჭრისაგან შეკერილ პარკში ჩადებდა, პირს წაუტერავდა და ავადმყოფს გულზე ჩამოკიდებდა. თუ ავადმყოფი შემთხვევით მორჩებოდა, მაშინ ამას ნუსხის სასწაულთმოქმედ ძალას მიაწერდნენ, თუ დაიღუბებოდა, მაშინ იტყოდნენ, რომ ნუსხა დროზე არ იყო დამზადებული ანდა დამზადებული იყო არა იმ მოლის მიერ, რომელთანაც უფრო ძვირი ღირდაო და სს.

ასეთ „ნუსხას“ პროფილაქტიკური მიზნით, ზოგჯერ კარგადმყოფებსა და ახლად შობილებსაც უკეთებდნენ, რათა „ავი თვალი არ აუღოთ“.

ხანის დაწერილი „კამიაცი“ იმავე დანიშნულებისა და მნიშვნელობის იყო მხოლოდ ხანები ამ „კამიაციებს“ ადგენდნენ არიზალის<sup>1)</sup> წიგნის მიხედვით. ხანაში ამ წიგნს რამდენჯერმე გადაშლიდა და პირველად ამოკითხული ასოების მიხედვით „გამოიცნობდა“ ავადმყოფობის მიზეზს, ამის შემდეგ კი დასწერდა შესაფერის „კამიაცი“. კამიაცი იწერებოდა ქათმის სისხლით, რომელიც ავადმყოფს უნდა მიეკვანა. ქათამი ჯა დამატებით კამიაციის საფასური რჩებოდა ხანამს, ავადმყოფის პატრონს კი მიჰქონდა ქალაქის ნაგლეჯზე დაბლაჯნილი ასოების უაზრო დაჯგუფება, რომლის სასწაულმოქმედება, განსაკუთრებით ავი თვალთა წინააღმდეგ, როგორც ვთქვით, ახალციხის ებრაელებს ღრმად სწამდათ.

ავი ავალის წინააღმდეგ იხმარებოდა აგრეთვე ე. წ. „შადაი“ — ვერცხლის ან ოქროს ნივთი, რომელიც ძველად პალესტინიდან მოჰქონდათ და „მაგენ დავითის“ (დავითის ფარის), ფორმა ქონდა.

ამ ნივთზე ძველ ებრაულ ენაზე ამოკვეთილია: „შადაი იერუ-შადაი“. — ბატონი, ღმერთი იერუსალიმისა.

ასეთივე მნიშვნელობათ ბავშვებს ცალ ყურში უკეთებდნენ ოქროს ან ვერცხლის საყურეს, რომელსაც მხოლოდ 10—15 წლის პასაკში ხსნიდნენ.

„შადაიმ“, როგორც ოქროს ძვირფასა ნივთმა, სამკაულის სახე მიიღო და მარტო ბავშვები კი არ ატარებდნენ ავთილის საწინააღმდეგოდ, არამედ უფროსებიც, როგორც ამულეტს და როგორც საშკაულს. შემდეგ ხანებში დაიწყო მისი ადგილობრივი დამზადება და აქა იქ დღესაც იხმარება.

### დაცემულინის წაბლოპა (რომელსაც ეპიფანი ტვინის ანთივას უწოდებენ).

„თუ ავადმყოფს ავი ანგელოზი დაეცა, მაშინ საჭიროა უნიშნო შავი ქათამი.“

ქათამი შუაზე უნდა გაიჩაჩხოს და ავადმყოფს თავზე ჩამოეცვას, თუ ავადმყოფი მოსარჩენია, მაშინვე მორჩება, თუ სასიკვდილოა, წოკვდება“.

ფსიქიური დაავადების მიზეზად ახალციხის ებრაელები ზოგჯერ კუდიანობას თვლიდნენ და ასე წამლობდნენ:

<sup>1)</sup> ცნობილი კაბალისტი.

„ნაკუდიანებს გავიგებთ, როცა ადამიანი აწით არის, ხასიათ-ზე არ არის, თანათანობით ხდება, სძულს ან ქმარი ან ცოლი, ან ავად არის. ისე, რომ ვერ იგებენ რა სტკივა და სხვა. მაშინ ავიღებთ ნაკუდიანების ბალახს, ჩავეყრით წყალში, წამოვადუღებთ კარგად. მივართმევთ ავადმყოფს ჩაშვით, გინდა შაქრით დაღვეს, გინდა ცარიელს, შერე იბანავენს ამ ბალახის წვენიში და მორჩება.

თუ ცოლქმარს ერთმანეთი სძულთ, მაშინ ამათაც უნდა დალიონ ამ ბალახის წვენი და ორივემ ერთად იბანონ. ისინი ერთმანეთს ზურგით მიეყუდებიან და ისე იბანავენ“, ან

„როცა ადამიანი ნაკუდიანეგია, მაგალითად, როცა ცოლქმარს ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს მიეყუდებიან ზურგით და იბანებენ. თუ ვინმემ გიკუდიანოს და ზერეკვერეთ იქნე ადამიანი, ნაკუდიანევის ბალახს აადუღებ წყალში და ტანზე წაისვამ სამჯერ, ოთხჯერ, სანამ კარგად არ გახდება, თუ ძნელათ არის, მაშინ ბევრჯერ უნდა გაიმეოროს“.

უ ადამიანს შაკიკი აქვს ჯერ უნდა შეულოცო:

„შაკიკი შემოჩვე ულა

სათიბისა ბოლოსაო.

ასე სჭამდა რკინასა

როგორც ხარბი თივასაო.

გაუწყრა ღმერთი

შაკიკსა, ვაიპარა დილასა.

თუ ამან არ უშველა, უნდა აიღო 4 ბაყაყი.— ერთი უნდა დაადო თავზე, ორი საფეკტელზე, ერთი — შუბლის პირზე, ერთს კეფაზე შემოაკრავ მაგრად და ბაყაყები დააკვდება ზედ. თუ ანანაც არ უშველა უნდა აიღო ტყემლის ტყლაპი, უცეცხლო თავლი, შავი პილპილი ან მარტილი აუჭიო ერთმანეთში, შემოართვი თავზე და მორჩება. ან შავი ბოლოკი, და შარასი დედამიწაზე დანაყე, რომ მიწიანი გახდეს, და შემოათარე თავზე.

ან გაათბე ქატო — გაახურე და ჩამოაცვი თავზე, ოფლი მოუვა და კარგად გახდება“.

ან „უცეცხლო თავლი, ტყემლის ტყლაპი დანაყე ნიშადური შეურიე და დაადარავ თავზე“!

თუ კაცს თავი სტკივა, წაიყვანებენ კაკლის ხის ძირას, შემოატარებენ 3-ჯერ და ეტყვიან:

„აგერ მოგიყვანეთ

თავი მტკივანი შენ

განთავისუფლე იგი თავის  
ტკივილისაგან“.

კაკლის ხეზე იბუდებს ანგელოზი, თანაც ავადმყოფს კაკლის  
ნაყოფის სუნი ესიამოვნება და მორჩება“.

ასე გასინჯეთ, რომ განსაკუთრებული შელოცვა აქვს სლოკინსაც.

### სლოკინის შელოცვა

„ია მახსენებელსა, ვარდი მაგონებელსა, შვიდი წლის ციებცხე-  
ლება, ანთება. და ხურება შენს ავთ მახსენებელსა.

ვინ გახსენა.... ვის მოპარე საფუარი“.....

### თვალის დაავადებანი

თვალის ტკივილს ახალციხელი ებრაელები მკურნალობენ რო-  
გორც შელოცვით, ისე წამლეულობითაც შემდეგნაირად:

თუ კაცს თვალი ასტიკვდა უნდა აიღო ერთი კიჭა ვარდის  
წყალი, დაუმატო ცოცხა შაქარი ამ ხსნარში, დაასველო ლურჯი  
ნაჭერი და დაფინო (თეთრი ნაჭერი არ არეგებს). ეს უნდა გაბკეთო  
დამით, დღისით კი ვარდის წყალი უნდა დაისვა ან ჩაიწვეთო.

თუ ავთმყოფს ყავს გოგო ყმაწვილი და ძუძუს აწოვებს,  
დღეში ერთხელ რომ რძე, თავისი, ჩაიწვეთოს მორჩება.

თუ ამანაც არ უშველა უნდა შეულოცო: შეგილოცამ  
თვალისასა უწინ ჩემი თავისასა, გამოდი გამოიარე შენც მშიდობით,  
ესეც შვიდობით. ცოცხი ცული კარსაო, ვის რა უნდა ჩვენსაო. შელოცე  
ვა უნდა აწარმოო ნემსით ან ნახშირით, ანდა შეეტარიანო დანით, მერ-  
ეს დანა უნდა დაარქო მიწაზე, როცა შელოცვას დაამთავრებ, უნდა  
გადააფურთხო სამჯერ და სთქვა: „ფუ, მოშორდით გაიარეთ, ტყე-ტყე  
იარეთ, ღრე-ღრე იარეთ! თქვენ სოფელში წადით, ესეც შვიდობით  
დამიტოვეო, თქვენც შვიდობით წადით, ეული, მეული თქვენი გზა  
იქმნას წყეული და კრული.

თუ კაცს თვალი სტიკვა, თავისივე შარდში ლურჯი ნაჭერი  
უნდა ამოასველოს და დაიფინოს. ესეც კარგია თვალის ტკივილი  
სათვის“.

### შელისა და ვირის დაავადებანი

როგორც საერთოდ, ისე ახალციხეშიც, შემოდგომა გაზაფხულ-  
ზე ხშირია ანგინა. ანგინას ახალციხელები უბრალოდ ყელის  
ტკივილს ეძახიან და შემდეგნაირად მკურნალობენ:

„ავადმყოფს თუ ყელი სტკბეა, უნდა აიღო ღველო, დააყარო შაქარი და ავადმყოფს შემოდო ყელზე. ანდა მკავე კიტრი უნდა გასჭრა შუაზე, შემოდო ყელზე და შეუხვიო. მკავე უნდა უცვალო ყოველ დღე-ღამე. თუ ამანაც არ უშველა უნდა გამოჭრა ქალაღი შეფხასავით—ქუდივით და ზედ წაუსვა ხასათაფლი და თავზე ჩამოაცვა. ქალაღი თითო დღე-ღამეში უნდა გამოუცვალო. ასე უნდა გაიმეორო სამჯერ. თავიდან მოცლილი ქალაღი წყალს უნდა მისცე, რადგან, თუ ფეხი დაადგა ვინმემ ავადმყოფობა გაძაღდება“.

პირის ღრუს დაავადებათაგან ცნობილია ღრძილების დაავადება, (Scorbutis). რომელსაც ნუზლას ეძახიან და ბალახებით მკურნალობენ.

„ღრძილების ტკივილის წამლად ხმარობენ ნუზლის ბალახს ან ხმელს ან ახალ მოკრეფილს, როცა კაცს ღრძილები დაუსივდება, მოხარშავენ ამ ბალახს, წვეს ჩაიყენებს პირში რამდენჯერმე და მერე, სახეპირს დაიბანს“.

ახალციხის ებრაელები კბილს ზოგჯერ მეტად თავისებურად, წესით ამოიღებენ სოლმე.

„კედელში ჩაარკობენ ლურსმანს, ლურსმანს ზონარს მოაბამენ, ზონარის მეორე ბოლოს კბილზე მოიბამენ და ასე ამოიღებენ.“

როდესაც ბავშვს კბილს ამოუღებენ, გაახვევენ პურის გულში, თავის სოროში შეაგდებენ და იტყვიან—„აჰა თავო შენი ვერცხლის კბილი, მომეც ჩემი ოქროს, კბილიო“. უნდა გაიმეორო სამჯერ. ბავშვს კარგი კბილები ამოუვა“.

### კანის დაავადებანი

ახალციხელ ებრაელებში ძალიან ხშირია კანის დაავადებანი, (მუნი, სიქაჩლე და სხვ.).

კანის ისეთ დაავადებას, როგორცაა სიქაჩლე ახალციხელი ებრაელები შემდეგნაირად მკურნალობენ.

ქაჩლით დაავადებულს თავზე გადააკრავდნენ გამდნარ ფის დასხმულ წარმას. ავადმყოფს თავი ასე შეხვეული უნდა ეტარებინა დაახლოებით ერთი კვირა, რის შემდეგ აავლეჯდნენ ამ ფისს, რომელსაც თმა, თმის ძირები და კანიც აყვებოდა სოლმე. ამ მეტად მტკივნეულ მანიპულაციას ხშირად სდევდა გულის წასვლა, მაღალი სიცხე და სხვა.

იმ ადგილზე, სადაც კანი ძვრებოდა, ჩნდებოდა ნაწიბურები, რომლებსაც დღესაც მრავალი ახალციხელი ებრაელი ატარებს.

ამჟამად ეს დაავადება სოც.-ეკონომიური და უმთავრესად კი ჰიგიენური პირობების მძაფრი გაუმჯობესების გამო თითქმის სრუ-

ლიად არ გვხვდება, ხოლო თუ ვაჩნდა, მკურნალობენ ფიზიოთერაპიული მეთოდით და სხვა შესაფერისი მედიკამენტებით. მუნს მკურნალობდენ ზეთში გახსნილი გოგირდით.

### წითელი ქარი

წითელი ქარი ინფექციური სნეულებვა და შეიძლება შესაფერის თავშიც გაგვეხილა, მაგრამ მას ანალციხელი ებრაელები კანის დაავადებად სთვლიან და შემდეგნაირად მკურნალობენ: უპირველეს ყოვლისა ავადმყოფს შეულოცავენ.

„ლამაზო და მშენიერო  
მოდინარ ვერცხლივით  
მოედები ცეცხლივით.  
შენი წამალი

კვირცხის გული, წითელი  
ძროხის ერბო, დიქის ფქვილი.

ლილა და ყინვარი შაქარი.

ამოზილავ ყველას ამას ერთად და 3-ჯერ, შეულოცავ, მოზელილ ცომს საშიდ გაჰყოფ, 2 ჟუნდას ერთად დასდებ, ზედაც ნახშირს დაადებ, გააბრტყელებ და დაადებ ავადმყოფს მტკივნეული ადგილზე“.

კანის, თითქმის ყველა სხვა დაავადებას (ფურუნკული, კარბუნკული, აბკისი, განჯრენა და სხ.) „მუწუკს“ ეძახიან და მკურნალობენ ან კომპოსტოთი, ან ხახვით, ან ადებენ შემდეგ მალამოს:

„მუწუკის მოსარჩენათ იხმარება შინდის კურკა დაფქვილი და ლავარძარღვაი. ეს უნდა დაიყაროს მუწუკზე რამდენჯერმე და მუწუკი მორჩება“.

რაც შეეხება ვენერიული დაავადებებს, ვერც მე და ვერც ექსპედიციების სხვა წევრებმა ვერავითარი მასალა ვერ შევავაროვეთ, რადგან ეს დაავადება, ანალციხის ებრაელებში განსაკუთრებით სასიკრცხვილოთ ითვლება და ჩვენც ამაზე არავინ არაფერი გვითხრა.

### გინეკოლოგიური დაავადებანი

გინეკოლოგიურ დაავადებებს, როგორც ვთქვით, უმთავრესად ბებია ქალები მკურნალობენ ბალახებით.

ასე, მაგალითად, „ვისაც თვიური დაუგვიანდეს ან და არ ქონდეს, გვირილა ბალახი მოხარშოს, დალიოს და მოუფა“.

„მელოგინე ნესამე დღეს უნდა ცხელ წყალში ჩასვა, ამ წყალში უნდა ჩაასხა წამოდუღებული აბზინდის, მარიამ ხუტის და კაკლის

ფოთლის წვენი, მერვის ბალახები, ზედ უნდა დააყარო. მელოგინე უნდა დახილო და თბილათ შეახტო და დააწვინო, ძალიან არკებს, სულ მალე ძალიან ჯანმრთელი გახდება.

მელოგინეს რომ მშობიარობის შემდეგ ტკივილი დაყვეს ხენტინის ბალახი უნდა წამოადულო და დაალევირო. მორჩება.

თუ ორსულ ქალს წელი უხდება და არ რჩება, უნდა აიღო: კვერცხის ცილა, და რახი საპონი—კარგად უნდა გათქვიფოს, ჩააყარონ კიდევ მაკარიის ფქვილი, კარგათ გათქვიფო, აიღებ ჩვარს, დაჩხვლიტავ ჩვარს და წაუსვამ ზედ. ამას დაადებ წელზე—წელს მაგრად შეუკრავ, სამი დღე უნდა იწვეს, არ უნდა ადგეს, მძიმე არ ასწიოს, 2 კვირამდე წელი გაუჩერდება, ჩვარი თავისით ავარდება და კარგად გახდება.

თუ საყმაწვილო აქვს გაფუჭებული, შეიბავს მატურის მძივს ყელზე და ყოველ დილაზე გალოკამს და როცა ბავშვი დაიბადება, აიღებს და გადააცვამს ბავშვს.

მედიკამენტოზურ მკურნალობას თან ახლავს მაგიური მკურნალობაც.

როდესაც ქალი ძნელად მშობიარობს:

„შემოიყვანებენ ქმარს, ზედ გადააბიჯებს და გაღმობიჯებს 3-ჯერ: ქმარი, შემოიტანს დოქით წყალს და შეასმევს მუტლის ბტიკანს“.

### ახლად შობილი ბავშვის მოვლა

ახლად შობილ ბავშვის მოვლაც იმავეებზეების საქმე იყო, რაშიაც სათანადო გასამრჯელოს იღებენ და ზოგზერ, შეძლებისგვარად მართლაც გულმოდგინედ უვლიდენ, განსაკუთრებით, თუ ახალშობილი ვაჟი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ბავშვს ამ მზრუნველობას თანდათან აკლებენ და ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც ბავშვი მეტ მოვლას მოითხოვს (რადგან ამ პასაკში ხშირია გაციება, მუტლით დაავადება და სხვ.), უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული.

მომშობიარებებს ახლო წარსულშიაც კი მხოლოდ ბებია-ქალები აწარმოებდნენ. ახალციხის ბებია-ქალები ხშირად კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, რის გამოც მათ ხშირად ქრისტიანები და მუსულმანებიც იწვევდნენ.

„მშობიარობის შემდეგ ბებია პირში ფულს დაიჭებს და ასე გადაჭრის ქიას (თუ მშობიარობა შაბათ დღეს მოხდა, ფულს ვერცხლის სხვა ნივთით სცვლიან). ახალშობილს თითონ ბებია აბანავენს. ახალშობილს მარტილ წყალში აბანავენდნენ. შემდეგ იღლივში, ლაჯებში და სხვა ნაკეცებში აყრიდნენ საქმელ მარილს. შათი აზრით

მარილით ბავშვი მავრდებოდა და დაყურსული (ჯანმრთელი) გამოდიოდა. ამისშემდეგ ბავშვს შვიდ დღეს აბანაგებდნენ კვერცხისა და რძის ნარევი წყლით. კვერცხი კარგია ჯანმრთელობისათვის რძე სისუფთაისათვის“.

ბავშვის ბანებას თან ახლდა შელოცვაც.

„ორშაბათ ორის ოტონა, სამშაბათს სამის ოტონა, ოთხშაბათს ოთხის ოტონა, ხუთშაბათს ხუთის ოტონა, პარასკევს ქვეყნის ოტონა შაბათს ლომის ოტონაო, სუქა სუქა სუქდებოდეს დათვის ბელასავითაო“.

### კოსმეტიკა

იგივე სახალხო მკურნალები უწევდნენ მოსახლეობას კოსმეტიკურ მომსახურეობასაც. მათ იცოდნენ ერთგვარი კრემის დამზადება, რომელსაც „ჩირქინს“ ეძახდნენ და რომელსაც ებრაელი ქალები უფრო ხშირად ხმარობდნენ, ვიდრე „ფერ-უმარილს“, — ჰუდრს. მათ იცოდნენ აგრეთვე სახის, წარბებისა და წამწამების გაკეთება (ამას პირის გაკეთება ეწოდებოდა).

### პირის გაკეთება

„თეთრი ბამბის ძაფს დახლართავენ 4-კეცად, ერთ ბოლოს პირში დაიჭერენ, დააბზრიანებენ და შიგ მოამწყვდევდნენ. თმას (სახეზე ამოსწევენ). ასევე იკეთებენ წარბებს.“

შემდეგ სახეს გაიწმენდენ „ჩირქინით“, რომელიც ასე მზადდება: „კვერცხის ქერქი (გამხმარი), საქონელის ტვინი, საპონი, მელიუნდა დანაყო, გააშრო და მერე იხმარო“.

ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს ახალციხის ებრაელთა ხალხური მკურნალობა შევადაროთ მათი მეზობელი ხალხების მკურნალობას. ვიტყვით მხოლოდ რომ მათი მკურნალობა ძალიან ჰგავს მეზობელი ხალხებისას და ზოგ შემთხვევაში ემთხვევა კიდევც მას.

აი რას ამბობს ამის შესახებ მ. პლისეცკი, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და 1931 წ. დასწერა შრომა «Религия и быт грузинских евреев», „საინტერესოა, — ამბობს ავტორი, — რომ მიუხედავად ქრისტიანულ და ებრაულ რელიგიების განსხვავებისა, და მეტიც, ამ რელიგიათა მტრული დამოკიდებულებისა, მკურნალობის (ხალხური მკურნალობის ი. ქ.) მეთოდი, როგორც ზოგეირთი სხვახალხური რწმენის გამოვლინება) ებრაელებსა და მათ მეზობელ ქართველებს, ხომეებს, ოსებს და სხვებს ერთი აქვთ. უმრავლეს შემთხვევებში მათ ერთიდაიგივე ექიმი მყურნალობს“.

ამიტომ, ამ მცირედმა. შრომამ შეიძლება რაიმე სამსახური გაუწიოს საქართველოს ხალხური მკურნალობის შესწავლას.



*Доктор И. Курцишвили.*

## НАРОДНАЯ МЕДИЦИНА СРЕДИ АХАЛЦИХСКИХ ЕВРЕЕВ.

(Резюме)

1. На основании исследования материалов автор констатирует: еврейская народная медицина имеет два источника— а) грузинскую народную медицину и б) Библию.

2. Первые данные о народной грузинской медицине встречаются в Илиаде и Одиссее. Народная медицина существует в Грузии и после принятия христианства.

3. Неправильно утверждение исследователя Л. Бердзенова, будто грузинская народная медицина, как таковая, не существовала вовсе.

4. На развитие грузинской народной медицины свое влияние оказывали не только народы Востока, но и Запада, хотя доминирующим было, все-таки, влияние Востока. Это подтверждается ввозимыми — в X—XI в. в. из стран Востока „Карабадинами“.

Один из древнейших, — называемый „Карабадином Авраама“ — переписан неизвестным евреем.

6. Из народов Востока на народную грузинскую медицину наибольшее влияние оказывали арабы, и наилучшими представителями арабской медицины, по крайней мере в некоторых областях, были еврейские ученые (Маймонид и др.).

7. Толкование слова „Карабадин“ Бердзеновым, Иашвили и Котетишвили спорно; автор допускает, что это слово происходит от еврейского корня и должно означать „обряды жертвоприношения“. В те далекие времена одним из методов лечения было жертвоприношение, а потому книга, в которой были описаны эти обряды, должна была называться „Карабадин“, или „обряды“ жертвоприношения“, к которым (обрядам) с течением времени народ присовокупил также практические методы лечения отдельных болезней.

8. Среди ахалцихских евреев народными методами лечения занимались главным образом женщины (знахарки), хотя этим ремеслом занимались также мужчины, „хахамы“, (служители культа) и верующие преклонного возраста и т. д.

В труде дается перечень отдельных заболеваний (жорь, оспа, коклюш, дизинтерия, малярия, ревматизм, туберкулез, чесотка, желудочные заболевания, желтуха, грипп, насморк, геморрой, хирургические заболевания и психические заболевания и т. д.), с изложением методов их лечения народными средствами, а также проводится параллель этих методов с лечением, применяемым в современной научной медицине (лечение кори, хирургических заболеваний и т. д.).

*Dr. J. Kurchishvili.*

## FOLK--MEDICINE OF THE AKALTZIKHEAN JEWS.

### S u m m a r y.

1. Basing on the results of his research the author states: that the Jewish medicine originates from two sources--a) the Georgian folk-medicine and b) the Bible.

2) First mentions about the Georgian folk-medicine we find in the Illiad and Odyssey. Folk-medicine continued to exist in Georgia after the adoption by this country of the christian creed.

3) It is erroneous to maintain, as L. Berdzenov does, that the Georgians had no folk-medicine at all.

4). The growth of the Georgian folk-medicine was influenced not only by the Eastern countries, but also by the West though the dominant influence was coming from the East. This is confirmed by the fact of importation of „karabadinies“ from the East during the X. and XI. centuries:

One of the most ancient of them, called „The Apraham's karabadini“ was copied by an unknown Jew.

5. From all the peoples of the East the most powerful influence upon the Georgian folk-medicine came from Arabia, and the best representatives of the Arabian medicine, at least in some regions, were Jewish scholars (Maimonda and others).

публично обесчестили. И паша взял свою долю—дом их царя и несметное и бесчисленное сокровище золота и серебра, а затем написал письмо, которое отправил хонткару. Вследствие этого и хонткар написал всем своим подчиненным, чтобы евреев, где бы они ни находились под его властью, обложили большими податями, дабы они обеднели и не вздумали творить бесчестие. И так повергли в страдания многих евреев и в разнообразные налоговые поборы. Хотя и мы об этом слышали от других, однако не верно. И направился я на корабле из Смирны в Константинополь. Об этом рассказал греческий диакон по имени Ени, что тот-же Иоанн, который сам был из города Салоник.

---

## ლევონ მელიქსეთ-ბეგი

### Armeno-Hebraica

#### რეზუმე

შენიშვნათა სერიაში საერთო სათაურით Armeno-Hebraica ჩვენ მიზნად ვისახავთ განვიხილოთ ციკლი საკითხებისა სომეხ-ებრაელთა ანუ ებრაელ-სომეხთა ურთიერთობის ისტორიიდან, როგორცაა: 1. „ტერმინები ებრაელთა აღსანიშნავად სომხურ ენაში“, სადაც განხილულია 4 ტერმინი—„პრეა“, „ჰებრაეცი“, „ისრაელ“ და „ჯჰუტ“; 2. „სომხეთი და სომხები ბიბლიურ-არამეულ ლეგენდებში“, რომელშიც განხილულია ხუთიოდე სიუჟეტი ბიბლიიდან, სადაც კი მოხსენებულია რომელიმე სახელწოდება კომპლექსიდან: არარატ, მინი, ასქენაზ, თოგარმა, არმენია; 3. „არამეული ეპიგრაფიკის ძეგლები სომხეთში“, სადაც განხილულია სევენის ტბის რაიონში აღმოჩენილი სომხურ-არამეული წყვილი წარწერა დაახლოებით II ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე (განსვენებულ პროფ. ბორისოვის დეშიფრების თანახმად) და ზაგრევანდის ჰოვანნავანქის ტაძრის კედელზე დაცული ე. წ. „ქალდეური“ წარწერების ინტერპრეტაცია; მე-4 თავში სათაურით „ებრაელები ძველ სომხეთში“ წარმოდგენილია ისტორიული მიმოხილვა ებრაელი მოსახლეობისა სომხეთში უძველეს დროიდან მოყოლებული VII საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით; უმთავრესად სომხური წყაროების მიხედვით. დანარჩენი თავები (5—9) მიძღვნილია ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა: „ებრაელები ძველ სომხურ ლიტერატურაში“; „სომხურ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობისათვის“; „სომხურისა და ებრაული ბიბლიების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხისათვის“; „ებრაულ-სომხური ლექსიკისათვის“ და „სომხები პალესტინა-იუდეაში“; ბოლოში, დამატების სახით, დართულია ზაქარია ჰოვანნავანქელის (XVII ს.) ცნობა თესალონიკელ ებრაელთა შესახებ.

## L Melikset-Bek

### Armeno-Hebraica

#### Summary

In this series of notes and sketches under the general heading „Armeno-Hebraica“ we intend to consider a set of questions bearing on the History of the Armeno-Jewish or Jewish-Armenian relations as: 1. „The terms denoting the name „Jew“ in the Armenian language“—four terms being treated: „Hrea“, „Hebrayetzi“, „Israel“, „Djhut“. 2. „Armenia and Armenians in scriptural legends“—About five legends are examined with the mention of denominations from the complex—Ararath, Minyae, Ashkenaz, Togarma, Armenia; 3. „The monuments of the Aramaic epigraphy in Armenia“—Here are given interpretations of the Aramaic-Armenian inscriptions (III. century a. C.) found in the region of the Lake Sevan (according to the late professor Borisov's decipherment) as well as the interpretation of the Chaldean inscription conserved to the present days on the wall of the Bagrevandian Hovannavank temple. 4. „The Jews in ancient Armenia“, an historical review of the Jewish population in Armenia from the ancient times to the VII century A. D., mainly according to the Armenian sources. The following chapters (5—9) are devoted to the questions as: „The Jews in the Ancient Armenian Literature“; „For the History of the Armeno-Jewish literary contact“; „For the History of the interpretation of the Armenian and Hebrew Bible“; „On the Hebrew-Armenian Lexicology“; „The Armenians in Palestine-Judaea“. In conclusion, as a supplement, is given the information of Zachary of Hovannavank (XVII. cen.) about the Thessalonican Jews.

ა. კრიმინალი

ქართული ეგრეთვე უკულსური  
პროცესების ხანაში

(„ისტორიული დოკუმენტები“ შესავლის მაგიერ)

მუზეუმის შრომების III ტომში წარმოდგენილი დოკუმენტებო გაგრძელება და შეესება იმ ანალოგიური წერილობითი ძეგლებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია „შრომების“ I—II ტომში, აკად. ნ. ბერძენიშვილის და პროფ. შ. ჩხეტიას რედაქციით.

წერილობითი ძეგლების გამოქვეყნების ასეთი ცდა, რაც ჩვენი „შრომების“ თავისებურ ტრადიციად იქცა, უთუოდ გამართლებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ასეთი საშუალებით ჩვენ შევძლებთ მივაწოდოთ დაინტერესებულ საზოგადოებას მრავალმხრივ საინტერესო სამეცნიერო მასალა, რომელიც ჩვენ მუზეუმს დიდი რაოდენობით გააჩნია.

ამ სახის წერილობითი ძეგლების გამოქვეყნება, ცხადია, მართონ იმით არ ამოიწურება, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლისათვის (რაც დღემდე, მიუხედავად ამ ხაზით ჩატარებულ საკმაოდ დიდ მუშაობისა, მაინც დაწყებითი სტადიაში იმყოფება), ამ საბუთებს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის, რაც თავის დროზე I ტომში გამოქვეყნებული ისტორიული მასალებისათვის დაწერილ შესავალში, სამართლიანად აღნიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა:<sup>1</sup>) „ჩვენი საბუთების ცნობები მხოლოდ საქ. ებრაელთა ცხოვრებით როდი ამოიწურება, აქ მრავალი რამაა «არაებრაულიც»... მაგრამ ესეც, რომ არ იყოს, მხოლოდ საქ. ებრაელთა ცხოვრების შესწავლაც საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია“.

ვიღრე წარმოდგენილი საბუთების დასასიათებას და საერთოდ საქართველოში ფეოდალიზმის პერიოდში ქართველ ებრაელთა მდგომარეობის გაშუქებას შევუდგებოდეთ, საქიროა მოკლედ განვიხილოთ ებრაელთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა ევროპის და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში ფეოდალიზმის დროს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს წარმოვადგინოთ ის განსხვავებული წესები და ზოგიერთ შემთხვევაში ორიგინალური ფორმები, რომლებიც

<sup>1</sup> საქ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრ. მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 161, 1910 წ. ქ. თბილისი.

დამახასიათებელი იყო, ერთის მხრივ, ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებისათვის ფეოდალიზმის ხანაში და, მეორეს მხრივ, საქართველოსათვის <sup>1)</sup>.

ამ საკითხის განხილვისათვის ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებიდან გამოვყოფთ მხოლოდ საფრანგეთსა და ესპანეთს, ვინაიდან გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში და სხვა სახელმწიფოებში ფეოდალიზმის დროს მცხოვრებ ებრაელთა მდგომარეობა, ერთ შემთხვევაში თითქმის ანალოგიურია საფრანგეთსა და ესპანეთთან (გერმანია, იტალია) და მეორეში ებრაელთა დასახლების ისტორიის ნაგვიანები დროის, ან მათი სრულიად განდევნის გამო, ჩვენ მიერ დასმული საკითხისათვის დიდ მნიშვნელობას არ წარმოადგენენ.

საფრანგეთში ებრაელთა დასახლება დაახლოებით მე-IV—V საუკუნეს ეკუთვნის. იქ ებრაელები მისდევდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას და, ჩწწილობრივ, სოფლის მეურნეობას; იყვნენ სახელმწიფო აპარატის დიდი თანამდებობის პირები და სხვა მოხელეები.

საფრანგეთის ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში ჩმ. თავითვე ბატონყმურ დამოკიდებულებაში არ ყოფილან. ისინი სხვადასხვა-დროს ეკუთვნოდნენ მხოლოდ მეფეებს და იხდიდნენ გადასახადს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. მეფის მიერ დადგენილი გადასახადი არ იყო ინდივიდუალური, ის წარმოადგენდა საბითუმო თანხას, რომელიც დაწესებულ დროზე უნდა შეეტანათ ებრაელთა საზოგადოებიდან ამორჩეულ პირებს, ხოლო ამ გადასახადის განაწილება ებრაელთა მოსახლეობაში ამორჩეულ პირების მიერ ხდებოდა.

საფრანგეთში ებრაელთა ცხოვრების პირობები მეტად ცვალებადი იყო. ხშირი საგადასახადო და უფლებრივი ხასიათის რეპრესიები სრული გაღატაკების გზაზე აყენებდა ებრაულ მოსახლეობას. განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქნა, როდესაც ეკლესიამ ებრაელობა

<sup>1)</sup> საკითხის გაუმჯობესებისათვის ვხელმძღვანელობთ შემდეგი წყაროებით: П. Сталин—Марксизм и национально-колонияльный вопрос 1937 г. Восточная Энциклопедия, т. т. VIII, IX, X; XIV, XV; С. Мстиславский. Французская революция и евреи, Восток, 1882 г., 3—7; Галевы, Еврейский вопрос и великая французская революция, Рассвет 1882 г.; Оршанский, Евреи в России, 1877 г.; Ресен, Евреи в России, 1906 г.; Д-р С. Бек и д-р М. Фран, Еврейская история, т. I, II, 1890 г.; Rev. Et Juiv; XIV; The Jewish Encyclopedia, vol. VI, IX, XI; Lindo, History of Jews of Spain and Portugal, Лондон 1848 г.; Graetz, Die westgothische Gesetzgebung in betreff d. Juden, 1853 г.; Lucien-Brun, La condition des juifs en France depuis 1789 г.; Debre, die Juden in der Französischen Literatur, 1910 г. и др.

თავის იურისდიქციის ობიექტად აქცია და მეფის ხელისუფლებას საკუთარ ღონისძიებათა დასაყენებლად იყენებდა.

საფრანგეთიდან ებრაელები არა ერთხელ იყვნენ განდევნილნი, მათ შორის ყველაზე დიდი იყო ებრაელთა 1182 წ., 1290 წ., 1306 წ. და 1501 წ. განდევნა. მეფე ფილიპე-აფგუსტინეს მიერ გამოცემული ედიქტით (1182 წ.) ებრაელები საფრანგეთიდან გაასახლეს, მაგრამ შემდეგ მეფე იძულებული გახდა გამოეცა ახალი ედიქტი 1198 წ. ებრაელთა პარიზში დაბრუნების შესახებ, რაც გამოწვეული იყო ებრაელთა წასვლის გამო საფრანგეთის ეკონომიკის შესუსტებით და თვით მეფის შემოსავლის შემცირებით:

მე-XXI საუკ. დამლევს, საფრანგეთში დაბრუნებული ებრაელები, წინა საუკუნეებთან შედარებით, სხვა პირობებში მოექცნენ. ამ პერიოდში საფრანგეთში დაბრუნებული ებრაელები ნაწილობრივ ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ის ებრაელები, რომლებიც სახელმწიფო და სალენო მიწებზე დასახლდნენ, სამეფო და სალენო ყმები გახდნენ. მეფისა და შამპანისგრაფის შორის დადებულ ხელშეკრულების (1198 წ.) საფუძველზე ერთ სალენოდან მეორეში წასული ებრაელი დაუყოვნებლივ დაბრუნებული უნდა ყოფილიყო პირველის განკარგულებაში; ამავე ხელშეკრულებით ებრაელს უფლება არ ჰქონდა მეფის ან გრაფის ნებართვის გარეშე ფული გაესესხებია ან გირაო აეღო.

ამგვარი ხელშეკრულებები დადებულ იქნა სხვა მებატონეთა შორისაც, რომლის საშუალებით მათ ვაიჩინეს შემოსავლის წყარო, ისტორიაში «produit des juifs»-ის სახელწოდებით ცნობილი.

ებრაელთა მდგომარეობა ევროპაში ჯვაროსნულ ლაშქრობის დაწყების და „ინკვიზიციის“ (წმინდა ტრიბუნალის) დაწყების პერიოდთან განსაკუთრებით უარესდებოდა, ეკლესია სისტემატურად უყენებდა მეფეს ახალ პეტიციებს ებრაელთა დევნის შესახებ.

საფრანგეთში 1223 წ. დადგენილ ორდონანსის საფუძველზე ებრაელისაგან ფულის სესხად აღება აკრძალული ჰქონდა როგორც მეფეს, ისე ბატონს. 1234 წ. მეფე ლუდვიკ IX (1226—70), თავისი ქვეშევდრომები გაათავისუფლა ებრაელებისაგან ვალად აღებული თანხის 1/3-ის გადასახადისაგან (Ordonnances, 1,54). მაგრამ ებრაელთა მდგომარეობის გაუარესება მარტო ამით არ ამოიწურება. პარალელურად ამისა მათ დაუწყეს ახალი სახის გადასახადები, ებრაელებმა ახალ გადასახადზე უარი განაცხადეს, რაც დაასაბუთეს მათ მიერ აღრე გასესხებული თანხების დაუბრუნებლობით. მეფე ფილიპე ლამაზმა განკარგულება გასცა ებრაელთათვის სესხის დაბრუ-



ნების შესახებ, ხოლო შემდეგ როდესაც 1306 წელს ხაზინა თითქმის ცარიელი აღმოჩნდა, მეფემ ბრძანება გასცა ებრაელთა სამეფო ფარგლებიდან განდევნის შესახებ, რის შემდეგ მათი უძრავი და მოძრავი ქონება მეფის განკარგულებაში გადადიოდა. მაგრამ დაეკვებულმა მეფემ იმით, რომ ებრაელებმა შესძლეს თავიანთი ქონების ნაწილის გადახდა, იმავე დღეებში პირობით აღუთქვა ყველა იმ პირს, ვინც კი ასეთებს აღმოაჩენდა, რომ მათ მიეცემოდათ გადამალული ქონების  $\frac{1}{5}$  ნაწილი. ამ მიზნით 1306 წ. 22/VII ებრაელები დააპატიმრეს და ციხეში განუშვორეს, რომ მათ მისჯილი აქვთ საფრანგეთიდან გადასახლება. ერთი თვის ვადაში მათ უნდა დაეტოვებიათ საფრანგეთის სააზღვრები და უფლება მისცეს თან წაეღოთ მხოლოდ რაც ზედ ეცვათ და ფულად 12 სუ—(ტურნუა, REJ., II, 15 და შემდეგი).

რამოდენიმე ხნის შემდეგ ებრაელები კვლავ დაუბრუნდნენ საფრანგეთს მეფის ქვეშევრდომებად. დაბრუნების შემდგომი პერიოდის პირველ წლების შედარებითი შეღავათებს მალე სცვლის ახალი რეპრესიები. ეკლესია კატეგორიულად მოითხოვს ებრაელთა გაქრისტიანებას, ან საფრანგეთიდან გასახლებას. ებრაელთათვის დაწესებული გადასახადების რაოდენობა სწრაჟად იზრდებოდა. თუმცა ამ პერიოდში ებრაელები საბატონო ყმები არ ყოფილან, მაგრამ მეფის და ეკლესიის მიერ ჩატარებული რეპრესიები არაფრით განსხვავდებოდა წინა პერიოდის რეპრესიებისაგან, რასაც მოჰყვა იმათი ხელახალი გასახლება 1501 წელს მეფე ლუდოვიკ XII დროს<sup>1)</sup>.

ასეთი იყო საფრანგეთში ებრაელთა მძიმე უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა დიდი საფრანგეთის რევოლუციამდე. რევოლუციამ კარდინალური გარდატეხა მოახდინა მათ ცხოვრებაში, რაც გამოიხატა ებრაელთა მიმართ არსებულ მკაცრი კანონების შერბილებაში. ნაწილობრივ (სოციერთ დეპარტამენტში) მოქალაქობრივი უფლებების მინიჭებაში, და, რაც მთავარია, ებრაელთა მასობრივი განდევნის აღკვეთაში.

**ესპანეთის ებრაელები.** ესპანეთში ებრაელთა დასახლების ისტორია ცნობილია უძველეს დროიდან (მე-IV—V ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე). ებრაელები ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოექცნენ მხოლოდ მე-VII საუკ. ე. ი. ვესტგუთელთა ესპანეთის დროს, როდესაც მეფე ეგვიკამ(ელიკა) ტოლედოს საეკლესიო კრებას 694 წელს წარუდგინა მტკიცება ებრაელთა „გამცემლობისა“ და მათ მიერ არაბთათვის ხელისუფლების შესახებ. მეფემ შეიტანა კანონპროექტი ებრაელთა ყმებად

<sup>1)</sup> 1501 წ. გადასახლებული იყო ებრაელობასაფრანგეთის ყოველი მხრიდან გარდა მარსელისა.

ვადაქცევის შესახებ, რაც ძალაში დარჩა მხოლოდ რაჭდენიშე წელიწადს, ე. ი. 711 წლამდე, არაბების მიერ ესპანეთის დაპყრობამდე.

ფეოდალურ ევროპაში, ჯერ კიდევ ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყებამდე, ებრაელთა მდგომარეობა ჩეტად მძიმე იყო. მაგ. ესპანეთში რეკარდის მეფობის დროს (589 წ.) დაკანონებული იყო ებრაელების მიერ კვირა დღის სავალდებულო დაცვა, ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ არა ებრაელი ყმის ყოლა, აკრძალული იყო ებრაელთა სამსახური საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სხვა. ხოლო ხინტელის მეფობის დროს (638—642 წ.) მე-6-ე მოწვევის ტოლედოს საეკლესიო კრებამ არა შარტო განაახლა წინად არსებული კანონები, არამედ მის მიერ დაწესებული ახალი კანონის საფუძველზე ესპანეთში ცხოვრება აუკრძალა ყველას, ვინც კათოლიკურ სარწმუნოებას არ მიიღებდა.

მეფე ევრიგის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც ტოლედოს მე-12 საეკლესიო კრების მიერ იქნა დამტკიცებული, მოითხოვდა: ებრაელს, რომელიც თავის ოჯახით ერთი წლის განმავლობაში ქრისტიანობას არ მიიღებდა, ქონება უნდა ჩამოართმეოდა, ასი რომე უნდა დარტყმოდა და ნიშნად სამუდამო სირცხვილის თავიდან და შუბლიდან ტყავი აედროთ და შემდეგ სამშობლოდან გაეძევიანათ. 693 წელს ეგიკამ კვლავ გადაართოვა მისი წინაპრის, სიმამრის, მიერ შემოღებული კანონი. მან 693 წ. აკრძალა ებრაელთა კეზოი საკუთრება მიწასა და სახლებზე. ამავე კანონით აკრძალა მათ ნაოსნობა, აფრიკასთან ვაჭრობა და საერთოდ აღებ-მიცემობა ქრისტიანებთან.

ესპანეთში არაბების ბატონობის დროს, რაც მე-VIII—XIII საუკ. გრძელდებოდა, ებრაელთა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ებრაელები, ისე, როგორც ქრისტიანი ესპანელები, ვალდებული იყვნენ არაბებისათვის საყრველთაო გადასახადი (dismna) ექლიათ; რელიგიის საკითხში არაბებმა მათ შიანიქეს თავისუფლება, აღიარეს სისამართლოს ავტონომიურობა და სხვა.

დაპყრობილ ესპანეთსა და არაბთა შორის წარმოებულ სისტემატური ბრძოლების გამო ებრაელობა ყოველთვის საგანგაშო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მე-XI საუკ. დასაწყისში ბერბერთა სარდალ სულეიმანსა და მუჰამედ იბნ—ხიშამის შორის, კორდოვის ტახტის გამო წარმოშობილა უთანხმოება, რომელიც 1013 წ. სულეიმანის გამარჯვებით დამთავრდა, სულეიმანმა კორდოვის აღების შემდეგ გაანადგურა ებრაელთა უბნები და აქ მცხოვრებ ებრაელთა ნაწილმა შესძლო მხოლოდ ვაქცევით შეენარჩუნებინა სიცოცხლე. სულეიმანის ასეთი გალაშქრე-

ბა ებრაელთა წინააღმდეგ გამოწვეული იყო იმით, რომ ებრაელებმა თითქოს მუჰამედს ესმარებოდა სულიმანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არაბთა ბატონობისაგან ესპანეთის განთავისუფლების შემდეგ (რაც 1236 წ. ფერდინანდ მე-3-ის მიერ კასტილიის ალგებით დაგვირგვინდა, რის გამო ფერდინანდს კასტილიის მეფე ეწოდა), ფერდინანდისა და არაგონის მეფე იაკობ 1-ის მეფობის დრო ისტორიაში აღნიშნულია, როგორც პაპისა და ეკლესიის კანონისებულ კანონმდებლობის პრინციპების აღიარების და მათი განუხრელად გატარების დრო. მე-XIV საუკ. პირველ ნახევრიდან ებრაელთა მიმართ კანონმდებლობა განსაკუთრებით აგრესიული ხასიათისაა, რამაც ებრაელთა მდგომარეობა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად უაღრესად მძიმე პირობებში ჩააყენა.

მე-XIII საუკ. ორმოციანი წლებიდან (არაბების ბატონობისაგან ესპანეთის განთავისუფლების შემდეგ) ებრაელები ფეოდალებს აღარ ჰყოლიათ, ისინი მხოლოდ მეფეს ემსახურებოდნენ.

1293 წელს კორტესებმა აიძულეს სანხო მე-IV, რომ მას აეკრძალა ებრაელთათვის ქრისტიანებისაგან მიწის შეძენა.

1412 წ. გამოცემულ, ე. წ. „შეუწყნარებლობის ედიქტის“ საფუძველზე ებრაელები ვალდებული იყვნენ ეცხოვრათ მათთვის მიკუთვნებულ სპეციალურ უბანში (Juderias), რომელიც ვარშემორტყმული უნდა ყოფილიყო სპეციალური კედლებით და ჰქონოდა მხოლოდ ერთი ქიშკარა. ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ საექიმო პრაქტიკა, საკრედიტო ოპერაციები, სააფთიაქო საქმე და ხელოსნობა.

ამავე ედიქტით ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ ვაჭრობა ქრისტიანებთან და სხვა. მათ აკრძალული ჰქონდათ აგრეთვე იარაღის ტარება, წყერის ვაჭრეჭა, ძვირფასი ტანსაცმელის ჩაცმა, გადასახადების მოიჯარადრის თანამდებობის დაკავება, ხოლო ის პირი, რომელიც ემიგრირებას განიზრახავდა, ჰკარგავდა უფლებას საკუთარ ქონებაზე და ყმად გაიყიდებოდა. გრანდებს და რაინდებს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული გაქცეული ებრაელების შენიღვნა. შემატანესა და ისტორიკოსების ცნობებით ამ ედიქტის გავლენით ებრაელთა დიდი რიცხვი იქნა გაქრისტიანებული.

დაახლოებით ასე მიმდინარეობდა ებრაელთა ცხოვრება ესპანეთში, რაც დამთავრდა იმით, რომ მე-XV საუკ. მე-2 ნახ. მეფე ფერდინანდი V-ის (1516—1452) ბრძანებით ებრაელები სრულიად განდევნეს ესპანეთიდან, რამაც დიდად გააოცა მთელი ევროპა და აღმოსავლეთი და ეს ნაბიჯი შეფასებული იქნა, როგორც უაზრო და ქვეყნისათვის საზიანო.

\* \* \*

ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში ფეოდალიზმის ხანაში მცხოვრებ ებრაელთა მდგომარეობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, საბუთებზე და ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობით ჩვენ შევეცდებით გავაშუქოთ ებრაელთა მდგომარეობა საქართველოში ფეოდალიზმის დროს და ხაზი გაუსვათ იმ არსებითი ზასიონის განსხვავებას, რომელიც ებრაელთა მიმართ დამოკიდებულებაში არსებობდა, ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ფეოდალური წყობილების პირობებში.

უძველესი ლიტერატურული ცნობა, როგორც სომხეთსა და საქართველოში ებრაელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას შეეხება, ეკუთვნის მე-VII საუკუნეს და რაც შეიცავს აბრამ კათოლიკოსის განკარგულებას ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ. კათოლიკოსის ამ მიმართებაში სომეხთა ხალხისადმი ნათქვამია, რომ ქართველებსა და სომხებს შორის აიკრძალოს ყოველგვარი ურთიერთობა გარდა ისეთისა, როგორც არსებობს სომხებსა და ებრაელებს შორის, ე. ი. დაშვებულ იქნეს მხოლოდ აღებ-მიცემობა (იხ. *Գրքը Բիւնայ* № 1901, სრ. *Историю Армянн Моисея Каланкатуյскаго*, кн. II, гл. 47). ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ სომხებსა და ებრაელებს შორის აკრძალული ყოფილა სხვაგვარი ურთიერთობა, ვარდა ვაჭრობისა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა წარმოშობილიყო ასეთი ღონისძიება ან რა პოლიტიკური თუ ეკონომიური სარჩული უნდა სდებოდა მას, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის გაუჩვენებელია. შესაძლებელია, მსგავსად ევროპის სახელმწიფოებისა და კერძოდ ესპანეთისა; სომხეთში ეს რეპრესიები ებრაელების მიმართ მოხდა ეკლესიის ზეგავლენით, რის დამადასტურებელი ფაქტები სომხეთის ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მოიპოვება (იხ. *М. Хоренский. История Арменин*). ტარდებოდა თუ არა ამ პერიოდში ასეთი ღონისძიებები ებრაელთა მიმართ საქართველოში, ამ საკითხის შესახებ სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ვერატირს ვიტყვით.

როგორც საბუთებიდან ჩანს, გვიანფეოდალურ ხანაში, საქართველოს ებრაელთა მდგომარეობა, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, რადიკალურად განსხვავდებოდა ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში მცხოვრებ ებრაელთა მდგომარეობისაგან<sup>1)</sup>. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთივე არსებითი განსხვავება არსებობდა რელიგიის საკითხებშიაც. ამას გარდა, მრავალმხრივ

1) უნდა დავსძინოთ, რომ უძველესი დროიდან ქართველ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ წერილობითი და სხვა ცნობების სიმცირის გამო, ჩვენ შესაძლებლობას მოკლებული ვართ პერიოდულად შევადაროთ მათი მდგომარეობა ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში მცხოვრებ ებრაელთა პირობებს და ბევრ შემთხვევაში იძულებული ვართ დავფერდნოთ მოგვიანო პერიოდის საბუთებს და ლიტერატურულ ცნობებს.

საინტერესოა ისიც, რომ საქართველოსთვის უცხოა საკითხი ებრაელთა საქართველოდან განდევნის შესახებ, რაც სხვა სახელმწიფოებისათვის (როგორც ევროპისა, ისე აზიის), მათ შორის სომხეთისათვისაც, დამახასიათებელი მოვლენა იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა ეკონომიური საქმიანობის სახეები თითქმის იგივე იყო, რაც სხვა ქვეყნების ებრაელთა და ძირითადად ადებ-მიცემობასა, ხოლო ნაწილობრივ ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში გამოიხატებოდა. ფეოდალურ საქართველოში ისე, როგორც ფეოდალური ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ებრაელები უმთავრესად „თეთრით მოსამსახურენი“ იყვნენ. ებრაელი მეფეს და ბატონს თეთრით ემსახურებოდა. ცხადია, ჩვენ ამით არ გამოვრიცხავთ იმას, რომ, როგორც ჩვენში, ისე სხვა სახელმწიფოებში, ებრაელთა ნაწილი (თუმცა მცირე) ნატურითაც ემსახურებოდა მეფეს და ბატონს.

კუთვნილების თვალსაზრისით ქართველ ებრაელები იყვნენ: სამეფო-სადეიდოფლო, საეკლესიო-სამონასტრო, სათავადაზნაურო ყმები, ხოლო ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში ებრაელები უმთავრესად სამეფო ყმები იყვნენ. გარკვეულ პერიოდებში გვხვდებიან საბატონო ებრაელი ყმებიც.

რაც შეეხება ებრაელ საეკლესიო-სამონასტრო ყმებს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარდა, ისინი თითქმის არსად გვხვდებიან. უნდა ვიფიქროთ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ევროპის სახელმწიფოებში ეკლესია უფრო სასტიკად იბრძოდა იუდაიზმის წინააღმდეგ, ვიდრე ამასადგილი ჰქონდა საქართველოში. ეკლესია სხვადასხვა სახის რეპრესიული ზომებით კატეგორიულად შოთხოვდა ებრაელთა გაქრისტიანებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის ებრაელებს განდევნით ემუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში ეკლესია, ებრაელთა წინააღმდეგ ასეთი რეპრესიული ღონისძიებების გატარების მომენტში, არ აყენებდა საკითხს ებრაელთა ეკლესიის ყმობის შესახებ, და არა მარტო ნამდვილ ებრაელთა, არამედ გაქრისტიანებულ ებრაელთა შესახებაც კი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ, ერთის მხრივ, ეკლესია ამას ქრისტიანული რელიგიის საწინააღმდეგო მოვლენად სთვლიდა, ხოლო, მეორეს მხრივ, და რაც მთავარია, ეკლესიას რეპრესიული ზომების საშუალებით ებრაელთა სრული განდევნა და მათი ქონების კონფისკაცია ეწადა. რაც შეეხება გაქრისტიანებულ ებრაელთა ყმობას, ცნობილია, რომ ეკლესია მათ არ უყურებდა როგორც ნამდვილ ქრისტიანებს (იხ. История инквизиции т. I) არამედ, როგორც შენიღბულ ქრისტიანებს.

საკირობა აღენიშნოთ, რომ ქრისტიანობის ასეთი გალაშქრება იუდაიზმის წინააღმდეგ გამოწვეული იყო იმით, რომ საეროდ ევროპასა და კერძოდ. საფრანგეთსა და ესპანეთში იუდაიზმი დიდ მეტოქეს წარმოადგენდა ქრისტიანობისათვის, რაც დაბატურდება ესპანელი მარნების და შავრების ძლიერი ტენდენციით გაიუდელოებისადმი და სხვა.

ფეოდალური ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში სხვადასხვა პერიოდში მცხოვრებ, სამეფო, სალენო-საბატონო ებრაელი ყმის, მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა. ქართველი ებრაელის ყმის მდგომარეობისაგან, რადგან საქართველოში კანონით არ იყო აღიარებული ყმა ებრაელის თუ ებრაელი ბატონის განსხვავება ყმა ან ბატონი ქართველისაგან. ყმა ებრაელი იურიდიულად ყმა ქრისტიანის უფლებებით სარგებლობდა. საბუთებით ირკვევა, რომ ყმა ქართველი გლეხისათვის როგორც მეფის, ისე ეკლესიისა და ბატონის მსრივ არ არსებობდა ისეთი პრივილეგიები, რაც უცხო ყოფილიყო ებრაელისათვის. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოების ებრაელთა მდგომარეობას, აქ სრულიად სხვა სურათი გვაქვს და, რაც მთავარია, ებრაელი გამოყოფილია თავის სოციალურ მოძმებიდან და წარმოადგენს სრულიად უცხო ელემენტს. ებრაელთათვის დაწესებული კანონები. როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ დარგში მიუთითებს მათ სრულ იზოლირებაზე საზოგადოების სხვა ფენებისაგან. აი ის მთავარი განსხვავება, რაც დამახასიათებელია საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ ებრაელთა პირობებისათვის.

საქართველოში მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ქართველთა და ებრაელთა შორის შექმნილ მდგომარეობას, ხოლო ევროპასა და სხვა სახელმწიფოებში არსებულ ებრაელთა დევნას, მე-XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე თავის ვრცელ წერილში „ურბების ბედი“ სწერს: „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხედია... რამდენე ხანია ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომლებიც ებრაელებს არ გამოეცადოს. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუჭვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლეობა, რომელსაც ებრაელები არ დაეპაროს, სდევნიდნენ ებრაელებს ვიზარცა ერს, სღვნიდნენ ვი-

თარცა თავისუფლებისა და განსაკუთრებულის სჯულის მაღიარებელთ, სდუნენდენ ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილობის წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდენელები ხან ერთ საბუთას აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი“...

ქართველთა და ებრაელთა დამოკიდებულების შესახებ ილია შემდეგ აზრს გამოთქვამს: „... ხვირად სადმე შეეჯავისებინა ჟრები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ, ჩვენდა საწუხაროდ არ ვიცით, რა უფლება ჰქონდათ ჩვენში უწინდელ დროის ებრაელებს. შევძლოთ თუ არა ადვილმამულის შეძენა, ჰქონდათ თუ არა ნება ყველგან დასახლებიისა, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ უკანასკნელ დროს და ეხლაც არც ერთ იმ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომელნიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“ 1)“...

ცნობილი პუბლიცისტი და ქართული პედაგოგიკის ნამამთავარბ იაქობ გოგებაშვილი თავის წერილში — „ქართველთა სწავლა განათლების ნიჭი“, ებრაელთა შესახებ შენიშნავს: „საქართველოში ძველიდგანვე სცხოვრობენ ჟრები, მაგრამ საშუალო საუკუნოებშიაც კი არ დასდგომიათ გაჭირვება ქართველთაგან, და ჟრების დარბევა, რაც ასე ხშირად იყო და ეხლაც არის ევროპაში, არასოდეს არ მომხდარა საქართველოში. ებრაელებს საქართველოს მეფენი სამძიმო დიპლომატიურ საქმესაც კი მიანდობდნენ ხოლმე“ 2)“

ებრაელთა დევნის საწინააღმდეგო ღრმა პროტესტებით და მეგობრული დამოკიდებულების გრძობებით არის გასსკვალული მრავალი სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა მიერ გამოთქმული აზრები ებრაელთა მიმართ (ა. წერეთელი, ვ. ბარნოვი, გ. წერეთელი, უცდომილი, ხახანაშვილი და სხვ.).

რაც შეეხება ფაქტების დეტალიზებას და ისტორიულ პარალელებს, ის შემდეგში მდგომარეობს.

ფეოდალურ საქართველოში ებრაელს ჰყავდა არა ებრაელი ყმები, მაგრამ ეს ქრისტიანობის შეურაცყოფად არ ითვლებოდა, როგორც უცხოეთში, სადაც ამგვარი მოქმედებისათვის ებრაელი ისჯებოდა სასტიკად (ქონების კონფისკაცია და სხვა).

ვაჭრობის აკრძალვა ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის, რაც ფეოდალურ ევროპაში სხვადასხვა დროს იყო დაკანონებული

1) ი. ჭავჭავაძე, ჟურნალი „ივერია“, 1881 წ. 6, გვ. 136.

2) გახ. „ივერია“, 1901 წ. № 2.

საქართველოს სინამდვილიდან ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ასევე უცნობა საქართველოში ებრაელთათვის უძრავი ქონების შექენის აკრძალვა (იხ. საბუთ. № 3, 1731 წ., საბუთ. № 4, 1733 წ. და სხვა), ან მისი მასობრივი კონფისკაცია, რაც უცხოეთში სისტემად იყო ვადაქცეული.

საქართველოში უცხო იყო ებრაელთათვის მუშაობის აკრძალვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ან სახელმწიფო აპარატში, რაც არა ერთხელ მომხდარა სხვა ქვეყნებში, თუმცა სამწუხაროდ ჩვენთვის დღემდე უცნობია ვინმე წარჩინებული ებრაელის პიროვნება, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო აპარატში უმოღვაწენია.

წინამდებარე ტომში, წარმოდგენილი და 1 ტომში გამოქვეყნებული საბუთებით ირკვევა, რომ საქართველოს ებრაელები უმეტეს შემთხვევაში ისეთივე შევიწროებას განიცდიდნენ გარემო მტრების მხრივ, როგორც ქართველები და ამ უკანასკნელთა მსგავსად იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებიხათვის მტრებისაგან.

ასეთივე განსხვავებული მდგომარეობაა ფულის სესხად გაცემის საკითხშიაც. საქართველოში ბატონსა და ყმას შორის ფულის სესხად გაცემის შემთხვევებში ხშირად ყოფილა და საზღვლის აღების თავისებურა წესიც არსებულია „ათი თერთმეტის, ათი თორმეტის“ სახელწოდებით (იხ. საბუთი № 15, 1816 წ.). იყო შემთხვევები, როდესაც ბატონი ყმას უნარს ეუბნებოდა სესხის დაბრუნებაზე, მაგრამ ეს იყო თვით ბატონის ძალადობა და არა კანონით დაწესებული მოვლენა, როგორც ამას საფრანგეთსა, ესპანეთსა და სხვა სახელმწიფოებში ჰქონდა ადგილი.

საქართველოში შემოღებული იყო ყმა ებრაელის გამზითვება, გაჩუქება, ეკლესიისათვის შეწირვა და სხვა (იხ. საბუთ. № 7, 1764 წ.), რაც უცხო იყო ევროპისა და სხვა ქვეყნები სახელმწიფოებისათვის. ეს ფაქტები ერთხელ კიდევ მოწმობენ იმას, რომ აქ საქმე ვაკეის ებრაელის არა იზოლირებასთან, არამედ მის სრულ გაიკვივებასთან უფლება-უფლებობაში თავის სოციალურ მოძმებთან.

რაც შეეხება ებრაულთა საეკლესიო ყმობას საქართველოში, ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძალზე ძნელია და შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთსა და ესპანეთში ისე როგორც სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში, ეკლესია ძირითადად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა ებრაელთა მიმართ, ვიდრე ეს საქართველოში იყო. საქართველოს ისტორიიდან ჯერ უცნობია იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ეკლესიან იძულებით მოექციათ



ებრაელები ქრისტიანებად ან ეწარმოების ისეთი პროპაგანდა, რაც ქართველებსა და ებრაელებს შორის მტრობას გამოიწვევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ევროპისათვის უცხო იყო ებრაელთა საეკლესიო ყმობა იმ სახით, როგორც ეს საქართველოში არსებობდა.

როგორც ზემოდ ვთქვით, საქართველოში ეკლესიი-არ ეწეოდა ანტიებრაულ პროპაგანდას, მაგრამ ეს როდღი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში თითქოს ის სრულებით ყოფილიყო გამორიცხული. პირიქით, ჩვენ გვაქვს საბუთები, ანუ ერთი ებრაელის მოქცევისა ქრისტიანად, რისთვისაც მას ათავისუფლებდნენ გადასახადისაგან და მიწასაც აძლევდნენ (იხ. საბუთ. № 6, 1740 წ.). მაგრამ, ეს იყო წამხალისებელი ღონისძიება და არა ისეთი რეპრესია, როგორსაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ ევროპაში და რომელსაც ებრაელთა მხრივ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მოჰყვებოდა ქონების კონფისკაცია, სამშობლოდან გაძევება, 7 წლის ჰასაკის ზევით ბავშვების იძულებითი გაქრისტიანება და ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯაც კი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოფილა ქრისტიანის გაიუდეელების შემთხვევაც კი, რასაც არავითარა სასჯელი არ მოჰყოლია.

თავის დროზე ქართველი ისტორიკოსები ერთგვარ სიმბატი-ით იხსენიებდნენ იუდაიზმს და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში ებრაელებს წილს უდებდნენ. მრავალთა შორის ამ საკითხის შესახებ აღსანიშნავია აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული აზრი. „ებრაელების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა საქართველოში, კერძოდ, მცხეთაში, ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამც თუ წინააღმდეგობას არ უწყევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიდაგიც კი მოუშხადეს მას: პირველი პროზღელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში პოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად აბიათარი, სიდონია და სხვები“<sup>1)</sup>.

საყურადღებოა, რომ, ამგვარი ცნობები საკმაოდ გავრცელებულია სამხურ ისტორიულ მწერლობაშიც, რომლებიც მიუთითებენ ებრაელთა აქტიურ მონაწილეობაზე სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებაში. ასეთი სახის ცნობებიდან გამოი-

<sup>1)</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 437, თბილისი, 1941 წ.

დინარე საკითხი ისმის, სახელდობრ, თუ რით უნდა აიხსნას ებრაელთა ასეთი აქტიური მონაწილეობა ქრისტიანობის გავრცელებაში იმ დროს, როდესაც უკანასკნელი წარმოადგენდა იუდაიზმის მიმართ დიამეტრულად საწინააღმდეგო მოვლენას.

სამწუხაროა, რომ მიუხედავად ამ საკითხის დიდი აქტუალობისა, დღემდე (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია), ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ღიად არას დატოვებული და ელის სპეციალისტების მიერ სათანადო ყურადღების მიქცევას.

რაც შეეხება იმას, რომ საქართველოში იუდაიზმი არ წარმოადგენდა ქრისტიანობისათვის საშიშ, ძლიერ მოძრაობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ევროპაში, კერძოდ, ესპანეთში; ამის შესახებ საგულისხმოა აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული აზრთ, რომელიც შეეხება საქართველოში ქრისტიანიზმის ჩასახვის პერიოდს:

საერთოდ ქართველი ებრაელები ისეთ კულტურულ ძალას არ წარმოადგენდნენ, რომ მათ შესძლებოდათ სახელმწიფოებრივი რელიგიისათვის მეტოქეობა და წინააღმდეგობა გაეწიათ. ამიტომ არც ქართველებს ჰქონდათ საბაზი, რომ მათ წინააღმდეგ დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა ეწარმოებიათ. ამით აიხსნება, რომ ქართული ანტიებრაული სარწმუნოებრივი პოლეტიკა მთლიანად ნათარგმნია “ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 437—450). საქართველოში რომ იუდაიზმი საშიშ მოვლენას არ წარმოადგენდა, ამის დამადასტურებელია ისიც, რომ საქართველოში ებრაული კულტის მსახურთა იერარქია არ არსებობდა, და ასეთთ კი, მხოლოდ მე-XIX საუკ. 60—70 წლებში ყალიბდება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, საქართველოში არავითარი პრივილეგიები არ არსებობდა ხაზმის თანამდებობის მქონე პირებისათვის და სხვა ყმების მსგავსად მათაც გაამზითვებდნენ და გააჩუქებდნენ.

საშუალო საუკუნეების მფაზურის ბენიამინ ტუდილელის ცნობით, საქართველოში რაზინის ან სხვა თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატის დასამტკიცებლად მიდიოდნენ ბარდაღში, სადაც მას (კანდიდატს) წარუდგენდნენ ექსლიარქს (დასაპორის უფროსი), და მისი დასტურით მოხდებოდა ტიტულის მინიჭება და თანამდებობაზე გაფორმება. მოგზაურის ეს ცნობა (იხ. Три путешест, енная, СПб, 1881 г.), რომელიც მე-XI საუკ. ეკუთვნის, ერთნ მხრივ ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს საქართველოში, როგორც კულტის მსახურთა იერარქიისა ისე იერარქის არ არსებობის შესახებ, მეორეს მხრივ, საშუალო საუკუნეების საქართველოში საერთოდ იუდაისტურ

და კერძოდ თალმუდისტურ (რაბინისტულ) სუსტ მოძრაობას შედარებით სხვა სასელმწიფოებში ამ ხაზით არსებულ მდგომარეობასთან. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში, მე-X საუკუნეში, ვინმე ალ-ნელა ტფილისელმა დაარსა კარაიმიული სექტა, რომლის ნაშთები საქართველოში დღემდე საგრძნობი არის. ეს ფაქტიც მოწმობს იმას, რომ კარაიმიული სექტა აქ ვერ შეხვდა ისეთ ძლიერ რაბინისტულ (თალმუდის მიმდევარნი) მოძრაობას, რომ მისთვის ხელი შეეშალა, როგორც ეს აღმოსავლეთსა და ევროპიულ ქვეყნებში ხდებოდა.

ფეოდალური ხანის საქართველოს მდგომარეობის შეფასებისა და ებრაელთა ყმობის სპეციფიური ფორმების განხილვისას მხედველობაში მისილება ისიც, თუ რა სუფრითი წონა ჰქონდათ ქართველ ებრაელებს ამ პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში.

ცნობილია, რომ შუცხოეთის ქვეყნების ეკონომიურ დაწინაურებაში ებრაელები საგრძნობ როლს თამაშობდნენ, ამით იყო გამოწვეული ის რომ განდევნის შემდეგ მათ, სპეციალური დეკრეტებით უკან აბრუნებდნენ. გარდა ამისა ებრაელთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილის დაკავების გამო, კონკურენტის ნიადაგზე წარმოიშობოდა ეკონომიური კონფლიქტი, რაც შემდეგში რელიგიური ბრძოლის სახეს ღებულობდა.

საქართველოში საქმე გვაქვს განსხვავებულ მდგომარეობასთან, რაც იმაში გამოძახატება, რომ ფეოდალურ საქართველოში ვაჭრები იმ თავითვე უმთავრესად არაქართველები ჩანან, განსხვავებით ევროპისა და სხვა ქვეყნებისაგან. ცნობილია, რომ სომხეთში ებრაელობა უძველეს დროიდან ცხოვრობდა და ფაუსტ ბიზანტიელის ცნობით 200.000 ათას კომლს, ხოლო პროფესორ მელიქსეუბეკის ცნობით 100.000 აღწევდა<sup>1)</sup>, მაგრამ საშუალო საუკუნეებში ისინი აქ თითქმის აღარ სჩანან. ისმება კითხვა, სად წავიდნენ სომხეთის ებრაელები, ან რატომ ვერ შეიძინა სომხეთმა ებრაელები?

ბირველი საკითხის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ებრაელების ნაწილი სომხეთიდან საქართველოში, შარჟანში და კავკასიის სხვა ქვეყნებში გაიხიზნა, საიდანაც ერთნი სამხრეთ რუსეთში, ხოლო მეორენი სირიასა და ირანში გავიდნენ, რაც შეეხება ებრაელთა სომხეთიდან გასვლას, — ეს უნდა ყოფილიყო ეკონომიურ ნიადაგზე

1) საქ. უბ. ისტ.-ენოგრაფიული მუხებზე, შრომები, ტ. III, Armeno-Hebraica, გვ. 213.

შექმნილი ხანგრძლივი კონფლიქტი, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ ძირითადადში როგორც ებრაელი ისე სომეხი, ორივე ეაქრის ტიპს წარმოადგენდა. საქართველოში ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი გამორიცხული უნდა ყოფილიყო და ებრაელების შემონახვაშიც ეს გარემოება ერთ-ერთ ფაქტორად უნდა იქმნეს აღიარებული.

რაც შეეხება ებრაელთა ხეიდრითი წონას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად რჩება, ვიდრე სათანადო წერილობითი და სხვა სახის ძეგლები ამის სათანადო დადგენის შესაძლებლობას არ მოგვცემენ.

ამრიგად, საქართველოში, ქართველებსა და ებრაელებს შორის ეკონომიური ქიშკობის ან ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილი რელიგიური კონფლიქტის ნიშნები არსებული წყაროების მიხედვით არ ჩანს.

როგორც ვხედავთ, ქართველ ებრაელთა მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში მრავალმხრივ განსხვავებული და სპეციფიკურია ფეოდალური ევროპისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოებში მცხოვრებ ებრაელთა მდგომარეობასთან შედარებით.

\* \* \*

წინამდებარე საბუთები ძირითადადში გამოვლინებულია საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუხეუმის მეც. თანამშრომლების: აშხ. აშხ. მ. მამისთვალიშვილის და ი. ქურჩიშვილის მიერ. ქუთაისის საისტორიო არქივის საბუთები გამოავლინა აშხ. მ. ბინიაშვილმა, ლენინგრადის სახ. საისტორიო არქივის საბუთები კი გამოვლინებულია ამ სტრიქონების ავტორის მიერ.

*А. Крихели.*

## ГРУЗИНСКИЕ ЕВРЕИ В ЭПОХУ ФЕОДАЛИЗМА

(Вместо введения к „Историческим документам“)

### (Р Е З Ю М Е)

I. Издаваемые в III томе Трудов Музея исторические документы периода XVII—XIX веков являются продолжением и дополнением к письменным памятникам, опубликованным в I—II т. т. Трудов Музея, под редакцией акад. Н. Бердзенишвили и проф. Ш. Чхетия.

II. Для выяснения своеобразной специфики правового и экономического положения грузинских евреев в период феодальной Грузии, в отличие от положения евреев европейских государств и азиатских стран, автор, на основании публикуемых и других документов, литературных данных, летописей и пр. источников, приходит к след. выводу:

1) Огличительные особенности живущих в феодальной Европе евреев от грузинских выражаются в том, что по канонам законодательствам в европейских государствах евреи во всех отраслях (политической и временами экономической) жизни абсолютно были изолированы от основного населения страны и вынуждены были вести замкнутую и обособленную жизнь. В отличие от этих стран, в Грузии мы имеем противоположную картину, т.к. грузинские евреи не находились в изоляции, наподобие европейских евреев; они здесь пользовались всеми правами, наравне со своими социальными собратьями и одинаково с ними угнетались помещиками и другими общественными слоями.

2) Если евреи феодальной Европы и других стран света систематически подвергались избиению и изгнанию из тех мест (Испания, Германия, Франция и др.), где жили испокон веков, то в Грузии подобные репрессии к ним не применялись.

3) Если в том или ином европейском государстве евреи, в силу их экономической и политической изоляции, редко попадали в категорию помещичье-крепостных, и то на определенный период времени, а в основном принадлежали королям и уплачивали большие подати, на основе круговой поруки, то в Грузии евреи, так же как и крестьяне грузины, были крепостными, и в ней не существовало никаких ограничительных мер, отличавших крепостного грузина от еврея.

4) В Грузии наблюдаются факты существования и еврея помещика.

5) Крепостные евреи, как собственность, делились на царских, церковно-монастырских и княжеско-дворянских. Наряду с крепостными грузинами, среди евреев были также потомственные хизаны (долгосрочные, полукрепостные арендаторы), богано (не связанные с данной землей, пришлые элементы), беглые и т. п.

6) Основными видами экономической деятельности грузинских евреев были торговля (по преимуществу), занятие ремеслами и сельское хозяйство.

Крепостные евреи служили своим господам „серебром“ (ყოფილი მფობდებლები, т. е. платили оброк деньгами), а также натурой.

7) Законодательства, направленного против евреев, подобно тому, как это было в государствах Европы и других частях света, как-то: запрещение евреям кредитных операций, занятия ремеслами, врачебной практикой, ростовщичества, мореходства, торговых взаимоотношений с христианами и др., Грузия не знала.

8) Пользуясь всеми экономическими и политическими правами, наравне со своими социальными собратьями, евреи были настоящими патриотами Грузии, ценою собственной жизни защищавшие ее от внешних и внутренних врагов.

Грузинские евреи, наравне с грузинами, разделяли счастье и невзгоды страны, так же выселялись насильственными порабителителями из Грузии и продавались рабами за рубеж, где насильственно вынуждали их принять ислам или же, с риском для жизни, бежать обратно на родину.

Крепостные евреи, как и крепостные грузины, так же прода-

запись феодалами внутри и вне страны, а равно отдавались в приданое, жертвовались церкви и т. д.

9) В Грузии не наблюдается фактов насильственного обращения евреев в христианство, поскольку церковь не занималась активной антииудейской пропагандой, а, главное, здесь церковью не проводится тенденции сделать евреев объектом своей юрисдикции, как это имело место во Франции, Испании, Германии и т. д.

Если в Грузии имелись случаи перехода евреев в христианство, то это нельзя расценивать, как насильственное обращение в том смысле, как это практиковалось в европейских государствах, каковое обстоятельство было предусмотрено специальным законом: евреи, не принявшие христианства, подвергались пыткам, конфискации всего имущества и изгнанию из родины, чего в Грузии не замечается.

Улучшение положения крещеного еврея в Грузии, как-то: освобождение от податей, дача земли и т. п., служило лишь поощрительным мероприятием.

10) В Грузии имели также место случаи перехода христиан на иудейскую веру.

11) Что в Грузии церковь не вела активной анти-иудейской пропаганды и что, с другой стороны, иудаизм здесь не соперничал с христианством, видно из того, что, в отличие от государств Европы, в Грузии мы встречаем церковно-монастырских крепостных из евреев, несмотря на то, что это в корне противоречило религиозным догмам иудаизма, а также из того, что евреи пользовались всеми юридическими правами, наравне с церковно-крепостными из Грузии.

12) Надо полагать, что в средневековой Грузии иудейское движение было слабо развито. По свидетельству путешественника Вениамина Тудельского (X—XI в. н. э.), в отношении изучения религиозных канонов, или утверждения когидибо на должность слугителя культа, грузинские евреи находились в полной зависимости от Багдада, почитались авторитету Багдадской Академии, подобно тому, как это было у евреев средневековой Европы; но там, где имелась почва для организации самостоятельной талмудистической академии, в связи с усилением иудейского движения (напр. в X в. н. э. при мусульманском владычестве, основание в Кордове, в Испании,

самостоятельной Талмудистической Академии) евреи стали независимыми от Академии в Багдаде.

Сведения о существовании в Грузии караимской секты, под руководством Абу Ал Муса Тифлисского, тоже говорят о том, насколько здесь слабо развивалось раввинско-талмудическое движение, вследствие чего организации караимской секты не встречали больших препятствий со стороны сторонников талмудического движения, как это имело место в европейских и других странах.

13) Кроме того в поздней феодальной Грузии, до 60-х годов XIX столетия не замечается существования института иерархии, за исключением титула хахама, при чем исполняющие должность хахама не пользовались какими-либо льготами, по сравнению с другими крепостными, как это подтверждается публикуемыми документами; они жертвовались церкви, отдавались в приданое и т. п., наравне с другими крепостными евреями.

14) На основании литературных данных, а также опубликованных и неопубликованных рукописных памятников, можно допустить, что в Грузии в крепостнический период, почти не существовало каких-либо религиозных конфликтов между грузинами и евреями и, на протяжении десятка веков совместной жизни, евреи не подвергались притеснениям и унижениям, порождаемым духовенством, каковые существовали в государствах Европы и других странах света.

15) Относительно удельного веса грузинских евреев в экономической жизни Грузии, насколько позволяют судить наличные источники, можно допустить, что, поскольку в Грузии преобладающим большинством торговцев были не грузины а евреи и армяне, постольку их роль в экономике Грузии в период феодализма должна была быть заметной. Грузинские евреи в силу своей профессии, представляли в тот период в Грузии необходимо общественно-полезный элемент для страны что сыграло не малую роль в деле сохранения евреев на протяжении двух десятков веков.

Известно, что численность еврейского населения, искони проникшего в Армению согласно статистическим данным Фа-



уста Византийского и др. историков (по сводке проф. Меликсет-Бека), достигала ста тысяч дымов и более; однако в VII—VIII веках оно почти исчезло, каковое обстоятельство было, в основном, вызвано экономическим конфликтом, возникшим на почве сильной торговой конкуренции.

16) Условия жизни и развития грузинских евреев являются особенно специфичными и благоприятными для них, по сравнению с условиями жизни евреев, существовавшими в государствах феодальной Европы и других странах.

*A. Krikheli.*

## GEORGIAN JEWS DURING THE FEUDAL PERIOD

(For the introduction to the „Historical Documents“)

### S U M M A R Y.

I. The historical documents of XVII—XIX. centuries published in this vol. III. of the Museum Transactions are in some respects a continuation of and a supplement to the manuscripts already issued in vols. I. and II., edited by Prof. N. Berdzenishvili and Prof. Sh. Chketia.

II. In order to throw light upon the specific character of economic and legal conditions of the Georgian Jews during the feudal system in this country, as distinct from the status of the Jews prevailing at the same period in the European and Asiatic countries, the author on the ground of the published documents, literary sources and other materials comes to the following conclusions:

1. It is characteristic for the feudal Europe that, in conformity with the canon law, the Jews were completely severed from the principal population, excluded from all kinds of economic and political activity, and forced to live a secluded and isolated life. Whereas in Georgia we witness quite the opposite: the Jews were not isolated, here they possessed equal legal rights with their social brethren and were equally oppressed by their landlords and magnates.

2. If the Jews in the feudal Europe and other parts of the globe were systematically persecuted, massacred, looted and expelled from the places where they lived since time immemorial (Spain, Germany, France etc.), in Georgia no such methods were ever used.

3. If in Europe the Jews, owing to their political and economic isolation (except France) might fall into the category of landlord serfs, and that only for a definite period of time, in the

main constituting the king's property and paying off extensive wholesale taxes on the principle of joint obligation, in Georgia, like the Georgian peasants, they belonged to the class of serfs with no legal distinction whatsoever among them.

4. In Georgia we witness also the cases of the Jewish landlordship.

5. In Georgia the Jewish as well as native serfs, like property in general, were divided into three categories: the serfs belonging to the king, to the church and the nobles. Along with the Georgians there were among the Jews hereditary „hizani“—serfs (long termed leaseholders) as well as „boganoni“ (non-local alien elements), fugitives and so on.

6. The principal field of economic activity of the Jews in Georgia was particularly trade, handicrafts and agriculture.

The Jewish serfs served their masters by paying them taxes in „silver“ (თვეთის მონაგებობა) and also in kind.

7. There were in Georgia no laws directed against the Jews, as in Europe and other countries, debaring them financial transactions or the practice of handicrafts, medicine, usury, navigation and trading with the christians.

8. Enjoying the same economic and political rights on footing of perfect equality with their social brethren, the Jews of Georgia were real patriots of this country defending it from enemies at the price of their lives.

The Georgian Jews shared with the natives in the joys and adversities of the country, suffered massacres and deportations by the invaders, were forced to embrace Islam or attempt to escape at their own peril. Both the Jewish serfs and the Georgians alike were being sold by their lords in and out of the country, given up in dowries, handed over to the church and so on.

9. In Georgia we find no facts of forcible conversion of Jews into christianism, for the church carried on no active anti-jewish propaganda, and what is still more essential, here we see no tendency of the church to submit the Jews to its jurisdiction, as the case was in France, Spain, Germany and other countries. If there were cases of conversion of the Jews into the christian creed they were due not to compulsion, as in Europe, where

similar circumstances were regulated by the law and the Jews refusing to espouse christianity had to undergo ordeals, confiscation of their property and expulsion from the country. In Georgia no such measures were practised.

Betterment of well-being of the converted Jews, as exemption from taxation, grant of land etc. was resorted to only by way of stimulation.

10. In Georgia the reverse cases might also be observed — conversions of christians into judaism.

11. That the church of Georgia carried on no active anti-jewish propaganda and that, on the other hand, judaism here was not hostile to christianity is borne out by the fact that, here, unlike Europe, and only here, we meet with the church and monastic Jewish serfs, though this was in flagrant contradiction with the religious dogmas of judaism. and that the Jews enjoyed here all legal rights exercised by the natives.

12. It is to be presumed, that the number of the Jews in Georgia was so insignificant that according to the traveller Benjamin of Tudela (X.—XI. centuries A. D.) the Jews inhabiting this country, as regards the study of religious canons or appointment of ministers of religious worship, were wholly depending upon Bagdaditan, being subordinated to the authority of the Bagdadinian Academy, as the Jews of the Mediaeval Europe were. But the Jews were becoming independent where they found favourable conditions for the organization of independent talmudic academies in connection with the intensification of the jewish movement. Thus, e. g. an independent talmudic academy was founded in Cordova under the Islamic rulers, in X. century.

Materials showing the existance of the Karaité sect in Georgia under the leadership of Abu—Al—Mussa of Tbilisi also comes in support of the presumption that the talmudic rabinical movement in this country should have been feebly developed, and owing to that the Karaites met no impediment on the part of the talmudic adherents, as the case was in Europe and other countries.

13. Moreover in the later feudal Georgia to the sixties of XIX. century among the Jews we see no hierarchical institutions besides the title of „khakhami“, who enjoyed no privileges distinguishing them from the rest of serfs, they were being bestowed

19. სავ. ებრ. ისტორ.-გეოგრაფ. მუზ. შრომები.

to the church, given up in doweries like the others. Such are the facts borne out by the published documents.

14. On the ground of literary materials as well as published and unpublished manuscripts it may be asserted that during the serfdom system in Georgia there were scarcely any religious conflicts among the Jews and Georgians, and in the course of two thousand years of their coexistence the Jews here experienced no humiliation or persecutions like those that were being continually wrought up by the clergy in Europe and other places.

15. As for the specific weight of the Georgian Jews in the economic life of the country, as far as the extant sources permit us to judge, and taking into consideration the fact that the overwhelming majority of tradesmen here were not of the Georgian but Armenian and Jewish origin, it may be well presumed, that during the feudal period the share of the Jews in the economic activity of this country should have been fairly important. Thanks to their profession the Jews formed at that period a useful socially needful element, and here, unlike other countries where no feasible reasons for economic conflicts, the circumstance which ought to contribute to the conservation of the local Jews for two thousand years.

It is known that the number of the Jewish population settled in Armenia from time immemorial, after the records of Faust the Byzantian and other historians, as summarized by Prof. Melikhset-Beg, amounted to over one hundred thousand families. But in VII--VIII centuries they nearly disappeared owing principally to strong commercial competition.

16. The conditions of life and development of the Jews in Georgia were particularly specific and favourable in comparison with those that prevailed in the countries of the feudal Europe as well as in other quarters of the world.



# ისტორიული დოკუმენტები

6. ბერძენიშვილის რედაქციით

№ 1 1680 წ. სითარხნის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი მე-11-ის მიერ უზბაშ ალხაზ მაჩაბლისა და მისი ნათესავებისადმი

ნებითა და შეწყენითა ღოსითა ესე ამიერ ქამთა და ხანთა სამკვიდროთ და საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მეფეთა მეფემან სელმწიფემა პატრონმა გიორგიმ, თანამეცხედრებმა ჩვენმა დედოფალთ დედოფალმა პატრონმა თამარ, პირშომან და სასურველმან ძემა ჩვენმა პატრონმა ბაგრატ თქვენ, ჩვენსა აღზრდილსა და თანშეზრდილსა, ჩვენსა ერდგულსა, პრავალფერად ნამსახურსა ყმასა მაჩაბელსა უზბაშს ალხაზს, ძმასა შენსა შიოშს და შვილთა თქვენთა ლევანსა და მამავალთა სახლის თქვენთა ყოველთავე;—მას ქამს ოდეს მოგვიდევით ქარსა და წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, თქვენის ყმების ბაჟის სითარხნეს დაგვიაჯენით და ასე გითარხნეთ: თამარაშენს ვერმიშას-შვილები გიორგი და მისი ძმა ზურაბა, დავითა, ქცხლ ვანს შირვანას-შვილი ფირალა მათი ძმთა შვილითა, ხახანას-შვილი ჟრია ხახანა, მისი ძმა შალომა და მათვალა, ჟრია დავითა; ესე ოთხი კუამლი კაცი ასე გითარხნეთ, რომ შაბის და ხამისა და თევზის, მარლისა, მატყლისა ბაჟი და სალამათი არ ეთხოვოდეს არც ქალაქს, არც გორს, არც ქცხლ ვანს და არც ხეობაში. ეს ასე გაგითაოთ. თუ ფარა მოიტანოს, ჩუენს მობაჟეს (sic) ბაჟი მოსცეს. ვინც ჩვენის საბატონოს მებაჟენი იყუნეთ, და ასე დღეის იქით იქნებოდეთ, თქვენც<sup>1)</sup> ასე გაუთავეთ, ნუ მოუშლით. დაიწერა კიდევ (sic) ბრძანება და ნიშანი ესე ხელითა კარგის ჩვენის მდივან-მწიგნობრის იაჟმანის-შვილი სულხანისითა ქეს ტინი, მაისის (იბ) გიორგი თამარ ოჰანესის-შვილი გიორგი ასე გვითარხნებია, როგორც ბატონს უთარხნებია მისი ძმა ზურაბა და დავითა. ადგილი ბეჭდისა ზა რიგადაც ბატონის სითარხნე ჰბოძებია, ჩვენ, მოურავსაც ჩვენის მკრისაგანაც გავვითარხნებია. ადგილი ბეჭდისა ეს ბრძანება ჩვენც ასრუ დავამტკიცეთ ადგილი ბეჭდისა ზურაბა ევანეზაღ შვილი ასე თარხანი უნდა იყოს. ადგილი ბეჭდისა

1) სწერია—ჩვენს.

ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი გაბაშვილი, რატივეი (ხვეულად).

წამდელი სიგლისა მივიღე: გ. მაჩაბელი.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი; ფონდი № 229, დავთარი № 26/219; პირი, დაწერილია მხედრული ხელით ლურჯ კალაღზე. ძველი აქა-იკ ანგეტია.

### № 2 1701 წ. უღვევობის წიგნი, ქაიხოსრო აგიაშვილისათვის მიცემული გრიგოლ მიქელაძის მიერ

შეწვენითა ღეთისათა ესე მარადის უცვალებელი მტკიცე უღვევობის წიგნი მოგვეცით ციხისთავ ქეშიკთ-უსუცესს აგიაშვილს ქაიხოსროს მე, გრიგორ მიქელაძემ; ჩემმა შეილებმა და დედამან (sic) ჩემმან კორძაიას ქალმან ხვარაზუმ ესე ვითარად, რომ ჩემი ალალი და საკუთარი ურია მყავდა აბრამ ბოთვერაშვილი და მოგვიტეოთ ავისის ცოლით და შეილით, როგორცადაც გული შეგვიჯერდებოდა და ფასიც სრული მოგვეცით. გყავდეს და გიბენდიეროს ღმერთმან მკვიდრად და შეუცვალეზლად ჩვენგან და ყოვლის კაცისაგან. ჩვენ და ჩვენი შვილი და მომავალი შენ და წენს შვილსა და მომავალს, ამ აბრამ ბოთვერაშვილს და მის ცოლსა და შვილშიდ აღარ ედგოს. თუშეცა ვინმე მო დევე გაჩდეს, პასუხის ვაძეციბი მე ვიყო. თუშეცა ვინმე კაცთაგან მძლავრებით და იძულებით სამარადიანისა ამის ნასყიდისა შლად და დარღვევად ხელყოს, განიკითხოს რისხვითა ზეგარღმითა, დაისჯოს დასჯითა საუკუნეთა, ხოლო დამამტკიცებელი ამისნი იყავნ კურთხეულ უკუნისამდე. მოწამე და შუამდგომელი ამის მიქელაძე რევაზ, მიქელაძე ლევან, ქაჯაია ბუჭუა, მიქელაძე ბერი. აღიწერა ხელითა ჭიტიანის ნიკოლოსისითა, წელთა უფლისათა ჩლა. აგვისტოს ბ<sup>1</sup>).

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი; ფონდი № 229, დავთარი № 51/41, პირი, დაწერილია მხედრული ხელით. კალაღზე.

### № 3 1731 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ელია, შავლა და შაბათა გუგუნაშვილების მიერ აბდულა და ოსმანა თოფჩიაშვილისადმი

ნებითა და შეწვენითა მლთისითა მამისა, ძისითა, სულისა წმინდითა ესე ნასყიდობის წიგნი და პირი დავიწერეთ და მოგვეცით ჩვენ, გუგუნაშვილმა ელიამ და შვილმა ჩემმა შავლამა და ჩემმა ძმისწულმა შაბათამა თქვენ, თოფჩიაშვილსა აბდულასა და ძმასა ოსმანასა.

1) სწერია—ნასყიდისა შლად.



სახლისა მამავალსა თქვენისასა,—ასე რომე მოგყიდეთ საქალაქაჲდა გზაზეით მოძღვრისა მოცემული მიწა, ზეით არონას შვილისა სურთელისა მიწისა მიდგამამდი; ქვეით შენისა ძიწისა მიდგამამდი. ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა არა დარჩომლარა ჩვენი შენზედა. არის ამისი მოწამე გიორგი მაისაშვილი, მამასახლისი ლოტუას-შვილი ბეგი, მოშიაშვილი ყობიაი, იოსებას-შვილსა ყობიასა დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი მარტისა ერთ კვირესა გასულსა  
ქქნს უით 000

საქ. სსრ. ცენტ. ისტორიული არქივი, ფონდი № 226, საბუთი № 4701, დედანი, 33,5X15,5, დაწერილია მხედრული ხელით თეთრ ქაღალდზე, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ სამწერტილია ნახმარი. ძეგლი ანმეტი.

№ 4 1733 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჩხეიძეების მიერ ყობია ურიაყოფილი შვილისადმი.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისაითა მამისა, ძიწითა, სულისა წმინდითა ესე ამიერით უკუნის უკუნამდი ჟამთა და ხანის გასათავებელი მტკიცე და უცილვებელი, ყოველის ჩხუბისა და ილეთისგან გამოსული ნასყიდობის წიგნი, პირი და კაგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჩხეიძემა როსტომ და დავით და ჩვენმა სახლისკაცმა და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა თქვენ, ურიაყოფილის-შვილსა ყობიასა და შვილსა შენსა აბრამასა, შვილსა და მამავალსა სახლისა შენისასა;—ასე რომე მოგყიდე ჯაფნიაურში მიწა ურიების ნასახლარი, აქეთ ჯობაძის მიდგამამდი, იქით კენიკაძის ოთიას მიწის მიდგამამდი—თავის ტყე (sic) მათრ ბოლოს რუმლი რაც ჩემი მიწა არის, ჯობაძის მიწის ბოლო არის, სულ შენთვის მამიცა. ქონდდეს (sic) და გიბედნიეროს ღმერთმა. ვინც და რამანც ადამის მონათესავემა კაცმა ან დიდმა, ანუ მცირემა ამ ჩვენგან მოცემულს ნასყიდობას ძალათ და ქცევათ ხელბა ყოს, მასამაც რისხავს ღმერთი, ყოველი მისი წმინდანი ზეციერი და ქვეყნიერი, ხორციელი და უხორციული და ნუმც იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისაგან. არის ამისი გამრიგედ და მოწმე მურვან და სახლობუცესი რევაზ, გიორგი ქართველი, არონას-შვილი დავითა. მე დამიწერია მამულსა და

მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის რვას ვასულსა.  
ამ მიწისა არც ბარა არც სხვა არა გეთხოვბოდეს რა. ქკს უკა

ადგილი ბეჭდისა

მე თითონ ქაიხოსროს დამიწერია და ყაბულიცა მაქს ამისა.  
ჩემ ძმებმა ჯაფნიურში მიწა მოგყიდეს დათებამ (sic) და როსტომ,  
არც მე და არც ჩემს შვილებს არც გიორგის და ღრც სენხიას არც  
თიმურზ(ის) ჩაოაული. +++

ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თ-ი თარხნიშვილი.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი № 229, დავთარი № 48, საბუთი  
№ 44. პირი, დაწერილია მხედრული ხელით ლურჯ ქაღალდზე, განკვეთი-  
ლობის ნიშნები არა აქვს, ტექსტი აქა იქ ანმეტი.

**№ 5 1742 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ძმები კობალაძეების,<sup>1)</sup>  
მიერ კონდოლის ნაცვალ ებრაელისა და მისი შვილებისადმი**

ნებითა და შეწვნითა ღთისათა ესე უკუჩისამდე ჟამთა და ხან-  
თა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგე-  
ცით ჩვენ, სვირელმა კობალაძე ივანეს შვილმა ავთანდილ, ძმამან  
ჩემმან გიორგიმ, დედამან ჩემმან თინათინ შენ, კონდოლის ნაცვალს  
ებრაელს, შვილსა შენსა დავითს, იოვანეს ძმის შულსა შენსა პაპუასა,  
შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა,—ასე რომ ჩვენ ქსნის  
ერისთავის მამულში ხიზნათ ვიყავით დედასთან, ხემწიფე ქსნის  
ერისთავსა გაუწყრა, ავღნის ჯარი გამოუსია, სულ ქსნის ერისთა-  
ვისა მამული წაახდინეს და მრავალი ტყვე დაატყვევეს. ჩვენც ავღან-  
მა ქალაქს დავეყიდა. ქალაქს ვალი ავიღევით და თავი ვიხსენ-  
ით. მოვედიოთ კონდოლს, ბატონს ალავერდელს შევეხვეწენით  
„მაღლისთვის დაგვიხსენა“. ბატონს თეთრი გვერთს არ ახლდა. შენ,  
ნაცვალს ებრაელს, გიბძანა: ესენი დაიხსენ და წმიდას გიორგის  
შესწირო. ბატონის ალავერდლის ბძანება გაიგონე ღა ორნი ძმანი  
დაგვიხსენ. რასაც ჩვენი მოვალე შეგჯერდებოდა, ის თეთრი მიეც  
ხელში და წმიდას გიორგის შეგვეწირო. ჩვენი თავი ნასყიდათ შენ  
მოგეცით ორთავე ძმანი. ღთის მეტი ჩვენს თავს არავინ გეცილებს.  
უსიკვილოთ შენს იქ არსად წავიდეთ. ვინცა და რამაც კაცმან  
ეს ჩვენი ნასყიდობის წივინი მოგიშალოს, მასმცა რისხვას ღთი მამა,  
ძე და სული წმიდა და ყოველნი მიწანი წმიდანი სორციელნი და  
უხორციონი, ნურართამცა სინანულითა ნუ იქნების ხსნა სულისა  
მისისა. არიან ამ საქმეში დამსწრები და მოწამე: პაპა ხორი პაში,

<sup>1)</sup> ეს საბუთი აქ შემთხვევითაა: ებრაელა აქ საკუთარი სახელია.

დავით მოურავის ძმა ქაიხოსრო გურამიშვილი, თადია ნაცლიშვილი. მე გიორგი მგალობის-შვილს დამიწერია მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი იანვრის გასულს ქქსს ულ. ++

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი № 229, დავთარი № 50, საბუთი № 15, პირი, დაწერილია მხედრული ხელით ლურჯ ქაღალდზე, განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.

**№ 6** 1746 წ. პირობის წიგნი, ბატონიშვილ პატრიარქ ანტონისათვის მიცემული სურამის მამასახლისის ბეჟანა ჯობაძისა და სურამლებს მიერ

ბატონიშვილს პატრიარქს ანტონის.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ. სურამის მამასახლისმა ბეჟანამ ჯობაძემ და სულ კელიურთაირ სურამელებმა, ასე რომე საეკლმწიფოს მალუჯათისათვის დიდად შეგვაწუხეს. ამასხედ არონაშვილს ურია დანიელას გამოსაღებსა ვთხოვდით. მოვიდა, (თ)ქვენ; ბატონს, შემოგებეწათ. მოიქცა. თქვენ მიერ ნათლისღება მიიღო, გაქრისტეიანდა და ეს იმის წილი ძალუჯაათი ორი თუმანი თქვენ გვიბოძეთ. ახლა ჩვენ ეს პირობა მოგვიხსენებია: დღეის იქით არასფერს გამოსაღებისათვის ჩვენ ამ დანიელასთან ხელი აღარა გუქონდეს, აღარცა რა ვთხოვთა.

არის ამისი მოწამე მუხრანის ბატონის-შვილი ნასაღჩიბაში სვიმონ, მურვანის-შვილი შიომ, აბიშიძე სოლომონ, მე დეკანოზიშვილს რკეს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა მარტს ით, ქქსს ულდ.


საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, დედანა, ფონდი № 226, 25×17 სმ; საბუთი № 1322, დაწერილია ქაღალდზე მხედრული ხელით.

**№ 7** 1764 წ. შეწირულობის წიგნი. მიცემული იმერეთის მეფე სოლომონის და დედოფალის მარიაშის მიერ (ველათის) ეკლესიისადმი

უმიზეზესა მას ყოველთა მიზეზისაგან-მიზეზად ყოველთა ტომთა ქრისტიანეთასა ცხოვრებად წინა საუკუნითგან გასაზღვრებულთა და ქვეყნით მეფეთსა საკადნიერო და ძღვანად აღვლენილო დედაო ქერობინთა ზედა მდგომარისა მეუფისა, რომელმან სისხლთა შენთაგან ქსოვილისა პორფირისა შთაცმითა იხსენ ჯოჯოხეთით წარწყმედილთა სული და აწ...

უმეტეს მოველი მე ხსნასა ცოდვათგან და ძღვეასა წინააღმდეგომათასა, შენ მიერ ცხეზით გვირგვინოსანი მეფე იმერთა, რომელსა რაგსადცა შენდა მიწოდენ არცა თუ მონად გონებისა ღირსსა სოლომონს და თანამეტყველრესა ჩვენსა დადიანის ასულს დედოფალს მარიაშს და პირმშოსა სასურველსა ძესა ჩვენსა აღექსანდრეს აწ შენ მიერსა ნიჯულსა და მის მიერ სასიციბით მპყრობილსა სო-

ფელსა და საწუთოსა. ვინათგან წუთ ერთევე მპურობელთა შენდავე მცირესა და კნინსა შესაწირავსა ძლენის-მომრთმეველობ თანაწარხდო-შილი სიკნინისთვის და კადნიერი სასოებისთვის, ზოლო სახელისა ღირსისა საქმესა შეწირვა შენდა ვინ უძლოს, რომელსა მთავარი ანგელოზთა გიხაროდენსა სამღთოსაცა ძრწოლით და წიწვით წინ ვმეტყველებდა. აწ მიზხვედგლმან სიმდაბლისა ჩემისამან მწვლილებრ ძლენი მიითვალე, დიდებულო ხახულისა მღთისმშობელო, წმინდასა შენსა ეკლესიასა გეენათლისასა მსახურად და ბეგრისა მამრთმეველ შამოგწირეთ ურია ჩახვაშეილი დავითა და მისი ძმა ისნაკა, ასე რომე ათ ჩარქქ სანთელს და ერთს ჩარქქს საქმეველს მარიმობის თვეშიდ მოგართმევედეს ყოველსა წლისა თავზე. ეს ურია ძველთავანაც თქვენი საყდრის ყოფილიყო, გარნა ეამთა ვითარებისა და დროთა ცვლილობისაგან გამოხვებულიყო. ახლა ვინათგან ძალით შენითა თვითამბურობ შევიქმნენით და განვა(ა)ხლებთ და უქვენვე მოგართვით სულთა ჩვენთა საოხად და დღეთა. განსავრძნობელათ და ძეობისა ჩვენთა წარსამართველად, ამიერ დღითგან უკუენისამდე განგებულა და შეწირული არას მეფისა და არას დედოფალისაგან, არც მცირეთაგან, არც დიდებულთაგან არ მიიშალოს, ვისაც მღთისმშობელი მარიამ კეთილ სარწმუნოებით სწამდეს და ძესა მისა მღთად თაყვანისსცემდეს. უკეთუ ვინმე ინებოს გამოხვევა შეწირულისა ამის ჩვენისა, წყველ იყოს და შეჩვენებული ძისა შენისა იყოს ქრისტეს მიერ თანა მამით და სულის წმინდით და ყოველთა სათნო ყოველთა მისთა წმინდათაგან, ოთხთა ბატრიარქთაგან და შეიღთა კრებათაგან შეჩვენებულიც იყოს. ორსავე მრჩობლსა შინა ცხოვრებას სულით და ხორციით. ვინც გამოსწირულს, მასამც ედება კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მესისტება დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი და ჩვენის ცოდვის მაგიერამთავრ განიკითხვის დღესა მას საუკუნესა. დახწერა სიგელი ესე თვესა მარტსა იხ, დღესა ოთხშაბათსა, ქორანიკონს ქ ტეს აქეთ ზღად.



43, 5 დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული წვლით, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია ხან ორი, ხან ერთი წერტილი.

**№ 8 1792 წ. 23 აგვისტო, თხოვნა მიცემული ფალავანდიშვილებს  
ბის მიერ მეფე ერეკლესადმი, გრიგოლ წერეთლის მიერ  
გზარეული ყმების გატაცების შესახებ**

ქ. ლწ მისის უმაღლესობის ბედნიერი ხელმწიფისა ქირი მოსცეს ფალავანდის-შეგოს როსტომს, ელიაზარს და ბეჟანს. მერე ამას მოვახსენებთ, ლწ იმდენი დღეგრძელობა და გამარჯვება მოგცესთ, რამდენი კომლი კაცი იმერელი თქვენს საბრძანებელში გადმოსულიყოს და აგრეთვე ქართლიდამ იმერეთში გადასულიყოს. მაგრამ ძალით მოხდომით და მოტაცებით არც თქვენს უმაღლესობასა და თქვენს თავადებს მოეტაცოს და აიყაროს იმერეთიდან კაცი, რაც ახლა ჩვენზედ არ წესდება ეს საქმე. ბებაის ჩვენი საზითყია.....<sup>1)</sup> ურია გვეყანდა და ცხინვალს თქვენს საფარველს ქვეშ გვიყახდა. პირველს ხარჯს თქვენს ყმებთანაც აძლივდა და ამას გარდა ჩვენც გვემსახურებოდა და იოლათ მივდიოდით. და ერთს დღეს ორმოცის კაცითა ქუთათელისა და ვახუშტი წერეთლის ძმა გიორგი მოსულყო. იმ დღეს ცხინვალის ვენახებში დამალულიყო, დაეღამებინა და ვახუშტისას შემოსულიყო ცხინვალში, აიყარა და წაიყვანა ის.<sup>2)</sup> ურია. (ა)მ წარსულს მკათბთვეში ავიყარა და წაიყვანა. ამგვარი საქმე და ასე მოტაცება თქვენს საბრძანებელსა და იმერეთში არას დროს არ მომხდარა და ამას გვედრები და წყალობას ვითხოვთ, რომ ერთის ბეჯათის წიგნის წყალობა გვიყოთ, რომ მის სიმაღლეს მივფეს სოლომონს მისწეროთ და აგრეთვე წერეთლებზედ წიგნის. წყალობა გვიყოთ, რომ ჩვენი ყმა მოგვცენ. ჯერ მზითივე არის და მას უკან ძალიდ მოგვტაცეს და წაიყვანეს, და ავღლიშვილი ბეჟანიც აქ ვახლავსთ და მავასაც რომ ბეჯითათ ებრძანოს, დიდი წყალობა იქნება. აგვისტოს კვ. ქკს უბ.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფანაია № 233, საქუთი № 3310 დოკანი.

1) ორი სიტყვის ადგილი აკლია. გადასულია.  
2) ორი ასო აკლია, გადასულია.

№ 9 1792 წ. 30 აგვისტოს, მეფე ერეკლეს წერილი სალთხუცეს ზურაბს, სარდალს ჭაიხოსროს და მოლარეთხუცეს გიორგი წერეთლებისადმი თავად ფალავანდიშვილების მიერ აღძრული საჩივრის გამო

ქ. ჩვენ მივიყრად ბატონს წერეთელს სალთხუცეს ზურაბს და სარდალს ჭაიხოსროს და მოლარეთხუცესს გიორგის მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ამ არხით ფალავანდიშვილები ასე რომ ჩივიან, ეს როგორი საკადრისი საქმე არის? ეს თქვენ კარგად იცით, რომ ჩემს ქვეყანაში რომელიც იმერელი კაცი მოსულა და თავის ნამზითვესა და ნასისხლს კაცზე უდავნია, ეს მაშინთვე თავისის ცოლშვილით მოგვიცია და წამოუყვანია. ეგ ურიაც ამათი ნამზითვი არის და უნდა რომ ამათ თავიანთი კაცო მისცეთ თავისის ცოლშვილითა და საქონლითა, უკლებრათ უნდა მოაბაროთ, ამგვარი საქმე არ ვარგა და არც საკადრისი არის, ნურც ჩვენს მეფეს სოლომონს უხამთ, რომ ამგვარებში აწუხებდნენ.

ეს ურია გიორგი მოლარეთხუცესს აუყრია. რატომ იქმთ, მოყვრებე არა ვართ და ერთმანერთის სიკეთისა და კაის მდომნი...? ზმ გვარი საქმე არც ჩვენის ქვეყნიდამ უნდა მოხდეს მაგ ქვეყანაში და არც მაგ ქვეყნიდამ ჩვენს ქვეყანაში. ურგო საქმე არის და ავად დასანახავი. ამას ნუ იქმთ, რომ ეგ ურია მოუტყმელი დაავდო. მუხრანის ბატონის სარდალ-სალთხუცის იოანეს კაცისა ერთი საპალნე ბამბა ჰქონია მაგ ური(ა)სა და ისიც თან გადმოუტანია. ეგ ურია თავისის ცოლშვილითა და საქონლით უნდა რომ უკლებრათ ამ თავის მებატონეს მოაბაროთ და წამოიყვანონ. აგვისტოსს, ქს უბ. მეფე ერეკლე

საქ. ცენტ. ისტ არქივი, ფონდი № 226 საბუთი № 3641, დედანი.

№ 10 XVIII ს. პირობის წერილი, მიცემული ძმები იაკობ და ისხაკ ბინიაშვილების მიერ, ხელმწიფის შვილის დარეჯანისადმი

ქ. ესე წიგნი მოკართვით ჩვენის ხელმწიფის შვილს დარეჯანს მე, იაკობ და ძმან ჩემ(მ)ან ისხაკამ ბინიაშვილმა, ასე რომ დავიკარგე ლეკისავან და დამისხენით და მერზე პირობა მიხოვეთ. ჩვენ ასე პირობა მოვიკრთმევია ლეთის წინაშე: სანამღი ცოცხალი ვიყოთ, თქვენი მოსამსახურე ვიყოთ. რომელიც თქვენ გვიბრძანოთ, თქვენის ბრძანების მორჩილი ვიქნეთ; არც(ა) თქვენს მეტი ბატონი ჩვენ ვინდომოთ. არის მისი მოწამე მამისთვალე ლეკავა. მე ბატონიშვილის კარის მწირველს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ სამისი.

(ახის ორი წერე).

საქ. სსხ. მუხეუმის ხელ. განყ. საბუთი № 2838, დედანი, დაწერილია მსგერული ხელით.

№ 11 XVIII—XIX ს. შეწირულობის წიგნი, მიცემული თინათინ ჯაფარიძის მიერ იოანე ნათლისმცემლის მონასტრისადმი

ქ. ზ ი უფლისა წმინდათა წინამორბედო, წინასწარმეტყველო, და ნათლის-მცემელო ქრისტესო იოანე, გვედრები, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი, ჩვენდა უღირსთა მცირე ესე შესაწირი. ჩვენ ჯაფარიძის მეუღლემ ჩიკვილაძის ასულმა თინათინ კვიციანი და დავისხენი ურისიგან პატარა ბიჭი ხუთი წლის არჩეაძე გვიტა და შემოძირავს სულისა ჩემისა საოხად. მი(ი)ღე, უფლისა წინამორბედო, და მომაგენ ჩვენ მდიდარნი და მალალი ოხა სოფელსა ამას და საუკუნესა მას ხსნა ბრალთა ჩემთა. ამისი მოწამე და გამრიგე მიქიაშვილი მღვდელი სიმონ, კაკირიაშვილი ბუჭია, ბარათაშვილი ხუცია, ჩემი მოძღვარი წინამოდღვარი იოანე წელიწადში თითოს მიწირედას ამ ბიჭში და სხვა კრებულისაგან მოხსენება არ მემეშალოს. აწი რომელმანცა ძემან კაცისაგან წიგნსა ამას შლად და დარღვევად ხელჰყოს, შენ ხელყავ, ნათლის მცემელო ქრისტესო, ორთავე ცხორებათა შინა შერისხვითა და მიეც უკანასკნელსა მას აღმოფხვინვასა რისხვა შენ მიერ ნათელღებულისა ქრისტესისა. ამინ. და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს, ხოლო შემწელი ამისი იყავნ შემწილ სულით და ხარცით ამიერ უკუნისამდე. მე ბარათაშვილს ხუციას დამიწერია და მოწამეცა ვარ. ივნის კ დ.

ქ. მე მეფე იმერეთისა ძე არჩილისა სოლომონ დავითიანი ნებთა ღვთისითა ვამტკიცებ შეწირულებასა ამას

მეფე იმერთა სოლომონ

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი № 226, საბუთი № 2283, დედანი. 30 ჯ 20, დაწერილია ქალაქდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.

№ 12 1810 წ. 9 ივნისი. წყალობის წიგნი, მიცემული ებრაელი ყმის ელია მაღალაშვილისათვის, მებატონე ანანა ამილახვარისა და მისი ძის ქაიხოსრო აბაშიძის მიერ

ქ. ჩვენ ამილახვარას ასულმა ანანამ და ძემა ჩემან აბაშიძე ქაიხოსრომ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას მილაღაშვილს ელია ურისს. ასე რომელსამე ჩვენის ყარაზობით ერჩია შენთვის და გაებრიყვებინე, აგვეყარე და სხვა სამეფოში წახველ ხიხნითა და რომელიც შენი დანარჩობი გავალბული თუ სხვა ნივთი იყო, მე დავბირდი გამორთმევასა, მაგრამ ისევ შენის ნებით მოხველ ხიხნითა და იმართლე თავი, რომ ის აყრა შენი ნება არ ყოფილიყო, არამედ ჩვენის ყარაზობით სხვას ვისმე გაებრიყვებინე.

შეხვეწნობი მის ბრწყინვალეობას ბატონს აბაშიძეს ჩენს მაზლს სვიმონს და იკადრა მაშუალობა და გვიბძანა შენი გაძლიება და აწ, რომელიც შენი თეთრები ვავალელებული გქონოდა, იმის ისევ მოცემა. და ჩვენ მისის ბრძანებით ეს წერილი გიბოძეთ: ვისაც შენი ფული მაზრებს, თამასუქები ხომ შენვე გაქვს, მიდი შენს მოვალეებს შენი ფული სთხოვე, თავნიც და სარგებელიც გამოართვი ანგარიშით და რომელთაც ამას წინად შენს წასვლის ჟამში შენი ვალი მე ჩემს აზნაურიშვილს ავალებინე და ბარათი მიეცათ, ის ბარათები უნდა რომ მოსთხოვო და ჩაუგდო ფულად - და დანარჩომი ანგარიშით შეისრულო და ყველას ანგარიში გაუწმინდო. რომელიც ჩვენ დაგვი ხარჯავს ფული, ჟამზე იმასაც შეგისრულებთ, რომ შენც ვალის პატრონი ყოფილხარ და გაგაძლებინებთ.

ივნისის 9, წელსა 1810

ბეჭედი მხედრული წარწერით: ამილახვარის  
ასული  
ანნა.

საქ. სახ. მუხ. ხელ. განყ. საბუთი № 7085, დედანი, დაწერილია ქალაქდ-ზე მხედრული ხელით.

**№ 13 1812 წ. შეკრულობის წერილი მცეცხული დანიელა ატენელა წამალასშვილის მიერ ზურაგ ფალავანდოვისადმი**

ჩემ წელსა, აპრილის 6 დღესა

მოგართვი ესე შეკრულობის წერილი მე ქვემო კელის მომწერელმა ებრაელმა დანიელ ატენელა წამალას-შვილმა თქვენ, ბატონს ჩემს, თავადს ტიტულარნის სოვეტნიკს ზურაბ ფალავანდოვსა, იმისთვისა რომე, თუმცა პირველ ამისა ჟარსა ვყავი თქვენი ბატონ-ყმობა და შევედი საჩივარში, მაგრამ ახლა შემოველ და დაგემორჩილეთ რომე შემდგომად აღარ შემიძლიან ამ საქმისათვის საჩივარი და დავისა შეტანა სამართლისა. ალაგსა და ვიყო შემდგომად ყმა თქვენი ყოვლისა უარისა უქონელად.

ატენელა წამალას-შვილებისა დანიელასა და აბრამას თხოვნით ხელს ვაწერ მე, პეტრე თუთუნოვი. ამათ წერა არ იცოდნენ. დანიელა წამალას-შვილის თხოვნით ამ პირობის წერილის მოწამე ვარ ტიტულარნი სოვეტნიკი თავადი ბირთველი თუმანოვი.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი 226, საბუთი № 6005, დედანი, 34. 22, დაწერილია ქალაქდზე მხედრული ხელით.



**№ 14 1814 წ. თამასუქი, მიცემული ძმებდი: ისხაკა, აბრამა და გაბრიელ ჩიკვაშვილების მიერ მიკირტუმ სტეფანიზ ბორისოვისადმი**

ქ. ლ-ით, ავიღეთ ჩვენ ჩიკვაშვილებმა სამმა ძმამ ისხაკამ, აბრამამ და გაბრიელამ თქვენ, მიკირტუმ სტეფანიზ ბორისოვისაგან ათასი ყურუში სალის მალს თეთრი, რომ ნახევარი იქს ხუთას ყურუშსა. ქვემო თარიღიდან რა ერთ ხანსაც ჩვენს ხელთ დარჩეს, ათი თორმეტისა სარგებელი გაძლიოთ ან მე და ან ჩემა ურდუნამ ან შენ და ან შენს ურდუნას ულაპარაკოთ მოგცეთ, აღიწერა ქუთაისის 1814, მარტის დამღევს.

ქ. მე ისხაკ ჩიკვაშვილს და ჩემ ძმებს ამ ზემო გამოცხადებულის თამასუქის ყაბული გვაქვს. ჩემი ხელი მომიწერია. 0

ქ. მე აბრამ ჩიკვაშვილს ყაბული მაქვს. აბრამამ წერა არ იყო-და მე არუთინ ქალანთაროვმა დავწერე. 00

ქ. მე სიმონა ოცხელი მოწამე ვარ ამ თამასუქისა.

ქ. მე ბალდასარა მოწამე ვარ ამ ვექსილისა.

ქ. პეტრე ხოდაშნოვი მოწამე ვარ ამ ვექსილისა.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი 226, საბ. № 6351, დ.წერილია მხედრული ჩელით, თაბახის ქალაღხე.

**№ 15 1816 წ. პირობის წერილი, მიცემული თავად გრიგოლ წერეთლის მიერ აბასთუმნელ ებრაელი დანიელა ფიჩხაძისადმი**

ნებითა და შეწვენითა ღვთისითა ესე წერილი მოგეცი მე, იმერეთის თავადმა წერეთელმა გრიგოლ სალახუცის ძემ, შენ აბას-თუმნელ ურიას დანიელას ფიჩხაძეს და შენ შვილებს მამაჯანას და ყობოს და სხუათა შვილთა და მომავალთა შენთა,—ასე რომე ოსმლოდან ჩამოხველი და შენის წერილით მეემე და ყობობის წიგნი მომე. აწ მეც ეს წიგნი მოვიცია, როზელ შენს წესზე შენ გაგაძლე-ბინო, თუ შენც გულის წმინდით ჩემი ერთგული და მოსამსახურე იყო. კიდევ ეს წყალობა გიყავი: მიზოდებია ქუთაისის ჩემი ოთხი თვალი ღუქანი, რომელი არის შამიელა ჰაპიაშვილის ღუქანსა და ქვემოთ ისხაკა იაყოზიშვილის ღუქანსა შუა რომ ორი თვალი ღუქანია, შენთ-ვის მიზოდებია და კადევ ეს წყალობა გიყავი, რომ სამთავრო თეთრი მე მოგეცე ათი-თერთმეტი სარგებლით და თავნი და სარგებელი მე არ დამეკარგოს და სხვებისე შენ ხელი მიიბრუნო. აწ ჩემგან და არც ჩემი შვილისა და მომავლისა და არც შენ და არც შვილსა და

მომავალსა არა მოეშალოს ეს ჩემსგან ბოძებული წყალობა, თქვენ თუ გული წმინდით ჩვენი ერთგულნი და მოსამსახურე იყოთ. არიან ამის მოწამენი—რომელიც ამას ქვემოთ ხელის მოწმენი, და მე პავლე ხითაროვს<sup>1)</sup> დამწერია თავადი გრიგოლის ბრძანებით და მოწამეც ვარ ამესი.

ბატონი თავადის გრიგოლ.....<sup>2)</sup> სიტყვით ხელს ვაწერ მე პეტრე მეფუნე.

ქ. თავადი გრიგოლ წერეთლის ბრძანებით მოწამე ვარ ამ წერილისა მე პეტრე სოლომონოვი.

ქ. თავადი გრიგოლ წერეთლის ბრძანებით მოწამე ვარ ამ წერილისა აკოტაშვილი თომა.

ქ. მოწამე ვარ უფალი წერეთელ გრიგოლის თხოვნით ქუთაის-მცხოვრები აზნაური თომა ბაინდუროვი.

ქ. ავლ. (?) ფიქალის თარო (?) მოწმე გრიგოლ წერეთლის სიტყვით.

საქ. სახ. მუხუშის ხელნ. განყ. საბუთი № 1311 Sd, დედანი, 36X22, დაწერილინ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.

№ 16 1816 წ. ყმობის წიგნი, მიცემული აბასთუმანელ ებრაელ-დანეელ ფიჩხაძის მიერ თავად გრიგოლ წერეთლისადმ

ჩვენ ქვემო ხელის მომწერთა ესე მტკიცე ყმობის წიგნი მოგვირთმევია თქუნ, მაიორ და კავალერი იმერეთის თავადი გრიგოლ წერეთლისათვის, მე აბასთუმნელ ურიას, დანიელ ფიჩხაძეს და ჩემს შვილებს, მამაჯანა და ყობოს ამ გვარად, რომელ ჩემას ქვეყნიდამ, ოსმალოდამ, ჩამოველი იმერეთში და თქუენი ყმობა მოვინდომე და გეყმე. აწ ესე წერილი მომირთმევია, რომელ თქუენს მეტი ბატონი არ გვინდოდეს, ასე საკუთრად და ყოვლის კაცის უდავებლად და უცილებლად მოგვიცია ჩვენი თავი. რადგან ამ ქვეყნისა და ამ სამეფოსა არა ვართ, ჩვენთან დაეა არავის აქეს და თქუენი ყმობა აღვირჩიეთ, და გეყმეთ. ღმერთმან მოგახმაროსთ ჩვენი თავი, როგორათაც თქუენი სახასო მკვიდრი ყმა, თქუენ და თქუენსა მომავალსა და შვილთა, და ჩვენ როგორც ღმერთმან შეგვაძლებინა, ისე გულის სიმართლით შენს ერთგულ ყმობასა და სამსახურს ვეცადოთ საუკუნოდ, ჩვენი შვილი და მომავალი თქუენ შვილსა მომავალსა ემსახუროს, და არც ჩვენი თქუენი ყმობისაგან გამოსვლა იქნეს არაოდეს. და ჩვენ უნდა გემსახუროთ ბატონ-ყმობის რიგზედ და

1) სწერია: ვითაროვს.

2) დედანში არ იკითხება—გადაშლილია.

აგრეთვე ბევრათ უნდა მოგარბვათ წელიწადში თითო ბათმანი სამთელი და მის გულათ ათი კანაფის ტილო. მოწამენი ამისნი არიან, რომელიც ამას ქვემოთ ხელს აწერენ.

ქ. რადგან დანიელსმ ფოჩხაძემ წერვა არ იცოდა, მე არჩილ თავადიშვილი ხელს ვაწერ დანიელას თხოვნით. 0

მე ხახამ არონი ხელს ვაწერ მამაჯანა ფიჩხაძის თხოვნით, რადგან მან წერა არ იცოდა. 0


ნებითა მე შეფუნე პეტრე ხელს ვაწერ.

ქ. პეტრე სოლომონოვი ხელს ვაწერ დანიელას თხოვნითა.

ქ. თომა აკოფაშვილი ხელს ვაწერ დანიელას თხოვნით.

ქ. ავალო ჟ)..... მოწამე ვარ დანიელა და მის შვილებს.

ქ. ჩვენ იმერეთის მართებლობის თავადნი და მღივანბეგნი ვმოწმობთ ერთობით ჩვენის ბეჭდის დასმით წერილსა ამასა.



მოწამე ვარ დანიელა ფიჩხაძის და მისი შვილის მამაჯანას თხოვნით მე ქუთაის მცხოვრები აზნაური თომა ბაინდუროვი. საქ. სსრ სახ. მუზეუმის ხელ. განყ. საწუთი № 1568 სდ, დედანი, დაწერილია თფთრ ქალაღდზე მხედრული ხელით.

№ 17 XIX საუკ. მკ წლები სათავადებო წაგანი, შიცემული ონელმ ვებრაცლებიხ არონაშვილებიხ მივრ ძმები ქაიხოსრო და ქველი წერეთლებიხსადმი

ქ. ესე სათავადებო წიგნი მოგართვი ჩვენ, ონელმა ურიებმა ოსამ, იაკობმა, ბერმა არონაშვილებმა თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს და თქვენ ძმას ქველს, ასე და ამა პირსა ზედან, რომე თქვენს ურიას შალელაშვილებს ბერსა და მარდახს გაუწყყრით, დაიჭირეთ ცოლშვილიანათ. მერმედ ჩვენ შამოგებეწეთ გასყიდ-

ჟ) ერთი სიტყვა არ იკითხება.  
20. საქ. ებრ. ისტორ.-გენერატ. მუზ. შრომები.

ვით ჩვენ გვაპატივე. თუ ეს შალვლაშვილები სადმე წაგვიიდესთ, ან 5 ქესა თეთრი მოგართვათ, ან ისევ ჩვენ მოვსძებნოთ და ხელშეკრული მოგართვათ. ამისი გამრიგე და მოწაშე თვით ბატონი ჯაფარიძე, ბერა. ბაქრაძე, რევაზ კაკალიშვილი, ბაქარი კაკალიშვილი  
00000

საქ. სსრ. ცენტ. ინსტ. არქივი ფ. 226, საბუთი № 2769.

**№ 18** 1831 წ. მ აპრილი, ნასყიდობის წიგნი, მიცემული თავადების ბარძიმ, ივანე და გრიგოლ მაჩაბლების მიერ აბრამ, ისხაკ და ჩოშა იოსებაშვილებისადმი

ჩყლა წელსა, აპრილის 6 დღესა. ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ქვემო ამის ხელის მომწერთ: თავადმა ბარძიმ მაჩაბელმა, ძმამა ჩემა ივანემ და გრიგოლმა შენ, იოსებაშვილსა აბრამ ხახამსა, შვილსა შენსა ისხაკსა და მოშასა, — ასე რომ მოგყიდეთ შენის ვენახის გვერდზე ჩვენს სამოვ...ში<sup>1)</sup> ბატარა მიწა, რომელიც ახლა საშნები დაგისხი: აღმოსავლეთით, — ბატარაკაციშვილს რომ მიწა მიუთვალეთ, იმის შიდეგამდინ, დასავლეთით — შენის ვენახის მიდეგამდინ, სამხრეთით — ახალ სამამდინ და ჩემსაც მიდეგამდინ, ჩრდილოეთით — ბატარაკაცის მოშანას ვენახის მიდეგამდინ. ავიღევეთ ფასი სრული და დაუკლებელი, რითაცა ჩვენი გული შეშჯერდა. ქონდეს და ვიბედნიეროს ღმერთმა, როგორც ერთს ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არბს ამისი მოწაშე, ვინც ამაზე ხელს მოაწერენ და ამისთვის ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ: თავადი ბარძიმ მაჩაბელი. თავადი იოანე მაჩაბელი.

საქ. სსრ ცენტ. ინსტ. არქივი, ფონდი № 226, საბუთი № 5933, დედანი, 50X29, 5 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით.

**№ 19** 1832 წ. 10 აგვისტოს. სავაქროთ გაშვების ნებართვა გაცემული თავად ოტია ჩხეიძის მიერ ყმა ებრაელი მოშა ბოთერაშვილის სახელზე

წინაა: განმცხადებელი ამის ვაკის მაზრისა საკუთენელი ჩემდამი ყმა, სოფელს კულაშს მცხოვრები ურია მოშა აბრამის-ძე ბოთერაშვილი დაშვებული არს ჩემ მიერ საქართველოს, ტფილისშიდ სავაქროდ ორის თვის ვადით, რომელიცა მიცემასა ზედა

<sup>1)</sup> ეს სიტყვა გაურკვეველად არის დაწერილი.

ჯეროვანსა ბილეთი კანონიერი დამაყენებელნი მიზენი არა არს.....  
თავადი ვახტანგ ოტის ძე ჩხეიძე ჩ. ყ. ლ. ბ. წელსა აგვისტოს თ-სა.  
ქუთაისის ეთნოგრაფ. საზ. მუზეუმი, საბუთი № 184, დედანი, 21×22 სმ.  
დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.

№ 20 1872 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული შამუგლ, გაბრიელ,  
ელა და დანიელა დანიელა შვილების მიერ ბრეთში მცხოვ-  
რებ პეტრე თვალთაშვილისხაძენი

ქ. ნებითა და შეწყენითა მღვთისათა, მაძისა და ძისათა და  
სულსა წმინდისათა ჟამთა და ხანთა. გამათავებელი მტკიცე და  
უცლებელი, ყოვლის ილეთისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი  
და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, თამარშენში მოცხოვ-  
რებელმა დანიელაშვილებმა შამოელმა, ძმამა ჩემან გაბრიელამან  
და შიძაშვილმა ჩვენმან ელომა და დანიელამა და სახლისა მამავალმან  
ჩვენისამან შენ, აჩაბეთში მაცხოვრებელსა თვალაშვილ პეტრესა და  
შვილსა შენსა მაქსიმესა და ივანესა და მამავალმან სახლისა  
ჩვენისამან ჟამსა ამასა, ოდეს დაგვეჭირა და მოგვიდეთ ჩვენი  
ალაღის მამულში მოცვლილი, აჩაბეთში მდებარე, ორის დღის  
მიწა. ამ მიწის მიჯნა: აღმოსავლეთის მხარეს საწყლისკვალამდინ,  
დასავლეთის მხარეს ბაბუციძის გიორგის მიწის მიდგამდინ,  
სამხრეთის მხარეს ოტიაშვილის მიწის მიდგამდინ, ჩრდილოეთის  
მხარეს შარამდინ, თვასდ წყლითა და გზითა, შესავლითა და  
გასავლითა და ხეხილითა და სამართლიანის სამძღვრითა.  
აველევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული  
შეჯერდებოდა და აღარა დარჩომილა რა ჩვენი საქვენზედა  
არცა ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს, როგორც  
ერთს ალალს მონასყიდეს მიხმარებოდეს, ეგრეთვე ღმერთმან  
თქვენ მოგახმარო. თუ ვინმე ამ ჩვენგან მოსყიდულ მამულს  
წამოგვდაოს, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი  
მოწამე თავთ ღმერთი, კაცთაგან: სოსია ჯომარდიშვილი, ბაბუციძე  
ხოსიაშვილი გოგია, რაზმაძე სოსია, ოტიაშვილი სოსია, საბრელი  
ოთარ. მე, მამასახლის გაბრიელა პაპისოვს დამიწერია დანიელა-  
შვილების თხოვნითა და ხელის მოცემითა მოწამეცა ვარ ამისი.  
დაიწერა კათათვის კა, ჩულებ წელსა.

აზნაური გაბრიელ ხუციძე. რადგან ზემოხსენებულთა დანიელა-  
შვილებმა წერა არ იცოდენ, ამათის თხოვნითა და ხელის მოცემით  
ხელს ვიწერ და მოცვლილობის წერილიც ხელში გვიქირაშს.

ამ ჩემი ყმის გამოსყიდულს წერილს ვამტკიცებ და ჩემ ძმებ-საც დავამტკიცებინებ დაუხარჯავად. თავადი ბარამ მაჩაბელი. ამ ნასყიდობის სიგელს ყაბული მაქვს. თავადი იოანე მაჩაბელი. ამ სიგელის ყაბული მაქვს თავად პრაპორზიკს გრიგოლ მაჩაბელი.

ამ სიგელის და ნასყიდობის მოწამე ვარ თი იოანე ჯავახიძე.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი. ფონდი № 226, საბუთი № 5043. დედანი. 70 ჯ მ 1 სმ. დაწვრილია თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით, ტექსტი აქა-იქ ამოტეხილი, ხელი სხვადასხვაა.

№ 21 1822 წ. 13 დეკემბერი, თხოვნა, მიცემულად ონში მცხოვრებ ძმებში აბრამ და დანიელა შამლიკაშვილების მიერ გენერალ-ვაკულსკისადმი. თავად ბერძნულ წერეთლის მიერ თავისი ქალიშვილის მზითევში განუყრელ ძმათაგან ერთი მათგანის გატანებისა და წერეთლის ყმებად დატოვების შესახებ.

მის აღმატებულებას

მმართველს იმერეთისა უფალს გენერალ მაიორს და კავალერს ბეტრე პავლეს ძეს ვაკულსკის.

რაქის მაზრის სოფელსა ონს მცხოვრებთ ურიათა აბრამი და დანიელა შამლიკაშვილებთაგან.

თხოვნა

ბაბუა ჩემი მარდასა მოსრულა შეილებით გორის უეზდის სოფლის თამარაშენიდან და მოსრულა წყალობის ხელთ (sic) ჯაფარა-შვილთან და მის შემდგომად შევესულვართ სხვადასხვა მფლობელთა ხელშიდ, რომელთაგან უსამართლობა არ დავგმართია რა, თვინიერ პატივისცემისა: ხოლო აწ ჩვენ ორნი მარტოხელნი ვაუყრელთ ძმათა შეილნი ვცხოვრობთ კვალადვე ვაუყრელთ სიღარიბით, ვეკუთვნით თავადს ბერ წერეთელს, რომელსაც ვმსახურებთ დებულებისამებრ უარის უყოფლათ; გარნა აწ მან ბერმა წერეთელმა ჩვენგანი უქანასკნელი მიმცა მზითვათ ასულსა თვისსა, მითხოვნილსა გიორგი მეთოდეს ძე ერისთავზე, და აწ ორივე ცალ-ცალკე გვთხოვენ გადასახადსა. თქვენო აღმატებულებავ, მამანი ჩვენნი იყვნენ ვაუყრელნი ძმანი, რომელთა დავრჩით ჩვენ ორნი ობლად, გამოვიზარდეთ სიღარიბით და არ გვაქვს შეძლება თავის რჩენისა; უკეთუ ერთმანეთს მოვშორდით, ორნივე ვიქნებით აღმოფხვრილნი; ამისთვის მოვილტვით თქვენს აღმატებულებისადმი და უმოორჩილესად ვითხოვთ ჰყოთ განკარგულე-ბაი და უკეთუ არა ჯერ იყოს ამ გვარი საქმე, ნურც ვავიშოთებით და რადგან არ შეგვიძლია მოშორება ერთმანერთისაგან, ნურც მოვშორ-დებით, არამედ ვიყოთ ისევე წყრეთლისათვის და გვიმსახუროს ვალ-

დებულუბისამებრ. სიტყვითა მთხოვნელთა არზასა ამას ესწერ კრი-  
გოლ აკოფოვი

აბრაშა შამლიკაშვილი  
დანბელ შამლიკაშვილი  
დუკემბრის ივ დღესა  
ჩყლბ წელს

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივის პლეთისის განყოფილება, ფონდი № 209,  
საქმე № 75, დოკანი, 35, ნ-ჯ 21, 3, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედ-  
რული ხელით.

№22 1888 წ. 20 თებერვალი. მოზარეობა, მიცემული თავად გიორგი  
ერიათავის მიერ რაჭას მაზრის უფროს მისხელდვისადმი.

რაჭის მაზრის ნაჩალნიკს უს კოლეჯის სოვეტიკს მხებლოვს.  
პოდპორუჩიკის თს გიორგი მეთოდის  
ძის ტრისთავისაგან.

მოხსენება

გამოცხადებასა ზედა თქვენის საოჯკეთილშობილებისა ეს  
იმგრეთის მშართებლობისა მოწერილობისა შესახებელად შევიწროვბი-  
სათვის ვითომც ჩემ მიერ მოცემულისა მზითევით სიმეორისა ჩემისა  
თავადს ბერი წერეთლისაგან ასულისა თვისისა, შეუღლასა ჩემისა  
მარინესადმი ონის ქალაქშიდ-მცხოვრების ურისა დანბელა შამლიკა-  
შვილისა, საქეს პატავი მოხსენებად: მსუგებული ურისა ონის რიცხვათა  
შორის სხვათა მის მიერ მიცემულთა მზითევთა; მისცემიეს მეუღლესა  
ჩემსა, რომელსა წინეთ ამისა თოთამეტის წლით აქენდა მდგომარეობა  
მამინაცვლისა მისისა ელო ხანანაშვილისათანა, განსაკუთრებულ  
ვაჭრობა ნათესავისა მისისა აბრაშა შამლიკაშვილისათანა,  
რომელიცა ამა წლის იანვრის თვეშიდ, მასთვის რომელ არა ყოფი-  
ლიყოს საკუთარელად მეუღლისა ჩემისადმი, ზეუერთდა მას ნათესავსა  
თვისსა. თუჟა შესახვედრი ჩემდა მისგან ორი წლის ბეგარა ესთხო-  
ვე, რათა სოცეს კეთილის ნებითა, ვარნა იხმარა მან წინააღმდე-  
გობა. მისთვის ესთხოვე თანაშემწესა თქვენის მაღალკეთილშობი-  
ლებისასა თავადს ერისთავსა, რომელმანცა კმასაყოფად თხოვნისა  
ჩემისა ვაგზანა სახელმწიფო აზნაური კოვისა ბაქრაძე, გადაახდევინა  
მას ორის წლას ჩემდა შესახვედრი ბეგარა ოთხი ჩოზა და სამი  
ნაბადი ღირებული თოთამეტს მანეთს ვერცხლად და მით კმაყოფილ  
ყო მე, რომლისაგანაცა წარმოვადგენ ნამდვილად სიასა მიცემულსა

მეუღლისა ჩემისადმი სიმამრისა ჩემისაგან მხითვესა ზედა დასამტკიცებლად მოხსენებისა ჩემისა; ხოლო რამცა შეეხების ჩივილსა აბრამა შამლიკაშვილისასა, მე ვითარ არა მეკუთვნის იგი, მით არა ოდესმე არა რა მითხოვნის და არაცა გარდამხდევნების. ამასთანავე მაქვს პატივი დამატებად, რომელ ვითარ მოწერილობისაგან ყ—დ იმერეთის მმართველისა სიანს, შეუჩივილეს მისთვის მას დანიელა შამლიკაშვილს წარსულის წლის დეკემბრის თვეშიდ, რომლისათვის მე მისთვის არა რაი გარდამხდევინებდეს, არამედ ამა წლის იანვრის თვეშიდ. მით მაჯივრებებს მე, ვით უკადნვერებებს განუსვენებელ ყოფად ყ—ს იმერეთის მმართველისა, მაშინ ოდესცა მე მისდა არა რაი შევიწროება და გარდახდევინება არ მიქნის მით, რომელ წინააღმდეგ შემთხვევაშიდ არა განსვენებულ ყოფდეს იგი მომხსავითა უსაფუძლოითა საჩივართა. მთავრობასა ვსთხოვ მოიქცეთ მას თანაკანონისაებრ.

თ დ ერისთავი გიორგი მეთოდეს ძე.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივის ქუთაისის განყოფილება, ფონდი № 209, საქმე № 75, დედაბი, 35, ნ ჯ 22, 2, დაწერილია თეთრ ქ. დადღზე მხედრული ხელით. საქმეში დაცულია სია მხითვეის აღწერისა და მოწმების დოკუმენტების დროს ფაქტის აღთქმა.

№ 23 1837 წ. ნახცილობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ რევაზ მახაბლავის მიერ თამარაშენში მცხოვრებ თავად გრაგოლ და ილია მახაბლის ვაჟ გზრავლავისა ვაჟი და შამუტელა დანიელაშვილებისადმი

ქ. წელსა ჩულხ მარტის იზ დღესა. ესე ნახცილობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ამა ქვემო ხელის მომწერელმა, სახელდობ თამარაშენს მცხოვრებელმა ოტიაშვილმა თეიმურაზმა და ძმისწულმა ჩემა რევაზმა მახაბლავმა და სახლისა ჩემისა მამავალმა თქვენ, თამარაშენს მცხოვრებელს თავად გრაგოლ და ილია მახაბლის ყმათ, დანიელაშვილს ელოსა და ბიძაშვილსა შენსა შამუტელასა, ოდეს დამჭირდა და მოგეყიდე ჩემი სამკვიდრო მიწათბინისა—აღმოსავლეთით რუმდინ. დასავლეთით ჩემის მიწის მიდგამდინ, სამხრეთით ისევე რუმდინ, ჩრდილოეთით სოსია რაზნაძის მიწის მიდგამდინ. ეს; ოთხივე კუთხივე შემოფარგლული, თქვენთვის მომიყიდინა და თავისის გზითა და სარწყავითა და ჩვენ თქვენსგან მივიღეთ ფასი სრული, თვისი ღირებული ფასი უკლებელად თქვენ, ზემონხსენებულის დანიელაშვილებისაგან, ელოსა და შამუტელასაგან მომხარდა. აღარათფერი დარჩა თქვენსგან მიწის ფული და ღმერთთან მოგანმა-



როს, როგორათაც ერთს ალაღს მონაცემი (დეს) მოხმარება, ისე შენ ზოგანმაროს ღმერთთან და, რომელიც ამ ჩემისგან მოსცილულს მიწას წამოგედოს ვინმე, პასუხის გამცემელი ჩვენ ვიყვნეთ. და ამ-ჯამათ (sic) სოფელში ვართ და ეს ნასყიდობის სიგელი იწერება და ღერბოვის ქალაღი არ იშოვებოდა; როდესაც ინებოთ, მაშინვე გორს ჩამოვიდე და კანონიერ ქალაღზე დაგიწერო და დაგიმტკიცებინო კუფხა. ხარჯი შენი უნდა იყოს: ელოსი და შამუელასი. ის, კანონერ ქალაღზე დაწერილი, თქვენ მოგცეთ, ამაზედ პასუხის შემოტანის დავა არა რ(ა)იმე არა მქონდესრა არც მე და არც მძისწულსა ჩემსა. თუ შემოვიტანოთ რამე დამაბრკოლებელი მიზეზი, ყოველს ალაგს მტყუანი ვიყოთ. და არიან ამ სიგელის მოწმენი, ვინც ამაზე ხელს მოაწერენ, ისინი იქნებიან. ამ ოტიაშვილის მაჩაბელის თეიმურაზის თხოვნით და რევაზის თხოვნით დამიწერია ეს ნასყიდობის სიგელი და მოწამეცა ვარ. თავადი თეიმურაზ მაჩაბელი. რადგან ამ თეიმურაზ მაჩაბელმა წერა არ იცოდა, და მე დეკანოზი ცერაძე ვასილ ვაწერ ხელს ამის თხოვნით.

ამ სიგელის ყაბული მაქს მე, ოტიაშვილს რევაზ მაჩაბელს.

ქ. ამ სიგელის მოწამე ვარ ზემოხსენებულის ოტიაშვილის თეიმურაზისა და რევაზის თხოვნითა (და) ხელის მოცემითა რაზინ ფინხას დედიაშვილი.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივტ, ფონდი № 226, საბუთი № 5950.  
დედანი, დაწერილია თაბახის ქალაღზე მხედრული ხელით.

№ 24 1845 წ. ხელშეკრულების წერილია, მიცემული ძმები გიორგი, ევსტატე, და დიმიტრი ფადევანდოვების მიერ თავიანთ დედის კნენა ვარვარასადმი, ცხინვალში მცხოვრები ყმაებრადელი ხახამ დანიელ კრისხელისა და მიხი ცოლშვილის მირთმევის შესახებ.

ჩემს წელსა მისის ე-ს დღესჯ.

ესე ხელშეკრულობის წერილი მოგართვით ჩვენ, ქვემოთ ამისა კელის მომწერელთა თავადთა: გიორგი, ევსტატე და დიმიტრი ფადევანდოვთა თქვენ, ჩვენს მშობელს დედასა ვითარცა მოქირანხულესა ჩვენთვის, კნენა ვარვარასა მას ზედან, რომელ მოგვირამეგია თქვენთვის ჩვენდა მემკვიდრეობით კუთვნილი ყმა, მცხოვრებელი სოფელსა ცხინვალსჯ დანიელ ხახამ კრისხელი თვისის ცოლშვილით, ესე იგი სახელულობითა, რაოდენიცა სულნი არიან მამაკაცი და დედაკაცი, თქვენდა საკუთრად; ვითარცა ინებოთ, ისრე იმსახუროთ ყმა იგი, ხანამ ცოცხალი ბრძანდებოდეთ; ჩვენ, თვინერ თქვენს

უნებურად, ვერ შეეცხობთ მას და როდესაც — ღმერთმა კი ნუ ინებოს ჯერ — გარდაიცვალეთ, თქვენს სამკვდროთ იყოს ის ხსენებულნი უმა და როდესაც ინებოთ, ეს ჩვენგან პირობა და შეკრულობა. დაგმტკიცებინათ, სადაც ჯერ არს. ჩვენგან ეს პირობა არცა ერთმა ძმამ ვერ მოგიშალათ, რომელზედაც ხელს ვაწერთ: თავადი გიორგი ბეჟანის ძე ფალავანდოვი. რადგან ამან წერა არ იცოდა, ამისის თხოვნითა და ხელის მოცემითა ხელს ვაწერ იოსებ მეტურნუთოვი.

Грузинского фрейдерского полка подпоручик князь Палавандзе.

ამ წერილის მიცემაში თანადამსწრე და მოწამე ვარ თნი დავით ომანის ძე ხერხეულიძე.

ამ წერილის მიცემაში თანადამსწრე ვარ პოდპორუჩიკი თნი ჯავახოვი.

ამ წერილის მიცემაში თანა დამსწრე ვარ თნი დავით ფალავანდოვი.

საქ. სსრ ცენტ. ისტ. არქივი, ფონდი № 225, საბჭოთი № 2363, დეკანი, 22, 2X17,5 სმ. დაწერილია თაბახის ქალაქზე. მხედრული ხელით.

№ 25

1845 წ. 2 მაისი, ხელწერულობისა და თანხმობით მორავების წერილი თავად ბეჟან ფალავანდოვის ძეთა

